



# ჩვენს მსოფლში


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

20 სექტემბერი 2013

№19 (201)

ამირან არაბულის კულტუროლოგიური ძიებანი  
ესთეტიკური სადამო პროზის სამოსელში  
ინა არჩუაშვილის ლიტვური დღიურები  
ზაზა ცოტნიაშვილი აგვისტოს ომზე  
ანტიკური ტრაგედიის ფაბულად  
ემზარ კვიციანიშვილის დარიგება  
ჯარჯი ფხოველის ლექსები  
ვინც არა ჰგავს კახაბერსა  
ხალიდ ალ-ხამისის ტაქსი  
დანაშაულით მკვდარი



# შინაარსი

<b>რადიკალური გვერდი</b>	<b>2</b>	<b>ანტიკური ტრაგედიის ფაზულად</b> (ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მიხა ხელაშვილის პოეზიის ახალ გამოცემაზე)
<b>სხვა რაპუსი</b>	<b>3</b>	<b>გურამ ყორანაშვილი ვინც არა ჰგავს კახაბერსა...</b> (მერაბ მამარდაშვილი)
<b>მსპრეს-ინტერვიუ</b>	<b>7</b>	<b>ირაკლი ჯავახიძე „ოდესლაც ვიყავი“</b> (მომზადა ნატა ვარადაძე)
<b>დოკუმენტური პროზა</b>	<b>8</b>	<b>ზაზა ცოტნიაშვილი ნამდვილი ამბები</b>
<b>პოეზიის ერთი ლექსი</b>	<b>11</b>	<b>ემზარ კვიციანიშვილი გამომცდილი პენსიონერის დარიგება</b> <b>ახალგაზრდა ნათესავს</b>
<b>პოეზია</b>	<b>12</b>	<b>ჯარჯი ფხოველი მოსე და სხვა ლექსები</b>
<b>ლიტერატურული სხორება</b>	<b>15</b>	<b>ანა კაპანაძე ძრისტიანული პოეზიის ახალი ფესტივალი</b>
<b>პროზის გზავნი</b>	<b>16</b>	<b>ინა არჩუაშვილი ლიტერატურული დღიურები</b>
<b>გადი კასისა</b>	<b>22</b>	<b>ბაკურ გეგია ამერიკული გალია და მომუშავეული ნატყვიარები</b>
<b>წარსული მოგონებების</b>	<b>31</b>	<b>თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მეფე</b> (თეიმურაზ პირველი)
<b>რეპორაჟი</b>	<b>38</b>	<b>ნინო დეკანოიძე ესთეტიკური საღამო პროზის სამოსელში</b> (წარდგინება მკა ჯოხაძის ჩანაწერებისა „ჩაძირული დღესასწაული“)
<b>კრიტიკა</b>	<b>43</b>	<b>მურმან ჯგუბურია ჩინს ქვასა ზედა წერილ...</b> (ჩანახატი ამირან არაბულის კულტუროლოგიურ ძიებებზე)
	<b>44</b>	<b>მარინე ტურავა წარუვალი წილი</b> (ამირან არაბულის მონოგრაფია „ვაჟკაცობისას ამბობენ“)
<b>წითელი და წვავი</b>	<b>46</b>	<b>როსტომ ჩხეიძე და სიყვარულის ასე მოთმენა</b> (ავექსენტი ცაგარელის ბიოგრაფიული ნატეხები)
<b>ფიქრი და განსჯა</b>	<b>57</b>	<b>გივი აღხაზიშვილი დანაშაულით მკვდარი</b>
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	<b>66</b>	<b>პაულ ცელანი სიკვდილის ფუბა</b>
<b>უსხორი ნოველა</b>	<b>67</b>	<b>ხალიდ აღ ხამისი ტაქსი</b>
<b>ახალგაზრდობა, ან კი თქვე</b>	<b>70</b>	<b>გვანცა შუბითიძე არაწერზე ცოტა მეტი</b> (წარდგინება ლიკა ოხანაშვილის პირველი პოეტური კრებულისა)
<b>მოხაიკა</b>	<b>71</b>	<b>ფილზიმენი</b>



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 ოქტომბერს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თბი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანიძე

**გარეკანზე:** ირაკლი ჯავახიძე, ფოტო ალექსანდრე ქუთათელისა  
სოფელი დართლო (თუშეთი)  
ამირან არაბულის ფოტოგრაფიული

# ანტიკური ტრაგიდიის ფაბულად

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მისა ხელაშვილის პოეზიის ახალ გამოცემაზე)

მისა ხელაშვილის ცხედარს ყალბე ანუ პატარა მარხილზე რომ დააკრავდნენ დუშეთში წასაღებად და ქალაქი ხალხი დახვდებოდათ, ყველა თავისთვის ატირდებოდა მალულად, რაკილა ემინოდათ გლოვის გამჟღავნება მთავრობის აგენტების წინაშე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ერთ-ერთი წევრისა და 1924 წლის აჯანყების მონაწილის სახალხო დატირებას ანკი ვინ გაბედავდა.

დუშეთში ჩატანილს კარგა ხანს მილიციის განყოფილების წინ დააგდებდნენ და დამარხვის უფლებას არავის მისცემდნენ, მერე თხრილში გადაუძახებდნენ მინის მიუყრელად.

და შემდეგ კი:

— ხევსური რაზმელი იყო იქა, იმან ჩუმად, ღამით მოგვაპარინა მე და თევდორეს. ცხენის ხურჯინში ჩავანყვეთ დარჩენილი სხეულის ნაწილები. ღამე ვიარეთ, ღამე გავთხარეთ დედის საფლავის თავთან მინა და ქურდულად დავემარხეთ. ასე რო, წესიერი დამარხვაც არ ეღირსა სამშობლოსთვის თავშენიერულ ადამიანს.

ამას სალომე ხელაშვილი გაიხსენებდა, მისას და, თავის ძმისწულთან — თამარ ხელაშვილთან — საუბრისას და ისიც საგანგებოდ ჩაინერდა ამ მონათხრობს 1958 წელს.

ჩაინიშნავდა არა გამონაკლისად, არამედ წინასწარვე ჩაფიქრებული ციკლის ნაწილად, თანდათანობით რომ შეაგროვებდა და ძვირფას მასალადაც დაგვიტოვებდა მისას ბიოგრაფიასა და სულიერ პორტრეტზე მიუკერძოებელი და სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად.

ჩაწერით სხვებიც ჩაინერდნენ, მაგრამ თამარი დიდად კმაყოფილი არ გახლდათ იმ ჩანაწერებით — ლეგენდებს უფრო ინიშნავენ, ვიდრე უტყუარ სინამდვილესო. და თავის მხრივ ცდილობდა ისეთი არაფერი გაჰპარვოდა, რეალობას რაც დააშორებდა.

და ასე მიემატებოდა ერთმანეთს დედის, დედუნა ბაჩიაშვილის, მამიდა პელაგიასა და მისას ნათესავეების, ნაცნობ-მეგობრებისა თუ თანამებრძოლთა — კოფა გორელაშვილის, იაკობ მარწყვაშვილის, ივანე ბაიაშვილის, გიორგი ხუცურაულის, ლევან ხავაზურის, იოსებ ბოძაშვილის, გიგლა რაზიკაშვილის, თევდორე მარტიაშვილის, იოსებ გურასპაულის — მოგონებათა ნაფლეთები.

ეს ნაფლეთები ჩამწერის რვეულში რჩებოდა კარგა ხანს, მაგრამ აგერ, გამომხეურებაც ეღირსებოდა მისა ხელაშვილის პოეზიის დიდტანიან კრებულში „სიტყვა ლექსებად ნაქარბი“, ვანო ბერიძიაშვილი რომ შეადგენდა და ვრცელ წინასიტყვაობასაც — არსებითად, მონოგრაფიას — ნაუძღვარებდა.

228 ლექსი აქამდეც იყო ცნობილი, გიგი ხორნაულის 2006 წლის გამოცემის წყალობით, ამჟამად კი 27 პოეტური ნიმუშითაც შეივსებოდა და რამდენიმე პირადი წერილითაც, ის კი არა, მისას ძმის, პავლე ხელაშვილის, ნაწერებიდან 6 ლექსი ჭაშნიკად დაერთვოდა კრებულს, რომელშიც სანდრო შანიძის მიერ ჩაწერილი მოგონებებიც შევიდოდა, ფრაგმენტიც ალექსანდრე სულხანიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებიდან



„მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“, მიხეილ ლანიშაშვილისა და ტრისტან მახაურის (კრებულის რედაქტორის) ლიტერატურული წერილებიც და თემურ ჩალაბაშვილის ლექსიც.

ისე გამომცემლებს მეტი გულისყური და თადარიგაიანობა რომ გამოეჩინათ, არ უნდა გამორჩენოდნენ ჩემი ესეიც „დაძმობა“, რომელიც „მამულში“ პირველი პუბლიკაციის შემდეგ განმეორდებოდა ჩემი ლიტერატურული წერილების, ესეებისა და სილუეტების კრებულში „მზის ამოსვლის წინ“ („ლომისი“, 1997).

ამ ესეის სიცოცხლე, ცხადია, იმაზე არ არის დამოკიდებული, გაიხსენებენ თუ არა მისა ხელაშვილის პოეტურ კრებულთა შემდგენელ-რედაქტორები, და არც ამჯერად დაკლებია რაიმე, ეგაა, თვითონ მისას სახელს წაადგებოდა მისი ტრაგიკული ბედით დაინტერესებული მკითხველის თვალში, სულ სხვა რაკურსიდან რომ წარმოსახავს მის პორტრეტს — ამალღებულად, განზოგადებულად, გასიმბოლოებულად.

მისას სახეზე ჩემი მონოგრაფიის „ქალდეას მონატრება“ ფინალშიც გაივლებს და პერსონაჟადაც შემოდის ბიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“ ალექსანდრე სულხანიშვილის ცნობებზე დაყრდნობით, მაგრამ იმ ესეიში ის ორიგინალური კუთხეა მონახული, ანტიკურ ტრაგედიას რომ გამოიხმობდა, უშუალოდ კი სოფოკლეს „ანტიგონეს“.

სალომე ხელაშვილი-რაზიკაშვილი აკი ორიოდ სიტყვით გვამცნობს ამ ეპიზოდს, მალულად როგორ გააპარებდა ძმის ცხედარს და მინას მიუახარებდა, და ვანო ბერიძიაშვილის მონოგრაფიული ყაიდის ნაშრომშიც ასევე ორიოდ სიტყვით მეორდება, თუმც სულაც არ არის ეს პერო-

იკული აქცია ასე სასხვათაშორისოდ გასახსენებელი, და თუ სალომე შესაფერისად ვერც აცნობიერებდა თავის საქციელს, არსებითად იმავე გმირობას იმეორებდა, ანტიკურ ხანაში ანტიგონეს რომ ჩაედინა — არ მორიდებოდა ხელისუფლების რისხვას, ოღონდაც თავისი ზნეობრივი ვალი აღესრულებინა: დაემარხა ფრინველთა საჯიჯგნად დაგდებული ძმის ნეშტი.

მაშინ ვწერდი, რომ:

სოფოკლეს ალემალღებინა ანტიგონეს საქციელი, სხვა დიდი სახელებისათვის შეეერთებინა მისი სახელიც და ტრაგიკული აღსასრულიც და სულაც კოსმიურ წარმოსახვებში გაეხვია: თუმცა ბევრზე ბევრი არის ცის და მინის საოცრება, ძე კაცისა ქმნილება სასწაულზეც საოცარიო.

ვწერდი იმასაც, რომ:

მისა ხელაშვილსა და მის დას არ გამოსჩენოდათ თავიანთი ტრაგიკოსი და არც სახალხო მთქმელს აემეტყველებინა პოეტურ სიტყვაში ჩვენი ზნეობრივი ისტორიის ეს სახიერი ეპიზოდი. და კიდევ იმას, რომ:

მეორე ვერსია კიდევ უფრო მძაფრი და ჟრუანტელისმომგვრელი გახლდათ — სალომეს ხურჯინში ძმის ცხედარი კი არ ჩაესვენებინა, არამედ ჯერ ოთხად გაეჩხა მისი ნეშტი, და ეს გულისშემძვრელი მოქმედება იმ სასტიკი რეალობის გათვალისწინებით: გზები ყოველმხრივ შეკრულია და ვაითუ ეჭვი აიღონ და გაეგზხრიკონ. ხურჯინს არავითარი ეჭვი არ უნდა გამოენვია.

და დაეძინდა, რომ ეს ვერსია ანტიკური ტრაგედიის ფაბულადაც გამოდგებოდა.

ლეგენდაში გადადის ეს მონათხრობი?

ამითაც არა დაშავდება რა — მოგონებებისას, ისტორიული სინამდვილის აღდგენისას უნდა მოვერიდოთ ყოველგვარ, თუნდ წვრილმან გადახვევას რეალობიდან, თორემ მხატვრული თხზულების — კერძოდ, პიესის — შექმნისას შესაძლოა სულაც ლეგენდურ ცნობებს მივყვეთ შესაფერისი განწყობილების შესაქმნელად, ის კი არა, წარმოსახვასაც ძალდაუტანებლად მივცეთ გასაქანი, ჩვენ-ჩვენი ნიჭის შესატყვისად.

...როდესაც „დაძმობა“ დაინერგებოდა, ხელთ მიხა ხელაშვილის ერთი მცირე კრებული მქონდა, ედიშერ გიორგაძის მიერ შედგენილ-გამოცემული 1989 წელს, და რამდენიმე ზეპირგადმოცემა. და მაინც მიფიქრინე ის ადგილი, რისი ღირსიც ნამდვილად არის უკვდავი პოეტური ქმნილებების — „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“ — ავტორიც და მისი მღელვარე, მძაფრი დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ბედიც — ანტიკურ ტრაგედიის აჩრდილთა შორის მოვაქციე.

გურამ ყორანაშვილი

# ვინც არა ჰბავს პახაპერსა...

დღევანდელი საქართველოს საზოგადოების ერთ ნაწილში მერაბ მამარდაშვილის სახელი ფრიად პოპულარულია. მიიჩნევენ, რომ იგი გახლდათ ფრიად გამოჩენილი ფილოსოფოსი არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც კი. მის ღვაწლს ამ სფეროში უდარებენ სოკრატეს როლს. აქედან გამომდინარე ამაყობენ, რომ იგი იყო ქართველი ფილოსოფოსი, ამდენად, ქართული კულტურის ნაწილი. თუმცა, „დიდი რუსული ენციკლოპედიის“ (ტ. 18) მიხედვით იგი უპირველესად რუსეთელი (российский) და შემდგომ ქართველი ფილოსოფოსი იყო. მეტიც, რუსეთში მას თანამემამულე (отечественный) ფილოსოფოსად თვლიან. ფრანგი ჟოელ ბასტენერის მიხედვით, იგი გახლდათ „ფრანგი“ საბჭოთა ფილოსოფოსი. მერაბ მამარდაშვილის მეგობარ ალექსანდრე პიატიგორსკის აზრით კი, „იგი იყო ქართველი, რუსი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა - ევროპელი“.

თუ მერაბ მამარდაშვილის ეთნიკური (ეროვნული) წარმომავლობის საკითხმა აზრთა ასეთი სხვადასხვაობა წარმოშვა, თვითონ მის მიხედვით ფილოსოფოსს ეროვნება, ეროვნულობა არ აქვს. მაგალითად, მისეული შეხედულებით, იმანუილ კანტი კოსმოპოლიტი (მსოფლიოს მოქალაქე) იყო და მის გერმანულ წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა (მაგრამ ხომ შემჩნეულია, რომ ყოველ შემთხვევაში გერმანიაში ცხოვრებამ გარკვეული დიდი დააჩნია მის აზროვნებას. ამ მხრივ იგი, სხვა თანამემამულე ფილოსოფოსებთან ერთად, აშკარად განსხვავდებოდა XVIII საუკუნის ფრანგი კოლეგებისაგან), მაგრამ როგორ გავიგოთ იოჰან ფიხტეს დიდი პატრიოტული სულისკვეთება?

ამასთანავე წარმოიდგენენ, რომ მერაბ მამარდაშვილი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეც იყო (განსაკუთრებით საქართველოში) 1980-90 წლებში. მსგავსი შეხედულება გარკვევითაა ხაზგასმული სამი ავტორის (დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დავუშვილის) მიერ საქართველოს ისტორიაზე დაწერილ ნიგნში (უძველესი ხანიდან 2009 წლამდე).

სხვამ რაც უნდა თქვას და დაწეროს, მაგრამ პირადად ჩემი თვალსაზრისით, ყოველივე აღნიშნული ფრიად გადაჭარბებულია და ამჯერად მორიგ მითთან გვაქვს საქმე.

მოხდა ისე, რომ განსვენებულთან პირადი ნაცნობობა მქონდა. 1967-68 წლების მანძილზე მას ვხვდებოდი მოსკოვის ფილოსოფიის ინსტიტუტსა და ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის“-ს რედაქციაში. მოგახსენებთ, რომ ამ დროს (1967 წელს) ვაპირებდი დამეცვა საკანდიდატო დისერტაცია (ფილოსოფიაში) ანტიკური სამყაროდან შუასაუკუნეებზე გადასვლის პრობლემაზე. ხსენებულ ორგანოში კი ვცდილობდი შესაბამისი სტატია გამოქვეყნებინა. გარდა ასეთი საქმიანი მნიშვნელობის საკითხისა, ვფიქრობდი, რომ ორივე ჩვენგანს, ვითარ-

და ამხელა კრებული გამოიცეს, ამდენი ლექსით შევსებულ, ამდენი მოგონებითა და სტატიით გადატენილი და... მიხა ხელაშვილის სახების გააზრებისას ასე უკან დავიხიოთ? აქ თუ ჩავრჩით, საითაც „ლექსად ნაქარგი სიტყვის“ გამოცემის თაოსანნი გვიბიძგებენ ნებით თუ უნებლიეთ, ანტიკური ტრაგედიები და მისი გმირები მოლანდებითაც აღარსად მოგველანდება. არადა... თავისით გივარდებიან ხელთ და მზერა რატომ უნდა მოარიდო, ვერ გამიგია!..

ცა ქართველებს, სხვა საერთო სულიერი ინტერესებით გვექნებოდა.

შეგახსენებთ იმ ამბავსაც, რომ 1960-იანი წლების საბჭოურ საისტორიო მეცნიერებაში დიდად აქტუალური გარდა საკითხი ეკონომიკურ-სოციალური ფორმაციების თაობაზე. არსებული წარმოდგენები, რომლებიც ახლაც კი ბოგინობს მრავალთა თავებში, უაზრობას წარმოადგენდა და იგი შორს იდგა თვითონ მარქსიზმის კლასიკოსთა ნააზრვესგან. კონსერვატორებთან ბრძოლაში გვიშველა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული პრობლემის მიმართ ცხოველი ინტერესი გამოჩინეს დასავლეთში, როგორც რიგ დემოკრატიულ ისე საბჭოთა კავშირის სატელიტ ქვეყნებში. აქაც ცდილობდნენ ამ დიდი პრობლემის სხვაგვარ გააზრება-გაცნობიერებას.

უმთავრესად რუსეთში მოღვაწე ისტორიკოსთა გარდა საკითხით ფილოსოფოსებიც დაინტერესდნენ. მართალია მათ მის არსზე (საისტორიო მასალის უცოდინარობის გამოისობით) ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ხვდებოდნენ მაინც, რომ ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინის მიერ დაკანონებული უაზრობანი სოციალური ფორმაციების შესახებ გადასინჯვას საჭიროებდა, კერძოდ, აღმოსავლური (აზიური) წარმოების წესის, ფორმაციის საკითხის დასმით.

ამ პრობლემაზე მე რამდენჯერმე ვესაუბრე მერაბ მამარდაშვილს. აღმოჩნდა, რომ მას რაიმე საფუძვლიანი ცოდნა მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე არ გააჩნდა. მეტიც, მის მიმართ არავითარი ინტერესი არ გამოუჩინია.

როდესაც ხსენებულ ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაციას ვიცავდი, ეს ამბავი შევატყობინე მერაბ მამარდაშვილს. ჩემდა სამწუხაროდ, მან არ მოისურვა დისერტაციის დაცვაზე დასწრება, თუმცა პატივი დამდო და მეგობარ ქალთან ერთად მოვიდა „დესერტაციაზე“ (მსახიობთა სახლში).

მომხდარის შემდგომ მერაბ მამარდაშვილს კიდევ რამდენჯერმე შევხვდი „ვოპროსი ფილოსოფიის“-ს რედაქციაში, სადაც უკვე მთავარი რედაქტორის მოადგილე (1968-74 წლებში) გახლდათ. იქ მქონდა მიტანილი სტატია, რომელშიც ვაკრიტიკებდი აკადემიკოს ნიკოლაი კონრადის ისტორიულ-ფილოსოფიურ ნააზრევს. ცხადია, მე არ შევხებდვარ უკანასკნელის, როგორც ფილოლოგოსის (სინოლოგიასა და იაპონისტიკაში) ღვაწლს, მაგრამ მაშინაც ვფიქრობდი და დღესაც მყარად მიმაჩნია, რომ ისტორიოსოფიის სფეროში ნ. კონრადი ოდენ დილეტანტი იყო, რომელსაც ე.წ. საღი აზრიც კი ღალატობდა. ამით მე დავუპირისპირდი მავან რუს ფილოსოფოსებს, რომელთაც რალაცნაირი მითი შექმნეს ნიკოლაი კონრადის ისტორიულ-ფილოსოფიურ ნააზრევზე (აღმოსავლეთისა და დასავ-



ლეთის შესახებ). სამწუხაროდ, ასევე მიიჩნეეს რიგმა ქართველმა ფილოსოფოსებმაც, რის გამოც მათთან წლების განმავლობაში სერიოზული დაპირისპირება მქონდა. საერთოდ ვიტყვი, რომ როცა მავანნი, თუნდაც მეცნიერებისა და ფილოსოფიის სახელით, მითოლოგიური წარმოდგენებით განიმსჭვალეზიან, მათთან პოლემიკა, არგუმენტირებულიც კი, უშედეგოა.

ვფიქრობ, მერაბ მამარდაშვილი ნიკოლაი კონრადის შესაბამის შეხედულებებზე სხვაგვარად, ჩემგან განსხვავებულად ფიქრობდა და, აქედან გამომდინარე, მხარს არ დაუჭერდა ჩემი კრიტიკული სტატიის დაბეჭდვას. მისი დაბეჭდვა-არდაბეჭდვის საკითხი ჭიანჭურდებოდა. რაკი თბილისში უნდა დაგვრუნებულყავი, მერაბ მამარდაშვილს — როგორც რედაქტორის მოადგილეს — ვთხოვე საბოლოო პასუხი გაეცა. მისგან კი მივიღე პასუხი, რამაც სახტად დამტოვა: „რამდენი ქართველიც აქ მოვა, ყველაზე უნდა გამოვიდო თავი“-ო. მსგავსი გამოგნებული პასუხის გამოილობით გადავწყვიტე, მასთან არასოდეს მქონოდა ურთიერთობა.

მაგრამ ჩემიველი მტკიცე ალტქმა დავარღვიე 1982 წლის მაისში, როდესაც ჩვეს ფილოსოფიის ინსტიტუტში განიხილებოდა საკითხი წინაკაპიტალისტურ სოციალურ ფორმაციათა თაობაზე დანერგილი ჩემი წიგნის დაბეჭდვის მიზანშეწონილობაზე (გეტყვი, რომ საკითხზე სამი წლით ადრე უკვე მქონდა დაცული სადოქტორო დისერტაცია). მონინაალმდეგეებმა (საბედნიეროდ, აღმონდნენ მომხრეებიც) ყველაფერი ილონეს, რათა ნაშრომზე დადებითი დასკვნა არ დაენერათ, თუმცა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგე ანდრია აფაქიძე მონადინებული იყვნენ ჩემი ხელნაწერის გამოქვეყნებისა.

წიგნის განხილვას ესწრებოდა მერაბ მამარდაშვილიც, რომელიც ჩემს, როგორც გამომსვლელის, უკან იჯდა. ლაპარაკისას რეპლიკებს მესროდა, რაზედაც გულმოსულმა ვუპასუხე: „ბატონო მერაბ, მე ხომ განსახილველ საკითხზე თქვენთან რამდენჯერმე მქონია საუბარი და თქვენგან რაიმე არსებითი არაფერი მომისმენია. თუ ამჯერად რაიმე მოსაზრება გაგიჩნდათ, დავამთავრებ სათქმელს და ის აუდიტორიას მოახსენებ“. იგი გაჩუმდა, თუმცა ამის შემდგომაც არაფერი უთქვამს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, მაქვს საფუძველი დავასკვნა: მე რომ რომელიმე ვინრო საისტორიო პრობლემაზე მემსჯელა, რასაკვირველია, პრეტენზია არ მექნებოდა ფილოსოფოსს მასზე თავისი მოსაზრება ჰქონოდა, მაგრამ საქმე ხომ ეხებოდა მსოფლიო-ისტორიული პროცესის გააზრებას, რაზედაც ოდნავ სერიოზულ ფილოსოფოსსაც კი თავისი რადიკალიზირი პოზიცია უნდა ჰქონდეს? დიდად სამწუხაროდ, მერაბ მამარდაშვილის შემთხვევაში იმხანად და შემდგომაც ეს ვერ დავინახე.

მაგრამ აი რას ვკითხვლობთ მერაბ მამარდაშვილის საუბრებში ფრანკ ჟურნალისტ ანი ეპელუანთან, რომელიც განსვენებული სიკვდილის წინ (ეს მოხდა 1990 წლის 25 ნოემბერს) შედგა: „... მარქსიზმი, როგორც სოციალური ფორმაციის თეორია, რომლის თანახმადაც ჯერ იყო მონობა, შემდეგ ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და ბოლოს იქნება სოციალიზმი, წმინდა წყლის იდიოტიზმია. ამ გაუბრალოებული კონცეფციის მიზანია სამყარო შეიტანოს სულ პანია თავში, იმ ვილაცის თავში, რომელსაც არავითარი სურვილი არ გააჩნია იაზროვნოს. ამგვარად მას ყველა თავის განკარგულებაში ჰყავს, ისე რომ არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვს არავისგან და ამით ყველა კმაყოფილია“ (იხ. „ჩანსული ფიქრი“, მზია ბაქრაძისეული ქართული თარგმანი, თბილისი, 1992, გვ. 27).

საბჭოურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, მსოფლიო-ისტორიულ პროცესში არსებობდა მრავალი ცივილიზაციური ცენტრი, რომელნიც განვითარების ერთნაირ საფეხურებს გადაიდნენ. მაგრამ ჰეგელმა თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის და ისტორიულ, სოციალურ პროგრესს ადგილი ჰქონდა ცივილიზაციური ცენტრების გადასაცვლებით. ამდენად, მან წამოაყენა თვალსაზრისი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ფორმაციების თაობაზე. ისტორიის განვითარების იგივენა-

რი გზა აჩვენეს მარქსიზმის კლასიკოსებმაც, ოლონდ, ცხადია, მატერიალისტურ საფუძველზე. მაგრამ აღმოსავლეთში გამონაკლისი მაგალითებიც გვაქვს იაპონიის, საქართველოსა და ეფემერული იერუსალიმის სამეფოს სახით. თუ ამის დამოუკიდებელი გაგება მავან ფილოსოფოსს არ ძალუძს, მას სხვის მოსმენა მაინც უნდა შეეძლოს. ამდენად, იგი არ უნდა ამართლებდეს ებრაულ წყევლას: არც არაფერი გცოდნოდეს და არც არაფერი სხვისგან გესწავლოსო. ერთი სიტყვით, უკვე ეს ერთი შტრიხიც კი, პლუტარქოსისა არ იყოს, ბევრ რამეს გვეუბნება მერაბ მამარდაშვილზე, როგორც ფილოსოფოსზე.

მერაბ მამარდაშვილთან ურთიერთობა ასე თუ ისე (პასიური ფორმით) კვლავაც მომიხდა. მოხდა ისე, რომ „საქართველოს სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელ ყრილობაზე დელეგატებმა სხვებთან ერთად (სულ 33 იყო) ჩვენ ორივე აგვიჩინეს გამგებობაში, სხვათაშორის, სწორედ ამ თავყრილობაზე მოხდა ამბავი, როცა დარბაზის (ფილარმონიაში) სავსე აუდიტორიას მერაბ მამარდაშვილმა მოახსენა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მალა დგასო.

ამგვარმა განცხადებამ, ვფიქრობ, მთელი აუდიტორია შოკში ჩააგდო. იმხანად ხომ არათუ ჩვენი საზოგადოებრიობის (მონინავე, შეგნებული ნაწილის), არამედ მთელი საზოგადოების უმეტესობისათვის, დღევანდელითაგან განსხვავებით, სამშობლო, საქართველო, მისი დამოუკიდებლობა ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავდა. და აი ამ დროს გამოჩნდა პირი, რომლის თვალშიც (თავშიც) საქართველო ყოველ შემთხვევაში დიდად ფასეული არ ყოფილა ჭეშმარიტებასთან შედარებით!

მყისიერად ამგვარ განცხადებაზე არგუმენტირებული, საფუძვლიანი პასუხი დარბაზში არავის აღმოაჩნდა. მხოლოდ ერთი ქალბატონი გამოჩნდა, რომელმაც თავი გამოიღო მერაბ მამარდაშვილის განცხადების გამართლებისათვის. შემდგომ გავიცნობიერე, რომ მსგავსი დილემა დიდად არ განსხვავდება შეკითხვისაგან, ბავშვს რომ დაუსვამენ ხოლმე: დედა უფრო გიყვარს თუ მამა; პაპა თუ ბები? საბოლოო აზრით კი ჭეშმარიტება და სამშობლო სრულადაც არ გამოირიცხავენ ერთმანეთს.

ცხადია, ვინმეს შეუძლია თქვას ისიც, რომ სიკეთე და მშვენიერება სამშობლოზე წინ დასაყენებელიაო, რაც ასევე უაზრობა გახლავთ. ანდა რას ნიშნავს მისეული განცხადება: „მე ვიბრძვი არა ქართული ენისთვის, არამედ იმისთვის, რაც ამ ენაზე ითქმება“. ესაა მშობლიური ენისათვის თავგამოდების ნიშუმი? ნუთუ ქართველობა XIX საუკუნეში და 1978 წლის აპრილში ამ მხრივ „ამაოდ დაშვრა“?

ვალბარებ, რომ ჩვენი სახალხო ფრონტის ყრილობის წინა ხანებში მერაბ მამარდაშვილის მხრივ აქტიურობა არ მახსენდება. გამგებობის სხდომებზე კი იგი თუმცა სიტყვას შეგვანევედა ხოლმე, მაგრამ ეს იყო მისებური ფილოსოფიური ხასიათისა, საიდანაც დიდ ვერაფერს გაიგებდით. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მან ქართული ძალიან ცუდად იცოდა. ორგანიზაციის სასარგებლოდ რაიმე პრაქტიკული ქმედებებისთვის კი მერაბ მამარდაშვილს თავი არ გამოუდვია. მაინც, როცა გამგებობის ზოგიერთი წევრი მას თავს ესხმოდა, ვცდილობდით მათთვის კორექტულობისათვის მიგვეთითებინა.

ბოლოს მერაბ მამარდაშვილს რამდენჯერმე შეგვხვდა ლონდონში, 1990 წლის ივნისის მეორე დეკადაში, როდესაც უნივერსიტეტში მოენყო კონფერენცია (სხვათა შორის, ქალბატონ თამარ დრაგაძის თაოსნობით) ამიერკავკასიის ქვეყნების 1918-21 წლების ისტორიის საკითხებზე. აქ გვესწრებოდა მერაბ მამარდაშვილიც (მისგან განუყრელ ალექსანდრე პიატიგორსკისთან ერთად). კონფერენციაზე მოხსენებითაც გამოვიდა, შეეხო რა უზოგადეს პრობლემებს. ასე რომ, მისი გამოსვლა არ ეხებოდა კონფერენციის ძირითად თემას. არც რამდენიმე დღის განმავლობაში კერძო საუბრების დროს, რაც ქართული ტრადიციისამებრ ღვინის თანხლებით ხდებოდა, მერაბ მამარდაშვილისაგან შესაბამის საკითხებზე მსჯელობა არ გამოვიდა.

ამჯერად შეეჩერდები მერაბ მამარდაშვილის მსოფლხედვაზე, ფილოსოფიაზე.

იგი დაიბადა და იზრდებოდა სამხედრო-პოლიტიკური პირის ოჯახში. ჩანს, ამ მიკროგარემოში პატრიოტულ, ეროვნულ სულისკვთებას ნაკლებად ექნებოდა ადგილი, რაც აისახა კიდევ მომავალი ფილოსოფოსის მსოფლმხედველობაზე. უკანასკნელის დასახასიათებლად მოვიტანთ ერთ პასაჟს. მის მიხედვით, რაც 1917 წლის ოქტომბრიდან (ძველი სტილით) ხდებოდა რუსეთში, იგივე გავრცელდა საქართველოშიც: „გარეთვე, იმიტომ, რომ 1921 წლამდეც მზად ვიყავით ამისთვის, უკვე მოხიბულნი ვიყავით სოციალიზმის ილუზიით, მითუმეტეს, რომ იგი ევროპაში გასასვლელი გზა გვეგონა. ამიტომ გარეშე ძალის მიერ მოხდენილი ანექსია საფუძვლად დაედო იმ ფაქტს, რომ შინაგანად საკუთარი თავი ჩაგვებარებინა სოციალიზმის იდეისადმი (სინამდვილეში ეს იდეური მოსაზრებით კი არ მოგვგვლია). ამ სახით გამოვლინდა ჩვენს სულებში სტიქიურ ძალთა თამაში, რომელზეც კონტროლი დავკარგეთ“ (იხ. ავტორის „საუბრები ფილოსოფიაზე“, თბ., 1992, გვ. 204).

ამ სიტყვებში გამოსჭვივის ჩვენი უახლესი ხანის ისტორიის დიდი უმცირესა-უცოდინრობა, საერთოდ მისადმი ნიჰილიზმი და რუსეთუმელობაც. მსგავს უაზრობებს, ძალზე სასარგებლოს რუსეთისათვის, დიდი სიამოვნებით მოაწერდა ხელს თანამედროვე რუსული იმპერიალიზმის პირნაწარდნილი იდეოლოგი.

ანდა რა კომენტარია საჭირო მისეულ განცხადებაზე: „მაგ. ჩვენთან (ე.ი. საქართველოში - გ.ყ.) პატრიოტიზმი ცვლის ან სურს შეცვალოს განმანათლებლობა. მე კი განმანათლებლობის მხარეზე ვარ“ (საუბრები..., გვ. 30). კიდევ მეტი, „ჩვენ ხომ არასოდეს გვიგემია „განმანათლებლობა“, რეალური ძალა საკუთარი აზროვნებით აზროვნებისა, როცა ფლობ შინაგან უნარს, თავად გაერკვე და გაუძღვე საკუთარ თავს ჩირაღდნის ან იმ ხელების გარეშე, რომლებსაც დავეყრდნობოდით“. ამჯერადაც როგორი უვიცობა და ნიჰილიზმი ვლინდება ჩვენი ისტორიის, კულტურის მიმართ!..

მერაბ მამარდაშვილმა, ვინც თავს „შინაგან ემიგრანტად“ მიიჩნევდა, მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო «Вопросы философии»-ს რედაქციაში. ეს ორგანო კი, ცხადია, იდეოლოგიური ხასიათისა გახლდათ და, ამდენად, ატარებდა საბჭოური სისტემისათვის საჭირო, სასურველ იდეოლოგიურ შტამპებს. როგორ ახერხებდა ამას „შინაგანი ემიგრანტი“? მეტიც, 1960-66 წლებში მერაბ მამარდაშვილი თანამშრომლობდა კომუნისტების საერთაშორისო ჟურნალის «Проблемы мира и социализма» რედაქციაში (გამოდიოდა პრალაში), რომელიც პირნმინდად იდეოლოგიური მიმართულებისა იყო. აღნიშნულს დაემატებოდა იმასაც, რომ 1968-74 წლებში იგი გახლდათ მოადგილე «Вопросы философии»-ს მთავარი რედაქტორისა (დაითხოვეს პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივან (იდეოლოგიის დარგში) რეტეოგრაფ იავოდკინის ზეობისას).

დაისმის კითხვა: როგორ ხდებოდა ეს ყოველივე იმ შემთხვევაში თუ მერაბ მამარდაშვილი კომპარტიის წევრი არ იქნებოდა? რა თქმა უნდა, იყო. ისიც გამიგონია, თუ როგორ ეძნელებოდა მას „ქვირფასი“ კომუნისტური პარტიიდან გამოსვლა 1989 წელსაც კი და ამგვარ პოზიციას სათანადო არგუმენტებით ასაბუთებდა. სავსებით ლოგიკურია, რომ იგი ამ ხანებში აცხადებდა: „მე არ ვიცი, როგორი ფედერაციული მოწყობა დაგვაკავშირებს მოსკოვსა და ლენინგრადთან. ამას დრო გვირჩევს. გეგმებმა, რომლებიც ამჟამად მუშავდება, რესპუბლიკებს უნდა შეუქმნან მოქნილი მექანიზმები სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან კავშირების დასამყარებლად“.

აქედან ჩანს, რომ მერაბ მამარდაშვილი მიხალი გორბაჩოვის კურსს (ახალი ფედერაციული მოწყობის შესახებ) უბამდა მხარს.

ფაქტია, რომ 1980 წლიდან მერაბ მამარდაშვილი ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისში. ძალიან საეჭვოა, მსგავსი რამ საქართველოსადმი სიყვარულის გამოისობით მომხდარიყო. წლების განმავლობაში მისგან რაიმე სერიოზული საზოგადოებრივი, ეროვნული აქცია არ გვახსოვს. შედარებით

ფართო საზოგადოებას თავი გააცნო ბოლო ორ წელიწადს ჩატარებული თითქოსდა „სოკრატესული საუბრებით“ (ჩვენამდე რომ მაგნიტოფონით მოაღწია).

მეორე მხრივ, მერაბ მამარდაშვილმა თავი დაგვამახსოვრა ზვიად გამსახურდიასადმი, ვიტყვი, პათოლოგიური სიძულვილით. ამის შესაბამისად მის ვერავითარ დამსახურებას ხედავდა. იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა: „მაგალითად, ისეთი პიროვნება, როგორცაა ზვიად გამსახურდია, არც საქართველოს წარმოადგენს და არც ქართული ოპოზიციის რჩეულს. იგი პრიმიტიული აგრესიული ნაციონალიზმის წარმომადგენელია“. დაპირისპირება გამოიხატა იმაშიც, რომ შევიდა ე.წ. საქართველოს ეროვნულ კონგრესში და გახდა მისი საბჭოს წევრიც.

გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, არც მაშინ მესმოდა და მითუმეტეს ახლა არ მესმის აღნიშნული ორგანიზაციის არსებობის პოზიტიური საზრისი. თუ ვინმე ამას ხედავდა, მათგან განსხვავებით მერაბ მამარდაშვილისათვის, ჩანს, მასში მონაწილეობა ოდენ ზვიად გამსახურდიასადმი დასაპირისპირებლად იქნა გამოყენებული. ვეჭვობ, რომ მასაც სხვებსავით სჯეროდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირობად საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადება (თითქოს მაჰატმა განდის დროინდელი ინდოეთისოდენა სოციუმს წარმოვადგენდით და თანაც რუსეთის მაგიერ ინგლისთან გვექონდა საქმე!).

პოპულარულ ფილოსოფოსს ეკუთვნის სიტყვები: „თუ ჩემი ხალხი ზვიად გამსახურდიას იარჩევს, მაშინ მე ხალხის წინააღმდეგ წავალ“-ო (ვახტანგ გოგუაძემ ეს ფრაზა ასე გადაკეთა: „თუ ჩემი ხალხი ჭეშმარიტების წინააღმდეგ წავა, მე ჩემი ხალხის წინააღმდეგ წავალ“-ო (იხ. ავტორის კრებული „პანთეონი“, თბ., 2010, გვ. 123).

მსგავსი რამის თქმა შეეძლოთ იულიუს კეისარს ანდა ნაპოლეონს, რომელთაც „ძალაც შესწევდათ ქადილისა“. მერაბ მამარდაშვილისაგან კი ამის განცხადება არ არის უპრიანი, მაგრამ მოხდა ისე, რომ არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ-თავისუფალმა საქართველომ“ ზვიად გამსახურდიას თავკაცობით და იგი არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. თუ რა მოიმოქმედა მერაბ მამარდაშვილმა თავისი დაქადების ალასარულეობად, ეს კარგადაა ცნობილი.

ალარას ვამბობთ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამსახურებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე, რასაც ფილოსოფოსის გარდაცვალების შემდგომ ჰქონდა ადგილი.

ამას ვამბობთ მე, სრულიადაც არა „მრგვალი მაგიდელი“ და საერთოდ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის თავგადაკლული მომხრე, მაგრამ ობიექტურობა უთუოდ გვმართებს. უსაზღვრო სიძულვილი, ისევე როგორც უსაზღვრო სიყვარული, გონებას ვგვიხელებს და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას გვაცდენს...

რაც შეეხება მერაბ მამარდაშვილისეულ ფილოსოფიას, ამაზე მინდა ვთქვა შემდეგი. მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოუხდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლა, სადაც „მოძღვრავდნენ“ ძირითადად (ალექსიე ლოსევისა და ვალენტინ ასმუსის გამოკლებით) საბჭოური ყაიდის „ფილოსოფოსები“, რამეთუ ნაღმა, მალაღნიჭიერმა რუსმა ფილოსოფოსებმა ოქტომბრის გადატრიალების (უნინ რომ „დიდ რევოლუციად“ მოიხსენიებდნენ) შემდგომ საბჭოთა კავშირი დატოვეს. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ჩვენი, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფოსები აშკარად აღემატებოდნენ მოსკოველ კოლეგებს (შეგნიშნავთ, რომ ამას თვითონ მერაბ მამარდაშვილიც აცნობიერებდა). ამგვარ სიტუაციაში კი იზრდებოდნენ „ფილოსოფოსები“, რომელთაც საერთო განათლება ასე თუ ისე ჰქონდათ, მაგრამ იყვნენ ფრიად შეზღუდული და ბუნდოვანი აზროვნებისა (რეველუციამდელი რუსეთის ფილოსოფოსთაგან განსხვავებით). სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ მერაბ მამარდაშვილიც ძირითადად ამ კატეგორიას განასახიერებდა.

პირადად ჩემი აზრითაც, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მწვერვალს წარმოადგენდა ჰეგელი, რომელიც თავის მხრივ საფუძველი გახდა მარქსის აზროვნებისათვის (რამდენადმე ადეკვატურად გაგებულ-გააზრებულის და არა ისეთის, როგორც ეს ვლადიმერ ლენინმა და მის შემდგომ საბჭოურმა იდეოლოგიამ მოახდინეს). ვფიქრობ, მერაბ მამარდაშვილიც ამავე „იდეურ ფარვატერში“ იმყოფებოდა. ასე რომ, დიდი უმეცრება და გაუგებრობაა მის მიერ მარქსიზმსა (ავთენტურ) და ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმს შორის ტოლობის დასმა. ფილოსოფოსისგან როგორ მოსასმენია აღიარება: „უსასრულოა საერთოდ ისეთი საგანი, რაზეც ჩვენ, ჩემი ჩათვლით, სისულელეების გარდა არაფერს ვამბობთ?“ („საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 89).

მისეული ერთ-ერთი უაზრობათაგანი გახლავთ თქმა ამისა: „თვითონ ნიშანი იმისა, რომ შენ დაკავებული ხარ რაღაც ყბედობით, ისტორიულ მატერიალიზმად რომ იწოდება, ადასტურებს, რომ შენ ხარ არამზადა (мерзавец). კარგია თუ ცუდი — ეს სხვა საკითხია“ (ვაციტორებ ალექსანდრ პიატიგორსკის მიხედვით). დავუშვათ სიმართლე, ჭეშმარიტება ძნელი გასაგები გახდა საბჭოური „ფილოსოფიური“ სახელმძღვანელოების მიხედვით, მაგრამ ამის ნედრობა რომ შესაძლებელი იყო უშუალო წყაროებზე დაყრდნობით, ასევე გიორგი პლუხანოვის, კარლ კაუცკისა, ანტონიო ლაბრიოლას და სხვების მეშვეობით. ჩვენ, ქართველებსაც გვაქვს ამ თეორიის უფრო სერიოზული გაგების მცდელობა (ილიას, ნოე რამიშვილის, კიტა მეგრელიძის და სხვათა მხრივ).

მერაბ მამარდაშვილის აზროვნება წარიმართა აღნიშნულის საპირისპირო მიმართულებით: მარქსიდან ჰეგელისაკენ და შემდეგ კანტისა და დეკარტისაკენ. ამასთან, მისეული აზროვნება მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა მარსელ პრუსტის (ალბათ, აგრეთვე ჯიმიზ ჯოისის) სამწერლო შემოქმედებას. ამდენად, წარმოიქმნა ფილოსოფიისა და მწერლობის თავისებური ნაზავი, ცხადია, ბუნდოვანი აზროვნების ბაზაზე. თვითონ ავტორიც რომ ამაში გამოტყდებოდა ხოლმე (იხ. თუნდაც „საუბრები ფილოსოფიაზე“).

აღნიშნული წიგნის ხუთი ლექცია თითქოსდა ისტორიოსოფიას ეხება, საიდანაც ჩანს, რომ ავტორის ამ ფილოსოფიური დისციპლინის თვალთახედვით სათქმელი დიდი არაფერი გააჩნდა. იმავეს ვიტყვი მისეული ე.წ. სოციალური ფილოსოფიის თაობაზე. აქ ვაწყდებით აპელირებას განგებაზე, ასევე მძლავრ ირაციონალისტურ ტენდენციასაც. თითქოს ადამიანები თვითონ ჰქმნიან ისტორიას, მაგრამ საბოლოო ანგარიშით უკანასკნელი, ჰეგელისაგან განსხვავებით, გახლავთ ბნელ, ირაციონალურ ძალთა თამაშის შედეგი (გავიხსენოთ 1921 წლის საქართველოს ისტორიის ავტორისეული ინტერპრეტაცია). თითქოს ასე მოხდა რუსეთში 1917 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული. შეუძლებელია რაიმე რაციონალური ახსნა დავინახოთ ავტორის მსჯელობიდან: „პრსებოზ რუსული ისტორიის უმეცრეებელი ინერტულობა“; „სწორედ ეს ნანამძღვარი, რომელმაც შესაძლებელი გახდა რუსეთში ტოტალიტარული რეჟიმი დაბადებულიყო“; „ტოტალიტარული რეჟიმი დედუქციურად არ გამომდინარეობს რუსული ისტორიიდან, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ ისტორიაში იყო ნანამძღვარი, რომელმაც ხელი შეუწყო ტოტალიტარული რეჟიმის შექმნას“ (იხ. „ჩახშული ფიქრი“, გვ. 39).

თურმე გერმანიაში ფაშიზმის წარმოშობის საზრისი (მიზეზი) ყოფილა შემდეგი: „დიდი ხნის განმავლობაში გერმანელებმა იცხოვრეს ინტენსიური ცხოვრების მოთხოვნების დაუკმაყოფილებელი გრძობით. სწორედ ამიტომ წარმოიშვა ფაშიზმი, რომელიც გერმანელებს ჰპირდებოდა დიად, სისხლსავსე ცოდნასა და გამოცდილებას“ (იხ. „არილი“, 14, 12 ოქტომბერი, 2000). რაკი ფრანგებს მსგავსი ფაზა უნინ უკვე ჰქონდათ გავლილი, ამიტომაც მათ ქვეყანაში ფაშიზმი გამოიციხულა. ალბათ იგივე უნდა ითქვას ინგლისის, აშშ-ის მიმართ. ხოლო ფაშიზმის წარმოშობა იტალიაში (უფრო უნინ, ვიდრე გერმანიაში), ესპანეთში, იაპონიაში და სხვაგან გერმანიის მსგავსი საფუძველით მომხდარა. კომენტარები ამჯერა-

დაც თვითონ მკითხველთათვის მიგვინდვია. ამჯერად მხოლოდ იმას დავძენ, რომ მერაბ მამარდაშვილის მიერ ისტორიის, კერძოდ, უახლესი ხანის მსოფლიო ისტორიის ცოდნა იმავე დონისა ყოფილა, როგორც საქართველოს ისტორიისა. იმავეს ვიტყვით ისტორიოსოფიის მისეულ ცოდნაზე, არადა, ისტორიოსოფიას ჩვენთვის ოდენ აბსტრაქტული, „ფილოსოფიური“ მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ დიდად პრაქტიკულიც, კერძოდ, სერიოზული ისტორიოსოფიული მიდგომის გარეშე საქართველოს რიგიან ისტორიას ვერ დავნერთ.

საერთოდ, როდესაც მერაბ მამარდაშვილისა და მავანთა აზროვნებას ვაკვირდები, თავში მომდის პასაჟი სერბი დრამატურგის ბრანისლავ ნუშიჩის პიესიდან „ფილოსოფიის დოქტორი“ (სხვათა შორის, მის მთავარ მოქმედ პირს ფილოსოფია ფრაიბურგში „მეუსწავლია“): „რა არის ფილოსოფია. ფილოსოფია არის ის, როცა შენ არ გესმის, მერას ვამბობ, და მე არ მესმის, შენ რას ამბობ“. მსგავსი რამ არ განმიცდია რიგ მოსკოველ და ლენინგრადელ ფილოსოფოსებთან, ასევე ქართველებთან (ზურაბ კაკაბაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ვენიორი ქვაჩახია, არჩილ ბეგიაშვილი, თამაზ ბუაჩიძე და სხვ.) ურთიერთობისას. ცდუნება მიჩნდება დიდებული სოკრატე დავიმონმო და ამ შემთხვევაში მისი ცნობილი აზრი ასე გადავსხვავდებო: მისი ნაწერებიდან რაღაცას, მცირე ნაწილს, გვეუბლობ, მაგრამ რასაც ვერ ვგებულობ, ძალზე მეეჭვება მასში დიდად ფასეული აზრები მოიძებნებოდა.

საბოლოოდ კი ჩემს პოზიციას გამოვხატავ დავით გურამიშვილისეულ სიტყვებით, რომლებიც სტატიის სათაურში მაქვს მოტანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მაინც ვიტყვი, რომ მერაბ მამარდაშვილის საერთო განათლება მისაბაძია ბევრი ქართველი მეცნიერისა და ფილოსოფოსისათვის. გამართლებულია მისეული კრიტიკული პათოსი ქართული საზოგადოების მხილებაში, კერძოდ, აღნიშვნა მისი დიდი ნაწილის უვიცობა-ზერელობისა, ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების სისუსტისა. ფილოსოფოსმა ტოტალიტარისმის კრიტიკასთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო Homo Sovieticus-ის მოვლენის გამოაშკარავებას. რაც ამ მხრივ თანამედროვე ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა, მოაზროვნემ ალექსანდრ ზინოვიევმა გააკეთა რუსეთში, იმავეს ცდილობდა მერაბ მამარდაშვილი ჩვენთან, საქართველოში.

მერაბ მამარდაშვილი სწორად შენიშნავდა: „ფილოსოფიამ გაქვავებული და უძრავი დინებაც უნდა გარდაქმნას პროცესად, მოძრაობად, რათა იგი დაუბრუნოს თავისივე ცხოველმდგომარეობას“; „ადამიანი არ არსებობს, იგი იქმნება“. მაგრამ ასეთი მიდგომა ხომ დამახასიათებელია ოდნავ სერიოზულ ისტორიკოსთათვისაც კი.

ფილოსოფოსისეულ კრიტიკულ ნააზრებში ძალზე სიმპათიური გახლავთ აზრი: „ეროვნული დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ჩვენ, ქართველებმა დავინახოთ საკუთარი თავი, თუ რა არის ჩვენში კარგი და რა ცუდი, რა იყო სწორი და მცდარი ჩვენ მიერ განვიღო გზაზე და ჩვენს ისტორიაში. ეს იქნება დიდი ნაბიჯი ცივილიზაციისაკენ, სამოქალაქო საზოგადოებისაკენ“. ამდენად იგი, შესაძლოა რომ ეს არ იცოდა, ილიასეულ პოზიციას გამოხატავდა. მეორე მხრივ კი, იმეორებდა მაჰატმა განდის ცნობილ შეგონებას ინდოელებისადმი.

და სულ ბოლოს დავძენთ: მერაბ მამარდაშვილის აზროვნების სტილია და საერთოდ ნააზრევის ობიექტური გაგება-შეფასება დღევანდელი საქართველოსათვის, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ძალიან აქტუალური საკითხია. ამის გაგება-გაცნობიერება კი ვერ ხერხდება ერთი მხრივ ტრადიციული ქართული სადღეგრძელოების განწყობით (პიროვნების აღმატებულ ქება-დიდებას რომ გულისხმობს) და, მეორე მხრივ, ოდენ ხელალებითი უარყოფით. მოცემული საკითხის სერიოზული გაგება აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ გავაცნობიეროთ თუ საერთოდ რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული ფილოსოფია და რა დიდ ნაკლოვანებათა დაძლევიტ უნდა წარიმართოს მისი აღმავალი განვითარება.

ირაკლი ჯავახიძე

# „ოდესლაც ვიყავი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უსაქმურობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში. თუმცა, ზამთარში თბილ ქვეყნებს ვამჯობინებდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— აი, ამას ვესწრაფი სულ და როცა ბედნიერი ვარ — მერე, გვიან ვხვდები, რომ ოდესლაც ვიყავი.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბავშვები. დომენიკო გაბსოვთ ბავშვი?..

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ყველა, ვინც სამშობლოზე ფიქრობდა და არა მხოლოდ საკუთარ თავზე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლევან ხარანაული, ლევან ჭოლოშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, ვან გოგი, ბოსხი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, ჩაიკოვსკი, ლენონი, მაკკარტი, როტი, მორიკონე, ყანჩელი, ლალიძე, კვერნაძე, ნასიძე, დიასამიძე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გულწრფელობას, იუმორის ნიჭსა და გარეგნობას.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— „ლიტერატურული გაზეთისთვის“ ავტორების შერჩევა, მათი ნაწარმოებების კითხვა (არჩევა, დაწუნება). გაზეთის გამოსვლისთანავე მისი ხელში აღება და დაფიქრება — რამე ხომ არ შემეძალა? ასევე, სხვა ლიტერატურული გამოცემების შექმნა და გაცნობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. იმდენ კარგ ადამიანს ვიცნობ, ძალიან შორს წავალ, ამ კითხვას რომ ვუპასუხო.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უფმურობა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ისევე და ისევე — უფმურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ამაზე უკვე გიპასუხეთ, როცა უმაღლეს ბედნიერებაზე მეკითხებოდით.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ახლა, პასუხის გაცემის დროს, წარმოვიდგინე და მეორედ გაფიქრებაც არ მინდა. დავტოვოთ ეს კითხვა უპასუხოდ.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— მწერალი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ალბათ — ყველა. პასუხი არ მაქვს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ძმაცაცი მყავს ერთი — აჩიკო ქიქოძე — მკითხველებს ეცოდინებათ, მწერალია. თან სწორად დადის მთებში. ბევრი ფოტო გადაუღო სხვადასხვა ფრინველს. პროფესიონალი ფოტოგრაფია, თუმცა მე მისი მოთხრობები უფრო მომწონს. ჰოდა, არჩილმა იცის ფრინველების ხასიათი, რომელი სად და როგორ გადაიღოს, როგორ ჩაუსაფრდეს. მერე, მთიდან რომ ჩამოდის, მანახებს ამ ფოტოებს და მიხსნის, რომელს რა ჰქვია, რით გამოირჩევა. ვურეკავ ახლა და გამორთული აქვს ტელეფონი, თორემ გიპასუხებდით — ერთი მომწონს, არ ვიცი, რა ჰქვია.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ძალიან ბევრი სახელისა და გვარის გახსენება დამჭირდება. ბევრ დროსა და ადგილს დაიჭერს. მოკლედ ვიტყვი — ყველა, ვინც მწერალია.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— იგივეს გავიმეორებ — ყველა, ვინც პოეტია (სიტყვებს — მწერალი, პოეტი — სიტყვა „ნამდვილი“ შეგნებულად არ დავამატებ. ნაღამა მკითხველმა ისედაც იცის — ყველა, ვინც წერს, მწერალი არ არის, ყველა, ვინც, რითმავს, პოეტი არ არის)...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ისევ ვმეორდები — ყველა, ვინც პატრიოტია.

— საყვარელი სახელები?

— არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს სახელს, თუ მაინც დამაინც სასაცილო არ არის...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სხვა უფმურებს.

— ისტორიული პროვინება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ვინც სამშობლოს უღალატა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— ომის აზრი მხოლოდ მაშინ მესმის, როცა სხვა გამოსავალი არ არის. ანუ, როდესაც შენს სამშობლოს თავს ესხმიან. დიდგორის ბრძოლა, წაგებული კრწანისი... ყველა ომი, სადაც ღირსებას თავდადებულად იცავდნენ. 2008 წლის ომში დაღუპული ბიჭები ისეთივე მონივნების გრძნობას იწვევენ ჩემში, როგორც ცხრა ძმა ხერხეულიძე. იმის თქმა მინდა, რომ დროსა და ადგილს მნიშვნელობა არა აქვს მეტრძოლისთვის.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ასეთი რეფორმა ჯერ არ ყოფილა, თუ იმას არ მივიჩნევთ რეფორმად, პატრული თავაზიანი რომ გახდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ, ფლობდით?

— შინაგანი მუსიკალური სმენა მაქვს. თავად ვერც ვმღერი და ვუკრავ. აი, დაკვრა რომ შემეძლოს გიტარაზე, როიალზე, დასარტყამ ინსტრუმენტზე...

— როგორი გინდათ, რომ გარდაიცვალოთ?

— ძილში.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მშვენიერი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მგონი, უკვე შევხვდი. დიდად არ მოვეწონე — მიხედვით საკუთარ თავს...





პროფესორი, პუბლიცისტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი, საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის წამდგომი წევრი, რომულდო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის ექსპერტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის წევრი. სხვადასხვა დროს იყო გორის უნივერსიტეტის რექტორი; გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის კოორდინატორი; სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი პოლიტიკურ მეცნიერებაში; საქართველოს პრეზიდენტის შიდა ქართლის რწმუნებულთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს წევრი; შიდა ქართლის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; პუბლიცისტური ჟურნალის „ახალგაზრდა ჟურნალისტი“ გამოცემის ხელმძღვანელი; გაზეთის „შიდა ქართლი“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი. კითხულობს სალექციო კურსებს: „საერთაშორისო კონფლიქტის ანალიზი“, „მედია და კონფლიქტი“, „პოლიტიკა და მასმედია“; დაცული აქვს საკანდიდატო: „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ნოველა“ (1998) და სადოქტორო დისერტაციები: „ქართულ-ოსური ურთიერთობის ასახვა პრესაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე“ (2005); ავტორია 3 მონოგრაფიის, 34 სამეცნიერო ნაშრომის და 200-მდე პუბლიცისტური სტატიის.

ზაზა ცოტნიაშვილი

ნამდვილი ამბები

დედის მონატრება

ბექა ცოტნიაშვილი იმ საღამოს მეგობრებთან ერთად შეზარხოშდა. დევნილთა დროებითი ჩასახლების მახლობლად მდებარე დუქანში ბავშვობის მეგობრის 20 წელი აღნიშნეს. ერედველმა ახალგაზრდებმა. ასეთი ტრადიცია ცოტნიაშვილმა უბანში მათი ყრმობიდან იღებდა სათავეს. დედა დააცხოზდა ხაჭაპურებს (ოსური რეცეპტით), ცივად მოხარშავდა ყვითელ დედალს და მეზობლები, მეგობრები და ნათესავები ულოცავდნენ ერთმანეთს დაბადების დღეს.

ქართულ მიწაზე, მაგრამ მშობლიური ადგილიდან მოშორებით, ბექას დედა მონატრა, უფრო სწორად, - დედის საფლავი.

არეული ადგა სუფრიდან, სადაც მშობლებისა და მშობლიური მიწის სადღეგრძელოები ჭარბად მიირთვა. გამოვიდა ცენტრალურ ავტობანზე და, ჯერ გორამდე, შემდეგ მერეთამდე, დიდი გაჭირვებით იმგზავრა. მერეთიდან გახედა მთაზე შეფენილ თავის ნასოფლარს, სავარაუდოდ, სივრცეში დედის საფლავი მოძებნა და ფეხით გაუყვა გზას, რადგან ბოლო ქართულ სოფელ არბომდე წამსვლელი მანქანა არ ჩანდა.

მშობლიური წიაღის მიზიდულობის ძალა დიდი იყო! თითქმის მირობდა. პირობითი საზღვარი ფრთხილად გადალახა; კარგად იცოდა, რომ რუსი და ოსი მესაზღვრეები თუ შეამჩნევდნენ, პატიმრობა ელოდა.

ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა - შეერთებოდა მშობელ წიაღს. დედის საფლავი ანდამატივით იზიდავდა.

ან გაუცხოებული, გატყვევებული მშობლიური სანახები განსაკუთრებულ გრძნობას მძაფრად აღუძრავდა, თვალზე მომდგარი ცრემლი ქვითინად ექცა. ხან ხოხვით, ხან ჩოქვით მიიღწია უძვირფასეს ადგილს - დედის საფლავს. დაემხო და მთელი ხმით ატირდა, სდიოდა ცრემლი, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ დაღვრილიყო ცოტნიაშვილს სასაფლაოზე (ერედვეში გამოთქმას “ჩვენი სასაფლაოსი ხარ”, - განსაკუთრებული თბილი იუმორით წარმოსთქვამდნენ).

ტირილში, მშობლიურ მიწაზე მწოლარეს, დაუბინდდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სასაფლაო ასეთი მიმზიდველი იქნებოდა. გააცნობიერა, რომ სახლისკენ ვერ წავიდოდა, გადაამწვარი იყო ტრადიციული კერია! ძალი არ ყფფდა და მამალი არ ყიოდა...

ისევ არბოს მიმართულებით აიღო გეზი. პირობით საზღვართან ჩამოჯდა, შეხედა მშობლიურ, მაგრამ გაუცხოებულ წიაღს... წამოდგომა რომ დააპირა მოესმა ოსურ-რუსული საუბარი. მესაზღვრეებს წინააღმდეგობა გაუნია, დაინდეს და არ ესროლეს. ძლივს გააკავა ექვსმა ჯარისკაცმა, ჯერ დისკეის ტერიტორიაზე ახალაშენებულ რუსულ სამხედრო

ზაზაზე გადაიყვანეს, შემდეგ კი - ცხინვალის ციხეში. შვიდ წლამდე პატიმრობა ელოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილმა ქართულ-ოსურმა ნათესაურმა კავშირმა იხსნა...



ავვისტოს პომპაზი და შესაქენი სახლი

გორის უნივერსიტეტის სტუდენტი ზაურ ნუღეისკირი გასული საუკუნის 60-იან წლებში საერთო საცხოვრებლის ფანჯარასთან ხშირად მდგარა და უოცნებია ამ ქალაქში დამკვიდრებასა და საკუთარი კერიის მოწყობაზე. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ზაურს უნივერსიტეტში მუშაობის 40 წლის სტაჟი უსრულდებოდა, გორის დაბომბვა რომ დაიწყო. მისი ბერძენი მეუღლე ადრევე, 90-იან წლებში გაერიდა არეულ-დარეულ საქართველოს და, ქალიშვილთან ერთად, მშობლიურ საბერძნეთს შეაფარა თავი. გორზე შეყვარებული ზაური ცოლს შეეღია, ძვირფას ქალაქს კი - ვერა.

საბერძნეთში წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდა და ჩამოჰქონდა გორელ თანამშრომლებთან და მეგობრებთან ცოლ-შვილის წარმატების ამბავი. მეუღლეს არ ემორჩილებოდა - არაფრით არ ნაჰყვამშვიდ და განვითარებულ ქვეყანაში. პირიქით - თვითონ დაარწმუნა მეუღლე, კარგი იქნებოდა, შეგროვილი ფულით გორში შეეძინათ დიდი საკუთარი სახლი. ჯანდაბასო, - თქვა ქალბატონმა ნორამ - 2008 წლის 6 აგვისტოს, სახლის შესაძენი თანხით, გორში გამოეცხადა მეუღლეს. 7 აგვისტოს შეხვდნენ სახლის პატრონს და თითქმის გაუჩივდნენ, მაგრამ ფრთხილმა ნორამ „ბეს“ დატოვებისაგან თავი შეიკავა.

მეორე დღეს, პირველი ბომბი რომ ჩამოვარდა ქალაქში, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა - ორივეს ერთი კითხვა დაეხდა: უკვე შერჩეულ სახლს ხომ არ დაეცაო ბომბი? ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გამოვიდნენ და სწორედ იქ, ქალაქის ლამაზ ადგილზე, დიდ ტაძართან, შემფოთებული ხალხის ჩოჩქოლის ფონზე, საოცნებო კერია შეათვალიერეს.

უსაფრთხო ევროპიდან დაბრუნებულ ცოლს ჭიასავით ღრღნიდა კითხვა: ნუთუ ღირდა აქ, ამ რთულ რეგიონში - ორ უშველებელ სახელმწიფოს შორის, მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვები ფულით, თუნდაც ძალიან დიდი და ლამაზი სახლის ყიდვა?! ეს კითხვა ზაურსაც აწუხებდა, მაგრამ ორივე დუმდა.

დაბომბვა გაძლიერდა. ცეცხლმოკიდებულ და დანგრეულ ქალაქში ზაური და ნორა, ხელში სახლის საყიდელი ფულით გზააბნეულები დადიოდნენ იმ უბნის გარშემო, სადაც სახლი უნდა შეეძინათ. ერთგვარ კმაყოფილებას განიცდიდნენ, რომ ბინა არ დაზიანებულა, მაგრამ მაინც ეჭვი კლავდათ - ზაურისა და ნორას შიშს გადამთიელი სამხედრო

ფორმირების მიერ ქალაქის ძარცვაზე გავრცელებული ხმები ამჟამად დასრულდა. სახლის ფულს „დააკონწილებდნენ“ და დადიოდნენ ნახევრად დანგრეულ ქალაქში, რომელიც ყაჩაღებით იყო გარშემორტყმული; რუსული ტექნიკა სტრატეგიულ ობიექტებს იკავებდა. მთელი კვირა გაატარეს ასეთ ჯოჯოხეთში. ბომბებსა და გადამთიელ ყაჩაღებს ბენჯზე გადაურჩნენ. მოუბრუნდა ნორა ზაურს და უთხრა:

– ახლაც არ წამოხვალ შენი გორიდან? რა სახლი, რის სახლი, ადექი, წავიდეთ აქედან, რა გვინდა ამ ჯოჯოხეთში?! თურქეთის საზღვრამდე მოახერხეს მისვლა, სალონიკის მიმართულებით მიმავალ ავტობუსში მოთავსდნენ და საბერძნეთისაკენ გაემგზავრნენ.

გაოგნებული და ყურებჩამოყრილი ზაური ვერაფრით გააცივნეს მშვიდ და უშფოთველ საბერძნეთში.

ზაური ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა მარტო; ისევ იმ სახლს უტყრიალებს, თუმცა მის შექენაზე ჯერ მეუღლეს ვერ ითანხმებს...

**ქართველები ანტიერპენში**

ბრიუსელიდან ანტიერპენში მატარებლით ჩავედი. სადგურიდან ფეხით გავემართე სასტუმროსაკენ. მთელი დღის განმავლობაში კონფერენციაზე ჯდომას გონებრივი დალილობა გამოეწვია.

გზად ხილის მალაზია დავინახე და შევედი. უმაღლე ეს გავიგონე: „– ხოსე იგნასიო, ამ ღალატს ვერ გაპატიებ!“

ვიფიქრე, დალილობის გამო მომეყურა... ეს სიტუაცია ტიპური იქნებოდა საქართველოს რომელიმე პროვინციულ მალაზიაში...

მიმოვიხედე: ზის ჩათქვირებული ქალბატონი და გაცაცებით ადევნებს თვალს ტელევიზორს (ჩემთვის არ შემოუხედავს)...

ეკრანს დავაკვირდი და „რუსთავი 2“-ის ლოგო გავარჩიე...

„გადამონების“ მიზნით გავიხედე ქუჩაში, – აშკარად ანტიერპენი იყო; მალაზიაში კი ჩვენებური გარემო სუფევდა: არცთუ ევროპული ზედმინევენით მონესრიგებული ვიტრინები და, რაც მთავარია, ვენესუელური სერიალით გაბრუნებული თიშთიმა გამყიდველი ქალბატონი...

კიდევ რომ გავიგონე ტელევიზორის ქართული, მივმართე ქალბატონს:

ქალბატონო, თქვენ ქართველი ბრძანდებით? – ალტაცებისა და ნოსტალგიური ცრემლების მოლოდინში მოშვებული ყელსახვევი შევისწორე.

ერთი ამომხედა და კიო – ცივად მომიგო... რა გნებავდართო?

მივხვდი, რომ ქართველები ამ ქალაქში იშვიათობას არ წარმოვადგენდით და ამასთან, არცთუ სასიამოვნო ასოციაცია უნდა გამოგვეწვია...

ყურძენი და მსხალი ამიწონა, თან ანტიერპენელი ქართველების ამბავი მოკლედ მითხრა: ცოტანი არ ვართო, ზოგი ბიზნესმენია, ზოგიც – წვრილმანი მოვაჭრე და არც უსაქმურები გვაკლიაო...



მხატვარი ბერდია არაბული

დავემშვიდობე გამყიდველ ქალბატონს და კიდევ ერთგზის მივხვდი: დედამინა მართლაც პატარავდება – თვით ისეთი მცირე ერისთვისაც კი, როგორც ჩვენ ვართ...

**ურჩი ოთარი**

საავიაციო დაბომბვა მეხვიით დაატყდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს. საუკუნეების ტრადიციებზე აღზრდილ გმირ ქართველებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საკუთარი თავდადებით შეენარჩუნებინათ ცხინვალის გარე სოფლები.

იდეა 2008 წლის ცხელი და სისხლიანი აგვისტო. ისტორიულ სოფელ ერედვის მოსახლეობას ვერ წარმოედგინა, რომ უნდა მიეტოვებინა საკუთარი მამაპაპეული სახლ-კარი, წინაპართა ძვალთშესალაგი და გაქცეოდა დაუნდობელ ბომბებს.

მსცოვანი ერედველი, ოთარი ცოტინაშვილი, ძვირფასი მეუღლის – კატო ცოტინაშვილის საფლავის ქვაზე მოჭარბებული სიყვარულით წინასწარ რომ ამოატყვიფრინა საკუთარი ფოტო და დაბადების თარიღი, – ახლა იწვა საკუთარ სახლში და ელოდა, როდის დაეცემოდა მის სახლს ერთ-ერთი ჭურვი და როდის გაფრინდებოდა მისი სული მეუღლესთან ცაში.

ოთარი შვილებს და შვილიშვილებს მოუწოდებდა, მე აქ დამტოვეთ და თქვენ თავს უშველეთო. ურჩმა შვილმა, აკაკიმ ხელში აიყვანა მოხუცი მამა და შეეცადა დაერწმუნებინა, რომ წასვლა სჯობდა ან უკვე ჯოჯოხეთიდან.

ოთარმა არ ისურვა!

მიტოვებულ სოფელში ოთარივით რამდენიმე ურჩი მოხუცი შემორჩენილიყო. ძარცვის ჟინით შეპყრობილი გადამთიელები ჯერ საგულდაგულოდ ცლიდნენ სავეს ქართულ ოჯახებს და მერე დაუნდობლად წვავდნენ. ვისაც სახლში მიუსწრებდნენ, ჯერ აყურებინებდნენ საკუთარი კერიის გაპარტახებას და შემდგომ ზედ აკლავდნენ.

გამოფოფხდა ოთარი ზეზოში, იქვე, სახლთან, სიმინდიანში შეიმალა. მთელი სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ტიროდა და სიმწრით მიწას ჭამდა. ცოტა ხანში მის კარ-მიდამოსაც მოადგა დაუნდობელი გადამთიელი. სატვირთო მანქანა მიაყენეს მოხერხებულად და შეუდგნენ სახლიდან ავეჯისა და სხვა ნივთების გამოზიდვას. რაც არ მოსწონდათ – ტოვებდნენ. ფრთხილობდნენ. საკონტროლო ავტომატის ჯერმა სიმინდიანში მიმალულ გამწარებულ მოხუცს თვალეში შეაყარა მინა. ამოიგმინა და მიხვდა, რომ დასაწვავად მომზადებულ სახლში ჩანთქმა ერჩია ამ საშინელი სურათის ხილვას.

ცოტა ხანში ცეცხლის გამჩენი მიუმარჯვეს ოთარის სახლს, გავეშვებულმა ალმა ფერფლად აქცია კიდევ ერთი ქართული კერა.

ოთარმა ჯერ გადანყვიტა მეუღლის საფლავისკენ წასვლა, – იქნებ იქ დავლიო სულიო. ახლა ეს მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იქნებოდა.

ისევ გასვლა ამჯობინა და მოსაზღვრე ქართული სოფლისაკენ დაიწყო ხობვა.

ერედვის გასასვლელს რომ მიუახლოვდა, მოატრიალა მზერა და შეხვდა აკვამლებულ და გადამწვარ სოფელს, ერთი ხელი აიქნია და ამოიგმინა: „ღმერთო, რატომ?“

ვაშლის ხესთან მივიდა, ჯიბიდან ამოიღო თოკი, რომელსაც ბოჩოლას სამწყემსად იყენებდა. თოკი მყარად ჩამოაბა ტოტზე და ყულფი საგულდაგულოდ გამოინასკვა...

ბედის ირონია იყო – სოფლის ტრადიციულ თამადას იქვე, მტრის შიშით უჩუმრად გაუთხარა საფლავი საკუთარმა შვილმა და მაინც ერედვის მიწა მიაყარა.

**როგორ ცხოვრობს ცხინვალის რაიონი (სამხრეთ ოსეთი)?!**

ცხინვალი (სამხრეთ ოსეთი), მე-5 სკოლის ეზო – დღეს სასაფლაოა. აქ, 25-30 წლის წინათ, ქართველი და ოსი პატარები ფეხბურთს ვთამაშობდით. მახსენდება ცნობილი სიმღერის ტექსტი: “ This used to be the place I ran to whenever I was in need of a friend”

როგორც ნიუ-იორკში, პარიზში, ბერლინში, თბილისში, აქ — ცხინვალშიც ყოველდღე ამოდის მზე და ადამიანები იღვიძებენ.

რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქში“? ალბათ, 15 ათასი. რამდენი ცხოვრობდა კონფლიქტამდე? – დაახლოებით 40 ათასი.

რუსეთის მიერ აღიარებულ „სახელმწიფოს“ ჰყავს პრეზიდენტი — ჩემი თანაინსტიტუტელი ედუარდ კოკოიტი (სტუდენტური შრომითი სემესტრის დროს, ერთად ვთიბავდით კავკასიონის სამხრეთ კალთებზე); ჰყავს მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო, მილიცია და ჯარის ქვედანაყოფები. თითქოს, სახელმწიფოს ნიშნები აშკარაა.

სამხრეთ ოსეთის „დიპლომატი-მოღვაწეები“ მოლაპარაკებებზე სერიოზული სახით მსჯელობენ მათი „სახელმწიფოს“ პოზიციებზე.

რეალურად, რა ხდება „დედაქალაქში“, როგორ ცხოვრობენ მათი თანამოქალაქეები, რა კატეგორიის მოსახლეობა შემორჩა რუსეთის მიერ „გაბედნიერებულ“ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“?

რეალური სურათის წარმოსადგენად გავესაუბრეთ 4 მოქალაქეს, რომელთა სახელები, მათი უსაფრთხოების მიზნით, შევცვალეთ.

ალიონა (12 წლის, მოსწავლე): სკოლაში ცივა; არ არის თანამედროვე სახელმძღვანელოები; მასწავლებლები სულ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ; ხშირად ისმის რუსეთისადმი სამდურავი, რომ ასეთ დღეში ჩაადგო ამდენი ადამიანი (ამ საკითხზე ძალიან ჩუმად საუბრობენ). ძალიან მიხარია არდადეგებზე ჩრდილოეთ ოსეთში წასვლა, მაგრამ გზა ძალიან ცუდია და საშიში. ზამთარში იქ ადამიანები იღუპებიან. დედა და მამა ხშირად ბჭობენ – როდის ნავიდეო სხვაგან სამუდამოდ საცხოვრებლად?

ზარიბეგი (35 წლის, მილიციელი): ჩვენს განყოფილებას კარგი აღჭურვილობა აქვს, მოგვცეს ორი ახალი „ვილისი“. რთულია მუშაობა, რადგან ასეთივე იარაღი ყველა ოჯახში ინახება. კონტროლს ვახერხებთ, ხელფასი დაახლოებით 450 დოლარი მაქვს. ოჯახს, ასე თუ ისე, ვინახავ, რადგან ხშირად სხვა შემოსავლის მოპოვებასაც ვახერხებთ (ვინმე დანაშაულს თუ ჩაიდენს, ვცდილობთ, ვუშუამდგომლოთ უფროსთან და შეღავათები მივცეთ თანხის სანაცვლოდ).

გივი (53 წლის, სამხედრო პირი): ჩემი ასაკის მიუხედავად, იძულებული ვარ, ჯარში ვიმსახურო, რომ ხელფასი მქონდეს და ცოტა სანაწობიდანც მივაშველო ოჯახს რაიმე.

რუსები უხეშად გვექცევიან, მაგრამ იძულებული ვართ, მოვითმინოთ.

აზა (76 წლის, პენსიონერი): მე აქედან არსად წამსვლელი არ ვარ, ჩემი მეუღლის და შვილის გვერდით უნდა დავიმარხო, არეულობის დროს რომ დაიღუპნენ. პენსია რუსეთიდან მაქვს! ამბობენ, ბევრი თანხა იყო გამოყოფილი ცხინვალის კეთილმონყობისთვის, რომელიც მთავრობამ ჯიბეში ჩაიდო და ქალაქზე ტყუილად გააფორმაო.

მეხუთე სკოლის ფეხბურთის მოედნის მსგავსად, „ახლად გამომცხვარი სახელმწიფოც“ მიტოვებულ სასაფლაოდ გადაქცეულა.

ნატოს წევრი ყველა ქვეყანა რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება. საინტერესოა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა როდის გადმოახტება „ბერლინის კედელს“ ევროკავშირისა და ნატოსკენ მიზანმიმართულად მიმავალ საქართველოში მოსახვედრად?!

**„ლევანიჩი“**

ცხინვალში ჩვენს მეზობლად ხადურების ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი, მამას მეგობარი გუგული ლევანის ძე ხადური („ლევანიჩი“) ტაქსის მძღოლი იყო. მისი მეუღლე, მანანა, ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა, ამიტომ დედამ ჩემი მონათვლა სთხოვა. მათ ორი ქალიშვილი ლელა და მერი (ლუცი) ჰყავდათ. ლელა ჩემი თანაკლასელი იყო; რადგან და არ მყავდა, შეიძლება ითქვას, მას ჩემს დად ვთვლიდი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ ხადურები თბილისში, სასტუმრო „აფხაზეთში“ დასახლდნენ...

2002 წლის ნოემბრის ერთ თბილ დღეს ლუცი შემხვდა თბილისში და მითხრა, რომ მამამისი უკანასკნელ დღეშია და დედას სატელეფონო ზარის გამო ჩამოვიდა თბილისში (გორში შექმნა ოჯახი, ამჟამად, აშშ-ის მოქალაქეა). რამდენიმე წელი იყო გასული, რაც არ მენახა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები (მშობლების დაკრძალვის შემდეგ). ლუცისთან ერთად ავედი სასტუმრო „აფხაზეთში“, ჩემს ნათლიას მძიმე ცხოვრების კვალი ეტყობოდა ოდესღაც ძალიან ლამაზ სახეზე; ჩამიკრა გულში და ცრემლიანი დიდი სიყვარულით მათვალისწინებდა. „ლევანიჩი“ იჯდა დაბალ სკამზე, აშკარად მორეოდა მძიმე სენი მის სხეულს. თითი მოაშვირა ჩემსკენ და შვილს ჰკითხა: ფიკაა? (ასე მეძახდნენ ბავშვობაში შინაურები). როდესაც დაუფასტურეს სახეზე ცრემლი ჩამოუვლოდა.

ოთახში ლელა შემოვიდა – ორი კარგი შვილის დედა. ბავშვს მიმართა: – ეს ზაზაა, ხშირად რომ ვისხენებთ ხოლმეო. პატარა ლამამ გაკვირვებით შემათვალისწინა და დამპირდა, რომ კარგად სწავლას ბოლომდე გააგრძელებდა და მაგარი ბიჭი გამოვიდოდა.

დავემშვიდობე ჩემთვის ძვირფას ოჯახს, „ლევანიჩს“ ხელი რომ ჩამოვართვი ვიგრძენი, რომ უკანასკნელად ვხედავდი, საიქიოსკენ ვაცილებდი; იქ მისი მეგობარი – მამაჩემი („იოსებოვიჩი“ – ერთმანეთს ასე მიმართავდნენ) ელოდა. გარდაცვალების სიმშვიდე შევიგრძენი და კიდევ ერთხელ მივხვდი: ჩვენი ცხოვრება მზადებაა ღირსეული გარდაცვალებისათვის.

16 ნოემბერს ლელამ დამირეკა – დღეს მამა გარდაიცვალა; ალბათ, თბილისში დავკრძალავთო. ძირძველი ცხინვალელი ვერ ელირსა მშობლიურ ქალაქში სიკვდილს, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

გუგულის ყველა ცხინვალელი იცნობდა, როგორც კაცურ კაცს და შესანიშნავ მოქალაქეს. ასე დარჩება ის ჩემს ხსოვნაშიც.



ემზარ კვიციანიშვილი

გამოცდილი პენსიონერის დარიგება ახალგაზრდა ნათესავს

(უძრაობის ხანიდან დღემდე)

ასე გვირჩევედა მესტვირე ბრძენი, პირველად ღმერთი უნდა ვახსენო; არ მინდა, რამე მემართოს თქვენი, მევალებო და მევახშენო!

თუ ვერაფერი იშოვე დღემდე, ანც ვერაფერს გახდები, მენდე, ორცხოთილასაც ველარ იგემებ, არათუ ნამცხვარს — ტორტსა და კრენდელს.

მდგომარეობა პრესტიჟული კი, მაშინ გექნება, თუ ხარ „უულიკი“.

ხელნაუკვრელი და უძალო კი, დარჩები, როგორც თითი სალოკი.

ბოლოს მოგიღებს ყოფა ოხრული, იქნებ ტვინ და გულგამოხრული.

თუ ხარ მოქნილი, დაუზარელი, აცდებდა ფუჭი ხარჯი, ზარალი.

ტანმორჩილი ხარ თუ ხარ წონოლა, გეხერხებოდეს უნდა წაწოლა.

სარფას, სარგებელს მოგცემს გვარიანს, უნდა აქციო ჯუჯა ტიტანად და ამნაირად, რაც მთავარია, უნდა შეგეძლოს ენის მიტანა.

ერთგული მონა თუ უფროსის ხარ, იქეთ დაჯახნი მტერს და მოსისხარს.

ვილა დაეძებს ერის დაცემას, გამობრძმედილი პარაზიტები — პარვას, ნაგლეჯას და დატაცებას არ დაიშლიან არასდროს.

თუ მოგწონს ხვედრი მათი ზიარი, მოძმე კბილებით უნდა დაგლიჯო; ველარც დაითვლი, იმდენი არი, თვისტომთა სისხლისმსმელი ბაღლინჯო.

იმათ — ქონება, იმათ — სახელი, შენ ყრუ კედელი, თავის სახაგი, ხელმწიფის ღვინაზე არვინი მიგინვეს, თუ არავისი არ ხარ მძახალი.

ყელს იღერებენ, კიდევ მღერიან, თავანყვეტილი მიდის კადრილი, ამ ქვეყანაზე არაფერია მათი უქნელი და უკადრელი.

ყანრული სიურპრიზი ემზარ კვიციანიშვილისგან: ეპიგრამა! კანონის სრული დაცვით. ლაკონიური, სხარტი, სახალისო, ჭკუისმარგებელი; გათვალისწინებულია ტრადიციული ფორმა, შინაარსი, კომპოზიცია; არ აკლავს დინამიზმი, სიმკვეთრე, ირონიის საკმაო; გამოირჩევა კონტრასტულობით. სატირული მახვილი სათაურშივე იგრძნობა: „გამოცდილი პენსიონერის დარიგება ახალგაზრდა ნათესავს (უძრაობის ხანიდან დღემდე)“. თემა — ყოფითი, თანამედროვე, ქართული, მოტივი — მორალისტური, საკმაო საბაზი განზოგადებისათვის.

ავტორის ეთიკური მრწამსი გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რომ თანამედროვე ქართულ ყოფიერებას არ გააჩნია მდგრადი ფორმა, არსებობის წესი, თავისი სინამდვილე. იგი დანაწევრებულია წვრილმან ვნებებად და მისწრაფებებად, ეგოისტურ ინსტინქტებად და პროვინციულ, შლეგურ, უკულტურო აქტივობებად, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვს ნორმალურ საზოგადოებრივ პრინციპებთან.

ინდივიდუალიზმის ზეობის ხანაში ვიმყოფებით და ეს კერძობითი სანყისი, სამწუხაროდ, უარყოფითი ნიშნით, პარაზიტების მიმართულებით ვითარდება.

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ შემდეგ რაღა უნდა გვიკვირდეს, მაგრამ სწორედ გაკვირებაზე მეტია იმის წარმოდგენა, რომ ყველა უკეთურებანი, რაც ჩვენი ისტორიის თანამდევნი იყო საუკუნეების განმავლობაში, დღესაც ჩვენშია, ჩვენს ხასიათში დევს და უკან-უკან მიათრევს ჩვენი დაგლაზავებული ცხოვრების ურემს.

მართალია ემზარ კვიციანიშვილი, უკულმა აწყობილ ცხოვრებას ნაღმა ვერ მიუღებები. სიმართლის დამცველი მოტყუებული დარჩები.

სხვა რა გზა არის, შენც უნდა ჩაება სიყალბის ფერხულში, შენც უნდა უკმით გუნდრუკი ფარისევლობის კერპს. მაგრამ ეს ხომ „ობივატელის“ იდეოლოგიაა. უთუოდ, რაღა თქმა უნდა. „ობივატელმა“ იცის, რომ უკადრებელი უნდა იკადროს, თავისი ვინრო შუბლით უნდა გაანგრის ყველა კედელი და დაბრკოლება, უნდა შეუერთდეს თახსირთა არმიას...

კმარა. ეს ეპიგრამაა, მინუს-ხერხი ეფექტური შესრულებით. მითუმეტეს, აქვეა პოსტ-კრიპტუმიტი, მორალისტური „ჰეფი ენდი“ — როგორც გამოსვლა კომპარული სიზმრიდან.

იცოდე ესეც, ხარბთა ცდუნებას მოსდევს ნახდენა და გადედლება; გარდუვალა წესი ბუნების: ღიპს — ემატება, დუმას — ეთლება.

ვის ახსენდება შვლები, ირმები, მთავარი გახლავთ ოფის-ფირმები.

ყოველ ნაბიჯზე შიში და ელდა, რა სიბილწეა და სიარმეა; ერთობ გახშირდა — თახსირთა, მკვლელთა, ჯაჭვით დასაბმელ გიჟთა არმია.

გადმოგედება ქცევა მათებრი, მათ რიგებს შენც თუ მიემატები.

სახეს მიღრიცავს ცხოვრების სარკე, შენც გაიცრები, მცირე ტარიგო... ვკარგე და ვკარგე, თავს ვერა ვარგე, შენ რა გირჩიო და დაგარიგო.

ათასი კლანჭი, ნისკარტი გძიძენის, ვერც იტყვი, ვისმა ცოდვამ გინია... თუ არ გეყოლა მომცემი ბიძგის, კარგად მეყოლე, ჩემო ბიძია!

დასამალი ან სათუო რა მაქვს, ასე მოქცა ბევრი შენდარი; დაგიფასებენ, იცოდე, ამაგს, ეცადე, გახდე პარლამენტარი!

სურვილ-მიზანთა ნუსხა თუ გეგმა დაიმახსოვრე, ჯერი შენზეა; აღარ მოგიწევს სანაგვის ქექვა, დაგენიშნება დიდი პენსია.

მოგცემენ პოლისს და ამის გარდა, ხელისუფლებას თუკი ვენდობით, მივინვეთ ასი დოლარის ზღვართან, მოხდება თანხის ზრდა პროცენტობით.

ძველს, საგარეოს, დავფარავთ ვალებს, გვარდება, რაზეც გული შეგეტკივა; სოხუმს, ცხინვალსაც მიხვდავთ მალე — არც ისე ცუდი ჩანს პერსპექტივა.

ნუ გადაყვევებით სმასა და ჭამას, ჯობს დავამატოთ ქულაზე ქულა; ჩემი დასტური რად უნდა ამას — სიცოცხლე ღირსო, ათასჯერ თქმულა.

მარჯვეს, წინ გიდევს სავალი ფართე, თუმც არვინი უწყის, ვის რა მოგველის; ახალდანიშნულ მინისტრის, გამართებს, უკანალისა გახდე მლოკველი.

თან ურცხვად ეტყვი, რომ მინისტრს, წინას, გადაგყვა ვინაც, არც კი იცნობდი — მეოთხეს, მდიდრულს, მოგცემენ ბინას, გაანგრევ კედელს შუბლით, ვინროთი.

**P.S.**

გეხუმრე, კაცურს მიჰყევი წესებს,  
არ ითვალთმაქცო,  
გნამს ქვეყნად თუ რამ;  
ცოტა ხნის წინათ, სიბილნე ესე —  
იკისრა ერთმა ბებერმა ტურამ.

რა აუტანლად ყარს მისი სორო,  
საფლავთა ასაოხრებლად იშვა;  
დაბადებითვე უკეთურს, ბოროტს,  
ერი და ბერი აფურთხებს, პირშავს.

ოსტატი გაიმასქნების, პარვის,  
აკვაცობათა არის გენია;  
სიზმრადაც კი არ უნახავს, არვის,  
მას რომ სიგლახე ჩაუდენია.

გახსოვდეს, რაც შენ სახელზე ვწირე,  
ყველა თავისი საქმით იქება;  
შემინდე გადახვევები მცირე,  
ფუჭად არ დარჩეს ეს დარიგება!



**ჯარჯი ფხოველი**

**მოსე  
და სხვა ლექსები**

**მოსე**

ნუთუ შენ ხარ? ნუთუ შენ უნდა წარუძღვე დაქსაქსულ  
ქართველობას, მონობაგამოვლილს და კვლავ  
მონობის შავ უღელში კისერგაყოფილს? ნუთუ  
ასეა ეს ყოველივე? ნუთუ შენ ის ხარ, ვინც მოისმინე  
ზენაარის დაკვალანება და მისი მცნებები, ერის  
გულებს რომ უნდა წაანერო: დაამჩნიო ნაკეჭნებივით!

ნუთუ შენ უნდა დაგვანახო ალთქმული მინა და ალთქმული  
დრო, სადაც შენ თვითონ ვერ შეაბიჯებ: იმ მხარეში  
ფეხს ვერ დაადგამ, მაგრამ იქ შევა შენი ჯამაათი  
და მათთან ერთად იქ შეაბიჯებს იმათ გულებზე წანერილი  
შენი სახელი!

რა ჩაგძახა ზენაარმა, ვისი საღვთო ხმაც შენ ერთადერთს  
ჩაგესმა, მოსე!

შენ ვერ გახდები ხელისუფალი, მაგრამ შენ გახდები  
გულების უფალი: ესეც ხომ დიდი ხელისუფლებაა  
ამქვეყანაზე: გულების უფალი!

და შენს ჯამაათს თვითონ ესვრი უპირველეს ქვას,  
რადგან, მოსე, ზენაარის სურვილს ასრულებ, რადგან  
იცი: სიბრალული ის ეკალია, რაც უმალ უნდა ამოიძრო  
ფეხისგულიდან, სანამ იმძლავრებს ტკივილი და  
სანამ გზაზე დაეცემი გულგასენილი!

სიბრალული ხომ მეფეთა სისუსტის ნიშანიაო: ასე  
ფიქრობდენ, ასე ფიქრობენ, ასე.... შენ რას ფიქრობ? ჩვენ  
გეუბნებით: იმპერატორი მოგვენატრა, ხელისხლიანი! ჩვენ  
გეუბნებით: დიქტატორი მოგვენატრა, ტყუილების ტბაში  
ჩამდგარი,  
დიქტატორი ხელისხლიანი! ჩვენ გეუბნებით: შენ  
მოგვენატრე, ცხელ უდაბნოს ქვიშაში მდგარი, ფესვძლიერი  
ბაობაბივით!

გეკითხები: ნუთუ შენ ხარ? გვითხარი, ცხელი უდაბნოს  
ქვიშას ზურგებიდან როდის გადავიბერტყავთ?! ნუთუ  
გრძელი  
მონობის შემდეგ ისევ მონობა გველოდება და მათრახი და  
მათრახის ნივილი ისევ, კაცთა კვნესაში რომ აირევა! ნუთუ  
ისევ მონობა და სხვა არაფერი! ნუთუ?

რაო? მოსე არა ხარ? შედრკი? მოდელდი? არა! არა! ჩვენ  
შენგან შევქმნით გულოვან მოსეს და უდაბნოში წინ  
დავიყენებთ!

ისმინე, მოსე, ღვთაებრივი ხმა, ყური დაუგდე ზენაარის  
ღვთაებრივ  
ძახილს: იმ ხმას მიჰყევი, მიჰყევი, მოსე!

ეს ჯამაათი, მოჭრიამულე.... მათ სწყურიათ შენი დანახვა, შენი  
გაცნობა სწყურიათ, მოსე!

და შენ ხარ ის, ვისაც საღვთო სიტყვა გულით მოაქვს, ვისაც  
ხელში უჭირავს ის ქვა, რითაც ეშმაკეულ სულებს ჩაქოლავს:

და შენ ხარ ის, ვინც პირველ ქვას ესვრის იმათ: ორგულებს  
და ხელისხლიანებს.... ხოლო ეს ქვა ზენაარმა შენ მოგცა მაშინ,  
იმედებისა და მცნებების სიტყვებთან ერთად: ეს ქვა, როგორც  
ბოლონერტილი!

და აქ გაისმის სხვა გნისი, ცისიქითური: ეს ხალხის ხმაა:  
ამ უდაბნოში ხმიანობს შენი ჯამაათი და დაკეჭნილ გულებს  
იმჯილავს....

მე შენ ჩაგძახებ მწარე სიტყვებს გამოდევნილი პლატონის  
დიდი რესპუბლიკიდან.... და მოგანვდი მთვარის ნატეხებს,  
რადგან ვიცი,  
ჩემი ცოდვის სამაგიეროდ, ამ ნატეხებით დამსეტყვავ, მოსე!  
აი, კიდევ  
ცივ სიპებზე წარწერილი უფლის მცნებები: შენ იმ სიპების  
ნამტერევეებით ჩამქოლავ, მოსე!

რაო? მოსე არა ხარ? შენ დუმილი აიფარე პირისახეზე: დუმილს  
უდაბნოს ქარ-ხორშაკი ჩამოგხსნის მალე! უნდა გვასწავლო  
შენ დემოსის საღვთო ენა, საღვთო ანბანი!...

რატომ დამალე შენი სახელი, საღვთო კედლები როცა აღაგე?  
რატომ დამალე შენი სახელი, როცა სალოსთა ჯამაათი წინ  
გადაგიდგა და შენ წყალობის ხელი დაადე?

იმდენი ხანი ვფიქრობდი შენზე, რომ განყალდა  
ჩემი მელანი... და  
შენზე ფიქრით გულამოჭმულ ერს თვალეზი ამოულამდა და დღეს  
რალაც ახალი დარდი აირია იმის დაღლილ გულისძგერაში! შენ  
ხარ მისი ახალი დარდი, თან რომ გაგვეყვება ისტორიის ბედ-  
უკუღმართ მოსახვევებში....

და შენ ხარ მოსე: შენმა ფეხისხმამ ისტორიის პირშავ ღამეში  
გამოაღვიძა დიდი ერი ისრაელისა.... და შენ ხარ მოსე:  
მტრის მახვილით

ჯარჯი ფხოველი ტკივილის პოეტი, ტკივილისა და იდეის პოეტი. რაღა თქმა უნდა, ტკივილისა და იდეის გარეშე არც პოეტი არსებობს და არც შემოქმედება, მაგრამ ჯარჯი ფხოველს ამ მიმართებით აქვს გამოკვეთილი სტილი, ხელწერა, შესაძლოა ხასიათიც, რომელიც პოეტური აზრის გადმოსაცემად ყველაზე ეფექტურად ტკივილს, ადამიანის ამ ყველაზე ბუნებრივ განცდას იყენებს, და ისიც ნათელია, რომ ეს განცდა სიცოცხლის, არსებობის, სულიერი ყოფიერების ყველაზე ღრმა შრეებიდან არის ამოზიდული. ყოველი სახე, აზრი, თემა, მოტივი, ფრაზა ტკივილით არის გაჟღერებული. ტკივილი კი, ნარმოსახვის ძალით, იდეად გარდაიქმნება. მაგალითად, შოთა ჩანტლაძის ტრაგიკული სახეება ნარმოშობს სტუმრის იდეას („სტუმარი“), დროის ეგზისტენციური განცდა — აჩრდილის იდეას კარნახობს („აჩრდილი“), ეროვნულ ტკივილს ბიბლიურ მოსესთან მიჰყავს.

„მოსე“. ჯარჯი ფხოველის ეს ლექსი საყურადღებოა იმით, რომ მასშტაბური პოეტურობით გადმოსცემს ეროვნულ იდეას, რომელშიც გაერთიანებულია ქართველთა კოლექტიური ოცნებები და ცთომილებები.

საქართველო იმედების ქვეყანაა, დიახ, იმედების და არა იმედის, რადგან საერთო ქართული იდეა, ოდესღაც ფიქრში ან სადღაც პოტენციაში მაინც რომ არსებობდა, ნამსხვრევებად გაიფანტა, გაიბნა და ინდივიდებში გადანანილდა. თითო ნამსხვრევი, როგორც ღვთაებრივი სმალტა, ყველას გვერვო, მაგრამ საერთო მოზაიკა, საერთო იმედი ვეღარ აგვინწყვია, რადგან თითოეულ ჩვენგანს თავი დაკარგული იდეის ბატონ-პატრონად მიგვანჩნია და გვენამს მხოლოდ ის, რასაც გაბეცებული თვალებით ვხედავთ.

უფრო გასაგებ ენაზე ამას ილუზიების ტყვეობას უწოდებენ და ალბათ ეს უფრო ზუსტად გამოხატავს ჩვენებურ ფსიქოტიპს, რომელსაც სურს, რომ ქვეყანაზე ყველაფერი იყოს პერსონიფიცირებული და მათ შორის ეროვნული იდეაც, ცხადია.

მსგავსი რამ ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა, უფრო სწორად, ნარმოსახა კავკასიონის ქედზე მდგარი კოლოსის ანუ აჩრდილის სახით: „მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

მარად და ყველგან თანამდევი სული, როგორც ზოგადმითოლოგიური მოცემულობა, გაუგებარი დარჩა თანამედროვე ქართველობისთვის და ამიტომაც გაჩნდა იდეის განსხვავების მოთხოვნილება. დღეისდღის ქართველი ვერ იტანს მეტაფიზიკას, მისთვის მთავარია კონკრეტუმი და დრო-სივრცის განსაზღვრულობა. სწორედ ამიტომ ჯარჯი ფხოველის „მოსე“ იკითხება, როგორც თანამედროვე ქართული გონებგანწყობილების, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე ქართული ნეტარყურობის, ალტერნატივა.

დაკეჭნილი და დაღლილი გულების მწყემსი...

შენ შეგვაგროვებ

და შეგვარიგებ და წაგვიძღვები უდაბნოს გზებზე

წმინდა გიორგის

დაქსაქსულ ლაშქარს!

და შენ ხარ მოსე: შენმა ერმა წინ დაგიყენა; გატეხილმა და მრავალჯერ

მოტყუებულმა შენმა ერმა წინ დაგიყენა!

ო, მოსე, მოსე! ისტორიის ქარებს მოაქვთ შენი ჩურჩული: შენი ქვითინი, გარდასულს რომ გადაწვდენია: შენი ერის დაცემას და აღმავლობას, აღორძინებას...

ვიცი, ხმლის პირზე გაატარებ, ნადირის სისხლს აალოკვინებ, ეს ჯამაათი რომ არ მოდელდეს!

აქ ჭაობი ვინ გააჩინა? უდაბნოს კარად ჩვენი სისხლი ვინ გადაღვარა?... და უდაბნო ჭაობად იქცა! ვიცი, ჭაობზე შენ

უსაფრთხოდ

გადაგვატარებ, ისე, რომ ფეხი არ დავადგათ თავის სისხლს და თავის

გულს და თავის ჭრილობებს.... და გველს ფეხი თუ დავადგიო: კვლავ იმედით ვუმკურნალებთ იმის ნაკბენებს!

ო, მოსე, მოსე! რაც უნდა გული დაგვიმალო, მაინც გხედავთ: წინ მიგვიძღვები!... აქ დროის კვამლი შევისუნთქეთ, დაუშურველი.

და ისინი

ვართ, ათასწლობით რომ მოგელოდა, ვინც ალოკა უდაბნოში ნადირის

სისხლი და თავის გზაზე წინ დაიყენა შენი ლანდი, მეუდაბნოე...

მაშინ ბევრი რამ ხდებოდა, მოსე! ეს სასწაულიც ასე მოხდა: დიდმა

მოქანდაკემ შენი სული ბრინჯაოში გამოამწყვდია! მაგრამ დღეს

დადგა სულ სხვა ყამი: ბედისწერამ შენი სული გამოუშვა და გამოგზავნა ქალღმერთის ნილხვედრ წმინდა მიწაზე... უკვე

აქა ხარ, შენი ტანი, ბრინჯაოსფერი ძველისძველ იმედს გამოასხივებს.

ეს ჯამაათიც ამ დღისათვის გელოდა, მოსე!

და ისიც ვიცი: ამ ჯამაათს უდაბნოში შენ არ დატოვებ. ისევ უკან დააბრუნებ, აალოკვინებ თავის გზაზე ცრემლის გუბეებს და წინ დაუყრი მთვარის ნამტვრევებს აღზევანით წამოღებულ ქვამარილივით...

ორმოცი გრძელი წელიწადი აღმოგვიცენებს თავისუფლების ღვთითკურთხეულ ყვავილებს, მოსე!

ეს საქართველო, შენ რომ თითქმის ვეღარ იცანი...

ისე შეცვლილა:

ის გველებმა დაკბინეს და ზემაღალი ცის ყორნებმა შხამიანი ბრჭყალებით დაგაზეს!... და, ნაპირებჩამოტეხილი, ის კომეტას გავს,

ლამის ცაზე მოხეტიალეს....

შენ სწორედ იქ შეგვაჩერებ, სად ეშმაკის ნატერფალი გზას ამრუდებს,

სად ყოველი მოლაღატე უნდა ჩაქოლონ!... და პირველ ქვას შენ გვესვრი, მოსე!...

და პოეტიც ხომ მოლაღატეა: მოკვეთილი, გაძევებული ის პლატონის

რესპუბლიკიდან, ისევ უკან დაბრუნდა და შენს მწუხარე ჯამაათში გამოერია, საკუთარი თავის მძებნელი...

და უწმინდეს

ქართულ ენას და ღვთაებრივ ქართულ ანბანს შენთან მოაქვს მისი სიტყვა უკანასკნელი...

არ მინდა, მოსე, რომ ეს ლექსი დავამთავრო!

აბა, როგორ დაგემშვიდობო,

როცა აქ ვრჩები და შენთან ერთად უდაბნო უნდა გადავიარო!

არ მინდა, დავსვა ნაღვლიანი ბოლოწერტილი!

არ გეუბნები: მშვიდობით, მოსე!...



**ტაო**

შორით გიგონებს ნაოხარს  
შენი ტყე, შენი ხეხილი....  
გულში ხარ: ჩემი ტაო ხარ,  
ცა, ნაპირჩამოტეხილი!

თავს დამემხოა უფაროს  
ჟამთასვლის ავი ტაროსი....  
შენ დაიფარე, უფალო,  
ეს დიდი დარდი ტაოსი!

**სტუმარი**

ეხლა, სიტყვასთან მუსაიფში ნათევ ღამეში,  
შენთან მოვა დიდი პოეტი:  
ლექსის გურმანი შოთა ჩანტლაძე...

ის დახედავს შენს ნაოხარ სანერ მაგიდას  
თბილისურად თვალმონკურული...  
თანაც ისე ჩაახველებს, თითქოს ვერ ყოფნის  
საარავგოს მთების ჰაერი...

გაშლილი ხელით შორს გადანევს მარადიულ ხმას:  
არავგის კვნესას და ყრუ შხუილს, მთებში ჩაჭედის...  
და გზას გაუხსნის თავის სიტყვებს,  
შემოსილებს არქაული ხმელი ფოთლებით...

და გააბოლებს ის მეორე ფაბრიკის „პრიმას“...  
და კვამლთან ერთად ამოსტყორცნის ნაცნობ სტრიქონებს:  
„ირლანდიური საგების“ მესხ და...  
ამოიგმინებს ის დაჭრილი რაინდივით  
და კვნესას გულს ამოაყოლებს...  
84 წლის სიმძიმეს ბეჭებიდან გადაიბერტყავს!

ეს სიმძიმე ხომ იმის ძეგლსაც ბეჭებში ღუნავს  
დიდიხანია ვაკის წმინდა სასაფლაოზე...  
და ეს აღარ გაგიკვირდება:  
მწარე სიტყვებთან ნათევ ღამეში  
რომ გენვევა ძველისძველი ჩანგალისტი,  
დიდი პოეტი,  
ლექსის გურმანი: შოთა ჩანტლაძე.

\* \* \*

ვნებული შავი დროის დებოშით  
დღე გაილია: ღამეში შეხველ...  
შენ იწვი გულის ცხელ უდაბნოში  
და ცა დაგყურებს ბაობაბს, ზეხმელს...

გაგზნებს და გზარავს მზერა მზეების  
და შენში მიწას ეწვის სხეული...  
ეხლა მოსისხლე სიტყვას შეები,  
დატოტნე მთები, ცადალეული...

და ტოტებს შენი შავი დროისა  
ხელებს გაუნვდი, ცეცხლში მავალი...  
აქ ვნებით ბევრი გული მოისრა,  
კიდევ ევენება უფრო მრავალი!

გზად მოგდევს ქარის მელანქოლია,  
ცაში დაკარგულს ჰგავხარ მეტეორს...  
ვილაც ჩაგძახის: სხვა რა გქონია,  
სიცოცხლე გაქვს და... გაიმეტეო!

**პრიმიტივი ორნარტილაზით**

გული: თავისთავში დანრეტილი,  
დარდი: თავისთავში მდგომი...  
იმედი: გალეული ნერტილივით...  
ომი: ნაგებული ომი!  
სიზმარი: სიცოცხლის ორეული,  
დალლილი ღამეში ძრომით...  
ლომი: სიბერემორეული:  
ჭანგებდაცვეთილი ლომი!  
ესეც: ბოლოკუდა და ნერტილი.  
ესეც: ნაგებული ომი!  
გული: თავისთავში დანრეტილი,  
დარდი: თავისთავში მდგომი!

**აჩრდილი**

მე ვარ აჩრდილი, ვინც დაკარგა თავისთავი ამქვეყანაზე:  
აჩრდილი ვინმე, შხამდალეული...

აჩრდილი ვინმე, ვინც შენს გულში თავისთავს ეძებს  
და ძებნით დალლილს გრძელი კვნესა რომ აღმოხდება:  
ეს არის დარდის შავი შხეფი,  
ცას რომ ხატავს თეთრ უდაბნოში  
და წამისოფლის ნატერფალებს რომ იზეპირებს:  
და წამისოფლის ნატერფალებს სისხლით შეღებავს  
მძვინვარე მზის მზერით დალლილებს...

ცადმაცქერალ უდაბნოს აჩრდილს სავარსკვლავეთი  
გამხარებია!

გამახსენდება: ნისლებმობევეულს არაბიჯის ცის ვარსკვლავები  
როგორ მიყვარდა:  
ცაზე რითმებად დანყობილი მნათობების იალკიალი  
ისმოდა საღვთო სიმღერებივით...

ტანზე ნაბადიც არ მეხურა შავ ღამეებში და ჩემი ტანი  
გრულ მიწაში იფესვებოდა:  
მე ის ფესვები მიკავებდენ ჩამოდარდულ დედამიწაზე,  
კამკამა ცაში ჩავარდნა რომ მენატრებოდა!..

ნალევი მთვარის ცეცხლოვან ნალდით ჩემი ფესვები ცამ  
ვერ გადაჭრა:  
ვერ ვეზიარე  
ვარსკვლავების გახსნილ იარებს,  
ვერც კოსმოსის დარდს ვერ ვეზიარე!

ცარგვალის სარკის ერთადერთმა მზემ ჩემი ქოჩორი  
ვერ გადატუსა: ყომრალ ღამეს ვერ დავეცი იკაროსივით...

თან რომ მომდევდა ვარსკვლავთა გზაზე ქართული ენის  
წვიმა იყო: ის ერთვოდა საღვთო სიმღერებს და ჩემს  
დალლილ გულისცემას ის ყოველწამს იმეორებდა...

ის სიმღერები დაიზეპირე ირმის ნახტომის ხეს მიყრდნობილმა:  
ვარსკვლავებით გართიმული და მშფოთვარე  
ამოძახება, ავი რამ კვნესა, კოსმიური შავი ხვრელის ტუჩებს  
მომწყდარი!

აქ შენი გულის ავადმყოფ ფეთქვას ქართული სიტყვის  
ღვთაებრივი ტაბლეტებით უმკურნალებენ  
ეს შენი მთები და სოფლები და ოჯახები...  
მაგათ შავ კლდეებს შენც სულ მალე  
მტკივან შუბლით დაეჯახები!

დაკალ გული

დახატე გზისპირები: ისწავლე არემარე. ზეცას საბურველი გადახადე... განაგდე მაცილი და დარდი წარამარა. ეს მინა ხელახლა გადახატე!

გული აღარ გიძე. სხვა გული იშვილე: ხელახლა იპოვე დაკარგული. ჩაიცვი ბედისწერის აჩრდილი, შიშველი, შეიყვარე და: დაკალ გული!

როგორც მორიელი ცხოვრება მორიალე ერთობა კენჭების გაგორებით... ჟამის მორეული დახატე შორეული: ქართული სიტყვის მთაგორები!

მუნკის „კივილი“

და ეს დღეც დადგა: აქ აყვავდა სასწაული სასონარკვეთის: საქართველომდე მოაღწია მუნკის „კივილმა“!

გაიხსენე, კივილი ხომ ჩვენიც გვეოფნინდა: ის კივილი, ტუჩპირში რომ ველარ გამოდის, შიგნით გროვდება და იზრდება სიკვდილივით უშელავათო!...

და, ტუჩებში რომ ველარ ეტევა, მოშხეფს ცხვირის ნესტოებიდან, ელავს მონკურულ თვალისგუგებში, მოჟონავს შუბლის ნაოჭებიდან, თმისძირებიდან ამოსკდება: ქოჩორს აგიშლის!

ვიცი, ამ კივილს შენ ვერ დახატავ, არ დაეტევა ის ტილოზე და ფერებიც ველარ გეყოფა: ცისარტყელიდან ნასესხები, ფერები უცხო...

ჩვენს კივილს ხომ გამოფენის დარბაზებში არ დაკიდებენ: ვიცი, იქაც ვერ დაეტევა...

ის თავისუფალ სივრცეს დაეძებს: ხან პირქუშ მთებზე გადაივლის, ხან მთვარის ცას აებლატება... ეს ხეობებიც ევინროება, ეს სოფლებიც, ეს ქალაქებიც...

მე გეუბნები: ეს კივილი მარტო დარდით დაიხატება: დარდის ფერით და დარდის სურნელით...

უნდა იდარდო დიდი დარდი, შეუძლებელი, უნდა ისესხო მთვარის გუაში: ფერი, მთვარის მინდვრებიდან წამოღებული.

და ეს კივილი ისეთია: გახილული კავკასიის გრეხილებით... ისეთია, ვარსკვლავების ძილს რომ აფრთხობს შავ ღამეებში...

ისეთია: გულს რომ გლეჯავს... და თუ დახატავ, მუნკის „კივილში“ არ აგერევა!

ქრისტიანული პოეზიის ახალი ფესტივალი

5 სექტემბერს სამშვიდობო ორგანიზაციის — „სადაკო“ — თაოსნობით საზეიმოდ დასრულდა ქრისტიანული პოეზიის მე-3 ფესტივალი სახელწოდებით „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ორი საგულისხმო გამოცემის — რჩეულ ლექსთა კრებულისა და ნიგნის „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“ — წარდგინებას უმასპინძლა მწერალთა სახლის ევროგრემონტით აფერადებულმა, თუმცა მესხიერებაართმეულთა სარკეებიანმა დარბაზმა. იქვე გაიმართა გამარჯვებულ ავტორთა დაჯილდოებაც.

ლონისძიების წარმმართველმა, ორგანიზაცია „სადაკო“ თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა თავდაპირველად ქართული ხელოვნების ღვაწლმოსილ წარმომადგენლებს: ჯანსუღ ჩარკვიანს, რეზო ესაძესა და რევაზ ადამიას, აგრეთვე ლიტერატორ ზაალ ბოტკოველის სთხოვა მისალმებოდნენ დარბაზს, გადავსებული რომ იყო სხვადასხვა თაობის, აგრეთვე რეგიონებიდან მიპატიჟებული მწერლებით, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებით.

...და რასაკვირველია, მათ სიტყვებში გაისმა საუკეთესო სურვილები, ირონია კი ზომიერად მისადაგებული ჩვენს რეალობასთან და რა თქმა უნდა, დაუფარავად რევანშიც, ძველი მთავრობის მისამართით.


და სასიამოვნო განაცხადიც — გამარჯვებულთა დაჯილდოება. მთავარი პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვარი“ — ზინა სოლომნიშვილს, ელდარ ჭიჭიაშვილსა და ელგუჯა ლებანიძეს.

ხოლო პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დაჯილდოვდნენ: ლალი ჯაფარაშვილი, ანტონ გაგუა, ფარნაოზ რაინაული, ალექსი გოგბერაშვილი, მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი, იამზე არველაძე-ხეცტურიანი, ზურაბ ყოლბაია (იმიერი), ცისანა თვალთაშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა როსტომ ჩხეიძე.

ქრისტიანული პოეზიის მე-4 ფესტივალი გაიმართება გაისად, ივნისში.

ანა კაპანაძე




სამშაბათს, 24 სექტემბერს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართება

**პავლე ინგოროყვას**

დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი

**სამეცნიერო კონფერენცია**

დასაწყისი 14 საათზე ჩუბინაშვილის 41





ინა არჩუაშვილი

# ლიტვური დღიურები

სადმე გამგზავრებასა და მოგზაურობაზე როგორ არ მიფიქრია, უფრო კი მოცნებია, მაგრამ არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, რომ ჩემი ოცნლიანი შინ ჯდომის ყოველი დღე იმაზე ფიქრში ღამდებოდა და თენდებოდა, როგორმე ლიტვაში წავიდეთ. იმაშიც გამოგიტყვებით, რომ ლიტვა ჩემი საოცნებო ქვეყნების რიცხვში არასოდეს შესულა. თუმცა ბოლო დროს გაჩნდა მიზეზი, რის გამოც მასზე დავინწყე ფიქრი. დავინწყე და, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სულ რაღაც ორ წელიწადში თავიც ამოვყავი იქ.



ტაშკენის ბაღი

## თებერვლის ზარი

ზამთრის ერთ ჩვეულებრივ საღამოს ლიტვური ენის სპეციალისტმა, მთარგმნელმა და არაჩვეულებრივმა ადამიანმა ნანა დევიძემ დამირეკა და მორიდებით მთხოვა, ივნისში ლიტვაში ლიტერატურული სემინარი ტარდება პროზაიკოსებისთვის და მინდა შენც წამოხვიდეო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავმა ძალიან გამახარა, გადანწყვეტილების მიღება მაინც ძალიან გამიჭირდა და მოსაფიქრებლად ნანას დილაძემ ვთხოვე დრო. თუ რამე განსაკუთრებული მიზეზი არ გაქვს, უარს ნუ იტყვი, იცოდე, დაუვიწყარი დღეები გელოდება იქო, მითხრა ნანამ საუბრის ბოლოს და დამემშვიდობა.

ღამით ყველაფერი მშვიდად გავიზარე და მართლა ვერ გავიხსენე მიზეზი, რის გამოც უარი უნდა მეთქვა ამ შემთავაზებაზე; გამახსენდა ლიტვაზე ჩემი ბოლოდროინდელი ფიქრებიც და ჩავთვალე, რომ ოცნლიანი იძულებითი „ნაცრის ქვეყნისთვის“ ეს უზარმაზარი ნყალობა და კომპენსაცია სწორედაც რომ ჩემთვის იყო გამოგზავნილი. ამიტომაც გათენდა თუ არა, ოდნავ დარცხვენილმა იმის გამო, რომ წინა საღამოს ლამის თავის დაფასება გამომივიდა, ბოდიში, მადლობა და გამგზავრებაზე თანხმობა ერთად ვუთხარი ტელეფონში ნანას და ამოვისუნთქე. იმან კიდევ, საჩქაროდ შესაგროვებელი საბუთების სია და იმ მწერალთა გვარ-სახელები მითხრა, რომლებთან ერთადაც მომიწევდა ლიტვაში წასვლა. ორივე ახლობელი ადამიანი აღმოჩნდა (მათ შესახებ ცოტა მოგვიანებით მოგიყვებით და არცთუ ისე ცოტას), რამაც კიდევ უფრო მეტად გამახარა და დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში.

## ბალტიისპირეთი

მაშინ ბალტიისპირეთის, ახლა ბალტიის ზღვის ქვეყნების გაცნობა ჩემთვის სკოლიდან დაიწყო, ოღონდ არა წიგნით, არამედ დედით ესტონელი ჩემი ფიზკულტურის მასწავლებლისა და მოგვიანებით ფრენბურთის მწვრთნელის უცნაური სახელით — არნე. კიდევ უფრო უცნაური და დაუჯერებელი იყო მისი სხვათაგან გამორჩეული სიმაღლეც, რის გამოც ბავშვები მუდამ კისერმოღრეცილები ველაპარაკებოდით არნე მასს. ესტონეთზე, სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცოდი დიდხანს, გარდა იმისა, რომ მის დედაქალაქს ტალინი ერქვა და ეს სახელი თავისი ჟღერადობის გამო ძალიან მომწონდა. თან ამ „სიტყვის“ თქმისას რაღაცნაირი გამჭვირვალე, მომწვანო ციალი გამიკრთებოდა ხოლმე თვალებთან (სიტყვის ფერების დანახვა ჩემი ბავშვობის უცნაური ნიჭი იყო, რომელიც მერე, დროთა განმავლობაში, არ ვიცი, ჩემი ასაკის, არ ვიცი, იმის გამო, რომ თვითონ სიტყვები გაუფერულდნენ და დაიბინდნენ, თანდათან დავკარგე).

ლატვიამ, ალბათ ისე, როგორც ბევრ სხვას, ყველაზე კარგად იურმალის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალითა და იქ ქართველების წარმატებული თუ ჩაფლავებული გამოსვლებით დამამახსოვრა თავი; კიდევ, ჩემი მეგობრის მონაყოლით რიგის უნივერსიტეტზე, რომელშიც ის სწავლობდა — ოღონდ ეს უფრო მოგვიანებით იყო — და მისივე ნაჩუქარი, ბალტიელი გრძელი, ლატვიურაღფაბეტიანი, სამახსოვრო წარწერის მქონე და ახლა უკვე ბევრი ძველი ინფორმაციის შემნახველი მუქი მელნისფერი წიგნაკით.

აი, ლიტვაზე კი აღმოჩნდა, რომ ყოველთვის უფრო მეტი ვიცოდი, ვიდრე ზემონახსენებ ორ ქვეყანაზე, და ამ „ცოდნის დაგროვება“, ვფიქრობ, უფრო სპორტისადმი, ამ შემთხვევაში კი კალათბურთის მიმართ ჩემმა გაუნებლებელმა სიყვარულმა განაპირობა. იმის წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ ჩემი თაობის ადამიანს კაუნასის „ჟაღვირისისა“ და არვიდას საბონისის შესახებ არაფერი სმენოდეს. აი, სიმაღლე ამას ერქვა, რომელთანაც ახლოსაც ვერ მოვიდოდა ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი, მაგრამ ვინაიდან ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები ხშირად იმდენად მძაფრია, რომ ზრდასრულ ასაკშიც კი ხელს გვიშლის რეალობის ობიექტურად აღქმაში, ალბათ მეც სწორედ ამიტომ ძალიან დიდხანს მეგონა, რომ დაახლოებით ერთი მეტრი და 95 ან 97 სანტიმეტრი სიმაღლის არნე ხატიაშვილი მაინც უფრო მაღალი იყო, ვიდრე მასზე სულ ცოტა 25 სანტიმეტრით მაღალი არვიდას საბონისი.

რაღაც-რაღაცები კიდევ მახსოვს ლიტვაზე — მაგალითად, XVI საუკუნეში ლიტვის სამთავროსა და პოლონეთის ერთ დიდ სახელმწიფოდ, რეჩ პოსპოლიტად გაერთიანება და მერე მისი დაშლა — „საბჭოთა კავშირის ისტორია“ წიგნიდან; ხოლო მათი უახლესი ისტორიის ცნობილმა „ცოცხალი ჯაჭვის“ ამბავმა (როდესაც ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა ვილნიუსიდან ტალინამდე ხელი ჩასჭიდა ერთმანეთს, რასაც სულ მალე ჯერ ლიტვის, შემდგომ ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებლობა, ბოლოს კი მათი ევროკავშირში შესვლა მოჰყვა) უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზეც.

ოჰ, ეს ლიტვური პატრიოტიზმი, როგორი ჯანსაღი და არაფსევდო აღმოჩნდა ქართულისგან განსხვავებით! ასეთ დროს განა შურით ატანილმა და დაბოლმომმა სხვა ქვეყნის „სიკეთესა ზედა“, არამედ როგორც ამ ქვეყნის გულდანწყვეტილმა შვილმა, არ შემიძლია სინანულით არ ვთქვა, რომ ჩვენი საწყალი ქვეყანა, რომელიც კვალში ედგა ლიტვას და ბევრად დიდი მსხვერპლიც გაიღო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, სამწუხაროდ, ჯერ ისეც მხოლოდ ფურცლებზე — ათასგვარ წესდებებსა და რეზოლუციებშია „დამოუკიდებელი“, „სუვერენული“, „ხელშეუხებელი“ და ნატოსა და ევროკავშირის „პოტენციური“ წევრი.

**ფრენა ჯორჯ რ. მარტინთან ერთად**

ამასობაში დადგა იენისი და ჩვენც გავფრინდით ლიტვაში — „მცირე ჯგუფი“, როგორც ნანამ დაგვარქვა, ანუ მე, ლადო (ლადო კილასონია) და არჩილი (არჩილ ქიქოძე). ტრანზიტით მივფრინავთ — თბილისი-კიევი-ვილინუსი. ნანა ჩვენზე ერთი დღით ადრე გაემგზავრა და იქ დაგვხვდება. ვზივარ თვითმფრინავში და ვცდილობ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, გავიხსენო, როგორ მიყვარდა ოდესღაც ეს მშვენიერი ამბავი — ფრენა (ჩემი ყველაზე ბოლო ფრენები სიზმარში განვახორციელებ და ურიგო შთაბეჭდილებებით არ დავბრუნებულვარ დედამიწაზე). ცოტა ველავ, მაგრამ არაიმიტომ, რომ ფრენის მეშინია, ისე, ზოგადად ვარ აფორიაქებული, უძილობის, მოსალოდნელი სიახლეების გამო. აი, არჩილს კი საკმაოდ ეშინია და ამას არც მაღავს. მცირე ტურბულენტური ზონა და იძაბება, იმშუშნება, თან ცდილობს, როგორმე დაიძინოს. რაღაც ხანი უკან, ცარიელ რიგშიც გადაჯდა და მართლაც მოახერხა ამის გაკეთება.

ლადოსას კი რას გაიგებ! ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, სპორტსმენი, უშიშარი. აეროფობიაზე, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ფობიებსა და მსგავს რამეებზე მხოლოდ ელიმბა. მაქსიმალურად ირგებს ცხოვრებას და, რაც ვიცნობ, თითქმის სულ ბედნიერია. ან რატომ არ უნდა იყოს, განა ახალგაზრდობა ამისთვის პატარა სტიმულია? — მაგრამ საქმეც ისაა, რომ ახალგაზრდობისას ამაზე საერთოდ არ ფიქრობ. ისე, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ხარ ამ მდგომარეობაში. ღვედები შევიკარით თუ არა, სასწრაფოდ თავისი უზარმაზარი მარტივნი ამოაძვრინა ზურგჩანთიდან და კითხვა დაიწყო. არ დაეზარა მაინც ამისიქე წიგნის წამოღება? ფაქტი იყო, რომ — არა! უკვე რამდენიმე თვეა, რაც ლადოც შეუერთდა იმ მრავალმილიონიან მკითხველთა არმიას მთელი მსოფლიოდან, რომელიც „ყინულისა და ცეცხლის სიმღერას“ კითხულობს. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ მეც, ვისაც არასოდეს მიზიდავდა „ფენტეზის“ ჟანრის რომანები, მათ რიცხვში აღმოვჩნდი. არადა, რაც მეტად ჩაყვევი, მით მეტად ჩამითრია, ველარ მოვწყდი. მე ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მომიწია ამ წიგნთან ურთიერთობა, თორემ ის, რომ თბილისში თურმე „ზემოდურნი“ ყოფილა მისი ნაკითხვა, ეს შემთხვევით ერთ-ერთ „ლიტერატურულ ფართზე“ გავიგე. მოდა იქით იყოს და, მართლაც, საითაც გაიხედავ, ყველა ამ წიგნზე ლაპარაკობს. როგორი ტემპითაც იწერება, ისეთივე ტემპით ითარგმნება, იკითხება და ამიტომაც გახდა მისი ავტორი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერალი. უნიკალური კი ეს ნაწარმოები ალბათ იმით არის, რომ ყველა თაობა ერთნაირი ინტერესით კითხულობს.

ლადო მიყვებოდა, ინტერნეტში ასეთი სტატიაც კი ვნახე, სადაც გამომცემლები მარტინს ეხვეწებიან, დაანებე სხვა ყველაფერს თავი, ჯერ ეს რომანი დაამთავრე, მაინც ასაკში ხარ, ემანდ რამე არ მოგივიდეს (ჯვარი სწერია!) — და არ დაგვლუპოო (საერთოდ კი თურმე შვიდ რომანად აქვს ჩაფიქრებული ეს წიგნი და აქედან ჯერ ხუთია გამოცემული).

მე კი — ყველას თავისი სცხელა — წინასწარ იმაზე მისკდება გული, ეს კაცი მთავარ გმირებს ასე ერთმანეთის მიყოლებით რომ ხოცავს, ნეტავ შემდეგი რომელი პერსონაჟი მოკვდება და რამდენ ხანში-მეთქი; და ეს მაშინ, როცა ჯერ რობერტისა და განსაკუთრებით ედარდ სტარკის სიკვდილიც არ მომინელებია.

როგორც აღმოჩნდა, „მოდას“ არც ლიტვაში ჩამორჩებიან. წამოსვლისას ვილინუსში მე და ლადომ წიგნების ერთ პატარა მაღაზრიაში ვნახეთ ლიტვურ ენაზე თარგმნილი მარტინის უკვე მესამე წიგნი. ქართულად კი ჯერ მხოლოდ პირველი რომანი ითარგმნა. თუმცა, იმედი მაქვს, თარგმანის მიმართ პრეტენზიული ქართველი მკითხველის არაერთგვაროვანი აზრის მიუხედავად (ინტერნეტში, ფორუმებზე ერთი ამბავია ატეხილი), ეს პროცესი გაგრძელდება.



ნანა დევიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ინა არჩუაშვილი

**6-საათიანი ლოდინი აეროპორტში, საბჭოთა არქიტექტურა და ჰაუარდ რორკი**

ჩემს სავარძელში ვარ გაყურსული და შიგადაშიგ არჩილის მხრის ზემოდან ილუმინატორში ვინებები. არც კითხვა შემიძლია და არც თვალის მოხუჭვა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე წვეთი არ მძინებია. ჯერ კარგად უნდა დავიჯერო მომხდარი, ვიფიქრო და ყველაფერი ზედმინევენით გავაანალიზო. მერე წინასწარ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინო, როგორი იქნება იქ ყოფნა, სადაც და ვისთანაც მივდივარ. იქ, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, შეძლებისდაგვარად კომფორტულად რომ ვიგრძნო თავი, ამისათვის ჩემმა წარმოსახვამ წინ უნდა გაუსწროს დამდეგ მოვლენებს. სხვაგვარად ძალიან მიჭირს ხოლმე ახალ გარემოსთან, უცხო ადამიანებთან შეგუება.

კიევის აეროპორტში სკამებზე აქეთ-იქით მიყრილებს 6-საათიანი აუტანელი შუალედი კიდევ უფრო გაგვეწვლა შიმშილის გამო. აეროპორტის კაფეში ვეროზე არაფერს ყიდდნენ, ვერც ფული გადავახურდავთ ვერსად; Duty free-ში კიდევ, რაღაც უაზრო ტკბილეული უნდა გეყიდა უძვირესად, რომ ხურდა გრივებში მოეცათ, რაც უკრაინელების ჯინაზე არ გავაკეთეთ. გმირული „ქართული მოთმინება“ გამოვიჩინეთ და ფრენამდე დარჩენილი დრო კითხვაში, მოსანვე ოთახში, შიგადაშიგ მცირე ნაძინებებსა და შენობაში წინ და უკან მოსიარულე ათასი ჯურის ხალხის თვალიერებაში გავიყვანეთ. ამის შემდეგ კი, ზუსტად ერთი საათისა და 15 წუთის გასვლის შემდეგ, ტაშით დავეშვით ვილინუსის აეროპორტში, სადაც ნანა, ჩვენი ლიტველი მასპინძელი, მწერალი ბირუტე იონუშკაიტე და ხუთ წუთში ორი-სამი უნიჭო ხუმრობის „მცხოველი“ მიკროავტობუსის მძღოლი გველოდებოდნენ. მაგრამ ვიდრე ლიტვის მიწაზე ფეხს დავადგამდეთ, კიევის აეროპორტით „მთავონებული“ ამ თემაზე ორიოდ სიტყვას კიდევ ვიტყვი:

ჩემი თაობის ადამიანები (უფრო პატარებიც) — რაც უნდა ბევრი ვიმოგზაუროთ, ვიკითხოთ, იმიჯი შევიცვალოთ — ნაწილობრივ მაინც „ჰომო-სოვეტიკუსებად“ ვრჩებით, რადგან ჩვენს ცნობიერებას კვლავაც ატყვია საბჭოთა იდეოლოგიისა და კულტურის კვალი. ზუსტად ჩვენსაირ ბედში არიან საბჭოთა ბორკილებისგან თავდაღწეული ქვეყნებიც, რომლებიც თითქოს ლამაზდებიან, იხვეწებიან, იერს ევროპულად იცვლიან, მაგრამ მათ ჩრდილოურ, აზიურ თუ კავკასიურ შუბლებს ჯერაც ადგას ხუთქიმიანი ვარსკვლავის მკრთალი წითელი შუქი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ კიევის აეროპორტის უზარმაზარი ვიტრინებიდან გარეთ რომ ვიყურებოდი, ისეთი

ნაცნობი იყო ყველაფერი, მეგონა, ისევ საქართველოში ვარ და, რომ გავიდე, მარჯვნივ თუ წავალ, ლილოს ბაზრობაზე მოვხვდები, მარცხენა მხარეს კი თბილისი დამხვედა-მეთქი.

ყველგან, მიუხედავად ახალაშენებულისა, გადაკეთებულისა, შელესილისა თუ შედებილისა, ჯერ კიდევ მკვეთრად იგრძნობოდა საბჭოთა ინჟინერ-არქიტექტორის, უფრო კი მუშის (აი, ისეთი, ბრინჯაოში ჩამოსხმულები ხშირად რომ გვინახავს დაკუნთულ ხელში დროშით), ვიდრე განათლებული, მოაზროვნე, ახალი იდეებით შთაგონებული ადამიანის ხელწერა, რომელიც თავის დროზე თხუთმეტივე „მომძე რესპუბლიკასა“ და აღმოსავლეთ ევროპის არაერთ ქვეყანაშიც ერთნაირად ხაზავდა და აგეგმარებდა ტყუპისცალივით მსგავს დასახლებებს, ქალაქებს, სოფლებს, დაბებს და, რა დასამალია, ფერმა-ბოსელ-ბაკებსაც კი; აგებდა და აშენებდა ერთი ზომის, ფორმის, ფერის მქონე შენობებს — საავადმყოფოებს, სკოლებს, უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებს, საბავშვო ბაღებს, მუზეუმებს, ხიდებს, აეროპორტებს და ა.შ. — ერთნაირი მასალითა და დიდი ერთუზიანობით.

სხვათა შორის, იგივე განცდა დამეუფლა ვილნიუსშიც, როდესაც აეროპორტიდან გამოვედი და ზუსტად ისეთი ხიდების ქვეშ გავძვერით, ისეთივე ქუჩებით ვიარეთ და ისეთსავე გარეუბნებს ჩავუარეთ, როგორებიც ჩვენთან გხვდებოდა, როცა კახეთის გზატკეცილით, გინდა აღმაშენებლის ხეივანით, დიღმის მხრიდან თბილისში შემოდიხარ. ამ ყველაფერმა აირ რენდის „პირველწყარო“ და არქიტექტორი ჰაუარდ რორკი გამახსენა. საინტერესოა, რას იზამდა რორკის პერსონაჟი, საბჭოთა კავშირში რომ ეცხოვრა? — ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ალბათ იმავეს, რასაც ამერიკაში აკეთებდა. თუმცა ჩვენ რეალური საბჭოთა ყოფიდანაც ვიცნობთ სხვადასხვა სფეროს „რორკებს“, რომელთაგან ერთ-ერთი, ალბათ, „პოეზიის არქიტექტორი“, იოსიფ ბროდსკი იყო. თუმცა, მოგვიანებით, ის მაინც იქ აღმოჩნდა, სადაც ჰაუარდ რორკი ცხოვრობდა.

და ბარემ, სადაც ამდენი, აქვე იმასაც დავძენ, სასიამოვნო რა გამახსენა კიევის აეროპორტმა, როცა თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოვდიოდი. რა და, 2012 წელს პოლონეთ-უკრაინის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი. აეროპორტის მესვეურებს რატომღაც სულაც არ უჩქარიათ ამ ჩემპიონატისთვის შექმნილი „ადიდასის“ ბურთის, „ტანგო 12-ის“ უზარმაზარი სარეკლამო ბანერის ჩამოსხნა, რომლის დანახვაზეც თვალები გამიბრწყინდა. მართალია, ეს უკვე ჩავლილი და ისტორიას ჩაბარებული დღესასწაული იყო, მაგრამ მაინც მიხაროდა, რომ ამ დიდი ზეიმის პატარა დეტალის თვითმხილველი მეც გავხვდი.

**სასტუმრო DIEMEDIS-ი, S. DAVKANT-ის № 11**

ეს იყო ჩვენი მისამართი და ბუდე პალანგაში. აქ გვეძინა, აქ ვმუშაობდით, ვჭამდით, ვსაუბრობდით, ვერანდაზე ვისხედით, აქედან გავდიოდით პატარ-პატარა ექსკურსიებზე და უკან ისევ სიხარულით ვბრუნდებოდით. აქ ყოფნის მდგომარეობა ყველაზე უბრალოდ და ზუსტად არჩილმა გამოხატა, როცა ერთ დღეს თავისი ჩვეული სიდიდით თქვა: „მნე უიუტნო!“



ლადო კილასონია

სასტუმროს სახელი რომ გავიგე ქართულად, უკვე სახე გამინათდა — DIEMEDIS-ი თურმე „ფშანს“ ნიშნავს. სასტუმრო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ფუნქციონირებდა და „მწერალთა სახლი“ ერქვა. მის დერეფნებში, ფოიესა თუ საკუთრივ ნომრებში გამოფენილი ფოტოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ოდესღაც აქ მართლა ჩქეფდა ნამდვილი „მწერლური ცხოვრება“ (ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას საბჭოთა რეჟიმი იძლეოდა). მოგვიანებით, როცა ლიტვამ „ევროპული წელთაღრიცხვით“ დაიწყო დროის ათვლა, „მწერალთა სახლი“ კერძო სასტუმროდ გადაიქცა. თუმცა მეპატრონის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან სახლს ძველი ფუნქცია შეუნარჩუნა და დღეს ის კვლავაც სიამოვნებით მასპინძლობს მწერლებსა თუ სხვა სახელოვნებო დარგების წარმომადგენლებს.

„ლიტვის საერთაშორისო ლიტერატურული სემინარი“ დიდხანია არსებობს და მას კოორდინირებას ლიტვის „მწერალთა კავშირი“ უწევს. ქართველებმა ამ სემინარში მეოთხედ მივიღეთ მონაწილეობა, რაც თავიდან ბოლომდე ნანა დევიძის დამსახურებაა. სწორედ მისი დიდი ძალისხმევით, პირადი კონტაქტებით, ლიტველი მეგობრებისა და კოლეგების დახმარებით მოხერხდა ამ პროექტში საქართველოს ჩართვა. ნანას შესახებ ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ თუ ლიტვაში წასვლამდე იქ ყველაზე ცნობილი ქართველი ჩვენი პრეზიდენტი მეგონა, იქ ჩასვლიდან ძალიან მოკლე ხანში ეს წარმოდგენა ნანა დევიძის სასარგებლოდ შეიცვალა.

თუმცა, ცხადია, მხოლოდ ნანას მონდომება ვერაფერს იზამდა, რომ არა ლიტვური მხარის კეთილი ნება და პროექტის ინიციატორისა და კოორდინატორის, პროზაიკოსისა და მთარგმნელის ბირუტე იონუშკაიტეს ძალისხმევა. ოღონდ მოხდა ისე, რომ

წელს მხოლოდ ქართველმა და ლიტველმა პროზაიკოსებმა მოვიყარეთ თავი პალანგაში და სემინარიც საღამოობით მხოლოდ ორენოვან თაბახის ფურცლებად იშლებოდა „ფშანის“ ვერანდაზე მაგიდის გარშემო შემომსხდარ მწერლებს შორის. სასიამოვნო სამუშაო პროცესი ქართულ-ლიტვური საინტერესო ამბების, შიგადაშიგ ენის, ლუღისა და საკმაოდ სუსხიანი საღამოების გამო, სასტუმროს მეპატრონის მიერ უფასოდ შემოთავაზებული ჩაის ფონზე მიმდინარეობდა. ერთი სიტყვით, თითქოს სამოვარი გვედგმოდა შუაში... თუ მაინც ძალიან შეგვივებოდა, იქვე მდგარ მონწილე კალათებში ჩაკეცილი ღუნღულა ფერადი პლედებიდან შეარჩევდი განწყობის შესაბამისი ფერისას, თბილად გამოეხვეოდი მასში და მერე, „თეთრ ლამებში“, გესაუბრა რამდენ ხანსაც გინდოდა მეგობრებთან, გენრუპავ ვისკი, ან უბრალოდ შენთვის გატრუნულიყავი და ეს უნიკალური ჩრდილოური სიმშვიდე დაგემახსოვრებინა სამშობლოში წასაღებად.

**რატომ ვფიქრობდი ლიტვაზე**

აღარც ვიცი, საიდან დავიწყო ამ ჩემს „მარადიულ“ საფიქრალ თემაზე მოყოლა, რომელიც წინაპრებმა თავის ტკივილად დამიტოვეს. რამდენჯერ მიითქვამს, რომ მორჩა, თავს დავანებებ გაუთავებელ ჩხრეკა-ძიებას, მოხუცი ნათესავებისა თუ ამ ამბის ყურმოკვრით მაინც მცოდნე უცხო ადამიანთა

გამოკითხვას, მაგრამ უცებ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამოვარდება ხოლმე, ისეთ რალაცას მივაგნებ, რომ ისევ ახლიდან ვივსები ერთუზიანებით და მზად ვარ, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანო.

ჩემს პოლონურ ძირებზე ვამბობ, რომელმაც, სამწუხაროდ, პოლონური გვართაც კი ვერ მოაღწია ჩემამდე. ამიტომაც დავდივარ ახლა და ჩემი დიდი პაპა-ბებიების დაუდევრობის გამო დაკარგულ ჩემს ნამდვილ გვარზე ინფორმაციას ვაგროვებ. ვეძებ მიზეზებს, რომლის გამოც ჩვენმა პატარა საგვარეულომ ის დაკარგა; სწორედ ამ კვლევის შედეგად გავიგე, რომ იგი ლიტვური წარმოშობის პოლონური გვარი ყოფილა.

ლიტვაში შეგროვებული ინფორმაცია, ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, მწირი და თითქმის არაფრისმომცემი აღმოჩნდა (ისე, ბევრს არც არაფერს ველოდი). გავიგე მხოლოდ ის, რომ აქ ჩემი გვარი კაცის ძალიან გავრცელებული სახელებების სახითაა შემორჩენილიყო (როგორც ჩანს, მართლა შორეულ საუკუნეებში დატოვეს ჩემმა წინაპრებმა ლიტვის ტერიტორია — ალბათ, რეზ პოსპოლიტის სახელმწიფოს შექმნამდე ბევრად ადრეც). მაშინ, როდესაც ჩემი მეგობრის, თათია ვოლტერსის წყალობით, რომელიც პოლონეთში სწავლობდა და დიდხანსაც ცხოვრობდა, ვიცე, რომ ის პოლონეთში ნამდვილად არსებობს და ერთ-ერთ ცნობილ და იშვიათ გვარად ითვლება. მანვე გამომიგზავნა საგვარეულო გერბიც, რომელიც თავის დროზე ჩემი და კიდევ ერთი წარჩინებული პოლონური გვარისთვის საერთო ყოფილა. უცნაური შეგრძობა იყო, ვერ ვიტყვი, რომ მღელვარების გარეშე შეეხვდი ამ ამბავს.

ახლა ჯერი პოლონეთზეა, სადაც, არ ვიცი, როგორ და რა გზით მოვხვდები, მაგრამ ვიცი, რომ აუცილებლად წავალ და, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ამომწურავ ინფორმაციასაც ჩამოვიტან ჩემი გვარის გენეალოგიაზე. მერე შეიძლება რომანის დაწერაზეც იფიქროს კაცმა (მითუმეტეს, რომ ამ საქმისთვის გახსნილი ერთი ფოლდერი დიდხანია ივსება ახალ-ახალი მასალით), შეიძლება გვარის დაბრუნებაც, ოღონდ არა რაიმე სნობური მოსაზრების გამო, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად მეხუთე თაობისა, ეს ჩემი ლიტვურ-პოლონური სისხლი დროდადრო ჯერ კიდევ ამიჩქროლებს ხოლმე გულს, და ესეც რომ არ იყოს, არ მინდა, მხოლოდ ჩემი დიდი პაპის ხალხში შემორჩენილ, არაფრისმთქმელ სლავურ სახელში მობღუნძულ-მოკუნტული დარჩეს ოდესღაც შორეული კრაკოვიდან „თელავის მახრაში“ გადმოსახლებული ჩემი წინაპრის ისტორია და სადაურობა.

**სემინარის ფორმატი და 3+3**

მდგომარეობა მავალდებულებს, უფრო კონკრეტულად ვილაპარაკო სემინარის შესახებ. წლებანდელ სემინარს სულ ექვსი მონაწილე ჰყავდა — სამი ქართული და სამიც ლიტვური მხრიდან. ჩვენს ქართულ ჯგუფზე უკვე ვთქვი, ლიტვურ სამეულს კი ორი მამაკაცი პროზაიკოსი — ვიდას მორკუნასი და პეტრას პაკსტიკასი და ერთიც ქალბატონი, ჩემი ეგრეთწოდებული მეწყვილე და ასევე ჩემი თანაოთახელი ონა იაუტაკე წარმოადგენდა. იყო კიდევ ერთი სიმპათიური, კომუნიკაბე-

ლური და გულთბილი ადამიანი სტუმრის სტატუსით — ვილინუელი პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი ვიტალი ასოვსკი.

ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას ნანამ მოამზადა როგორც ლიტველი მწერლების, ისე ჩვენი მოთხოვნების თარგმანის პნკარედები, რომელთათვისაც ჩვენ დასრულებული სახე უნდა მიგვეცა, ასე ვთქვათ, ხორცი შეგვესხა. სწორედ შინ დაწყებული სამუშაო გავაგრძელეთ პალანგაში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისიდან დამუშავებული ტექსტები წავიღეთ, მაინც არსებობდა კითხვის ნიშნები, დაუზუსტებელი დეტალები და ისეთი ნიუანსები, რომელთა შეჯერებაც ავტორთან აუცილებელიც იყო და სასურველიც. მუშაობის პროცესში კიდევ უფრო მეტი ხარვეზი გამოჩნდა. მხოლოდ ჩემი მოთხოვნის („მთვარე როგორც შარავანდედი“) სათაურის თარგმანზე ლამის ორსაათიანი ცხარე დებატები გაიმართა.



ლიტველი მწერალი ვიდას მორკუნასი

პალანგის ლიტერატურულ სემინართან დაკავშირებით არის კიდევ ერთი, აუცილებლად სათქმელი დეტალი: ეს სემინარი შეჯიბრის სახეს არ ატარებს, შესაბამისად, არც გამარჯვებულის გამოვლენას ისახავს მიზნად და არც იმის დადგენას, ვინ უფრო კარგი მწერალია და, ქართული მწერლობა სჯობს ლიტვურს თუ პირიქით. ეს არის ერთგვარი მცდელობა ორი ქვეყნის კულტურათა დაახლოებისა, იმ შეწყვეტილი ლიტერატურული პროცესის გაგრძელებისა, რომელიც სსრკ-ის დროს არსებობდა ლიტვასა და საქართველოს შორის; უპირველეს ყოვლისა კი იგი ემსახურება თანამედროვე ქართველ და ლიტველ მწერალთა და მათი შემოქმედების როგორც ერთმანეთისთვის, ისე ფართო აუდიტორიისთვის გაცნობას. ხოლო სემინარის შემაჯამებელი,

დასკვნითი ეტაპი ის აღმანახები თუ ინტერნეტგამოცემაა, რომლებშიც ბოლოს ორსავე ენაზე განთავსდება დასრულებული, სრულყოფილი ტექსტები და რომელთა წაკითხვის საშუალებაც თანაბრად ექნებათ ლიტველ და ქართველ ლიტერატურის მოყვარულებს.

**ყვავები, „ხატი-ძელები“ და ლიტვური ფოლკლორი**

არასოდეს დამავინწყდება ყვავები, რომლებმაც ლიტვაში პირველივე ნაბიჯების გადადგმაზე დაგვჩხავლეს თავზე. მერეც, მთელი იქ ყოფნის განმავლობაში, ყოველი დილა მათი ყრანტალით იწყებოდა და მთელი დღე მეგზურებადაც ისინი დაგვყვებოდნენ. არსებობს ასეთი ცრურწმენა, რომ ყვავის ჩხავილი ცუდი ამბის მომასწავებელია. ამიტომ ბავშვობაში მეც ხშირად ვიმეორებდი ასეთი შემთხვევებისთვის დაზეპირებულ, ალბათ ბებიისგან ნასწავლ „დამცავ“ სიტყვებს: „თუ კარგი ამბავი, ოქროს ნისკარტი, თუ ცუდი ამბავი, ქვის ქვეშ შენი ნისკარტი“, — თან ზედიზედ სამჯერ.

დილაობით, როდესაც ჩვენს სასტუმროსთან ახლოს მდგარი კათოლიკური ეკლესიის ზარები აგუგუნდებოდა, ისინიც თითქოს უფრო მონდომებით იწყებდნენ ჩხავილს. და მე, ბავშვობაში დაბრუნებული, ვინ იცის, მერამდენე „სამჯერი“ ბუტბუტითა და ლიმლით, ხან ოქროს ვუგზავნი მათ ნისკარტებს და ხანაც — ქვას. თან გვერდით მდგარი ონას საწოლისკენ ვაპარებდი თვალს, ემანდ არ ელვიდოს და არ იფიქროს, ეს მჩიბავი ვინ შემომისახლეს ოთახში. მაგრამ... საყვარელი, ფუმფულა ონა... არაფერიც არ ესმოდა, ბედნიერად ეძინა დი-

ლის ძილით და ხვრინავდა პროზაულად (რის გამოც, სხვათა შორის, მთელი ის ხანები მე, შეიძლება ითქვას, გამოუძინებელი დავდიოდი. ახლა კი უკვე ღიმილით ვიხსენებ ამ ამბავს). თანაც, ისიც ვიცოდი, რომ აქ არავის უკვირდა ჯადოქრობა და მისნობა; ლიტვა ხომ უკანასკნელი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. და ეს მოხდა არცთუ შორეულ წარსულში, სულ რაღაც 4-5 საუკუნის წინათ, რაც ძვალ-რბილში გამჯდარი წეს-ჩვეულებებისა და წარმართული კულტების დასაინფორმებლად ძალიან მცირე დროა.

აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხეში გამოკვეთილი რქიანი, ბანჯგვლიანი, ეშვებიანი ეშმაკები, ალქაჯები და გრძელელები (რაგნა ლიტურად) გხვდებიან, რომელთა პატივსაცემადაც გაზაფხულის ბუნიობისას დღესასწაულები ეწყობა, სრულდება სხვადასხვა რიტუალები და ცოდვების გამოსასყიდად ზირდაფრენილ ეშმაკებს ხახაში ხურდა ფულს უყრიან; აქ მითოსი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცოცხლდება ხის „ხატი-ძელები“ (ასე უწოდებს მათ ნანა დევიძე თავის თარგმანებში) და, ვინაიდან წარმართული წეს-ჩვეულებები და ქრისტიანული კულტურა ჯერ კიდევ შეხმატებულად თანაარსებობენ გვერდიგვერდ, ხშირად შეხვდებით ერთმანეთისგან სულ მცირე მანძილით დაშორებულ წარდახიან ხატი-ძელებს, რომელთაგან ზოგზე წარმართული დროის ქურუმი ქალებია ამოკვეთილი, ზოგზე კი ღვთისმშობლის სახე ან სახარების სიუჟეტები.

ჰოდა, ვინ იცის, ამ ყველაფრის ფონზე ეს ლიტურა ყვავებიც სულაც არ იყვნენ ჩვეულებრივი ყვავები და თუნდაც მათი ზღვის მბრძანებლის, პერკუნასის მიერ ხმელეთზე გამოგზავნილი ყვავებზე გადაქცეული აეშაგები იყვნენ! ფაქტია, რომ „გაჭრა“ ჩემმა ბუტბუტმა და არაფერი ავი არ შეგვმთხვევია ლიტვაში ყოფნისას.

**მწვანე ფერი დროშაზე**

საქართველოში ვერც მზით, ვერც სამშობლოსთვის დაღვირული სისხლით და ვერც მათი სიმბოლური ფერებით ვერავის გააკვირვებ. ამიტომ ჩემთვისაც არაფერია გასაკვირი ლიტვის სამფეოდელო დროშის ორ ფერში. აი, შუაში მოქცეული მესამე ზოლის მწვანე ფერზე კი გული მიჩუყდება, რადგან ის სიმბოლურად ბალახს განასახიერებს. მე არ ვიცი ზუსტად, რატომ მაინცდამაინც ბალახს, მაგრამ ჩემთვის ეს ნიშნავს ქვეყნის დამოკიდებულებას ზოგადად განახლების, სიცოცხლის, ბუნების, სიმწვანის, ეკოლოგიის მიმართ, რაც დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა. და ამიტომაც მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მშურს (რასაკვირველია, „კეთილი შურით“, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე) ისეთი გონიერი და მოაზროვნე ქვეყნისა, როგორც ლიტვაა; მშურს მისი ათასეულიობით კოლომეტრებზე გადაჭიმული დავარცხნილ-დაკრიკლებული მინდვრებისა, მოვლილი ზღვის სანაპიროებისა, ქვიშისა, რომელიც ისედაც წმინდაა და არც არავის მოუვა თავში მისი გაუნმინდურება ნარჩენი საჭმლით, ქალაქებით, თუნუქისა თუ პლასტმასის ცარიელი ბოთლებით; მშურს მისი კოხტად გაკრეჭილი პატარა სკვერებისა, ბოტანიკური ბაღებისა და დაცული ტყე-პარკებისა; მშურს მისი უმტვერო ქუჩებისა, გამონაბოლქვის გარეშე მოძრავი საზოგადოებრივი თუ კერძო ტრანსპორტისა; მშურს ეკოტურისტებისა, ურნაში ჩასაყრელად გამზადებული ნაგვის დუბარისხების კულტურისა, „უბიჩოკებო“ ტროტუარებისა, ეზოებისა, შარდით აუქოთებელი, ნათელი, დაუნერწყვავი სადარბაზოებისა, უნარჩენებოდ მიმდინარე ახალი მშენებლობებისა თუ ძველი შენობების უხმაუროდ, უმტკივნეულოდ, თვალს მოფარებულად ნგრევისა; მშურს ხეებისა, რომელთაც ტოტებზე არ ჰკიდიათ პოლიეთილენის დაქნისი ფერადი პარკები; იმ ძაღლებისა და კატებისაც მშურს, რომელთაც არ იციან, რა არის უპატრონობა, ქუჩა-ქუჩა ნანწალი და ნაგვის ურნებში საკვებისთვის ძრომიანი (ჩვენთან კი ამას ადამიანები აკეთებენ ჯერ კიდევ!) და ყველაზე მეტად მშურს აქაური სისუფთავის

სუნისა, კამკამა ჰაერისა და, რაღა თქმა უნდა, ამ ხასხასა, ნაპატივები, ქვეყნის დროშაზე ამაყად მოფრიალე სიმწვანისა, რომელიც ერის მაღალი კულტურისა და თვითშეგნების ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება მგონია!

**თომას მანის სახლი ნიდამი, ცაცხვის ხე პალანგაში და სხვა**

მთაბეჭდილებები ხილული და ხელშესახები რომ იყოს, ჰქონდეს წონა და მის გადატანას სხვა ტვირთით ჩემოდნები სჭირდებოდეს, მეექვსეა, ჩემი ბარგი ერთ თვითმფრინავში ჩატეულიყო. აღარაფერს ვამბობ ზედმეტი კოლორამებისთვის გადასახდელი თანხის ოდენობაზე. მაგრამ, კიდევ კარგი, რომ ღვთისგან ბოძებული ბუნებრივი „ჩიპებით“ დაგვაქვს ისინი, დაგვაქვს იმდენი, რამდენის ნამოლებსაც ვახერხებთ ამა თუ იმ ადგილიდან და, თანაც, ამის გაკეთებას არც არავინ გვიკონტროლებს და არც არავინ გვიკრძალავს. სწორედ ამის გამოა, რომ მე ახლა მშვიდად ვზივარ ჩემს კომპიუტერთან და ვცდილობ, copy-paste-თი ტვირნიდან რაც შეიძლება მეტი მოგონება გამოვიტანო „დღიურის“ ფურცლებზე. არადა, ძალიან ბევრია. და რადგან ზოგიერთს და კიდევ უამრავ, ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველ დეტალს არჩილ ქიქოძის, არა მხოლოდ კარგი მწერლის, შესანიშნავი ფოტოხელოვნის ხედვა და ფოტოაპარატი უკეთ შემოინახავს, მშვიდად ვარ. თუმცა ზოგიერთ რამეს, რაც მგონია, რომ მეც გადაღებული კადრის მარადიულობით დავიმახსოვრე, აუცილებლად ჩამოვთვლი. ესენია:

დღიურებზე ყოფნისას რბილ, მბრწყინავ, გაუკვალავ სილაში დარჩენილი ჩემი ნაფეხურები; ლიტურა მრგვალი, ვილნიუსიდან პალანგამდე მიმავალი გზიდან მინდვრებში მდგარი თუ „ნამონოლილი“ თივის კოკროჩინა ზვინები; „კურმის ცეცხლზე“ 1995 წელს გაჩენილი ხანძრისგან გადამწვარი 60 ჰექტარი ფიჭვის ტყის ადგილას შავი, მკვდარტოტებგაფარჩხული ხეები და იქვე, მათ ძირებში მოშრიალე ნორჩი, ასობით ახალგაზრდა ფიჭვი; თომას მანის ლურჯსახურავიან-ფანჯრებიანი საზაფხულო სახლი – ახლა უკვე „მემორიალური მუზეუმი“ ნიდაში, რომელშიც იგი 1930-33 წლებში ისვენებდა ოჯახთან ერთად და „იოსებსა და მის ძმებს“ წერდა; პალანგაში, გამოსამშვიდობებელ სადილზე მიდიებითა და, კაცმა არ იცის, კიდევ სხვა რა ჯადოსნური ინგრედიენტებით მომზადებული და შეზავებული ზღაპრული გემოს ლიტურა ეროვნული კერძი და აქაური სტუმარ-მასპინძლობა; ბირუტეს კუპრით შავი ძაღლი (ვითომ ფრანგული ბუღლოგი) — სპალისი, რომლის სახელი — ოქტომბერა — მე ქართულად უფრო მომწონს; ბირუტესთან პიკნიკზე მყოფი ერთ-ერთი მისი მეგობარი მსახიობი ქალი, რომლის მსგავს, დედამინაზე ცხოვრებით ასე ზეკმაყოფილ, თვალგებარწყინებულ და აღმაფრენით სავსე არსებსა მე ჯერ არ შევხვედრივარ; ვიტალი ასოვსკის უხერხული „კოცნა-ამბორი“, როდესაც პალანგიდან გამომგზავრების წინა საღამოს თავისი ნომრის კართან მდგომს და ოდნავ გაოცებულს საქართველოდან წაღებული ერთი ბოთლი „ქინძმარაული“ მივაჩეჩე ხელში (ოღონდ არ ვიცი, ჩემ გამო მოხდა ეს თუ ღვინის გამო); ბირუტეს, ნანას და ონას ერთობლივად თანხით ნაჩუქარი ქარვის ბეჭედი ხომ სულ მემახსოვრება და მემახსოვრება; ასევე ტამპევიჩის ქარვის მუზეუმი; ბორანი, რომელზეც ჩვენი მიკროავტობუსიანად შევდევქით და ისე გავცურეთ ყურეში; ძველი ვილნიუსის ძველი თბილისის მაგვარი ვინრო (ოღონდ ბევრად სუფთა და ჩუმი) ქუჩები და შესახვევები; სასტუმრო „ბერნანდენო“, რომელშიც ვილნიუსში გავჩერდით და ჩემი კონა ოთახი; დედაქალაქის მთავარი, გედემინასის პროსპექტი და ახალი ვილნიუსი — არაასართულიანი და გემოვნებიანი შენობებით; ლიტურა კარგამოკეტილი და მცირემრველიანი კათოლიკური ტაძრები; ჩრდილოური უძალო მზე, რომელზეც ნანას შვილს, იქ რომ ყოფილა, უთქვამს, დედა, ეს რანარი მზეა, ანათებს და არ

ათობსო; დაბოლოს, პალანგაში ჩვენი სასტუმროს წინ მდგარი ერთი წვრილფოთოლა ცაცხვი, რომელსაც იქ ყოფნისას დაუმეგობრდი და, წამოსვლისას ხორკლიან კანზე რომ მოვეფერე, რატომღაც ასე ვუთხარი — დამიმხსოვრე, ბიჭო-მეთქი.

**ნანა და ბირუტე**

ახლაც მრცხვენია, როგორ უხერხულად გამომივიდა მაშინ: ნანამ ლიტვაში ქართულ ენაზე თავისი თარგმნილი ბირუტეს მოთხრობების კრებული „ჩუმი ყვავილობა“ რომ მაჩუქა, ბირუტეს გულუბრყვილოდ ვკითხე, ეს თქვენი პირველი წიგნია-მეთქი, არადა, უკვე ოთხი რომანისა და ექვსი პროზაული კრებულის ავტორი ყოფილა და ერთ ახალ რომანსაც ამთავრებდა თურმე. მაგრამ რაც იყო, იყო. სირცხვილი კი იმით გამოვასწორე, რომ ბირუტეს მოთხრობები სასწრაფოდ წავიკითხე და ამის მერე კიდევ უფრო დავაფასე ჩვენი მასპინძელი.

ცხოვრებისგან განსხვავებით, ბირუტე იონუშკაიტე შემოქმედებაში ნაკლებად ენერგიული, მაგრამ მეტად მგრძობიარეა; თუმცა სწორედ მის ამ „ჩუმ“ ემოციებშია უზარმაზარი დინამიკა. ის აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ ისეთი აზარტით შეგიყვანთ თავის მწერლურ სამყაროში, ისე მოგატარებთ ლიტვურ სოფლებს, მუზეუმებს, მინდვრებს, ტყეებს და ისე შეგაყვარებთ ლიტვური დიდი გულისა და ფაქიზი გრძნობების მქონე უბრალო ადამიანებს, რომ როდესაც კითხვას დაასრულებთ, აღმოაჩენთ, რომ ისინი უკვე თქვენი ახლობლები არიან და მათთან განშორება გაგიჭირდებათ; ამასთან, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით იმ მარტივ ჭეშმარიტებაში, რომ ლიტერატურას მართლაც არ გააჩნია საზღვრები და, ლიტველი, ქართველი, ესტონელი, გერმანელი თუ ნებისმიერი სხვა ეროვნების მწერლის საფიქრალი და სათქმელი, დაწყებული იმ დროიდან, როდესაც ადამიანებმა ხატოვანი დამწერლობით გამოხატეს თავიანთი ემოციები გამოქვაბულის კედლებსა თუ ქვებზე, კვლავაც ყველგან, მთელს მსოფლიოში ერთნაირია და განსხვავება მხოლოდ ხელწერასა და ენაშია.

ერთი სიტყვით, ბრაგო ბირუტე იონუშკაიტეს და მასთან ერთად ნანა დევიძეს, რომელმაც გადმოაქართულა მეგობრისა და მშვენიერი მწერლის წიგნი. პირველივე სტრიქონებიდან იგრძნობა, როგორი სიყვარულითა და სიფრთხილით არის შერჩეული ყოველი სიტყვა, რამხელა შრომაა დახარჯული თითოეული ჩაგვირისტებული წინადადების თარგმნაში. ამ პატარა მოთხრობებში ქართული ენის მთელი „მიძინებული“ ლექსიკური არსენალია გამოყენებული იმისათვის, რომ მთარგმნელს წიგნის წაკითხვისას წამდვილი სიამოვნება მიეჩიებინა ქართველი მკითხველისთვის.

შემოდგომაზე ქართველი პოეტების მოწვევით ბირუტე საქართველოში ჩამოდის მეულარესთან ერთად. ნანა ფიქრობს, რომ სწორედ ამ დროს დაამთხვიოს მისი ქართულენოვანი „ჩუმი ყვავილობის“ პრეზენტაცია (რომლის გამართვასაც თელავში აპირებს) და ლიტველ მეგობარს ლამაზი, დაუვინყარი საღამო აჩუქოს. ჯერ მანამდე საკმაო დროა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს მშვენიერი იდეა აუცილებლად შეისხამს ხორცს.

**„ვისო გიარო“ ლიტვა!  
(ნახვამდის ლიტვა!)**

და აჰა, 16 ივნისიც დადგა, ჩვენი წამოსვლის დღე. აეროპორტში ბევრი „აჩუ“ (მადლობა ლიტვურად) ვუთხარით ჩვენს ენერგიულ, მწვანეთვალეზა მასპინძელს. თბილად ჩავეხუტეთ და დავადექით შინისკენ მიმავალ საჰაერო გზას ვილნიუსიდან კიევამდე, რომელიც თითქოს ახლა უფრო მოკლე მეჩვენა. აღარც კიევის აეროპორტში დაგვჭირდა დიდხანს ლოდინი და, აჰა, მარტინი-მურაკამი-პელევისის გადაშლილი წიგნებით და ამავე თანამედვერობით (ლადო-მე-არჩილი) უკვე ჩვენს კუთვნილ სავარძლებში ვსხედვართ და სამშობლოში მივფრინ-

ავთ. ლადო ისევ მთელი არსებით არის ჩამძვრალი თავის მარტინიში, მე და არჩილი ცოტა დაუდევრად ვკითხულობთ და საამისო მიზეზიც გვაქვს: არჩილს ისევ ეშინია ფრენის, რადგან ტურბულენტულ ზონებში ახლა უფრო ხშირად ვხვდებით (ეტყობა, ცუდი ამინდია ზეცაში); მე კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში ვბრუნდები, მაინც ჩვეული შინაგანი ფორიაქი მაქვს და თან ცოტა დავილაღე კიდევ. გარეთ გახედვას აზრი არა აქვს — სრული ზეციური სიბნელეა. როგორც იქნა, პირველი მოთხრობა ჩავამთავრე, სადაც ჰარუკი მურაკამის პერსონაჟი კამურაც, დარდიან გულზე და უცნაური მიზეზით, თვითმფრინვაში ჯდება და მიფრინავს, ოღონდ ის ტოკიოდან კუნძულ ჰოკაიდოზე, კუსიროში.

ამასობაში თბილისის ცაზეც შემოვცურდით. დაბლა დედაქალაქის შუქები გამორჩნდა, სალონში კი „ქართული ჩორქოლი“ ატყდა. მაგრამ წვიმდა თბილისში. არადა, წესით, სულის შემხუთველი სიცხე უნდა დაგვხვედროდა. ლადოს ხნისა რომ ვყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, რომანტიკული მომეჩვენებოდა ეს ყველაფერი. ახლა კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, მშვიდობიანად დავეშვათ-მეთქი. წვიმაზე გამახსენდა მართლა, გამგზავრების წინ ნანამ გაგვავრთხილა, ქოლგები წამოიღეთ აუცილებლად, პალანგაში სულ წვიმსო. წავიღეთ, მაგრამ არც კი გაგვიშლია. ჩვენს იქ მყოფობაში სულ ერთადერთხელ წამოწვიმა და მაშინაც უცებ გადაიღო. ასე რომ, წვიმიანი ქვეყნიდან ჩამოსულებს (ietus ხომ წვიმას ნიშნავს ლიტვურად და, ლიტვასთან დაკავშირებული მრავალი ვერსიიდან ერთ-ერთის მიხედვით, ქვეყანას სწორედ ამიტომ ჰქვია ეს სახელი) წვიმა ჩვენს მზიან ქვეყანაში დაგვხვდა. თუმცა ვიდრე აეროპორტის შენობიდან გამოვიდოდით, გადაიღო კიდევც.

ვისო გიარო, ლიტვა! კარგი იყო შენთან, მაგრამ სამშობლო მაინც სამშობლოა, — გავიფიქრე გულში და თვალებით დასახვედრად მოსულ ჩემიანებს დავუწყე ძებნა.

**P. S.** ახლა ვზივარ და ვფიქრობ, „დღიურებს“ ავტორის ადგილას ქართული გვარ-სახელი დავანერო თუ ლიტვურ-პოლონური? ჩემს რამდენიმე სახელთან ერთად მაქვს კიდევ ერთი, არაქართული და „შუუმდგარი“ სახელი, რომლის დარქმევაც მამაჩემს თურმე ძალიან უნდოდა ჩემთვის, მაგრამ ანკეტის გახსნის დროს მტკიცე „საბჭოთა უარი“ უთქვამთ, ეგ სადაური სახელია, ვერ ჩაგინერთო. ჰოდა, რადგან აქამდე მე ის საჯაროდ არასოდეს გამიხმაურებია, გადავწყვიტე, გვართან ერთად სწორედ დღეს, დუეტში შედგეს მისი სიმბოლური დებიუტი და ლიტვიური დღიურების წერასაც ამით დავასრულებ.

**ედით იურბა**  
*პალანგა-ვილნიუსი-თბილისი*

**ფოტოები**  
**არჩილ ქიქოძისა**



საბავშვო ეტლები დიუნებში

ბაკურ გვგია

# ამერიკული გარდა და მოშუშებული ნატყვიარები

2001 წელს სხვა რამ განსაკუთრებული და ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ცოტაოდენი ხმაური გამოიწვია ჰომოსექსუალიზმის ფაქტმა. ზედამხედველმა ორ პატიმარს ტუალეტში სექსუალური აქტის დროს შეუსწრო და ორთავენი კარცერში წაიყვანა. ყველას ის უკვირდა, იმ ტუალეტში მოსასაქმებლად შესვლაც კი აუტანელია და იქ ამურების გამართვა ამ ორმა იდიოტმა როგორ მოახერხაო.

ამავე წელს საშკას ცნობა მოუვიდა, შენი ძმა ეკატერინბურგში მოკლესო. საშკას ძმა კრიმინალური ავტორიტეტი იყო და დაპირისპირებული ფრთის წარმომადგენლებმა გავლენის სფეროს გადაწინააღმდეგებას დროს თავიდან მოიშორეს.

საშკას დანა პირს არ უხსნიდა. შურისძიების წყურვილი ახრჩობდა. ცრემლებს კი მალავდა, მაგრამ სულ მთლად უმინიშნელო რამეზე წამოენთებოდა და ხელი დანისკენ გაურბოდა. ჩვენ კარგად გვესმოდა, რაც აწუხებდა და ყოველმხრივ ვცდილობდით მის დაშვიდებას. ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა.

მკაცრი რეჟიმის კოლონიაში რვა წელი გავატარე და ძალიან გამიმართლა, რომ ჩემი იქ ყოფნის დროს გავლენის სფეროების ხელახალი გადაწინააღმდეგება არ დაწყებულა. ზონაზე ყველაზე მეტი საშინელებანი სწორედ გავლენის სფეროების გადაწინააღმდეგებას მოჰყვება ხოლმე. ასეთ დროს დღეში სულ ცოტა ერთი მკვდარი გააქვთ ხოლმე ზონიდან. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმ წელს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან იყო ჩემი გადაბირების მცდელობა. ათასგვარ შეღავათებს შემპირდნენ, შუამდგომლობასაც კი შტატის გუბერნატორთან. მაგრამ თავიდანვე ისე მტკიცედ მეჭირა თავი, მიხვდნენ, რომ ვერ მაცდუნებდნენ და თავი დამანებეს.

სასადილოდან საკვების მოპარვის უფლება მხოლოდ ჩვენს დაჯგუფებას ჰქონდა. სამაგიეროდ არც ჩვენ გვექონდა უფლება ხელი ჩაგვეყო სხვის ბიზნესში. ეს კანონი მკაცრად იყო დაცული ყველას მხრიდან, მაგრამ ზოგჯერ მაინც ირღვეოდა. იყო ასეთი შემთხვევა, სამმა ზანგმა სასადილოს საწყობიდან რაღაც მოიპარა. ეს რამდენჯერმე მოხდა. მკაცრად გავაფრთხილეთ, რომ განმეორების შემთხვევაში სასჯელი არ ასცდებოდათ. ყურად არ იღეს. იძულებულნი გავხდით მიგველო შესაბამისი ზომები.

სასადილოს საწყობში ჩავსაფრდით. შუადღე უკვე გადასული იყო. დაველოდეთ, სანამ სამივენი შემოვიდოდნენ და მათთვის მოულოდნელად თავს დავესხით. სასტიკად ვცემეთ. ამან ეფექტი გამოიღო. საკვების ქურდობის ფაქტი არავის მხრიდან აღარ გამოერებულა.

წლის მიწურულს ზონაზე ჩატარდა საჭადრაკო ჩემპიონატი. გადაწყვიტე მოწინააღმდეგე მიმელო. ფავორიტად ოდესეული ებრაელი იაშა მოიარებოდა. იგი კარგა გრძელ სასჯელს იხდიდა მეგობართან ერთად საიუველირო მალაზიის დაყაჩაღების გამო. ხუთი მილიონის ბრილიანტები წაუღიათ. მერე ეს ბრილიანტები გაყიდვის მიზნით შემსყიდველთან მიუტანიათ. ეტყობა შემსყიდველი უკვე იმყოფებოდა პოლიციის საფანგში, ამიტომ მანაც თავის მხრივ იაშას და მის თანამოსაქმეს ხაფანგი დაუყო. უთხრა, ამდენი ფული ახლა არა მაქვს და ცოტა ხნის შემდეგ გადაგიხდითო. ფულის წამოსაღებად რომ მივიდნენ, იქ პოლიცია დახვდათ და ორივენი დააპატიმრეს.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17,18

იაშა ჭკუით გამოირჩეოდა. ხუმრობა საქმე არ არის ისეთი საიუველირო მალაზიის დაყაჩაღება, სადაც ხუთი მილიონის საქონელი ინახება. თანამოსაქმეც გონივრულად ჰყავდა შერჩეული, სეიფების გახსნის სპეციალისტი, ეგრეთნოდებული მედევე-ჟატნიკი. ყველაფერი გენიალურად გათვალეს და ოპერაციაც უმაღლეს დონეზე ჩატარეს, მაგრამ გასაღების საკითხში ფეხი დაუცდათ და იაშა 17-წლიან სასჯელს იხდიდა. შეიარაღებული ძარცვისთვის ოპიოს შტატში სჯიან 4-დან 20 წლამდე.

იაშას ოდესეული ბაბუა გასული საუკუნის დასაწყისში ოდესაში დიდი საოქრომჭედლო სახელოსნოს და რამდენიმე საიუველირო მალაზიის მფლობელი ყოფილა. თურმე ძალიან მეგობრობდა ნესტორ მახნოსთან და მისთვის რამდენჯერმე ფინანსური დახმარებაც კი გაუწევია. ბოლშევიკების მიერ უკრაინის ოკუპაციის შემდეგ, პოლონეთში გაქცეულა, იქიდან ჰოლანდიაში, სადაც დაიბადა კიდეც იაშას მამა. ფაშისტების მიერ ჰოლანდიის ოკუპაციის შემდეგ, ამერიკაში გაქცეულა. იაშა უკვე ამერიკაში დაიბადა, 1959 წელს. რომ წამოიზარდა, მამის რესტორანში დაიწყო მუშაობა. რესტორანში ყური მოჰკრია საიუველირო მალაზიის ამბავს, სადაც რამდენიმე მილიონის საქონელი ყოფილა გამოფენილი. აქ დაეხვდა აზრი ამ მალაზიის დაყაჩაღებისა, რაც უმაღლეს დონეზე ჩატარა კიდეც.

ამრიგად, სწორედ იაშა ითვლებოდა ჩემპიონატის ფავორიტად. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა. წაგებული ეთიშებოდა ჩემპიონატს. მოხდა ისე, რომ ორი გამარჯვების შემდეგ, იაშას დავუპირისპირდი. მასთან ადრეც მითამაშია და უარყოფითი ბალანსი მქონდა. ასე რომ, მაინცდამაინც დიდი იმედებით არ მიუფუჯეტი საჭადრაკო დაფას. თან ის ანეკდოტიც გამახსენდა: ერთი სომეხი – ვაჭარია, ორი სომეხი – ვაჭართა გილდია, სამი სომეხი – შეიარაღებული რაზმი ყარაბაღში. ერთი ქართველი – ბელადი, ორი ქართველი – პოლიტიკური, სამი ქართველი არ ყოფილა და ღმერთმა ნუ ქნას. ერთი ებრაელი მეგახშეა, ორი ებრაელი – საჭადრაკო დაფა, სამი ებრაელი – სიონიზმი. ასე რომ, შესანიშნავად ვიცოდი ვისთანაც მქონდა საქმე. ისლა დამრჩენოდა, ოსტაპ ბენდერივით თამაშის დროს რამეფრად ეტლი ან კუ მაინც მომეპარა. მაგრამ იხტიბარი არ გავიტყე და შევეუდექით თამაშს. წავაგე და ტურნირს გამოვეთიშე. მაგრამ როცა იაშა ჩემპიონი გახდა, თავი იმით დავიმშვენიე, რომ ჩემპიონთან და არა სხვა ვინმესთან დავთმე საჭადრაკო გვირგვინი.

ახალი წელი ახლოვდებოდა. როგორც ყოველთვის, სიტუაცია ამყარდა. დაიწყო ჩხრეკა და ვაი-უშველებელი. მაინც შევეძლია რაღაც-რაღაცეების გადამალვა და ახალ წელს, ასე თუ ისე, ღირსეულად შევეგებეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზედამხედველები უფრო წვრილფეხობას ერჩოდნენ, დაჯგუფების წევრების მიმართ კი ლოიალური იყვნენ. კარგად ესმოდათ, რომ წესრიგი ციხეში სწორედ დაჯგუფებების წყალობით მყარდებოდა. საერთოდ ყველგან ასეა, ზონას ძირითადად პატიმრები მართავენ და ეს აწყობს ორივე მხარეს, პატიმრებსაც და ციხის ადმინისტრაციასაც.

ჩვენმა დაჯგუფებამ შეკვეთები მიიღო და ჩვენც ქურდობა გავახშირეთ. ადმინისტრაციას ეს არ მოეწონა და გამოძიება დაიწყო. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი სერგეიც იყო. თუკი სხვების წასაყვანად ერთი ან ორი ზედამხედველი მოდიოდა, აქ რვანი მოვიდნენ. ზონაზე მიღებული ფორმაა ეჭვმიტანილის კარცერში ჩასმა და შემდეგ გამოძიების ჩატარება. უდანაშაულობის პრეზუმფცია აქ ძალადაკარგულია ითვლება. სერგეის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ან კი რაში სჭირდებოდა. იცოდა, რომ ვერაფერს ვერ დაუმტკიცებდნენ. მართლაც, ხუთი დღის შემდეგ სერგეი გამოუშვეს. საკვების ქურდობის ფაქტი გაუხსნელი დარჩა. ჩვენმა შემოსავალმა კი საგრძნობლად იმატა.

2001 წელს პირველად აღვნიშნე სტალინის დაბადების დღე პატიმრებთან ერთად. სტალინი მსოფლიოში ერთადერთი საყოველთაოდ ცნობილი ქართველია. ხომ უნდა სცოდნოდეთ, ვისი თვისტომი ვარ. რუსები რომ ამყენენ, არ გამკვირვებია, ებრაელებიდან მოვიდნენ მარტო იაშა და ფიმა, უკრაინელები საერთოდ არ

გამოცხადდნენ, მაგრამ ჩემი ნამდვილი გაცემა გამოიწვია არი-ელთა სამოსი, ანუ ფაშისტების გამოჩენამ. გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰიტლერის ღრმა პატივისცემამ პროლეტარიატის ბელადისადმი. არიელები თავის მონივნებას იმითაც ხსნიდნენ, რომ ამ ორ ტირანს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ორთავენი დაბალი სოციალური ფენიდან იყვნენ, ორივენი პარტიის საზით მოვიდნენ ხელისუფლებაში, ორთავეს სძულდათ ებრაელები, ორივენი ზარზეიმით აღნიშნავდნენ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, 1 მაისს. ოცდაათამდე კაცი შევიკრიბეთ. მაგარი სუფრა გვქონდა გაშლილი. კაცურად მოვილხინეთ. სასმელზე უარი ვთქვით. არ გვინდოდა პრეცედენტის შექმნა. ერთი ასეთი შემთხვევა და მერე სულ ზედამხედველობის ქვეშ მოგვინევდა ყოფნა.

დეკემბერი მიილია. 2002-მა წელმა ციხის კედლები მარტივად გადმოლახა და ჩვენამდეც უპრობლემოდ შემოაღწია. პატიმრებს სხვაგვარად უხარიათ ახალი წლის მოსვლა. გარდა იმ სიხარულისა, რომ კიდევ ერთი წელი გაუძლეს ამ საშინელ პლანეტაზე ყოფნას, ისიც უხარიათ, რომ პატიმრობის ვადა შეუმცირდათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალ წელს აქაც ახალი იმედებით ხვდებიან. ციხე იმითაც აერთიანებს ადამიანებს, რომ ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს, რაც შეიძლება მალე დატოვოს ციხის კედლები. ამიტომაც, რომ სასჯელზე წლების დამატება ციხეში ჩადენილი დანაშაულის გამო, ყველაზე დიდ უბედურებად ითვლება.

ახალი წელი ჩვენი დაჯგუფებისთვის მშფოთვარედ დაიწყო. ნისიად გაცემული პროდუქტების ფული გვქონდა ამოსაღები. ხუმრობა ხომ არ იყო, ჩვენი ვალი 47 კაცს უნდა გადაეხადა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აქედან თერთმეტნი ზანგების დაჯგუფების წევრები იყვნენ.

გადავწყვიტეთ წვრილფეხობით დაგვეწყო და ბობოლებზე მერე გადავსულიყავით.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ზოგი დავაშინეთ და ვალი მოვატანინეთ. ვისაც ანგარიშზე ფული არ ჰქონდა, პირადი ნივთები ჩამოვარტეთ. რამდენიმესთან უხეში ძალის გამოყენებაც დაგვჭირდა, ერთ-ორს რბილად მოვცხეთ და ყველამ იკადრა ვალის დაბრუნება.

მაგრამ საქმე გართულდა, როცა ზანგების დაჯგუფების წევრებს მივაღექით. ავუსხენით, განვუმარტეთ, ვითარება გავარჩიეთ. არაფერმა არ გაჭრა. მივხვდით, რომ ძალისმიერი ღონისძიებების გარეშე, პერსპექტივა არ გვქონდა. კარგად გვესმოდა, რომ შეტაკება კარგს არაფერს მოგვიტანდა, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ავტორიტეტი ილახებოდა და ჩვენი ბიზნესიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

ჩავატარეთ ოპერატიული შეკრება. დადგინდა, იმ თერთმეტი მოვალედან ჯერ ხუთს გავსწორებოდათ, სამი მათგანი გვეცემა, ორი დაგვესახიჩრებინა. დასახიჩრებაში ძირითადად იგულისხმებოდა სახის დამახინჯება ქიმიკატის ან ბასრი იარაღის გამოყენებით.

გადანწყვეტილების მიღებისთანავე შევუდექით მის სისრულეში მოყვანას. ცემის ორგანიზება დაველა სერგეის, დასახიჩრება — სამას და სლავიკას. მე, როგორც სერგეის პარტინი-ორი ბოქსში, ცემის პროექტში აღმოვჩნდი. სამივენი დავიმარ-

ტოხელეთ და ვალის გადაუხდელობის სიმწარე შევახსენეთ. ეს სიმწარე საშამ და სლავიკამ იმ ორის სახეზე ასახეს. როგორც ველოდით, ამას სერიოზული გართულება მოჰყვა. სრული სიჩუმე ცხადყოფდა, რომ ზანგები ვენდეტას ამზადებდნენ. სასწრაფოდ შევთავაზეთ გარჩევა. ცოტა კი გაგვიკვირდა, მაგრამ ისინი შეხვედრაზე მართლაც მოვიდნენ. ჩვენ ავუსხენით, რომ ეს არც ფულის და არც რასობრივი სიძულვილის გამო არ გაგვიკეთებია, რომ აქ მთავარი იყო პრინციპი, რომლის დარღვევა სამუდამოდ შელახავდა ჩვენს ავტორიტეტს.

რატომ წინასწარ არ გაგვაფრთხილეთო? პირდაპირ საქმეზე რატომ გადახვედითო?

თქვენი დაჯგუფების წევრები ეგენი არიან და თავისი გაჭირვება თქვენთვის თვითონ უნდა გაემხილათ, ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა, თქვენს შიგნით რა ხდებაო, იყო ჩვენი პასუხი. თუ ომი გინდათ, კი ბატონო, ვიომოთ, ოღონდ გავსოვდეთ, გამარჯვებული მხარე არ იქნება და ეს გაითვალისწინეთო, ვუთხარით. ისიც გავიხსენეთ, ვანიას ვალი როგორ დავფარეთ დაჯგუფების წევრებმა და ვურჩიეთ ჩვენი მაგალითისთვის მიებაძათ.

მართლაც, როგორც კი მალაზიაში წასვლის მორიგი დღე დადგა, ვალი ბოლომდე გასტუმრებულ იქნა. კეთილი ნების ნიშნად შემოგვთავაზეს პორნო-ჟურნალების და პორნოფილმების უფასოდ ჩვენება. ეს უკვე სრულ შემორიგებას ნიშნავდა.

2002 წელში ვორდენს ანუ ციხის უფროსს ახალი მოადგილე დაუნიშნეს. გამოიცვალა სამი კაპიტანი, ორი ლეიტენანტი დაანინაურეს და კაპიტნის რანგში აიყვანეს. ამით ჩვენთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. უფრო ფრთხილები კი გავხდით. სანამ ახალმოსულ ზედამხედველს არ გაიცნობ, არ ღირს რაიმე

რისკზე წასვლა. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის და ვინ უწყის, თავის გამოჩენის მიზნით რა შეიძლება ჩაიდინოს ახალმოსულმა.

შეიცვალა ჩემი კამერის მოსახლეთ. ბუნებრივია, სულ მალე გავიცანი და დაუახლოვდი კიდევ. შთამომავლობითი ამერიკელი იყო, სახელად დევილი, გვარად კუპერი. ორმოც წელს იყო მიტანებული. მიველოდით მისი გაასამართლეს, თავისი ბოსი ჰყავდა მოკლული. მშენებლობაზე უმუშავია მუშების დამქირავებლად. ბოსთან შეკამათება მოსვლია, რაც შეხლა-შემოხლაში გადაზრდილა. სახლში წასულა, ვინჩესტერის თოფი გადმოუღია, ოფისში შეჭრილა და რამდენიმე გასროლით ბოსი საიქიოს გაუსტუმრებია. მიმალვა არ უცდია. შინ მისულა და არაყს მიძალბებია. ბახუსთან დამეგობრებული აუყვანიათ პოლიციელებს. 30 წელი მიუსაჯეს, 20 მკვლელობისთვის და 10 იარაღის გამოყენებისთვის. მისი შემწეობით კიდევ უფრო ახლოს გავეცანი ამერიკელთა ცხოვრებას და რაც მთავარია, ამერიკულ-ინგლისურ ენას მთლად გავუშინაურდი.

2002 წელს მმართველ წრეებში და საზოგადოებაშიც პირველად დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ოპაიოს შტატში ციხეები მეტისმეტად გადატვირთულია და ეს მძიმედ აწევა შტატის ბიუჯეტს. გარდა ამისა, ამ წელიწადში ოპაიოს ფედერალურმა დავალიანებამ შეადგინა 3 მილიარდი დოლარი. ეს ვითარება შეეტყო ოპაიოს ციხეებსაც. უფრო ნაკლები სიხშირით გვინევდა ზონაზე მოსული საკვებით სავსე ტრალიერების დაცლა.



მხატვარი აივენგო ჭელიძე



2002 წელს პირველად შეეცადნენ ოპიოს შტატში შემოვლათ ეგრეთწოდებული სრით სტრიაკ ლოო, ანუ მესამე ნასამართლევობის კანონი. თუკი მოქალაქე სამჯერ ჩაიდენდა სისხლის სამართლის დანაშაულს, სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა. მაგრამ ოპიოს სენატმა ეს კანონპროექტი არ დაამტკიცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა იქონია კალიფორნიის შტატის მაგალითმა. იქ უარი თქვეს ამ პროექტზე ციხეების მეტისმეტი გადატვირთულობის გამო. უფრო მეტიც, კალიფორნიის შტატში იძულებულები გახდნენ პატიმრები სხვა შტატის ციხეებში გადაეგზავნათ.

ოპიოს შტატში და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მთელ ამერიკაში პენიტენციურ სისტემაში არსებობს ორგანიზაცია სახელწოდებით პროვოლ ბორდ, რაც ნიშნავს პატიმართა განაჩენების განმხილველი კომიტეტი. მათი ყოველი შეკრება ფინანსდება. ისინი აშკარად არ არიან დაინტერესებული პატიმართა რიცხვის შემცირებით. სწორედ ამიტომ, პატიმრებს მათ დანახვაზე იდოისინკრეზიის შეტევა ეწყებათ. ყოველი მათგანი ოცნებობს სადმე ბნელ კუთხეში დაიმარტოვოს კომიტეტის წევრი და ერთხელ და სამუდამოდ იყაროს ჯავრი. სწორედ ამ კომიტეტის დამსახურებაა ერთსაწლიანის ნაცვლად ორსაწლიანი კამერების შემოღება, მათივე დამსახურებით იყო გამოწვეული კვების და პატიმრების მოვლის დეფიციტი.

ამავე წელს, 26-წლიანი პატიმრობის შემდეგ, გათავისუფლდა იტალიური წარმოშობის ამერიკელი მაფიოზი სალვატორე დეპალმა სასჯელს იხდიდა სხვა იტალიელი მაფიოზის მკვლელობის გამო. ის მაფიოზი მისსავე საკუთარ მანქანაში ჩაუცხრილავს. პარკინგზე ვიდეოკამერას დაუფიქსირებია მისი ქმედება. მეორე დღესვე დაუპატიმრებიათ. ჩემი სიკეთისა არ იყოს, დანაშაულების უმრავლესობა ცხელ გულზე არის ხოლმე ჩადენილი და სცილდება ხოლმე სიფრთხილის ყველა ნორმას.

იტალიელებმა გრანდიოზული გაცილება მოუწყვეს. გამოსათხოვარ ნადიმს ამშვენებდა ნაირნაირი ფერის ღვინოები, ნაირნაირი პიცა, ძეხვეული, თევზეული. ყველანი მეტისმეტად აღზნებულები იყვნენ და 53 წლის დეპალმას ყველაფერს ერთად ულოცავდნენ – თავისუფლებას, გაძლებას, ვაჟკაცობას და რაც მთავარია, ოჯახში დაბრუნებას.

ამავე წელს ზონიდან განთავისუფლდა 23 პატიმარი. ამათგან პომპეზური გაცილება ერგოთ მხოლოდ დაჯგუფების წევრებს. გაათავისუფლეს ერთი ზანგი პოლიტპატიმარიც, ზანგების რასისტული დაჯგუფების წევრი. სასჯელს იხდიდა 90-იან წლებში მასობრივი არეულობების მოწყობისათვის. გაცილება აქაც პომპეზური იყო, თუმცა საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა იტალიურ ნადიმს.

მაჰმადიანი პატიმრებისთვის, რომელთა შორის იყვნენ ყველა ეროვნებისა და რასის წარმომადგენლები, 2002 წელი მძიმე გამოდგა. ზონაზე გრიპის საწინააღმდეგო აცრები ჩატარდა. ყველამ მიიღო მონაწილეობა ამ პრევენციულ ღონისძიებაში, მაჰმადიანებმა კი რელიგიური მოსაზრებით უარი თქვეს. ციხის ადმინისტრაცია ცოფებს ყრიდა. არანაკლებ გაცოფებულები იყვნენ მაჰმადიანებიც. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მოსალოდნელი იყო ბუნტი. კლივლენდიდან ჩამოსულმა იმამმა ჩააცხრო დაძაბულობა. მაჰმადიანები დაარწმუნა, რომ სავალდებულო იყო დამორჩილებოდნენ ციხის ამ ღონისძიებას. ხოლო ცოდვის მოტეგება თავის თავზე აიღო.

მაჰმადიანების მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა 11 სექტემბრის სავაჭრო სახლის ცნობილი ტერაქტის შემდეგ. მაჰმადიან პოლიტპატიმრებს ადგილი კარცერში მიუჩინეს, გახშირდა მათი კამერების ჩხრეკაც. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ბევრი მათგანი დაუბრუნდა ციხის ჩვეულებრივ ცხოვრებას. უნდა ვაღიარო, ყოველთვის მომწონდა მათი პრინციპულობა და გაუტეხლობა. კარცერიდან დაბრუნებულებს საჭმელი უფასოდ მივუტანე, რითაც არა მარტო მაძლობა, დიდი ნდობაც დავიმსახურე. თუკი მათსა და ზონის

სხვა პატიმრებს შორის რაიმე გაუგებრობა წარმოიშვებოდა, მომრიგებლად ხშირად სწორედ მე მეძახდნენ.

მაჰმადიანის ერთ-ერთი ჩხრეკის დროს, ზედამხედველმა ყურანს დაუწყო ფურცვლა. იბრაჰიმს ეს ამბავი მკრეხელობად ეჩვენა და ზედამხედველს წესრიგისკენ მოუწოდა. სასწრაფოდ ჩავერიე და დავამშვიდე. შევახსენე, რომ ალაჰს არ სჭირდებოდა მისი დაცვა და სამაგიეროს თავად მიუზღავდა საღვთო წიგნის შემრყენელს. თანაც გავაფრთხილე, რომ თუკი წინააღმდეგობას არ შეწყვეტდა, კარცერი არ ასცდებოდა.

თუმც სიბრაზისგან თვალები ორბიტიდან უვარდებოდა, დამიჯერა და გასავათებული იქვე კუთხეში მიეგდო. დიდი ხნის შემჩნეული მქონდა, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ყველაზე მეტად აცოფებდა მაჰმადიანებს.

ზონაზე პირველად 2002 წელს მოეწყო საცეკვაო კონკურსი. უნდა ითქვას, რომ ასეთ კონკურსში მონაწილეობა სირცხვილად ითვლებოდა. რატომღაც მოცეკვავე მამაკაცი ჰომოსექსუალთან ასოცირდებოდა. ამიტომ არც ის ვიცოდით, ვინ იღებდა მონაწილეობას და არც ის, ვინ გაიმარჯვდა. ჟიური ზედამხედველებისგან და თავად კონკურსში მონაწილეებისგან შედგებოდა. ეს იყო დახურული, გასაიდუმლოებული შეჯიბრი.

ასეთივე კონკურსი ჩატარდა მომღერლებს შორისაც. შესანიშნავად ვიცი, რომ ვერაფერი შვილი მომღერალი ვარ, მაგრამ გართობის მიზნით კონკურსში მაინც მივიღე მონაწილეობა. უფრო ხათრით, ვიდრე მოწონების ნიშნად, ჩემი დაჯგუფების წევრებმა ტაში დამიკრეს. მათ სხვებიც აყვინენ, ჩემთან დამეგობრებული სხვადასხვა კლანის თუ სარწმუნოების პატიმრები.

კონკურსში გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, წილად ხვდა იტალიელს, რომელმაც შესარულა ნეაპოლიტანური სიმღერები. მაინც სხვაა ხელოვნების მაღლი. იმ დღეს განსაკუთრებით დამტკბარნი დავიშალენით.

ჩვენს ზონაზე 40-მდე ქალი მუშაობდა, ზოგი სასადილოში, ზოგი სამრეცხაოში, ზოგი სკოლაში. ზოგი მათგანი ზედამხედველი იყო, ზოგს კი ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავა. ერთი მათგანი, ვინც თვალში მომივიდა, სასადილოში მუშაობდა. ასე ოცდაათიოდე წლის იქნებოდა, ჩემზე სამი წლით უფროსი, მაღალი, შავგვრემანი, სპორტული აღნაგობის. გამოველაპარაკე. მძიმე აქცენტით ველაპარაკებოდი, მაგრამ შევატყვე, რომ ეს ხელს არ მიშლიდა. პირიქით, ჩემმა ქართულმა პრონონსმა გაამხიარულა კიდევ. მისი ქმარი პოლიციელი იყო. ხუთი წლის შვილიც ჰყავდა.

სულ მალე ჩვენს შორის სასიყვარულო ძაფები გაიბა. სასადილოში ბევრი იყო ისეთი ადგილი, სადაც შეგვეძლო განემარტოებულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ჩვენი რომანი სკანდალით დამთავრებულიყო, მაინც შესანიშნავად ვატარებდით დროს. ჩემი თავდაპირველი წარმოდგენა ციხეში მომუშავე ქალებზე არ გამართლდა. ემა ძალიან გულკეთილი და ყურადღებიანი გოგო გამოდგა. პრაქტიკულ საქმიანობაშიც ძალიან მეხმარებოდა. მისი შემწეობით ხელი მიმინვდებოდა ისეთ პროდუქტებზე, რაზეც უმისოდ მხოლოდ ოცნება თუ შემქმლო. ჩემთვის ზოგჯერ საწყობის და მაცივრის კარიც კი იღებოდა. პროდუქტების ფარულად გამოტანაშიც მეხმარებოდა. ასე რომ, დაჯგუფების თვალში ჩემი რეიტინგი ერთიორად გაიზარდა. ემასთან სიახლოვემ ძალიან შემიმშუპუნა ყველაზე ძნელი პირველი წლები ციხეში.

ჩვენი ურთიერთობა თითქმის ორ წელიწადნახევარს გაგრძელდა და... შემდეგ მოულოდნელად შეწყდა. მისი ქმარი სხვა შტატში გადაიყვანეს სამუშაოდ და ბუნებრივია, ემაც თან გაიყოლა.

ჩვენი დაშორება იყო უსიტყვო, მაგრამ ალერსით სავსე. ვხედავდი, როგორ მალავდა ცრემლებს. არც მე მაკლდა გულის აჩუყება. კარი რომ გაიხურა, კიდევ ერთხელ მესტუმრა სუიციდური განწყობილება, მაგრამ საბედნიეროდ ისევ იმძლავრა სიცოცხლის ინსტინქტმა და ჩემი საკნისკენ წავლასლასდი.

ბიჭებმა შემატყვევეს უგუნებობა, მაგრამ მიზეზი არ გამომხელება. ჩემი და ემას ლავსტორი დაჯგუფებაში ცნობილი იყო, მაგრამ არ მინდოდა მტკივნეულ თემაზე ლაპარაკი. სენტიმენტები ციხეში, როგორც წესი, გაზიარების გარეშე რჩება. რა დროს ლირიკაა, როცა ყოველი წამი სიკვდილს გიქადის და ყოველი ახალი დღის გათენებას ისე ხვდები, როგორც ახალი წლის დადგომას.

ვინმემ არ იფიქროს, რომ ამერიკის ციხეებში ქალთან კავშირის გაბმა ასე იოლია. ასიდან ოთხმოცდათხუთმეტ შემთხვევაში კავშირი ურთიერთობის გამოაშკარავებით მთავრდება. პატიმარს სამთვიანი კარცერით სჯიან, ქალს კი სამსახურიდან აგდებენ. მე იმ ბედნიერ ხუთეულში მოვხვდი, ვისაც ეს ურთიერთობა ხახვივით შერჩა. ამიტომ დანუწუნების უფლება არ მქონდა. ერთი კია, სამი დღე დეპრესიაში ვიყავი და ვარჯიშიც აღარ მშველოდა. არც ის მშველოდა, სავარჯიშო ტომარას გამწარებით რომ ვუშენდი მუშტებს.

ზონის ცხოვრება კი გრძელდებოდა.

ერთმა ზედამხედველმა ერთ პატიმარს, სახელად ფრენკს, საათი წაართვა. ეს ფრენკი ბინების ყაჩაღი იყო.

ბინების დაყაჩაღების მრავალგვარი მეთოდი არსებობს: მოტყუებით შესვლა, ფანჯრიდან შესვლა, კარის შემტვრევა, კარის ზღურბლზე წყლის დასხმა იმ იმედით, რომ ბინის მეპატრონეს დაინტერესებს წყლის შემოსვლის მიზეზი და კარს გააღებს. ერთი სიტყვით, ფრენკი ამ საქმის სპეციალისტი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, ფრენკი და მისი ტყუპისცალი ძმა ბინაში შეიჭრნენ ფანჯრიდან. ჩანს, მეზობლებმა შენიშნეს ეს ფაქტი და პოლიციას გამოუძახეს. ესენი პოლიციას არ დაინებდნენ და აცყდა ორმხრივი სროლა. ძმამ უთხრა: შენ გაიქეცი და მე ცეცხლის ფარვას გაგიკეთებო. გაქცეულ ფრენკს ტყვია შიგ უკანაღში მოხვდა და იძულებული გახდა ჩაბარებოდა ნესრიგის დამცველებს. ტყუპისცალს ტყვიები გამოელია და სულ მალე ისიც აიყვანეს.

ზედამხედველს, ჩანს, გაგონილი ჰქონდა ქართული ანდაზა: ქურდის ქურდი ცხონდაო და აგერ, ფრენკი დააყაჩაღა. ფრენკმა არაჰუმანურად მიიჩნია ზედამხედველის საქციელი, დამყაჩაღებელი საკანში შეიტყუა. ჯოხი უკვე მომზადებული ჰქონდა. როგორც კი ზედამხედველი საკანში შევიდა, მის თავზე ჯოხის სეტყვა წამოვიდა. ზედამხედველმა ყვირილიც ატეხა და განგაშის ლილქსაც თითი მიაჭირა. კოლეგები მოცივიდნენ და ფრენკს რის ვაი-ვაგლახით ხელიდან გამოსტაცეს სულ მთლად დაღურჯებულ-დასისხლიანებული საათების მოყვარული ზედამხედველი.

ფრენკი კი ამ გმირობის გამო ჯერ კარცერში ცოტა ხნით აყურყუტეს, მერე კი გადაიყვანეს განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. რა თქმა უნდა, მთავარი საათის დაკარგვა როდი იყო. ფრენკს უბრალოდ ნერვებმა უმტყუნა.

იმ წელიწადში ოპიონის ზონებზე ხუთი თვითმკვლელობა მოხდა. აქედან ერთი – ჩვენ ზონაზე. ტიპმა, სახელად ბილიმ, 100 აბი ასპირინი გადაყლაპა. ოთხ საათზე გათვლა რომ დაიწყო, ბილი საკნის წინ ვერ გამოცხადდა. რომ შეიხედეს, დაინახეს, რომ იატაკზე ეგდო და სასტიკი ტკივილებისგან იკრუნჩხებოდა.

სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში. თვითმხილველები ყვებოდნენ, სანყალი ტკივილისგან არაადამიანურად ღრიალებდაო. ვერ უშველეს, რამდენიმე საათში ტანჯვით დაღლია სული.

ერთმა ჩვენ ზონაზე სამართლებლით საძილე არტერია გააღიჭრა. ძლივს გადაარჩინეს. ასეთები ფსიქიატრიულ განაყოფში გადაჰყავდათ. იქ იმ დრომდე აყურყუტებდნენ, ვიდრე არ დარწმუნდებოდნენ, რომ თავის მოკვლას აღარ აპირებდა.

რაც შეეხება ზოგადად პატიმართა ქცევას, ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ სიკვდილს დაუფიქრებლად ეთამაშებოდნენ.

ციხეში სუიციდური მიდრეკილების დაძლევა სხვადასხვა ხერხებით ხორციელდებოდა. ზოგი წიგნებს წერდა იმ იმედით, რომ მსოფლიო სახელს მოიხვეჭდა. ზოგი ჩემსავით ვარ-

ჯიშს აკლავდა თავს. ზოგი კი შვებას რელიგიაში ჰპოვებდა. საინტერესო ის არის, რომ ბევრი მათგანი ამტკიცებდა, იესო ციხეში მაპოვნინაო. უნდა ვალიარო, რომ მეც სიამოვნებით ვენაფებოდი რელიგიურ ლიტერატურას. განსაკუთრებით გამიტაცა ლუთერის მოძღვრებამ, მაგრამ ამაზე — მოგვიანებით.

ჩვენ დაჯგუფებაშიც იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. ზოგი მათგანი მკაცრად იცავდა თავისი კონფესიის წესებს, მარხულობდა, ლოცულობდა, ეკლესიაში დადიოდა. გასაკვირი ის არის, როგორ ახერხებდნენ თავისი საქციელის მისადაგებას რელიგიის უსათნოეს მოწოდებებთან. ასე მაგალითად, კათოლიკე-ირლანდიელები იარაღით ვაჭრობდნენ, თუმცა კი შესანიშნავად იცოდნენ, იარაღს ვინ რა განზრახვით იძენს. არადა, ჯვრებიც ეკიდათ, ეკლესიაშიც კოლექტიურად დადიოდნენ და ყველა კათოლიკურ წეს-კანონს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

იტალიელებს კიდევ გაუგებს კაცი, ქრისტეს ღვინის მიმართ პროტესტი არ გამოუთქვამს მუჰამედივით. პირიქით, ასე თქვა: ესე არს სისხლი ჩემიო. მაგრამ თუ იმ ღვინის დამზადების ტექნოლოგიას გავითვალისწინებთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის ვინმემ ქრისტეს სისხლად შერაცხოს.

ზონაზე სიამოვნებით ვკითხულობდი ამერიკაში რუსულ ენაზე გამოსულ გაზეთებს. უფრო კრიმინალური ქრონიკა მინტერესებდა. ხშირად ინერებოდა რუსეთიდან ამერიკაში მოხვედრილ კრიმინალურ ავტორიტეტებზე. ინტერესს აღძრავდა ისტორიები სლავა იაპონიკის, გულფილდის, კუცენკოს შესახებ. იაპონიკი მოკლეს მოსკოვში 2010 წელს. გულფილდი და კუცენკო დღესაც სასჯელს იხდიან ამერიკის ფედერალურ ციხეში. ყოველმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა იცის, რომ დღეს თუ ხვალ, უეჭველად მოკლავენ, მაგრამ ის უკვე თავისი საქმიანობის მიქვალა და უკან დასახვევი ყველა გზა მოჭრილი აქვს. კრიმინალების რა გაგვიკვირდეს, საკუთარი თავის ასეთი მძევლები განსაკუთრებით მრავლად არიან ბიზნესში და პოლიტიკაში. და თანაც მაშინ, როცა იმყოფებიან იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე. აზარტი მარტო მოთამაშებებს როდი ღუპავს.

2002 წლის ბოლოს ჩემი თანამოსაკენ დენი კუპერი სხვა განაყოფში გადაიყვანეს და მის ნაცვლად შემოასახლეს ტიმოთი ფერარა.

ჩვენს ზონაზე მოხვედრამდე ტიმოთი 4 წელი იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში. იტალიელთა მაფიის წევრი იყო და სასჯელს იხდიდა ერთ-ერთ რესტორანში განხორციელებული სისხლიანი ანგარიშსწორების გამო. მანქანით ჩამოუვლია და ღია რესტორანში მჯდომ დაპირისპირებული ბანდის ოთხი წევრისთვის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნია. იმ ოთხიდან ორი მოკვდა, ერთი მძიმედ, მეორე კი შედარებით მსუბუქად დაიჭრა. თუმცა ძალიან მინტერესებდა, როგორ მიაგნეს ტიმოთის კვალს, მაგრამ გამოკითხვა არ დამინყია. თვითონაც ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ზონაზე ასეთ შეკითხვებს მხოლოდ უახლოეს მეგობრებს უსვამენ.

2002 წელს შევეცადე ჩემი საქმე გადამეცა სააპელაციო სასამართლოში სასჯელის შემსუბუქების მიზნით. მინდოდა გამომეყენებია ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ვიყავი ნაომარი და კონტუზია მქონდა მიღებული. გარდა ამისა, ჩემი დაპატიმრების დროს დაირღვა ვენის კონვენცია, რომლის მიხედვით პოლიცია ვალდებული იყო ჩემი დაკავებისთანავე საქმის კურსში ჩაეყენებინა საქართველოს საკონსულეო. სასამართლო პროცესის დროს ეს კანონდარღვევა არ გამოსწორებულა. სასამართლოს მიერ დანიშნულმა ადვოკატმა არც კი მკითხა რა და რატომ ჩავიდინე, საერთოდ არ დამლაპარაკებია. ამერიკაში ასეთებს ჰქვიათ სახალხო ადვოკატები. მსგავსი ინდიფერენტულობისა და ბრალდებულის ინტერესების სრული იგნორირების გამო, მათ სახალხო აფერისტებს უწოდებენ.

მე საკუთარი თავის დაცვა არ შემეძლო, რადგან ცუდად ვიცოდი ინგლისური ენა და საერთოდ არ ვიცნობდი ამერიკის სასამართლო სისტემას. ჯერ კიდევ პირველ დაკითხვაზე ენის

არასაკმარისი ცოდნის გამო, კითხვებს პასუხები ვერ გავეცი. შემპირდნენ, თარჯიმნით მოვალთო, მაგრამ მერე ისინი თვალითაც აღარ მინახავს. ჩემთვის არავის უკითხავს, ეს დანაშაული რატომ ჩავიდინე.

როგორც შემდგომში გაზეთებიდან შევიტყვე, დაზარალებულმა ზავნოზმა მთლიანად უარყო ჩემთან ნაცნობობა. არსად ფიგურირებდა ის ფაქტი, რომ უხელფასობის გამო ოთხი დღე ვიშმომილე, რომ ბინის ქირის გადაუხდელობა ქუჩაში დარჩენას მიქადდა.

ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული ასე გამოიყურებოდა: დილით ცუდ გუნებაზე გავიღვიძე. არც მთვრალი ვარ და არც ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. თოფს ხელი დავტაცე და ქუჩაში გავედი ვინმეზე ჯავრის ამოსაყრელად. ამ დროს სადარბაზოდან გამოვიდა ვიღაც ტიპი და თავის მანქანასთან მივიდა. მე მისი სიფათი არ მომეწონა და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე თოფი მივუშვირე და მძევლად ავიყვანე. მერე საქტეს მივუჯექი და ასევე ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ქალაქგარეთ გავიყვანე. მერე ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მანქანიდან გადმოვიყვანე, ტყეში ვესაუბრე და ისევ მანქანაში დავუპირე ჩასმა. ამ დროს თავზე ნამომადგა პოლიციელი, რომელმაც მიბრძანა იარაღი დამეგდო და დავენებულ იყავი. დანებების ნაცვლად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ისე, გასართობად, პოლიციელი სასიკვდილოდ გავიმეტე. ამასაც არ დავჯერდი, ისევ ისე, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, პოლიციის მთელ დივიზიონს ბათქა-ბუთქი ავუტყხე. და არ ვჩერდებოდი, სანამ სისხლისგან არ დავიცალე და სანამ გული არ წამივიდა. არავინ დაინტერესებულა, ზრდასრულ, ნორმალურ ადამიანს შეუძლია თუ არა ასე უმოტივაციოდ ჩაიდინოს მსგავსი დანაშაულობანი. და თუკი შეუძლია, როგორ მოხვდა იგი სხვა ქვეყნიდან ამერიკაში.

უნდა ვთქვა, რომ ციხეში ყოფნის დროს ზედმინევიანი კარგად შევისწავლე ოპაიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი. მოგვიანებით გაირკვა, რომ მთელი ჩემი გაბრძოლება სიმართლის დასადგენად იყო წყლის ნაყვად და სხვა არაფერი. ამერიკაში მოსამართლეებს განუსაზღვრელი უფლებები აქვთ და კანონს ისე ატრიალებენ, როგორც თვითონ მოესურვებათ. მართლაც, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საგრძნობლად ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, მაგრამ აქაც არსებობს ერთი მაგრამ. ნაფიცი მსაჯულებიც მომართულნი არიან ეჭვმიტანილის წინააღმდეგ და საკმაოზე მეტად ძნელია მათ აზრი შეაცვლევინო.

ერთი სიტყვით, ჩემი მცდელობა, რომ ოდნავ მაინც თავი მემართლებინა, უშედეგოდ დამთავრდა და მეც შეეუურიგდი ბედს. თუმცა კი მოგვიანებით, 2003 წელს, როცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ დაადანაშაულა ამერიკა ჩემს მიერ უკვე აღნიშნული ვენის საერთაშორისო კონვენციის დარღვევაში, ბევრმა უცხოელმა პატიმარმა და მეც მათ რიცხვში, შიმშილობა გამოვაცხადეთ. მოვითხოვეთ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. უნდა ითქვას, რომ ამერიკის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მხარი დაუჭირა ჰააგის სასამართლოს ინიციატივას, მაგრამ ამით ჩვენთვის მაინც არაფერი შეცვლილა.

როცა განაცხადე, შიმშილობას ვინცებ-მეთქი, მაშინვე შიზოდ ნოდებულ საჯაროში სპეციალურ იზოლაციაში ჩამსვეს, ერთსაყვანი საკანში. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ შიზოში არსებობს ორკაციანი საკნებიც. ეს საკნები ჩვეულებრივისგან ბევრი რამით განსხვავდება. ჩვეულებრივში მოძრაობა შეზღუდული არ გაქვს, თუ პატიმართა გადათვლის დრო არ არის, თავისუფლად შეგიძლია გახვიდე და უკან დაბრუნდე. კარცერის საკანში კი ეს შეუძლებელია. ჩვეულებრივში მოდიდო ფანჯრებია, რომლის გაღების უფლება გაქვს, კარცერის საკანში კი პატარა გისოსიანი ფანჯრებია, საიდანაც ძლივს აღწევს დღის სინათლე და მათი გაღება შეუძლებელია. ჩვეულებრივში ზამბარანი საწოლებია, აქ კი – რკინის. ჩვეულებრივში ონკანიდან წყალი უწყვეტად მოედინება, აქ კი წყა-

ლი ღილაკებზეა, ხელის დაბანაც კი საკმაოდ სანვალელებელია. ჩვეულებრივში საერთო სასადილოში დადიხარ, აქ კი საჭმელი თვითონ მოაქვთ და განვდიან კარებში გამოჭრილი ფანჯრის-მაგვარი ხვრელიდან. გარდა ყველაფრისა, მოქმედებს ფსიქოლოგიური ფაქტორიც – მარტობა, უძრობა, უსამართლობის გამძაფრებელი გრძნობა.

შიზოში განათავსებდნენ სუიციდისკენ მიდრეკილ პატიმრებს. მეც მათ რიცხვს მიმაკუთვნეს.

შიზოში ჯდომა იმით არის მტანჯველი, რომ ფსიქიკურად დაავადებულთან გაქვს საქმე. მე მათ, ძირითადად, სეირნობის დროს ვხვდებოდი. შოკს ინვევდა მათი მოქმედება. ზოგი უაზროდ და უმისამართოდ ყვიროდა, ზოგი არარსებულ პარტნიორს ესაუბრებოდა, ზოგიც შარვალში ისაქმებდა. მათთან კონტაქტი თითქმის შეუძლებელი იყო. ანუ, შიმშილის მტანჯველ განცდას, ეს ფსიქოლოგიური ფაქტორიც ემატებოდა. თუკი ვინმე მკითხავს, ჯოჯოხეთი როგორ წარმოგიდგენიაო, აუცილებლად შიზოში ცხოვრებას დავუსახელებ.

მიუხედავად ასეთი ფიზიკური და ფსიქიკური წნეხისა, 45 დღე ვიშმომილე. ამბობენ, რომ შიმშილობის დროს, რამდენიმე დღის შემდეგ, მოშმომილე ჭამის სურვილს კარგავსო. სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე გამუდმებით მტანჯავდა შიმშილის განცდა. რაღაც სითხე მომიტანეს და მითხრეს, ამას თუ არ დავლევ, ძალით დაგაღვივებთო. გაძალიანებას აზრი არ ჰქონდა. დღეში სამჯერ მასმევდნენ.

45 დღის მერე მივხვდი, რომ ვერაფერს გავხდებოდი და შევწყვიტე შიმშილობა. გადამიყვანეს კარცერის ორკაცის საკანში, სადაც კიდევ 8 დღე დავყავი. საკანში გეის შემოსახლება დამიპირეს, მაგრამ მაგრად დავდექი. ჩემს გვამზე თუ გადაატარებთ, სხვაფრივ არაფერი გამოგივით-მეთქი. მიხვდნენ, რომ არ ვხუმრობდი, ბევრი კი იბუზღუნეს, მაგრამ თავი დამანებეს.

ბოლოს, როგორც იქნა, 53 დღის შემდეგ, ჩვეულებრივ საკანში დამაბრუნეს. ასე უშედეგოდ დასრულდა ჩემი თითქმის ორთვიანი ტანჯვა. ოცი კილო დავიკელი. ისე კი, თუკი სახელგანთქმულ დიეტოლოგ პოლ ბრეგს დავუჯერებთ, შიმშილობა წმენდს სხეულს ყველა მავნე ნივთიერებისაგან, მათ შორის, გენომოდინფორმული საკვების შესამებინანაც. უნდა ვაღიარო, რომ შიმშილობის შემდეგ რაღაც საკვირველ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. ისე რომ, ბრეგის თეორიაც გამოვცადე და საგინესე რეკორდიც დავამყარე. თუმცა კი, ამაოდ. ვინ უწყის, ციხეში დამყარებული რამდენი ასეთი რეკორდი რჩება კაცობრიობის ყურადღების მიღმა.

კარცერიდან გამოსვლის შემდეგ ვარჯიში გამიჭირდა, მეტისმეტად დასუსტებული ვიყავი. მერე თანდათან დავიბრუნე ფორმა და ცხოვრებაც ჩვეულებრივი გახდა.

ჩემი ახალი „საკამერნიკი“ აღმოჩნდა ლათინოამერიკელი არმანდო სერანო. დააპატიმრეს იმის გამო, რომ სატვირთო მანქანით 8 ტონა მარიხუანა გადაჰქონდა. 7 წელი მიუსაჯეს გაძლიერებული რეჟიმის კილონიაში მოხდით. არც იქ მოეშვა ნარკოტიკებით ვაჭრობას და მკაცრი რეჟიმის კილონიაში გადმოიყვანეს. დავმეგობრდით. მარიხუანაც უფასოდ შემომთავაზა და ძალიან გაუკვირდა, როცა უარი ვუთხარი. როცა შეიტყო, რომ ნომარი ვიყავი, სამსახური შემომთავაზა. მექსიკაში ნარკოკარტილეს პროფესიონალი ბოვიკები იცავენ და თუ შენი სურვილია იქნება, ჩვენთან იმსახურეო. მაღლობა გადავუსხადე, მაგრამ უარი ვუთხარი. სიცილს მგვრიდა იმის წარმოდგენაც კი, ამდენ შავგვრემან მექსიკელებში რა ეფექტს გამოიწვევდა ჩემი ქერა თავის გამოჩენა. თანაც რა იოლი სამიზნე გავხდებოდი! ვეუბნები, შენ 3 წლის შემდეგ გარეთ იქნები, მე კი, ვინ იცის, იქნებ ეს 22 ბოლომდე მახეხინონ-მეთქი. შეთავაზებისთვის მაღლობა გადავუსხადე და მეტი ამ თემაზე აღარ გვისაუბრია.

არმანდო სამი წლის შემდეგ მართლაც გაათავისუფლეს. კაცური გაცილება მოუწყვეთ. იცოდე, შეთავაზება ძალაშიაო, წასვლის წინ განმიცხადა.

ზონაზე 6 საათზე ადგომა გვევალებოდა. ბევრნი სიმულაციას მიმართავდნენ ასე ადრე ადგომის თავიდან ასაცილებლად. ზოგი რას იტყობდა და ზოგი – რას. არც ერთხელ არ გამოიყენებია ეს მეთოდი. ეტყობა ჩემი ჯანსაღი ცხოვრების წესი ასეთ საჭიროებას არ მკარნახობდა. უნდა ვთქვა, რომ ამით ზედამხედველების სიმპათიაც დავიმსახურე. ისედაც, ჩემსა და ზედამხედველებს შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება არ ყოფილა, თუმცა იყო გამონაკლისიც.

პატიმართა ზონა ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მიკრომოდელია. ზედამხედველებთან (სახელმწიფოში ან დანესებულებაში — მთავრობასთან ან ხელმძღვანელთან) უკონფლიქტო, თანხმიერი ურთიერთობა, წვრილმანი უკანონო ქმედების საშუალებას მძლევდა. უფრო მეტიც, ხელსაყრელი პატიმარი მათი მხრიდან დაცვასაც იმსახურებს (მთავრობა, ხელმძღვანელობა უფროსილდება თავის დამყოლ ქვეშევრდომებს). ყოფილა შემთხვევა, როცა ზედამხედველმა ირიბად გამაფრთხილა, დღეს ჩხრეკა ჩატარდება. დერეფანში გამოსულს გადაამეყარა და ვითომ სასხვათაშორისოდ მეუბნება: კარები არ ჩაკეტო, შენთან ჩხრეკაზე უნდა შემოვიდეთო (როგორც ზემდგომნი გადაკვრით აფრთხილებენ ხოლმე მორჩილ ქვემდგომებს რევიზიის თაობაზე).

მაგრამ სრულიად დაუშვებელია მათთან სამსახურში შესვლა (ისევე როგორც ცხოვრებაში, ოქროს შუალედი უნდა იპოვო). მართალია, თუ ზემდგომებს შეეკვრები, აქედან დიდი გამორჩენა გაქვს (მთავრობა, ხელმძღვანელობა მათთან შეკრულებს განსაკუთრებით ნყალობს), მაგრამ საკმარისია ეს ამბავი გასკდეს, პატიმართა (სახელმწიფოში — საზოგადოების) რისხვა არ აგცდება (გადამდგარი ჩინოვნიკების ბედისა არ იყოს). ზონის გაკონტროლებაში 70% დამსახურება დამბეზღებლებზე მოდის. ამიტომ, რომ პატიმრის მოსყიდვა-გადაბრუნება დიდმნიშვნელოვან საქმედ ითვლება (ისევე როგორც ცხოვრებაშიც). ისე კი, თუ ადამიანს ოდნავ მაინც ღირსების გრძნობა გააჩნია, დამბეზღებლობას არასოდეს დაყაბულდება. ჩემი დაკვირვებით, დამბეზღებლობას კისრულობენ ყველაზე მშობარა და უნებისყოფი პატიმრები. და ხშირად სწორედ ამ არჩევანის მსხვერპლი ხდებიან. მხილვის შემთხვევაში გადარჩენა არ უნერიათ.

მცირეოდენ შეცოდებას ზედამხედველები გპატიობენ იმიტომ, რომ არც თვითონ არიან ფრთიანი ანგალოზები. მხედრიონელებთან ახლო კონტაქტში უამრავი ნარკომანი გაცივანი. ერთი შეხედვით შემძლია ვთქვა, იმყოფება თუ არა ადამიანი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ. აქედან გამომდინარე ვიცოდი, რომ ზედამხედველების 70 % ნარკომანები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი თავის სახლში დოზის გადაჭარბებისაგან დაიღუპა. ასე რომ – ჰამლეტის სიტყვები: დანია საპყრობილეოა, თამამად შეგვიძლია შევებრუნოთ და ვთქვათ: საპყრობილეც იგივე დანიაა.

2002 წლის ბოლოს, ზონაზე საშინელება მოხდა. ერთ-ერთი ფაშისტური დაჯგუფების წევრი სამ ზანგს საკანში მიუვარდა და სამივენი დანით დაჩეხა. ორი მათგანი მოკვდა, ერთი კი ძლივს გადაარჩინეს. ძალიან განვიცადეთ ეს ამბავი, მაგრამ ჩვენი განცდა იქით იყოს, ზედამხედველები მთლად დაიზაფრნენ. რა თქმა უნდა, პირველყოფისა ირლანდიელებს მიდგნენ, როგორც იარაღით მოვაჭრეებს.

შევშინდი. ჩვენს დაჯგუფებასა და ირლანდიელებს შორის ხომ მე ვიყავი შუამავალი. საკმარისია ეს გამსკდარიყო, მძიმე სანქციები არ ამცდებოდა. მაგრამ ირლანდიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საოცარი სიმტკიცე და კაცობა გამოავლინეს. არავინ არ ჩაუშვიათ, თვით მათთან დაპირისპირებული ზოგიერთი კლანის წევრიც კი. ციხეში ასეთ სიმტკიცეზე მეტად არაფერი ფასობს. თუმცა ციხის რა გავიკვირვოთ. სიმტკიცე და კაცობა ყოველთვის და ყველგან იწვევს განსაკუთრებულ აღტაცებას და დაფასებას.

2002-ის ბოლოს გამეორდა შარდის ტესტირების ისტორია და ჩემ საკანთან კვლავაც დიდი რიგი დადგა. მთხოვნელებს

მომზადებული დაგვხვდა. შარდი დიდ ბოთლში მქონდა მომარაგებული და მსურველებს მისხალ-მისხალ ვურიგებდი. ჩემს საგანძურში ფული არც ამჯერად მომიტხოვია, რითაც კიდევ უფრო განვიმტკიცე უანგარო ადამიანის სახელი.

2002-იც მიილია და... პარტიტორიის გამოცდაზე მეგრელს ეკითხებიან, როდის შედგა პარტიის მე-19 ყრილობა. როდის და მე-18-ის შემდეგო, რბილად უპასუხა მეგრელმა. მეც ასევე რბილად, მაგრამ თამამად შემძლია განვაცხადო, რომ 2002 წლის შემდეგ დადგა 2003 წელი.

2003 წლის დასაწყისში ამერიკამ მზადება დაიწყო მაჰმადიანურ ერაყზე თავდასასხმელად. ამასთან დაკავშირებით ამერიკის ზონებზე და მათ შორის ოპიოშიც მაჰმადიანთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

სწორედ იმ ხანად ერთი მაჰმადიანი პოლიტპატიმარი გაცივანი, სალის ნავაში, არაბი, კლივლენდელი შეიხი, 55 წლის. ბუშის პოლიტიკის გაკრიტიკების გამო შარი მოსდეს და ცხრა წელი მიუსაჯეს. საუკეთესო ადვოკატი დაიქირავა – ვინსენტ მანსიო, რომელმაც გაპროტესტების შემდეგ მისი სასჯელი 4 წლამდე ჩამოიყვანა, ხოლო მეორედ გაპროტესტების შემდეგ კი — საერთოდ გაათავისუფლეს. ყოველივე ამას სამწვინადნახევარი დასჭირდა. საკვირველი ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავი სტრუქტურებიდან არავინ ისჯება ხოლმე და არც ხელისუფლება ცდილობს მორალური და მატერიალური ზარალი აუნაზღაუროს უსაფუძვლოდ ეჭვმიტანილს და ციხეში გამოკეტოს. არადა, ასეთი კანონი რომ არსებობდეს, მოსამართლეები მოერიდებოდნენ სასჯელის ასე უხვად დარიგებას. ცნობილი ჭეშმარიტებაა, სჯობს ათი დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო უსამართლოდ იხდიდეს სასჯელს.

გაცნობის შემდეგ ჩემსა და სალისას შორის ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. სასადილოშიც ერთად ვმუშაობდით. სულ მალე შევატყვე, რომ მეტისმეტად ფიცხი ხასიათი ჰქონდა. თუმცა რა, სიფიცხე არაბებისთვის დამახასიათებელია. ვისაც „ლეილაჯუნია“ ნაუკითხავს, ეს არ გაუკვირდება.

ზონაზე კიდევ ერთი მაჰმადიანი შემოგვემატა – კოლუმბუსის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი. 40 წელი ჰქონდა მისჯილი გასაოცარი ბრალდებით – ესაოდა, გასინჯვის დროს პაციენტ ქალებს სხეულის ინტიმურ ნაწილებზე ხელით იმაზე ხშირად ეხებოდა, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდაო. და რაკი ოცმა ქალმა პირი შეკრა და ბრალდება დაადასტურა, ხოლო თითოეული დანაშაული ორ წელს ითვალისწინებდა, ექიმს ჯამში ლამის სამუდამო პატიმრობა გამოუვიდა, რამეთუ ორმოცდაათი წლის იყო და სათუთა, რომ ციხეში კიდევ 40 წელს გაძლებდა. ამხელა სასჯელს რომ უსჯიდა, ჯაბა იოსელიანისა არ იყოს, მოსამართლეს ეტყობა მაჰმადიანი ექიმი ყვავი ეგონა.

საწყალი, საშინლად გულჩათხრობილი და განწყენებული იყო. იშვიათად ისევ მაჰმადიანს თუ გამოელაპარაკებოდა. ერთი კია, გულმხურვალედ ლოცულობდა და ამასი ჰპოვებდა შეებას. ლოცვის შემდეგ სინათლე გადაეფინებოდა ხოლმე სახეზე.

ამ წლის მარტში ამერიკამ ერაყში ჯარები შეიყვანა. ეს კიდევ ერთი დარტყმა იყო ზონაზე მყოფი საბრალო მაჰმადიანებისთვის. მათი დევნა და კონტროლი გაათქვცდა.

მარტის თვეში ჩემთვის მეტად სასიხარულო რამ მოხდა. როგორც იქნა სამი წლის უნახავი დედაჩემი ზონაზე მესტუმრა თავის დაქალთან ერთად. მათ თან ახლდა საქართველოს კონსულიც.

ოპიოს შტატში დაშვებულია პატიმრის პირდაპირი მონახულება. გამონაკლისია ოლონდ კარცერი, სადაც მხოლოდ მუშის მიღმიდან შეიძლება ახლობლებთან დაკონტაქტება. პატიმრები დღემდე იბრძვიან განცალკევებული კაბინისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ამოდ. უნდა ითქვას, რომ პირად პაემანში ზედამხედველის მონაწილეობა მართლაც ძალიან ანელეს სიხარულს.

ოთხი დღე ძალიან ბედნიერი ვიყავი. დედაჩემი ცოტა შეცვლილი მეჩვენა. იმასაც გაუკვირდა, სათვალთ რომ დამინახა. დაწვრილებით გამოვკითხე ჩემიანების ამბავი. ყველაფერი მაინტერესებდა, თვით უმნიშვნელო დეტალებიც კი.

დედაჩემმა ჩამომიტანა წერილები და ფოტოსურათები, რაც იქვე, ფოსტით გადმომიგზავნა, რადგან ზონაზე წერილის, ამანათის და სხვა ნივთების ხელიდან ხელში გადაცემა აკრძალულია. კონსულს ენადა თავისი მეუღლის მიერ მომზადებული ხინკლის ჩემთვის გადმოცემა, მაგრამ არც ამის უფლება მისცეს. სამაგიეროდ იქვე მდგარი სპეციალური სატვირთო მანქანიდან პროდუქტები მივიღეს და ის ერთი კვირა მუცლის პატივში გავატარე. ამან საგრძნობლად შემიმსუბუქა განშორების სიმძიმე. ცხოვრებაც ხომ ასეა მოწყობილი, რაც გავახარებს, ისე დაგამწყურებს. ამიტომაც, იოგები და სტოიკოსები რომ გაურბიან ყოველგვარ ცხოვრებისეულ ემოციებს, მათ შორის დადებითსაც კი.

ამავე პერიოდში ვითარება ზონაზე კვლავ უკიდურესად დაიძაბა და აი, რატომ: უსიტყვო შეთანხმებით ზანგებს თავისი საშხაპეები ჰქონდათ, თეთრკანიანებს — თავისი. ერთი ზანგი, დაჯგუფების წევრი, საბანაოდ თეთრკანიანის საშხაპეში შევიდა. ვილაცამ ეს ამბავი შენიშნა და თავისიანებს შეატყობინა. ეს თავისიანები იტალიელები აღმოჩნდნენ. ისე წაესიენ იმ ზანგს, რომ ძვალი და რბილი გაუერთეს. მთელი საშხაპე სისხლით იყო მოთხვრილი.

ზანგების რეაქციამ მოსალოდნელს გადააჭარბა. არა მარტო დანებს, კბილებსაც საგულდაგულოდ იღესავდნენ.

ჩვენმა დაჯგუფებამ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო, რომ ომის შემთხვევაში იტალიელების მხარეს იბრძოლებოდა.

იგივე გადაწყვეტილება მიიღეს ესპანელებმაც და ორლანდიელებმაც. დაძაბულობა თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა. ჯგუფებად დავდიოდით. საკმარისი იყო რომელიმე იტალიელს თავს დასხმოდნენ, ეს უკვე ომის დაწყებას ნიშნავდა.

დღემდე ვერ ამიხსნია, რამ გადააფიქრებინა რევანშის აღება უკიდურესად გაავებულ ზანგებს. ფაქტია, ორი კვირის თავზე დაძაბულობა ჩაცხრა და ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ერთადერთი ვარაუდი რჩებოდა, რომ „საზღვრის დამრღვევი“ ზანგი თავისიანებმაც გაამტყუნეს.

თუკი ზანგებმა პასიურობა გამოიჩინეს, ამას ვერ ვიტყვი ადმინისტრაციის მიმართ. თუმცა აგრესია ფარულს არ გაცდენია, მაგრამ ზენოლა ყველაფერში იგრძნობოდა. გამკაცრდა კონტროლი სასადილოში, შეიზღუდა სატელეფონო საუბრები. ზედამხედველები საბაბს ეძებდნენ ჩვენზე შურის საძიებლად. ვფიქრობ, ეს იყო ადმინისტრაციისა და ზანგების მოლაპარაკების შედეგი. ანუ რევანშის განხორციელება თვითონ ადმინისტრაციამ იკისრა.

დაახლოებით ერთი თვის თავზე დაძაბულობა მთლიანად ჩაცხრა და ჩვენც ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდით. ძველებურად ვერთობდით თავს ვარჯიშით, დომინოთი და ჭადრაკით, წიგნებისა და ჟურნალების კითხვით. საღამოობით სატელევიზიო შოუებს ვუყურებდით. განსაკუთრებით მომწონდა შოუ „ზებუნებრივი“, სადაც ორი ძმა, გვარად ვინჩესტერები დადიან ამერიკაში და პარანორმალურ მოვლენებს იძიებენ. ერთ-ერთ სოფელში მოჩვენება დევნის და ამინებს ადამიანებს. ძმები მიდიან ამ მოჩვენებასთან საბრძოლველად და თავს ათასი ფაურაკი გადახდებოდა.

მეორე შოუს, რომელიც სასიამოვნებით ვუყურებდი, სახელად ერქვა „გაქცევა ციხიდან“. ერთ-ერთ დამნაშავეს სიკვდილს მიუსჯიან. მისი ძმა სპეციალურად სჩადის დანაშაულს, რომ სიკვდილისჯილ ძმასთან მოხვდეს. მართლაც მოხვდება იმ ზონაზე, სადაც მისი ძმა ჰყავთ გამომწყვდეული. ერთად ადგენენ გაქცევის გეგმას და ახორციელებენ კიდეც. მერე კი უკვე მთელ ამერიკაში იმალებიან.

იყო ასეთი ფილმი — „საერთო ეჭვმიტანილები.“ ამერიკაში ასე უწოდებენ პოტენციურ კრიმინალებს, ვისაც შეეძლო

რომელიმეც გამოსაძიებელი დანაშაული ჩადინა. ფილმი ასე იწყება: ნავსადგურში პოულობენ 14 გვამს. იწყება გამოძიება. ინფორმაციის მოპოვების მიზნით აპატიმრებენ ერთ ინვალიდს, რომელსაც ინსულტის გამო ხელზე და ფეხზე დამბლა აქვს. ნელ-ნელა ირკვევა დამკვეთის და მკვლელობის ჩამდენთა ვინაობაც. დამკვეთი არის ვინმე კაიზერ სუზე. იწყება მისი ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ფინალმა ჩვენი ალტაცება გამოინვიო. როცა ძიება წყდება და გამოძიებლები მიდიან, ინვალიდი სკამიდან დგება. ჯერ ძველებურად ჩოჩიალით მიდის, მერე ნაბიჯები ნელ-ნელა მტკიცე ხდება და ბოლოს სრულიად ჯანმრთელის ნაბიჯით, სწრაფად გაცელება იქაურობას. ცხადი ხდება, რომ კაიზერ სუზე თავად ეს კაცია, პოლიციელებს ინვალიდად რომ მოაჩვენა თავი.

პოლიციელების ასეთ გაცუცურაკებას საერთო აღფრთოვანება მოჰყვა. ყველა პატიმარი გულში ატარებს დარდს, რომ ვერ შეძლო დასხტომოდა მართლსაწულებას. კაიზერის ქვედებამ პატიმრებს ფარული სურვილი შეუსრულა.

ჩვენამდე მოაღწია სადამ ჰუსეინის დამარცხების და დაპატიმრების ამბავმა. ყველას და მათ შორის მეც ერთი დამამშვიდებელი აზრი მიტრიალებდა თავში. თუკი შესაძლებელია დააპატიმრო ადამიანი, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული მილიონიანი არმია ჰყავს, რა არის იმაში გასაკვირი, რომ მე, ერთი თოფის ამარა, ციხეში აღმოვჩნდი.

ზაფხული ახლოვდებოდა, ჩემთვის ყველაზე ძნელად გადასატანი დრო. სიცხეს საერთოდ ვერ ვიტან, მაგრამ პატარა, გაუნიავებელი საკანი ჩემს პრობლემას აორმაგებდა. ვარჯიშიც კი, ჩემი ერთადერთი შეება, სულ უფრო და უფრო ნაკლებად სასიამოვნო ხდებოდა.

2003 წელს ზონაზე ჩინელების სახით ოცი კაცისგან შემდგარი ახალი დაჯგუფება შეგვემატა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩინელების და საერთოდ აზიატების რიცხვმა ზონაზე საგრძნობლად იმატა. საქმიანობად აირჩიეს ტანსაცმლის ბიზნესი. საწყობიდან იპარავდნენ ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ და მერე ყიდდნენ. თუკი ვინმე ციხეს ტოვებდა, მის ტანსაცმელს იტოვებდნენ ფულადი გარიგების გზით და ცოტაოდენი მონესრიგების შემდეგ, იმასაც ყიდდნენ.

ჩინური დაჯგუფება აგრესიულობით არ გამოირჩეოდა და ცდილობდა ყველასთან გამოენახა საერთო ენა. ფიზიკურად ძლიერები იყვნენ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრი მათგანი ფლობდა აღმოსავლური ბრძოლის ილეთებს, არავის უცდია მათთვის უბატონოდ ხმის გაცემა. ყველაზე მეტად ერთ-ერთი მათგანი ჩამრჩა მესხიერებაში — სტივენ იი. 50 წელს იყო მიტანებული, მაგრამ გადასარევე ფორმაში იყო. სიმალლით იყო 1,95. სანამ დააპატიმრებდნენ, კანონგარეშე ბაიკერების ბანდის წევრი ყოფილა. ამ ბანდას ერქვა ჰელს ენჯელს — ჯოჯოხეთის ანგელოზები. ეს ბანდა ყველას შიშის ზარს სცემდა და მსოფლიოში აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კრიმინალური წარმონაქმნი.

სტივენი თურმე კილერის ფუნქციებს ასრულებდა. ფედერალური აგენტის მკვლელობისთვის დააპატიმრეს. ჯერ ფედერალურმა სასამართლომ მიუსაჯა 20 წელი, 15 წელი მოიხადა ფედერალურ ციხეში, მერე ამავე დანაშაულისთვის ოჰაიოს შტატში გაასამართლეს როგორც ოჰაიოს მკვდრის მკვლელი და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ანუ ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ გაასამართლეს და ორჯერვე 20 წელი მიუსაჯეს. მისი ადვოკატი ამაოდ ცდილობდა ამ აბსურდის გაპროტესტებას, სადღა არ იჩივლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხელისუფლებამ სტივენზე შური იძია ფედერალური აგენტის მკვლელობის გამო.

სტივენი უფრო კრიმინალური ბოვეიკის გმირს ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს.

2002 წელს ყველას გული დაგვწყვიტა ვლადიმერ კლიჩკოს დამარცხებამ ლენოქს ლუისთან. ზანგები სიხარულს არ მალავდნენ. ჩვენ კი ბოლმით და ბრზაით ვიხერხებოდით. საბედ-

ნიეროდ, მას შემდეგ კლიჩკოს არცერთი ბრძოლა აღარ წაუგია და თუკი ზანგს დაამარცხებდა, ჩვენ ნიშნისმოგებით და ზანგების ჯიბრზე ხმამალა გამოვხატავდით ჩვენს სიხარულს.

2004 წელს მე უკვე ბოლომდე შევეგუე ციხის ცხოვრებას. ახალი ციხის უფროსი დაგვინიშნეს, საკმაოდ კომუნიკაბელური პიროვნება. ერთხელ ვთხოვე, ნინალმდეგი ხომ არ იქნებით, ჩემმა ოჯახმა რუსული ნიგნები რომ გამომიგზავნოს-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, დამთანხმდა. ასე ვიგდე ხელთ პოლინა დამკოვას ნიგნი „ეფირნოე ვრემია“, მარკ ტვენის „ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ნიკოლაი მოდესტოვის „მასკვა ბანდიტსკაია“, ვიქტორ სუვოროვის „დენ ენ“, „ლედაკოლ“, „აკვარიუმ“. დათა თუთაშხია ჩემი უსაყვარლესი ლიტერატურული გმირია. მეგობრებს ვუყვებოდი მის თავგადასავალს. განსაკუთრებით მომწონდა ორი ეპიზოდი, კბილებამდე შეიარაღებულ დათას და მის მეგობარს ბავშვები ჯოხებით რომ გამოეკიდებინა. დამფრთხალი დათა მეგობარს ეუბნება: ა, ბიჭო, მოიფიქრე რაიმე, ბავშვს მე ტყვიას ვერ ვესვრი და შეჭველად დაგვჩვენებ.

მეორე ეპიზოდი. დათა ციხეში ზის. შემოდის ახალი პატიმარი, სახელად პოქტია. ქურდობას იბრალეებს. პატიმრები სულ მალე გაუსინჯავენ კბილს და მიხვდებიან რა, რომ ქურდი კი არა, ერთი მშობარა ბიჭია, დაჩაგვრას დაუპირებენ. დათა დაიცავს, ნარზე მიუთითებს და ეუბნება: მოდი აქ, ბიძია, შენ, დაჯექი ასე, აქანე, ჭკვიანად, არ ხარ შენ არაფერი ქურდი და ზოგიერთი გლახივით აზნაურობის მაძიებლობას თავი დაანებე.

ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ დათა რომანის ფინალში კვდება. გულის სიღრმეში ვატარებდი იმედს, რომ დათა თუთაშხიამ ჭრილობა მოიშუშა და თურქეთში გადაიხვეწა.

მარკ ტვენი სტალინის ყველაზე საყვარელი ამერიკელი მწერალი იყო. მეც ასევე მარკი მიჩვენებდა ყველა ამერიკელ მწერალს. განსაკუთრებით მომწონს მის მიერ აღწერილი ქალების ხასიათები. აქ ყველაფერია, იუმორიც, სინაზეც და ქალების ემოციურობაც. დღემდე აღტაცებით ვკითხულობ მის ფელეტონებსაც.

ერთი სიტყვით, ყველა გადმოგზავნილი ნიგნი წავიკითხე, ხოლო რუსულები სხვებსაც წავაკითხე. სუვოროვის ნააზრევმა დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. განსაკუთრებული დავა წარმოიქმნა სუვოროვის შეხედულებამ, რომ სტალინი გერმანიასთან თავდასხმითი ომისთვის ემზადებოდა და ჰიტლერმა ომის დანყება დაასწრო. საბჭოთა ჯარები სწორედ ამის გამო შეხვდნენ ამ ომს ასე მოუშზადებლებიო. დისკუსია ერთ კვირას გაგრძელდა. მე მთლიანად ვიზიარებდი სუვოროვის შეხედულებებს. ზოგი ამტკიცებდა, რომ სუვოროვის ვერსია მთლად სარწმუნო არ არის იმიტომ, რომ ეს ქორი თვითონ ფაშისტებმა გაავრცელესო.

2003-ში სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დაინყო 2004 წელი. ამ წელს ოპიონი შტატში ციხეების განტვირთვის დიდი კამპანია გაჩაღდა. სასამართლომ მიიღო ორი ქეის-კანონი, შექმნა ორი პრეცედენტი: პირველად ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი საგრძნობლად შემსუბუქდა, ხოლო ციხის იურიდიულ კომიტეტს აღარ შეეძლო პატიმარი განესაჯა გარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის. მთავარი გახდა ის, ციხეში პატიმარი როგორ იქცეოდა. ამ კანონმა ბევრ პატიმარს აჩუქა თავისუფლება. ზოგს 10 წელი ჩამოაკლეს, ზოგს კიდევ უფრო მეტი. ნინო კასტალიოტი 1979 წლიდან ციხეში იჯდა, კლივლენდში ირლანდიელთა მათვის ბოსი ჰყავდა მოკლული. ამ მკვლელობამ ირლანდიელების და იტალიელების დიდი დაპირისპირება გამოიწვია. კასტალიოტს 5 წელი სიკვდილიმისჯილთა საკანში გატარებინეს, მერე სხვადასხვა ზონებში გადაჰყავდათ. ამ წელს კი, როგორც იქნა, თავისუფლება ეღიროსა. სულ ცოტა კიდევ 15 წელი უნდა მჯდარიყო ციხეში.

პროკურორმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მოქალაქეთა ხელმოწერებიც შეაგროვა, მაგრამ კასტალიოტს ამნისტია უცვლელი დარჩა.

დიდი გაცილება მოვუწყვეთ. ირლანდიელების გარდა ყველანი ვიყავით. ზოგიერთი ზანგიც კი შემოგვიერთდა.

ერთი ამერიკელიც გათავისუფლდა, 30 წელი იჯდა ციხეში და კიდევ მინიმუმ 20 წელი იქ ყოფნა მოუწევდა. ძარცვის დროს ორი კაცი ჰყავდა მოკლული.

ამ ყველაფრის ირგვლივ პრესაში დიდი სკანდალი ატყდა. საზოგადოება აღშფოთებული იყო ასეთი შემწყნარებლობით. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ციხეების განტვირთვა კვლავაც სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა.

ამერიკაში არის ერთი ძალიან პოპულარული სატელევიზიო გადაცემა — პრაიმ-ტაიმ, ანუ პირადი დრო. მასში უჩვენებდნენ სიუჟეტებს კრიმინალების შესახებაც. არცთუ იშვიათად, ჟურნალისტები ზონაზეც მოდიოდნენ პატიმრებისგან ინტერვიუს ასაღებად. ერთი ასეთი ფაქტი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ჩვენთან ერთად სასჯელს იხდიდა სკოლის მასწავლებელი ჯონ პუდელსკი. ბრალად ედებოდა საკუთარი ჩვილი შვილის მკვლელობა. ცოლმაც მის ნინალმდეგ მისცა ჩვენება. პუდელსკი წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა. როცა ჩვენს ზონას ჟურნალისტები ეწვივნენ პუდელსკის საქმის დეტალების დასაზუსტებლად, ჯონიმ მათთანაც თავის მართლება დაიწყო. ჟურნალისტებმა რამდენიმე პროვოკაციული შეკითხვა დაუსვეს, რაზეც ჯონს ნერვები ისე მოეშალა, რომ მის დასაშოშმინებლად ზედამხედველების ჩარევა გახდა საჭირო. მერე ეს გადაცემა ტელევიზიით ვნახეთ. მისი ისტერიკაც აჩვენეს. როცა ეს კადრები გამოჩნდა, პუდელსკი ადგა, ერთი შეიგინა და თავისი საკნისკენ გასწია. პუდელსკის ეგონა, ჟურნალისტებს ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებო, მოხდა კი პირიქით. ჯონიმ არ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტები ცხოვრების შოუმენები არიან და სულ ფეხებზე ჰკიდიათ ვინ მართალია და ვინ მტყუანი. მათთვის მთავარია, რომ ისტორიამ ხმაური გამოიწვიოს.

ციხეში მრავლად იჯდნენ ისეთი პატიმრები, რომლებიც თავის უდანაშაულობას ამტკიცებდნენ. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როცა მრავალი წლის შემდეგ მათი უდანაშაულობა მართლაც დასტურდებოდა, რალა თქმა უნდა, ადვოკატების დახმარებით. ეს გარემოება იქცა ერთ-ერთ მტკიცე არგუმენტად სიკვდილით დასჯის ნინალმდეგ. მაგრამ დღესაც სიკვდილით დასჯა შტატების უმრავლესობამ კვლავაც ძალაში დატოვა.

2004-ში ოპიონში ორი ზონა დაიხურა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამ შტატის ფედერალურმა ვალმა თითქმის 5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ოპიონის შტატი გამონაკლისი როდი იყო. კალიფორნიის შტატს 23 მილიარდი ედო ვალად, ორეგონისას – 10 მილიარდი. ოპიონში ამ ზონების დახურვამ სხვა ზონებში მდგომარეობა გააუარესა. გადაიტვირთა სასადილო, შემცირდა საკვების ოდენობა და ხარისხი, ტანსაცმლის გაცემა კიდევ უფრო გაიშვიათდა.

ამ წელს პირველად წამოიჭრა საკითხი საკნებში სამსართულიანი საწოლების შემოღების შესახებ. საბედნიეროდ, ფედერალურმა ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას.

ამავე წელს ჩვენს ზონაზე წამების ფაქტიც მოხდა. პატიმარს უკანალში რკინა შეურჭვეს და ელექტრონს მიუერთეს. ეს ამბავი გამოაშკარავდა და კინალამ პატიმრების ბუნტი მოჰყვა. ციხის ადმინისტრაციამ ძლიერ დაამშვიდა სიბრაზისგან გონსგადასული პატიმრები. წამების ორგანიზატორები სასწრაფოდ სხვა ზონაზე გადაიყვანეს. მღელვარება კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა.

არაფერ იცოდა რა მიზეზით, ფაშისტების დაჯგუფებაში დიდი არეულობა დაიწყო. შემდგომში გაირკვა, რომ ამ დაჯგუფების ერთი წევრი ეჭვმიტანილი იქნა დამბეზღებლობაში. გარჩევის დროს ეჭვმიტანილმა არც აცია, არც აცხელა და დამბრალებელი დანაზე წამოაგო. საპასუხოდ დაჭრილის ორმა მეგობარმა ეჭვმიტანილს ხუთი ჭრილობა მიაყენა და მეორე სარ-

თულიდან გადმოვადო. დამბრალებლის გადარჩენა დიდად არავის გაკვირვებია, მაგრამ ექვმიტანილის გადარჩენა მართლაც სასწაულს ჰგავდა. ასეთი სასწაულები სხვა დროსაც მომხდარა, რაც განამტკიცებს პატიმრების რწმენას იდუმალი ძალების და საერთოდ, ბედისწერის არსებობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დამბრალებელი სასჯელს იხდიდა ერთი ზანგის მკვლელობის გამო, რომელსაც პენისი მოაჭრა და პირში ჩაუდო. ცხადია, ასეთი ფაქტის შემდეგ ფაშისტების ერთობა საგრძნობლად შეირყა. ეს იყო პირველი შემთხვევა 20 წლის განმავლობაში, როცა ჯგუფის შიგნით შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.

როცა ზონაზე ზემოაღწერილი შემთხვევის მსგავსი რამ ხდება, დამნაშავეები გადაწყვეტენ განსაკუთრებულად მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. ფაშისტებს შორის დაპირისპირება ამით არ დამთავრებულა და იგი კიდევ რამდენჯერმე გამეორდა, მათ შორის 28 ივნისს, როცა ისინი ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ მიმართულ „გრძელი დანების“ ფაშისტურ დღეს აღნიშნავდნენ. არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ეს კია, რომ მთვრალმა ფაშისტებმა ერთმანეთს შეუბრალებლად დასცხეს. კიდევ კარგი, დანების ტრიალამდე საქმე არ მისულა და ამიტომ ამ ინციდენტს გართულება არ მოჰყოლია.

ამავე წელს ციხის ადმინისტრაციამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ლოთობას და ნარკომანიას. ამან უკიდურესად გაართულა იტალიელების და ლათინოამერიკელების ცხოვრება. ჩვენ საქმიანობაზე კი ამას არ უმოქმედია. სამაგიეროდ ალკოჰოლის და ნარკოტიკის ფასმა საგრძნობლად იმატა და ბევრს უკვე ამ სიამოვნებაზე ხელი არ მიუწვდებოდა. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ვალეები დაედო და გადაუხდებლობის შემთხვევაში მათ სასტიკად უსწორდებოდნენ.

ამ წელს კარგი ყოფაცქვევისთვის სიურპრიზი მომიწვეს და საკანში ზანგი შემომისახლეს. რაკი ზანგთან ერთად საკანში ყოფნა თეთრკანიანის დამცირებად ითვლებოდა, მე უარი ვთქვი საკანში შესვლაზე და დაუყოვნებლივ კარცერში მომათავსეს. ადმინისტრაციას განვუცხადე, კარცერში ვიჯდები იმ დრომდე, სანამ ჩემს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ. 8 დღის შემდეგ კარცერიდან გამომიშვეს და ლათინოამერიკელ მიგელ გორდონთან შემასახლეს.

გორდონე ძალიან ჰგავდა ალ ჰაჩინოს გმირს ფილმიდან „ნაიარევი სახე“. ძალიან კოლორიტული ტიპი იყო. ბრალად ედებოდა ნარკოტრეფიკინგი და ნარკოტიკებით ვაჭრობა. 7 კილოგრამი კოკაინი უპოვნეს. მისჯილი ჰქონდა ციხე 15 დან 25 წლამდე.

ნარკოტრეფიკინგი საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია ამერიკის ნარკობიზნესში. მიგელი კუბიდან ჩამოვიდა. ტონი მანტანასავით ისიც პოლიტიკური მიგრანტი იყო. პირადად იცნობდა საყოველთაოდ ცნობილ ნარკობიზნესმენებს პაბლო ესკობარს და ასევე მეიერ ლანსკის, ლაკი ლუჩანოს უცვლელ თანამშენს. მამამისი ფიდელ კასტროსთან დაახლოებული პირი ყოფილა. შემდგომში მათი ურთიერთობა არეულა. ჩანს ამანაც გამოიწვია მიგელის დაპირისპირება კუბის კომუნისტურ რეჟიმთან. ციხეშიც მიგელი ნარკოტიკების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გამსაღებელი იყო. საკანშიც მოჰქონდა ნარკოტიკები. მეც შემომთავაზა, ისე, საჩუქრად. შორს დავიჭირე. მაგ გასართობს არ ვეტანებო-მეთქი. ძალიანაც კარგს შვებო, მომიწონა საქციელი.

მერე და მერე, დაუსჯელობამ გაათამამა და სადაც ხელი მიუწვდებოდა იქ მალავდა ნარკოტიკებს. ვუსაყვედურე, ეგ ნარკოტიკები ისე დამალე, რომ მე არ გამსვარო-მეთქი. მართალი ხარო. ამის შემდეგ მხოლოდ თავის ყუთში მალავდა, ან ისეთ ადგილას, სადაც მარტო თვითონ მიუწვდებოდა ხელი.

2004 წელი გამორჩეული აღმოჩნდა იმით, რომ ამ წელს მოხდა შარდის ტესტების ყველაზე გრანდიოზული აქცია. ჩემი ვარაუდით, ეს გამოიწვია ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის არნახულმა ბუმმა ოჰაიოს შტატის ციხეებში. პატიმრები უკვე

დღისით-მზისით ხდიდნენ ღვინოს და არაყს, ხარშავდნენ და ამზადებდნენ სხვადასხვა ნარკოტიკებს. პირადად მე ეს აქცია არანაირად არ შემხებია. მხოლოდ ეს იყო, ჩემი შარდის ყოველი წვეთი სათუთად ინახებოდა ბოთლებში და მერე რიგდებოდა მთელ საპატიმროში. საერთოდ კი, ჩემი ციხეში ჯდომის 12 წლის განმავლობაში, სულ ხუთჯერ გავიარე შარდზე ტესტირება, სხვებს კი ლამის თვეში ორჯერ აკითხავდნენ. აქედან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ციხის ადმინისტრაცია ამ მიმართულებით ინფორმირებული იყო.

2004 წლის აპრილში უსიამოვნებამ ჩვენს დაჯგუფებაშიც შემოაღწია. ფაშისტები 20 აპრილს, როგორც ყოველთვის, ჰიტლერის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ვასიამ და სხვა უკრაინელმა ბიჭებმა გადანიშნეს ამ ზეიმში მონაწილეობა მიეღოთ. ამან ებრაელ ბიჭებში და ზოგიერთ რუსშიაც გაღიზიანება გამოიწვია. აქა-იქ შელაპარაკებაც მოხდა. ნეიტრალური პოზიციის წევრებმა, მე, საშამ, კოლიამ და სხვებმა ძლივს დავაშოშმინეთ დაჯგუფების აგზნებულ-აღელვებული წევრები. ბოლოს ყველაფერი შერიგებით დამთავრდა.

პატიმრებში ხშირად ისადაგურებდა პოზიტივიც. ასეთი ეფექტი იქონია ფილმმა „ძალადობის ისტორია“, ყოფილ მაფიოზზე, ჰიტმენზე, რომელიც შეეშვა თავის შავ საქმიანობას, სადაც შტატის მიყრუებულ რაიონში გახსნა კაფე და ბუფეტჩიკად დაიწყო მუშაობა. აქვე დაოჯახდა, შეირთო ცოლი, გააჩინა შვილები.

16 წლის მანძილზე ყველა საქმე კარგად მისდიოდა. მაგრამ ერთხელაც მის კაფეს ესტუმრა ოთხი ბაიკერი. დათვრნენ და მომიპოვებლეს ჯერ არევა, მერე კი ძალადობა დაუწყეს. ყოფილი ჰიტმენი ამაოდ ცდილობდა მათ დაშოშმინებას. წინააღმდეგობას რომ ნაანყდნენ, ბაიკერები სულ გაიყვდნენ და ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანეს ყოფილი მაფიოზი, რომელმაც თანასოფლელების გასაოცრად, სულ რამდენიმე წუთში, ოთხივენი სიცოცხლეს გამოასალმა.

ეს ამბავი გახმაურდა. სასამართლო, პრესა, მედია-საშუალებები, ყველანი ამართლებდნენ კაფეს მეპატრონის საქციელს. ბოლოს და ბოლოს ამ ამბავმა მისი მეთოქე მაფიოს წევრებამდეც მიალწია. აქ მას მათი მეთაური ჰყავდა მოკლეები. ცხადია, დააპირეს შურისძიება, მაგრამ მან აქაც იმარჯვა და მკვლელები საიქიოს გაისტუმრა. პატიმრების მთელი სიმპათიები, რა თქმა უნდა, მის მხარეს იყო. ფილმის გარჩევის დროს ყურადღება იმაზე გამახვილდა, თუ რა ძნელია წარსულთან გამოთხოვება და რომ ადამიანს წარსული ფხვდაფხვ დასდევს.

ამავე წელს ზონაზე ორი კაპიტანი ზედამხედველი შეცვალეს. ერთი სხვა ზონაზე გადაიყვანეს, მეორე კი დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის დამნაშავედ იქნა ცნობილი და 9 წელი მიუსაჯეს. ოჰაიოს შტატში არის სპეციალური ზონა, სადაც სასჯელს იხდიან ყოფილი სამართალდამცავები და ციხის ყოფილი თანამშრომლები. იქაც თურმე ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივ ციხეებში.

ამ წელს ოჰაიოს ციხეების თავს ერთი გასაოცარი ამბავი დატრიალდა. პატიმარმა ჰომოსექსუალებმა, აქტიურებმაც და პასიურებმაც, მოითხოვეს გადაგვიყვანეთო ქალების კოლონიაში. მიმართეს დაუმორჩილებლობის ყველა ფორმას, მათ შორის შიმშილობასაც კი.

პირველხანად ამან დაბნეულობა გამოიწვია, მაგრამ როცა მათ ამავე მოთხოვნით შეუერთდნენ ჩვეულებრივი პატიმრებიც, ციხის ადმინისტრაციებს უბრძანეს ძირშივე აღეკვეთათ მსგავსი უტოპიურ-რევოლუციური გამოსვლები. ასე და ამრიგად, გომიკების ეს გაბრძოლება უკეთესი მერმისისთვის, უმედეგოდ დამთავრდა. ისე კი ჩანაფიქრი შესანიშნავი იყო. რომელი პატიმარი არ იოცნებებს ქალებისა და კაცების კოლონიების გაერთიანებაზე.

დასასრული შემდეგ ნომერში

# თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მეფე

რომელმან აღიღოს მახვილი

ჩვენი ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილ ტოპონიმთა შორის ყველაზე მკაფიოდ გამოირჩევიან ისინი, დიდი გამარჯვებისა თუ მწარე დამარცხების ნიშანსვეტებად რომ აღმართულან ცნობიერებაში: დიდგორი, შამქორი, ბასიანი, გარნისი, მარტყოფი, მარაბდა, კრწანისი... მაგრამ მარტოოდენ მოგებულნი ან წაგებულნი ომი როდი ანიჭებს უკვდავებას რომელიმე სოფელსა და ალაგს. საქართველოს მდიდარი წარსული ერთფეროვანი ტილო არ გახლავთ და უფრო მოზაიკას წაგავს, სადაც გმირობისა და რაინდობის თვალწარმტაც ფონზე დროდადრო გამოკრთება ხოლმე შავი კენჭები შურისა და აღსაბრუნების, მუხანათობისა და გულქვაობისა.

ახსენებ საფურცლებს, დღეს რომ ნატახტარი ჰქვია, და მყისვე მოგაგონდება, რომ სწორედ საფურცლეში გათამამდა ის სისხლიანი ეპიზოდი, რომელიც იმდროინდელი „სისხლის წვიმების“ კვლობაზეც კი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მოულოდნელობითა და მზაკვრული ჩანაფიქრით.

1630 წლის შემოდგომაზე საფურცლეში მოკლეს ზურაბ არაგვის ერისთავი.

მარტყოფისა და მარაბდის ცხარე ბრძოლებში სიკვდილს გადარჩენილმა ხუთი წლის შემდეგ, უამსა მშვიდობისასა, თავისი აღსასრული ჰპოვა საფურცლეში, სადაც არც ბუკნალარის გამაყრუებელი ზათი იხმოდა და არც ყიზილბაშთა ველური ყიჟინა. განგებამ გადამთიელ მტერს არ მოაკვლევინა და მოყვასთა ხელთაგან მიუსაჯა სიკვდილი.

„საფურცლეს მოკლეს ზურაბი, ლერწამი ზღვის პირისაო“, — გულისტკივილით კითხულობ ხალხური ლექსის უკვდავ სტრიქონს და თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ ისე განიცდი მის ტრაგიკულ აღსასრულს, როგორც ახლობლის სიკვდილს. თითქოს იცნობდეს, თითქოს მისი ხმაც გსმენია. თვალწინ წარმოგიდგება ახოვანი და გიჟი, სხვათაგან გამორჩეული და განუმეორებელი, რომელსაც ძალმომრეობა გადაუტყვევია ცხოვრების ნორმად და სავესებით ლოგიკურია, რომ საქმეთა ბოროტთა მოქმედი თვითონაც გარდუვალად ხდება მსხვერპლი ძალმომრეობისა.

ზურაბ ავალიშვილი წერდა: „მეფეთა ყოველგვარი ცდა — გაძლიერებულიყვნენ თავის სამშობლოში — აწყდებოდა გადაულახავ დაბრკოლებას დიდი ფეოდალების სახით, რომელთაც შორეულ ისპანზე ნომინალური დამოკიდებულება უფრო ეამებოდათ, ვიდრე უშუალო მორჩილება მეზობლადვე მყოფი მეფის წინაშე. და ეს ფეოდალები სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატენი როდი არიან. პირიქით, სწორედ მათ არაერთხელ დაუცავთ რჯული და „ქართველობა“, მაგრამ შეგნებულად ზურგი შეაქციონ ინტრიგებს და ხელი შეუწყონ სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ანდა წინააღმდეგობა მაინც არ გაუწიონ, რაგინდ სასარგებლოც იყოს ეს ეროვნული იდეალებისათვის — ამას ისინი არასოდეს გააკეთებდნენ. მათი მოქმედების წესი თანამიმდევრულად გამომდინარეობდა ეპოქის საზოგადოებრივი წყობიდან“.

მკვლევარის ნააზრევი დინჯად გვაფრთხილებს, რომ სახელისა და ძალაუფლების საძიებლად აზვავებულ-აზვირთებული ფეოდალები სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატეებად მაინც არ უნდა მოვნათლოთ. მეფესაც მტრობდნენ, ერთიმეორესაც არ ინდობდნენ და ხშირ-ხშირად ისპანსა თუ სტამბოლში გარბოდნენ ხან სამართლის საძებნელად, ხანაც

მოყვასზე ჯავრის ამოსაყრელად. მაგრამ, გარკვეულ გამოწვევასთან გარდა, თავისებური პატრიოტიზმი იყვენო.

ეროვნული ბუნების ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი საღაზრსა და სათნოებას თრგუნავდა.

და მაინც... ენა როგორ მოგიბრუნდება, რომ სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატედ მიიჩნიო ზურაბ ერისთავი — მარტყოფისა და მარაბდის გმირი, მარჯვენა ხელი გიორგი სააკაძისა.

ზურაბ ერისთავი ტიპიური ქართველი ფეოდალი იყო, ოღონდ სხვაზე მეტი გულადობა და ჭკუა-გონება ჰქონდა, ღონეც უხვად მოსდგამდა და ხერხიც ემარჯვებოდა. მუხანათობას ხომ ნულარ იტყვიო! არც ძმა იცოდა, არც მოყვარე და არც მეგობარი. მისი უსაზღვრო პატივმოყვარეობა ფეხქვეშ ქელავდა ზნეობის ხუნდებს.

გიორგი სააკაძე თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა თავის ცოლისძმაზე. წერთნიდა და მოძღვრავდა. დაუფიქრებლად ენდობოდა და მის ერთგულებაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა.

როდესაც 1625 წლის გაზაფხულზე ყიზილბაშთა ლაშქარს საქართველოში მოჰყვებიან, დიდი მოურავი ზურაბ ერისთავს მომავალი აჯანყების განზრახვას წინასწარვე გააწვდობს. მაგრამ მშვენიერად იცის, რომ მხოლოდ შიშველი იდეალებით ზურაბის გულს ვერ მოინადირებ! ამიტომაც ანუგეშებს: ირანში მიქვლად დარჩენილ ცოლს ნუ ნაღვლობ, ლუარსაბ მეფის დას ცოლად შეგერთავო. ლელა ბატონიშვილი, ნაცოლარი შაჰ-აბასისა, ახლა კახეთის გამგებლად დანიშნულ ფეიქარ-ხანს ჰყავს ცოლად. თუკი გავიმარჯვებთ, ლელა ბატონიშვილსაც ხელთ ვიგდებთო. ვაი რომ, ფეიქარ-ხანი, თავისი ჰარამხანინად, სამშვიდობოზე გასვლას მოასწრებს და სასიძო პირში ჩალაგამოვლებული არება.

იმავე დიდი მოურავის თაოსნობით, სულ მოკლე ხანში, ზურაბ ერისთავი ცოლად ირთავს თეიმურაზ პირველის ასულს.

ქართლ-კახეთის მეფის სიძე გახდა და კიდევ უფრო გალალდა. მერე არაგვივით დაუდგრომელმა არაგვის ერისთავმა სვიმონ-ხანის მამობილობა ამჯობინა თავისი სიმამრის ერთგულებას.

ეს კი ძალზე ძვირად დაუჯდა. შეცდომის გამოსწორებამაც კი ვეღარ უშველა.

ჯაკომო დი სტეფანო ზემოხსენებულ წერილში პიეტრო ავიტაბილეს აუწყებს შემდგომ მოვლენებს:

ზურაბ ერისთავს, შერიგების შემდეგ, თეიმურაზი და მისი ამაღლა სტუმრად მიუწვევია თავის მამულში. ქართლ-კახეთის მეფეს სამი დღე გაუტარებია იქ და დაბრუნებულა თავის სამფლობელო სოფელში, რომელსაც სოფრასელი (ალბათ — საფურცლე) ჰქვიაო. მას ხელახლა წარმოქმნილი ეჭვისა თუ წარსული ღალატის გამო ზურაბი დაუბარებია ვითომდა მნიშვნელოვან საქმეებზე მოსათათბირებლად. არაგვის ერისთავი მაშინვე ჩასულა საფურცლეში.

ჯაკომო დი სტეფანოს სიტყვით, ზურაბმა როგორც კი შეაბაჯა დივანში (ქართველთა პარლამენტს ასე უწოდებენო), კარი უმაღვე ჩაუკეტეს. იმ ბატონმა, რომელსაც თეიმურაზი ეძახდა ყორჩიბაშს, მყისვე ხანჯალი ჩასცა ზურაბს და შესძახა: ადრე სიცრუე იყო, თითქოსდა თეიმურაზს შენი მოკვლა სურდა, ახლა კი სიმართლე არისო.

ზურაბმა ხმაზე იტაცა ხელი, მაგრამ სახლთუხუცესმა მკლავში დაჭრა და ხმალი ხელიდან გააგდებინა. ბოლო, სასიკვდილო ჭრილობა სუფრაჯიმ მიაყენა.

ზურაბის მკვლელობის შემდეგ თეიმურაზი სასწრაფოდ გაემურა თავისი დაქვრივებული ასულის შინ წამოსაყვანად. ზურაბის ძმებმა ციხე-სიმაგრეს შეაფარეს თავი და თეიმურაზთან მორიგებას შეუდგნენ.

არჩილ მეფის პოემამი რამდენიმე სტროფი ეთმობა თეიმურაზის ნაღვლიან ფიქრებს იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი ძალა მოეპოვება ენას და რა შეიძლება მოჰყვეს ავი ენების აყოლას:

„ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან, თვით დამიცდია აგრევე, ვითა მასმია სხვისაგან... ენა მლიქნელი გონებას მყუდროსა, მშვიდად დებულსა, გულსა განმსჭვალავს და ღვიძლსა გააპობს სიბრძნით ქებულსა... ყურსა ლახვრულად

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №16,17,18



ეცემა, უმაგრეს გრდემლ ნაკრავისა; თვალსა აამღვრევს წმინდასა, ხედვიდეს ავს არ ავისა; თმათ აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწავეს ცეცხლ-განაკრავისა; შფოთს ააყოლებს, ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა“.

ავი ენის ნათქვამი სიტყვა ნაკვერჩხალივით არისო, მყისვე თუ არ გადაავდე, ნატისუსალს დაგიტოვებს და ავ ენასაც თუ უსმინე, გულში ჩაგებუდებო, — დაასკვნის თეიმურაზი და განაგრძობს:

„რადგან ეს ვიცი, რად ავჰყევ ენას ავისა მბობელსა; ღბილისა გამსალელებსა, ფოლადის დამადნობელსა; უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა; ყელშიგან ნამჭირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?“

მაინც ვის ნაუბარს გულისხმობს ესოდენ სასწრაფოვით მონოლოგში თეიმურაზ მეფე? მაინც რას ჩასჩინებდნენ ავი ენები, რას მოუწოდებდნენ?

ამას საუცხოოდ და დამაჯერებლად მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე:

„დედოფალნი და ქართლელნი და კახნი ზურაბ ერისთვისათვის ავნი იყვნენ და დედოფლის ნებართვით ზურაბ ერისთვის სიკვდილი გამოარჩივეს. ზურაბ ერისთავიან თავისი მემკვიდრე ბატონი მოკლაო, უსაცლოთ თქვენც მოგკლავსო და ქართლსა და კახეთს თვითონ დაიჭერსო... მეფის სვიმონის ბიძა ყაენის ყულარადასიო და სისხლს არ შეგვარჩენსო. მამ ასე სჯობსო, ზურაბ მოვკლათო და თავი ყაენს გაუგზავნათო და მეფის სვიმონის სიკვდილი იმას დავაბრალათო და ქართლის მეფის სისხლი და ერანის ხემწიფის რისხვა ამით ავიციდნითო. დააჯერეს ბატონს თეიმურაზს და საფურცლეს დაჰპატიჯეს და უღალატეს და სუფრაზე ერისთავი ზურაბ მოკლეს“.

ყველაფერი გათამაშდა „ავი ენების“ მიერ დაგეგმილი შეთქმულებისამებრ.

მართლაც, თეიმურაზის მტკიცებას, სვიმონ-ხანის მკვლელობაში ბრალი არ მიმიძღვისო, სეფიანთა სამეფო კარზე იოლად ვერ დაიჯერებდნენ. და რაც მთავარია, ხოსრო-მირზა არაფრით დაიჯერებდა. სწორედ იმხანად ოსმალეთის ლაშქარმა ბაღდადს შეუტია და ხოსრო-მირზას ასე უთქვამს: ჩემს ძმისწულს ვეღარ გავაცოცხლებ, ჯერ ოსმალები დავამარცხოთ და მერე სვიმონის სისხლსაც მოვიკითხავო.

თეიმურაზ მეფე გამოუვალ ჩიხში იყო მოქცეული. მართალია, ზურაბის ქმედებამ მეტოქე სამუდამოდ ჩამოაშორა, მაგრამ ისპანიდან უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

ისქანდერ მუშის სიტყვით, თეიმურაზმა სეფიანთა სამეფო კარს ასე მოახსენა: რადგან ზურაბმა სახელმწიფოს უღალატა სვიმონ-ხანის მკვლელობით, ამიტომაც სიკვდილით დავსაჯეო.

შაჰ-სეფიმ საქციელი მოუწონა და, განუული სამსახურის საზღაურად, ქართლი (თბილისის გამოკლებით) მის ვაჟიშვილს დაუმტკიცა.

პიეტრო ავიტაბილე 1632 წლის 24 თებერვლით დათარღლებულ წერილში აღეპოდან რომში აუწყებს პიეტრო დელა ვალეს უცხოეთში შეხვედრილ ქართველ ვაჭართავან მოსმენილ ამბავს: თეიმურაზის უარშიო სიძემ ზურაბ-ბეგმა ბოლო მოულო სვიმონ-ხანს, თბილისის პროვინციის პატრონს, მერე დასახმარებლად იხმო თავისი სიმამრი, რათა გაელაშქრათ ირანის შაჰის წინააღმდეგ, მაგრამ გონიერმა თეიმურაზმა, შაჰ-სეფის საამებლად, ზურაბი მოაკვლევინაო.

ასე გაიღეს ზვარაკად ზურაბ არაგვის ერისთავი.

თეიმურაზს ნამდვილი თუ მტერთავან შეთხზული დანაშაული უნდა გამოესყიდა და საამისოდ ერთადერთი გზა ჩანდა — ზურაბის მკვლელობა. თეიმურაზი გულახდილად აღიარებს, რომ ეს საქმე მარტოოდენ ავი ენების კარნახით არ განხორციელებულა და თავის გულსიტყვილს ერთი სტრიქონით აზუსტებს: „მაგრამ ძნელად გაეძღვებინა ყმის პატრონზედ აზვავებას“.

ისევ აზვავება ქართველი ფეოდალისა, ისევ ნაცნობი ჰანგი „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ ისევ უგვირგვინო მეფობის პრეტენდენტი საქართველოს ისტორიის ავანსცენაზე.

თუკი ვენდობით არჩილ მეფის პოემას, თეიმურაზისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია ზემოთქმულ ტრაგიკულ ეპიზოდს. ვიდრე ცოცხალი ვარ, ვინანიებ, ცრემლი მუდმივად მდისო. რად მოვკალ შეილსა და ძმაზე უმჯობესი სიძე, ჩემთვის ნამსახური კაცი, მოდგმით სიკეთე რომ დაჰყვებოდაო, — ამგვარად მოთქვამს ქრისტიანული სულისკვეთებით გამსჭვალული მეფე.

ჩადენილი ბოროტმოქმედება თავზარს სცემს: „ღვთისა მემინის, კაცთავან მრცხვენის ამისა მყოფელსა; გული გამმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვის მყოფელსა! სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა? იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე სოფელსა!“

მაგრამ ორ ისტორიკოსს, ქართველსა და იტალიელს, ერთსულოვნად გამოუტანია განაჩენი არა თეიმურაზისათვის, არამედ — ზურაბ ერისთავისათვის.

ბერი ეგნატაშვილი: „და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

ბართლომეო ფერო: „ასე დაიღუპა ის, ვინც აუფანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვთისმკრეხელი არ იყო ღირსი სიცოცხლისა და თუმცა უფალი ზოგჯერ აგვიანებს სასჯელს, გაუქმება არა სჩვევია“.

და მაინც... თეიმურაზ მეფე უფრო მკაცრად განსჯის საკუთარ თავს, ვიდრე ისტორიკოსები. იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე სოფელსაო!

ვაგლახ, სხვა გზა აღარ დარჩენოდა. ქვეყნის გადასარჩენად უნდა ეტვირთა უმძიმესი ცოდვა.

ქართველი კაცის ბედიც, მსავასად ქართლის ბედისა, ისპანში წყდებოდა.

გულსა გტკენს, თვალში საცემ ხინჯს რომ წაანყდები სახელოვანი მეფის ბიოგრაფიაში. მაგრამ რას იზამ, იდეალური გმირები თუკი არსებობენ ამქვეყნად, მონასტერში იქნებიან გამოკეტილნი. ხოლო მონასტრიდან როგორ უნდა უშველო ქვეყანას, რომელსაც ხან გარეული მტერი მოახყდება, ხანაც შინაურთა შუღლი წენავს და აჩანავებს. სათნოება უძლურია ძალადობის წინაშე, კეთილშობილება იშვიათად პოულობს ღირსეულ გამომძახილს.

სათნობითა და გულჩვილობით დაჯილდოებული გმირები მტერთავან გარშემორტყმული და ქიშპით ათუხთუხებული ქვეყნის თავკაცებად ვერ გამოდგებიან. ლოცვა და კალამი ვერ აღკვეთს ბოროტებას, რომელთან შერკინება და გამარჯვება მხოლოდ იმ სიმართლეს ძალუძს, ბოროტებისგან რომ ისესხებს ათასჯერ ნაცად მრუდე გზებს თავისი მიზნის მისაღწევად.

ქართლ-კახეთის მეფე, შესაძლოა, ერთგვარად გაამართლოს ერთი საუკუნით ადრე მცხოვრები იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის შეგონებამ:

„როდესაც საქმე ეხება სამშობლოს ხსნას, ყურადღება არ უნდა მიაქციო არავითარ სიძნელეს და არც იმას, შენი ქმედება სამართლიანია თუ უსამართლო, ჰუმანური თუ სასტიკი, საქებარი თუ საძრახისი. განზე უნდა გადასდო ყოველი სანყაო და დაადგე მხოლოდ იმ გზას, რომელსაც ძალა შესწევს, რომ არსებობა გადაურჩინოს და თავისუფლება შეუნარჩუნოს შენს სამშობლოს“.

## ცდუნება

ოქროს შემოდგომა დაუდგა თეიმურაზ პირველს. ალაგმა უგვირგვინო მეფობის პრეტენდენტები. აღარავინ ერკინებოდა „ორისავ ტახტის მჭერს“. უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და კანონიერი მეფე ქართლისა — მაჰმადიანი სვიმონ-ხანი.

მოუსყიდველი სიკვდილის ანგელოზი თავზე დაადგა შაჰ-აბასს და სამარადისო წყვდიადში გაისტუმრა ქართველი ხალხის მივინვარე მტერი.

არჩილ მეფის პოემაში თეიმურაზ პირველი ამაყად წარმოთქვამს: „ორგული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა, დავაბივი... ურჩსა მივე არაფერი, ერთგულებსა ბევრი მივე“.

მართალია, ისპანში დიდი გავლენით სარგებლობდა თეიმურაზ მეფის მთავარი მეტოქე ხოსრო-მირზა, ირანის ყულარალასი და ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალი, რომელიც თავის უფლებებს ქართლის ტახტზე იოლად როდი შეეღობოდა, მაგრამ პიეტრო ავიტაბილეს ცნობით, შაჰ-სეფის თავისი სახელგანთქმული პაპისაგან ანდერძად დარჩენია — კეთილი ურთიერთობის შენარჩუნება თეიმურაზ მეფესთან. და ჯერ-ჯერობით არ ღალატობდა ანდერძს.

იმავე ავიტაბილეს სიტყვით, შაჰ-სეფიმ, თეიმურაზთან კავშირის განსამტკიცებლად, მისი ასულის ცოლად შერთვა განიზრახა და ნიშნობისათვის უმდიდრესი საჩუქრები გამოგზავნა. თინათინი, ასული თეიმურაზისა, ჩანს, ჯერ მცირეწლოვანი იყო და ეს ქორწინება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შედგა.

ერთი სიტყვით, თეიმურაზს არსაიდან რეალურად არაფერი ემუქრებოდა.

1631 წელს რომის პაპი მოკითხვას უთვლიდა „ივერიის მეფეს“ და აღფრთოვანებულ ქათინაურებს არ იშურებდა: „თქვენი სახელგანთქმულობა და თქვენი შესანიშნავი გამარჯვების ხმა თქვენი ქვეყნის საზღვრებს გამოსცდა, გამოიარა ევროპის ქვეყნები, ხმელთაშუა ზღვის მღელვარე ტალღები და მოაწია რომს“.

მომდევნო 1632 წელი კიდევ ერთ მიჯნად იქცა თეიმურაზ პირველის ცხოვრებაში. მან საკუთარი ხელით გადაჭრა თავისი ზედ-იღბლის ტყელი და ამდენი ბრძოლითა და გარჯით მოხვეჭილი ქართლ-კახეთის ტახტი ქარს გაატანა.

ოცნებამ აცდუნა, რაინდმა სძლია პოლიტიკოსს და გააბრუა.

დაუდ-ხან უნდილადის გამოქცევა საქართველოში და ყაჯართა ამონყვეტა იორზე — ეს იყო პირველი მოქმედება იმ დრამისა, რომელიც დაიწყო 1632 წლის სექტემბერში და დამთავრდა 1633 წლის თებერვალში — თეიმურაზისათვის საბედისწერო ფინალით.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს:

1630 წლის შემოდგომაზე ოსმალთა ლაშქარმა ბაღდადს შეუტია. შაჰ-სეფი გაეშურა ბაღდადის მიმართულებით. დაუდ-ხანიც იმყოფებოდა მის ამაღლაში. ყაჯართა ტომის რამდენიმე წარჩინებულმა შაჰს მიაართვა საჩივარი განჯის ბეგლარბეგის უსამართლო და უხეში ქცევის გამო. შაჰ-სეფიმ საყვედური არ დაუგვიანა დაუდ-ხანს, მაგრამ ეს უკანასკნელი „უკიდურეს უვიცობასა და ქედმაღლობას ინარჩუნებდა“.

ერთ ღამეს, „სამოთხისებურ მეჯლისში“ შაჰმა ისევ საყვედურითა და რჩევა-დარიგებით მიმართა დაუდ-ხანს. განჯის ბეგლარბეგი მოურიდებლად შეელაპარაკა მბრძანებელს. განრისხებული ხელმწიფის ბრძანებით, დაუდ-ხანი მეჯლისიდან გაიყვანეს და დასაჯეს, მაგრამ თანამდებობიდან არ გადაუყენებიათ მისი უფროსი ძმის პატივისცემით. ცოტა ხნის შემდეგ დაუდ-ხანი უნებართვოდ გაუდგა ყარაბაღის გზას.

ინგლისური წყაროს ცნობით, შაჰის მეჯლისში ერთობ თამამი ლაპარაკისთვის დაუდ-ხანი გაჯოხილ იქნა.

მეჯლისიდან დაუდ-ხანის გაძევებას აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძეც. ოღონდ, მისი სიტყვით, ამის მიზეზი ყოფილა ხოსრო-მირზა, უახლოესი მრჩეველი და „მამობილი“ ახალგაზრდა შაჰ-სეფისა.

უნდილადეთა და ხოსრო-მირზას დაპირისპირება გამოიწვია, ალბათ, სეფიანთა სამეფო კარზე გავლენისათვის ბრძოლაში.

შაჰ-სეფიმ სცადა, რომ დაუდ-ხანი იმქვეყნად გაესტუმრებინა — მკვლელი მიუგზავნა განჯაში. დაუდ-ხანმა გადაწყვიტა მიეტოვებინა სეფიანთა სახელმწიფო და, ამასთან ერთად, შური ეძია ყაჯართა ტომის წარჩინებულებზე. ორი ერთგული კაცი აფრინა თეიმურაზ მეფესთან და შეუთვალა, შეიარაღებული ხალხი მოამზადე და როდესაც გაესტუმრები, მთელ ჩემს ამაღლას მუსრი გაავლიე. აგრეთვე სთხოვდა, ჯარი შეეკრიბა განჯა-ყარაბაღზე სალაშქროდ.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, დაუდ-ხანმა დაარწმუნა თეიმურაზი, რომ შაჰ-სეფის კეთილგანწყობა ქართველი მეფის მიმართ გულწრფელი არაა, მხოლოდ მისი სიფხიზლის მოსადუნებლად არის გამიზნული და როგორც კი შემთხვევა მიეცემათ ისპანში, თეიმურაზს მაშინვე გადააყენებენ.

თეიმურაზი თვითონაც ვარაუდობდა, რომ ხოსრო-მირზას წყალობით ტახტზე აბრძანებული შაჰ-სეფი, ადრე თუ გვიან, დაუფასებდა ამავს თავის „მამობილს“, რომელსაც უპირველეს ჯილდოდ, რასაკვირველია, ქართლის მეფობა ეზმანებოდა.

1632 წლის სექტემბერში განჯის ბეგლარბეგი, მთელი თავისი ოჯახითა და ქონებით, განჯიდან აიყარა. ყაჯართა ტომის წარჩინებულნი, ყარაბაღის ლაშქრითურთ, თან გაჰყვნენ. არავინ დაქვევებულა, ვინაიდან დაუდ-ხანი ნელინადმი რამდენჯერმე მიდიოდა ხოლმე სტუმრად საქართველოში და ახლაც ასე განაცხადა, ივრის ნაპირები უნდა მოვიწადიროთო.

საუცხოოდ მოინადირეს!

თეიმურაზ მეფე იორთან შეეგება სტუმრებს და თავისი კარვისაკენ გაუძღვა. შეიარაღებული ქართველები სასწრაფოდ გარს შემოერთყნენ ხალიჩაზე ჩამოვჯდარ ყაჯარ წარჩინებულთ და ერთიანად გაჟუჟეს. მათი ხეედრი გაიზიარა ყარაბაღის ლაშქარმაც.

ისქანდერ მუნშის ცნობით, ვერავინ გაექცა ხიფათს, თვალის დახამხამებაში ყველამ „მონამებრივი სიკვდილის შარბათი იგემა“.

სპარსელი ისტორიკოსი იმონემეს სასწაულებრივ გადარჩენილი მოლას ნაამბობს: „როდესაც ველზე ქართველების კრიალა ხმლები ალაპლაპდა, საჩქაროდ გავბრუნდი, რომ დაუდ-ხანისათვის მეუწყებინა, გილატეს, ხალხს ხოცავენ-მეთქი. აღლევებულმა ვუთხარა, საკუთარ თავზე მაინც ეზრუნა და თუკი შეძლებდა, უბედურებას განვიდებოდა. დაუდ-ხანმა გაიცინა და მითხრა: მოლაგ, ნუ ღელავ, უბედურება არ მომხდარა, ეს მხოლოდ თამაშაა. ამის მსგავსს კიდევ ბევრს იხილავ!“

დაუდ-ხანის მუქარა მოკლე ხანში განხორციელდა.

თეიმურაზ მეფის მხედრობამ, დაუდ-ხანის წინამძღოლობით, ზედიზედ ორჯერ დაარბია განჯა-ყარაბაღი.

ბ. ფერო გვაუწყებს: „განჯის მოსახლეობამ ვერც კი მოასწრო მთებში გახიზვნა, რადგანაც ცნობას მოახლოებულ საფრთხეზე ფეხდაფეხ მოჰყვა ქართული მხედრობა ისეთივე სისწრაფით, როგორც ცაზე ელვის გამოჩენას მოსდევს ქექა-ქუხილი“.

ისქანდერ მუნში წერს: „გოდება მეშვიდე ცას ასწვდა. მოსახლეობას და ჯარს თავზარი დაეცათ“.

თეიმურაზის მხედრობამ მთელი პროვინცია ცეცხლსა და მახვილს მისცა. მოიხვეჭეს დიდი ალაფი (ცხვარ-ძროხა, აბრეშუმი და სხვა მრავალი ქონება).

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ განხორციელდა მეორე ლაშქრობა. ახლაც იმდენი ალაფი იგდეს ხელთ, რომ არქანჯელი ლაშქარტის ცნობით, თითო კამეჩი ოცი ლავამის ფასად იყიდებოდა.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

1632 წლის შემოდგომა თეიმურაზ პირველის სახელოვანი ცხოვრების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს.

ვინ წარმოიდგენდა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ, როდესაც ყიზილბაშები თითქმის განუკითხავად დათარეშობდნენ უწყალოდ აოხრებულ ქართლ-კახეთში, რომ ქართველი მეფე ზედიზედ ორჯერ დაარბევდა მრისხანე მტრის ერთ-ერთ პროვინციას.

ბ. ფეროს სიტყვით, თეიმურაზს სწყუროდა განჯის დარბევა ყიზილბაშებზე ჯავრის ამოსაყრელად, რომლებმაც, შაჰ-აბასის განკარგულებით, მიწასთან გაასწორეს კახეთის სატახტო ქალაქი გრემი. იტალიელი ისტორიკოსი წერს, ეს იყო მხედართმთავრის შურისძიება და არა — გონიერი პოლიტიკოსის ნაბიჯი.

რაინდულმა სულისკვეთებამ გააბრუნა პოლიტიკური მოღვაწე. ნუთუ ვერ განჭვრიტა, რომ განჯა-ყარაბაღის დარბევას სასწრაფო პასუხი მოჰყვებოდა ყიზილბაშთა მხრიდან? ეგებ ეგონა თეიმურაზს, რომ ჯოჯოხეთში დამკვიდრებულმა შაჰ-აბასმა თან წაიყოლა სეფიანთა იმპერიის ძლიერება?

მაგრამ არსებობს ერთი უცნაური ისტორია, რომელიც სრულიად ახალ შინაარსს ანიჭებს თეიმურაზ მეფის გლაშქრებს განჯა-ყარაბაღზე, თვალსაჩინო ხდება ქართველი მეფის ჩანაფიქრი და მეტი გამართლება ეძლევა მის მოქმედებასაც.

არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ ირანში გავრცელდა ხმა, რომ უფროსი ვაჟი შირაზის ხანისა სინამდვილეში იყო შაჰ-აბასის ღვიძლი შვილი. თურმე სეფიანთა ირანის ხელმწიფემ გადაწყვიტა, თავისი ერთი ცოლთაგანი ეწყალობა იმამყული-ხან უნდილაძისათვის, რომელიც ძალიან უყვარდა მისი დიდი გონიერებისა და სიმამაცის გამო; წაიყვანა თავის ჰარამხანაში, რათა თავად უპირველეს ფავორიტს ამოერჩია, ვინც უფრო მოუფიქრებელი იქნებოდა. შირაზის ხანმა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ შეასრულა მბრძანებლის სურვილი. მისი მოწონებული ქალი, როგორც მალე გამოირკვა, ფეხმძიმედ ყოფილა, მაგრამ შაჰს არაფერი სცოდნია ამის შესახებ. ვაჟიდა ხუთი თვე და შაჰ-აბასის ნაცოლარმა გააჩინა ვაჟი, რომელსაც შირაზის ხანი ყოველთვის თავის შვილად მიიჩნევდა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობას ადასტურებენ სხვა იტალიური წყაროებიც. ადასტურებს ისქანდერ მუნშიც. მისი სიტყვით, ეს მითქმა-მოთქმა პირზე ეკერა ყველას, უბრალო ხალხიდან სამეფო კარის დიდკაცებამდე, თუმცა სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდა.

ძნელი სათქმელია, ცრუ-უფლისწული იყო თუ ჭეშმარიტი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ვიღას შეეძლო სიმართლის დადგენა?! ხალხის თვალში კი ტახტის ახალ პრეტენდენტს უპირატესობა ენიჭებოდა, როგორც შაჰ-აბასის უშუალო მემკვიდრეს (შაჰ-სეფი, შვილიშვილი შაჰ-აბასისა, მხოლოდ იმიტომ აიყვანეს ტახტზე, რომ სამი უფლისწულიდან, თვით შაჰ-აბასის ბრძანებით, ერთი მოკლული იყო და ორიც — თვალდათხრილი).

სპარსელი ისტორიკოსის მიხედვით, დაუდ-ხანმა თეიმურაზს გაუმხილა, რომ მემკვიდრე შაჰ-აბასისა იმყოფება ფარსში იმამყული-ხანთან და მისი შვილი ჰქვია, მაგრამ უკვე დადგა ჟამი სიმართლის გამჟღავნებისა და იმამყული-ხანი, მკვრივად ფარსისა, ბაჰრეინისა, ლარისა, ჰორმუზისა, ხუზისტანისა და არაბისტანისა, გამოიყვანს 30 ათას მხედარს და მოკლეს ხანში ახალი შაჰის სახელით მოიჭრება ფული. თეიმურაზი, თავისი გამჭირვარების მიუხედავად მოტყუვდა და, ავტორის გამოთქმით, „სახელმწიფოს ურჩობის წრეში შედგა ფეხი“.

დაუდ-ხანმა და თეიმურაზ მეფემ შირვანისა და ერევნის ამირებს მისწერეს: ტახტის კანონიერი მემკვიდრე ფარსშია, ჩვენი და იმამყული-ხანის ჯარები სულ მალე მის დროშას ისპაანში აღმართავენო!

მაგრამ არც შაჰ-სეფის ეძინა. მან ყარაბაღის პროვინცია სასწრაფოდ უბოძა მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლის, ხოლო ქართლი და კახეთი — ხოსრო-მირზას, ან როსტომ მეფედ წოდებულს.

საქართველოსაკენ დაძრულ ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს სათავეში ჩაუყენეს როსტომ-ხან სააკაძე, ბეგლარბეგი თავრიზისა და სპასალარი ირანისა.

1632 წლის 1 დეკემბერს შაჰ-სეფი ისპაანიდან გავიდა. ამა-სობაში სიცვიე და წვიმა გაძლიერდა. მერე სულ გაფუჭდა ამინდი. რამდენიმე დღე გაუთავებლად თოვდა. შაჰი თავისი ამალით ყაზვინში შეჩერდა. სწორედ აქ მოართვეს დაუდ-ხანისა და თეიმურაზის მიმართვანი შირვანისა და ერევნის ამირებისადმი.

შაჰ-სეფის მეტიც არ უნდოდა! იმამყული-ხანის სახელზე დაინერა ბრძანება, რომ თავისი უფროსი ვაჟითურთ დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სამეფო კარზე.

ახლა შირაზის ხანს ეკუთვნოდა სიტყვა. თუკი იგი სამხრეთიდან შეუტევედა შაჰ-სეფის, ამით ორ ცეცხლშუა მოაქცევდა და აიძულებდა ისპაანისკენ მობრუნებას. თეიმურაზ პირველი სწორედ ასეთ გაგრძელებას ვარაუდობდა. სეფიანთა ახალ-გაზრდა ხელმწიფეს, უდავოდ, დაასუსტებდა ომი შირაზის ხანთან. თეიმურაზი ისევ შეუტევედა მომდევნო წელს, ოსმალეთიც მიეშველებოდა მემამბოხეებს და ოცდამეერთე გაზაფხული შეიძლება უკანასკნელი გაზაფხული გამხდარიყო შაჰ-სეფისათვის.

არქანჯელო ლამბერტიმ ჯერ არ იცის გათამამებული დრამის ფინალი და 1632 წლის დამლევს მარჩიელობს: ან ბოლოს მოუღებენ შაჰ-სეფის, ტახტზე ავა ვაჟი განსვენებული შაჰ-აბასისა და, ამგვარად, ძმები უნდილაძეები დაეპატრონებიან მთელს ირანს, ანდა გაიმარჯვებს შაჰ-სეფი, მოსპობს ორივე ძმას, მერე — თეიმურაზსაც და იძულებული ვიქნებით, გავექცეთ ყიზილბაშთა გამძვინვარებასო.

იტალიელი მისიონერის იმედს ირანში უნდილაძეთა გაბატონებაზე გაცრუება ეწერა.

უფროსმა ძმამ მხარი ვერ აუბა დაუდ-ხანს და თეიმურაზ პირველის თამამი წამოწყება გაუმართლებელ ავანტიურად გადაიქცა მომავალი თაობების თვალში.

რატომ არ განხორციელდა მოსალოდნელი შეტევა შირაზის ხანის მხრიდან? რამ გამოიწვია დაგეგმილი აჯანყების ჩაშლა?

არქანჯელო ლამბერტი იმონებს ისპაანში მყოფ ავგუსტინელ მისიონერთა ინფორმაციას. შირაზის ხანს, თურმე ელჩები გაუგზავნია ინდოეთში პორტუგალიელებთან, ჰპირდებოდა ათი წლის წინათ წართმეული ჰორმუზის დაბრუნებას, თუკი ისინი დაეხმარებოდნენ ირანის შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს მოლაპარაკება, ეტყობა, უშედეგოდ დამთავრდა და შირაზის ხანი მარტოოდენ თავის ძალებს არ ენდო.

ასეა თუ ისე, იმამყული-ხან უნდილაძე მობრუნდა აჯანყების სახიფათო ბლიკიდან და გაუყვა მორჩილების საიმედო შარავზას, რომელმაც გადაჩეხა შაჰის უერისძიების უფსკრულში.

სახელგანთქმული შირაზის ხანი ეახლა სეფიანთა ირანის მბრძანებელს ყაზვინში, სადაც სიკვდილით დასაჯეს თავის შვილებთან ერთად.

საქართველოში კი მოუთმენლად ელოდნენ უფროსი უნდილაძის აჯანყებას და არ იცოდნენ, რომ ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი უკვე უახლოვდებოდა საქართველოს.

პიეტრო ავიტაბილე მოგვითხრობს: თეიმურაზი, უმამაცესი პიროვნება, სულით არ დაცემულა და მამინვე ბრძანა ჯარის შეყრა; ციხე-სიმაგრეთა და ქართველების სიმამაცის იმედი ჰქონდა. არც ყიზილბაშთა მრავალრიცხოვნებას აუღელვებია, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ, არცთუ იშვიათად, ოცი ათას ქართველს ბრძოლის ველიდან გაუქცევია სამოცი ათასი ყიზილბაში.

ჯუსტო პრატო წერს, რომ საომრად არ გამოვიდნენ არც ქსნისა და არც არაგვის ერისთავები, არც სარდალი ამილახორი და არც ფარსადან ციციშვილი. ქართლის თავადებმა იმით იმართლეს თავი, რომ განჯა-ყარაბაღის ლაშქრობა, მიზეზი საქართველოში ყიზილბაშთა შემოსევისა, დივანის უნებართვოდ ჩატარდაო.

ამასთან ერთად, სეფიანთა ირანის ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველობა შეადგენდა (საქართველოდან გადასახლებულნი თუ მათი შთამომავალნი), ამიტომაც აღარავინ ფიქრობდა წინააღმდეგობის განევას. თითქმის ყოველ ქართველს ვიდაც თავისიანი ეგულებოდა როსტომ მეფის ლაშქარში. ზოგი შვილს ელოდა, ზოგი — მამას, ზოგიც — ძმასა თუ ბიძაშვილს.

თეიმურაზ მეფე დარჩა სამი ათასი კაცის ანაბარა. მოვიდა სარწმუნო ცნობა, როსტომ მეფე უკვე თბილისში არისო. თეიმურაზს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა გაცლისა. მან ასე მიმართა თავის შეთხლებულ მხედრობას: „ძმებო, უნდა გავეცალოთ აქაურობას, რამეთუ არ ძალგვიძს ესოდენ ურიცხვ მტერს გავეუძლავდეთ“.

ჯუსტო პრატოს სიტყვით, ქართველთა ჯარი რომ შეკრებილიყო, უეჭველია, ყიზილბაშები ომს ვერ გაბედავდნენ, ისინი თეიმურაზის სახელის გაგონებაზეც კი კანკალებნენო.

უბრძოლველად ძლეული მეფე მთელი თავისი ამალით დაიძრა იმერეთისაკენ. ნაცნობი მარშრუტი მესხიერებაში აცოცხლებდა მწუხარე მოგონებებს ოცი წლის წინანდელ გაქცევაზე. ხორეშან დედოფალი გულსაკლავად ქვითინებდა და წყევლიდა მუხთალ ბედს, რომელმაც ერთი დარტყმით წაართვა მეფობა მის მეუღლეს.

ინყებოდა თეიმურაზის ცხოვრების ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი.

**ქვეყანას სწყურდა მშვიდობა**

საერთო წინაპრები ჰყავდათ — დავითი, თამარი, გიორგი... და რას წარმოიდგენდნენ ისინი, ერთიანი საქართველოს მეფენი, რომ მათი ორი შორეული შთამომავალი, განგების ნებით, ერთიმეორის შეურიგებელ მეტოქედ გადაიქცეოდა; რომ გარეუბ ქალა, მძლავრი და ხვანჯიანი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბაბამდა მათ და ძმობის კვანძების მაგივრად მტრობის ხლართებით შებოჭავდა.

თეიმურაზ პირველს და როსტომ მეფეს, ალბათ, თვალითაც არ უნახავთ ერთმანეთს.

როდის შეიძლება მომხდარიყო მათი შემთხვევითი შეხვედრა? ეგებ XVII საუკუნის დამდეგს ისპაანში, სადაც ქეთევან დედოფალმა ორიოდ წლით გახიზნა თავისი პირმშო, რათა განერიდებინა კახეთის სამეფო კარზე ატეხილი შფოთისაგან, და სადაც დაბადებიდანვე იმყოფებოდა ხოსრო-მირზა, შვილიშვილი ქართლის სახელოვანი მეფის ლუარსაბისა, იმყოფებოდა თავის დედასთან ერთად, რომელიც იყო წავკისელი გლეხის ქალი, ხარჭა გამაჰმადიანებული დავითისა, დაუდ-ხანი რომ დაარქვეს.

თვით შაჰ-აბასი ადევნებდა თვალს ყრმა თეიმურაზის აღზრდა-განათლებას; ქართული წყაროების მიხედვით კი, ხოსრო-მირზა, „უპატიო და უპოვარი“, არავის ახსოვდა სეფიანთა სამეფო კარზე, ვიდრე გიორგი სააკაძე არ გამოარჩევდა, და აბა რანაირად გადაეყრებოდა განებვირებულ თეიმურაზს?

ეგებ თვალის მოუკრავთ ერთიმეორისათვის მარაბდის ომში, სადაც თეიმურაზი ქართულ მხედრობას სარდლობდა, ხოლო ხოსრო-მირზა ყიზილბაშთა ლაშქრის ერთ-ერთ შენაერთს მეთაურობდა.

ერთი სიტყვით, ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ დიდებულ წარმომადგენელს, განგებისა თუ ყიზილბაშთა ნებით, შეურიგებელ მტრებად რომ იქცნენ, ალბათ, თვალის არასოდეს უნახავთ ერთმანეთს.

ქართლის ტახტზე ყიზილბაშთა წყალობით ასულ როსტომს მაინცდამაინც მოსვენებული მეფობა არა ჰქონია. ერთხელაც, თავმოებურებულმა, თეიმურაზს შეუთვალა: რისთვის არ დაწყნარდები და ჩვენც რისთვის არ მოგვასვენებო?

როსტომ მეფე უშვილო იყო და ქართველი ფეოდალები დაჟინებით ეძიებდნენ ტახტის მემკვიდრეს — ქვეყნის და-

საწყნარებლად! როსტომმაც ყური ათხოვა რჩევებს და იმერეთის მეფის ალექსანდრეს უმცროსი ძმა — მამუკა ბატონიშვილი იშვილა.

დაუდებარ ფეოდალთა შეთქმულება მაშინვე მომწიფდა. მეფის სიკვდილს როდემდის ველოდოთო, მისი შვილობილის გამეფება განიზრახეს. „ხერხიანი და ილათიანი“ როსტომის ნაცვლად, რომელსაც შაჰ-აბასის სკოლა ჰქონდა გავლილი, გამოუცდელი ბატონიშვილი ერჩივნათ სამეფო ტახტზე.

მკვლევები აბანოში ჩაუსაფრდნენ ქართლის მეფეს, მაგრამ მის გამოჩენამდე მერიქიფეთუხუცესის ერთი ყმა შესულა იქ. ბნელოდა. როსტომ მეფე ეგონათ და თავს დაესხნენ. დაჭრეს კიდევაც. დაჭრილმა შეჰყვირა და აკვნესდა. უმაღლე იცნეს ხმაზე, მეფე არ ყოფილაო და გაიქცნენ. მტკვარში გადახტნენ და ცურვით სამშვიდობოს გავიდნენ.

დაჭრილი მიჰგვარეს როსტომ მეფეს და მომხდარი ამბავი მოახსენეს.

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „მეფე მრავალგვარად ნაცადი და აუჩქარებელი, ჭკვიანი, მონახული ბატონი ბძანდებოდა, ქვეყნის აშლას და ჯარის არევას ერიდებოდა“.

არ გასჭირვებია იმის მიხედვრა, რომ მომხდარის გახმაურება სიკეთეს არ მოუტანდა. მიჩუმათება ამჯობინა, ვაითუ სხვებსაც აუშლოთ საღერღელი და კიდევ ერთხელ სცადონ ბედით.

აღმოსავლურ ყაიდაზე მოქარგა სათქმელი, დაჭრილს ასე გაეხუმრა: ლამაზი ბიჭი აბანოში შეგიმწყვედევია, ძალათ საავკაცოდ მოგიხდომებიაო, იმასაც დანა შემოუცემია და შიშით ეგ ტყუილი მოგიგონიაო.

მიჩქმალა ამბავი თავდასხმისა. იმასაც მშვენივრად მიხვდა, საიდან უბერავდა ქარი. მაგრამ არ აჩქარებულა. ალიაქოთი არ აუტეხია. ოცი დღე მოიცადა და მერე ათი ათასი მარჩილის საჩუქარი გაუგზავნა მამუკა ბატონიშვილს. ასე ურჩია: ისევ ახალციხეს მიბრძანდი, ხელს იქაც მოგიმართავო. დაამინა კიდევ, ვაითუ ყაენის კარზე გიხმონ და დაგსაჯონო.

იმასაც რაღა ეთქმოდა, ადგა და აიბარგა ქართლიდან. განა ზემოთქმული ეპიზოდი მკაფიოდ არ გვიმყლავნებს როსტომ მეფის ბუნებას?

ბუნებუ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ შურისგების გრძნობას არ აწყვა. გულისთქმამ ვერ დაჯაბნა. დათრგუნა ემოციები და შეთქმულთა ძებნა არ დაუნყია. ბრძნულად აწონ-დაწონა, თუ რაოდენ საზიანო იქნებოდა მისთვის მითქმა-მოთქმა. მიჩუმათება ერჩივნა.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამს — მრავალგვარად ნაცადი, აუჩქარებელი და ჭკვიანი ბატონიო.

თეიმურაზი და როსტომი... როგორ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან — ცა და მინა! ცუცხლი და ყინული! რაინდი და პოლიტიკოსი!

მაგრამ ერთი რამ ჰქონდათ საერთო — ძველთაძველი ადამიანური ნუხილი. ორივე უჩივის მუხთალ ნუთისოფელს, გამარჯვებულებს და დამარცხებულებს, დალხინებულებს და შეჭირვებულებს.

XVII საუკუნის შუა წლებია. დამთავრდა ხანგრძლივი ბრძოლა ორი მეტოქისა. კახეთის მეფე თავის სამკვიდრო მამულს არა კმარობდა, ქართლს ეპოტინებოდა. ფლობდა და დაკარგა. ისევ ეპოტინებოდა, მაგრამ ქართლს ვილა ჩივის, იმდენი იშფოთა, იმდენი ინრაილა, რომ კახეთიც წაართვეს. იმერეთში გადაიხვეწა, სამადლო პურსა ჭამს და ლექსების შეთხზვით იქარვებს ნალეგლს.

გაზაფხული დგება. როსტომ მეფე მთელი თავისი ამალით სანადიროდ წასულა კახეთს. მოინადირეს მანავი და საგარეჯო, ბუჟანბალი და შირაქი. მერე ქიზიყს ეწვივნენ, მაღაროში დადგნენ, იქიდან უფადარს გასწიეს, კიდევ ინადირეს. მერე ალაზნის პირას გავიდნენ. თვლა აღარ ჰქონდა ნანადირევს: ირემი, ჯვირანი, შველი, ტახი, ხოხობი... ათი დღე გაატარეს ალავერდში, ოცი დღე — ალვანში. გარშემო მრავალი სხვა-

დასხვა ფერი ყვავილნი, იანი და ყაყაჩონი გაშლილ იყვნენო, — მოგვიტხრობს ფარსადან გორგიჯანიძე.

ბოლოს გრემში ჩასულან. კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეული დახვდათ, უკაროდ და უჭეროდ, ნადირთა სადგომად ქმნილნი.

როსტომ მეფემ ესოდენ საბრალობელი სურათი რომ იხილა, სანუთროს გაუტანლობამ გული ატკინა და ფარსადან გორგიჯანიძეს, როგორც მწიგნობარ კაცს, უბრძანა: ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი გვითხარო.

ფარსადანს არ დაუყოვნებია და ექსპრომტად უთქვამს: „ღვთის მადლსა ყური მათხოვეთ, გრემის სასახლის ქებო, ვისაც გენახოს ეს ასრე, რად გული დაგედებო. ესე სოფელი ცუდია, არვის არ გასთავდებაო, ამის ამშენი რომ მოკვდეს, თქვენ ცეცხლი მოგედებაო“.

ნაოხარი გრემის ნახვამ გული აუჩვილა როსტომ მეფეს. არადა თეიმურაზ პირველის სასახლე დაანგრეის სწორედ იმ ყიზილბაშებმა, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთ-გულად და გონივრულად ემსახურებოდა მწუხარე მუნასიბის დამკვეთი. ჯერ ისპაანის ტარულა (ანუ მოურავი) იყო, მერე — ირანის ყულარალასი (შაჰის გვარდიის მეთაური) და დასასრულ — ქართლის ვალი (შაჰის ნაცვალი).

ახლა კი აოხრებული გრემის მნახველი ჭმუნვას შეუპყრია და სანუთროს გაუტანლობას ემდურის.

აქ არაფერია გასაკვირი. ეს ხომ მისი სამშობლოა. მართალია, ირანში დაიბადა და გაიზარდა; მართალია, მარაბდის ომამდე, ვგონებ, ფეხიც არ დაუდგამს საქართველოს მიწაზე და პირველად, როგორც მტერმა, დაადგა ფეხი, მაგრამ მაინც მისი სამშობლოა, რომელიც შეურიგდა თავის „უძღვე შვილს“.

როსტომ მეფის ურვა, გრემის ნანგრევთა ხილვამ რომ გამოიწვია, ნამდვილად გულწრფელი უნდა იყოს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს სცენა ხალხისა და ჯამაათის წინაშე როდი გათამაშებულა, თავის ერთგულ მსლებლებთან იმყოფება და დაუჯერებელია, რომ თვალთმაქცობდეს.

დრონი მეფობენ და არა — მეფენიო.

შაჰ-აბასის ხანაში საქართველოს მართლაც ჰაერივით სჭირდებოდა თეიმურაზ პირველი. ქვეყანას უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა და სისხლის დაუღვრელად არაფერი ემეველებოდა.

თეიმურაზ მეფემ ღირსეულად გაართვა თავი განგებისგან დაკისრებულ მისიას, თავდაუზოგავი ბრძოლით იხსნა სამშობლო „გათათრებისგან“, თუმცა სამეფოსაც და თავად მეფესაც ძალზე ძვირად დაუჯდათ ათწლიანი ომი სეფიანთა იმპერიასთან.

მერე სხვა დრო მოვიდა. შაჰ-აბასი უკვე აღარ იყო ამქვეყნად, ხოლო სისხლდაცლილი და დარბეული საქართველო სულის მოთქმას ითხოვდა.

ისტორიის კანონზომიერებამ გამოიყვანა ასპარეზზე როსტომ მეფე.

ამდენი ბრძოლით ღონეგამოლეულ ქვეყანას მოსვენება სჭირდებოდა, ფიზიკური მოსპობის პირას რომ არ მისულიყო ქართველი ერი. თეიმურაზთან დაპირისპირებაში თვით ცხოვრებამ გადაწონა სასწორი როსტომ მეფის მხარეზე. კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველად ნათქვამი სიბრძნე, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი ჟამი აქვს. გავიდა ჟამი ომისა და დადგა ჟამი მშვიდობისა. ქვეყანას მშვიდობა სწყუროდა.

როსტომ მეფემ მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია იქით მიმართა, რომ მოეშუშებინა მრავალგზის დარბეული ქვეყნის ჭრილობები. ირანიდან სამშობლოში დააბრუნეს ტყვედ წაყვანილი ქართველები. გამოცოცხლდა ვაჭრობა და ხელოსნობა. შეუდგნენ გზებისა და ხიდების მშენებლობას.

ჟან შარდენი წერდა: „როსტომმა ყველგან აღადგინა მშვიდობა და წესრიგი, მართავდა ქვეყანას დიდი მოწყალებითა და სამართლიანობით“.

ქართლის ხანდაზმულმა მეფემ ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის ლევან დადიანის დაი მარიამი („მზე შავის ზღვით ამოსული“, — როგორც ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე).

როსტომ მეფის თანამეცხედრემ დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. გადანერილ იქნა „ქართლის ცხოვრების“ კრებული, დღეს რომ მარიამ დედოფლისეულს ვუნოდებთ.

მისივე კეთილისმყოფელი გავლენით, ქართლის მაჰმადიანი მეფე ქრისტიანობაზე ზრუნავდა. მისი ხარჯით აღადგინეს სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრის ჩამონგრეული გუმბათები.

ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, როსტომ მეფემ ქართული სამღვდელთა იმით დაიერთგულა, რომ „ყოველთავე ჯამაგირი განუნესა, თავდაბლად და ტკბილად ექცეოდა“.

საქართველოში ჩამოსული როსტომი თითქოსდა მონათლა კიდევ! ხოლო მის სამეფო ბეჭედზე გამოსახული იყო ჯვარი.

ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როსტომ მეფემ „ქართველობის“ შენარჩუნებასთან ერთად გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ“ გავლენას საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში. ერთდროულად მფარველობდა ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი ცხარე საყვედურებს გამოთქვამენ მისი მისამართით. ისინი მკაცრად უკითხნებენ როსტომ მეფეს ყიზილბაშთა ზნე-ჩვეულებების დანერგვას საქართველოში.

თანამედროვენი არა სწყალობდნენ, შთამომავლობამ უფრო დააფასა.

აი, რას წერდა აკაკი წერეთელი როსტომ მეფის შესახებ:

„ძვირათ რომელიმე ქრისტიან მეფეს იმდენი სიკეთე მოუტანია საქართველოსათვის, რამდენიც იმას“.

ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი როსტომ მეფის მოღვაწეობაში დადებითს უფრო მეტს ხედავენ, ვიდრე უარყოფითს.

ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლენგი როსტომ მეფეს უწოდებს „მომხიბლავ ფიგურას“ და დასძენს: იგი იყო ერთ-ერთი იმ შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეთაგან, რომლებმაც პატრიოტიზმის დიდებულ, მაგრამ ხშირად თვითმკვლელურ, გრძნობას მორიგება ამჯობინესო.

დრონი მეფობენ და არა — მეფენიო...

## დაიწყო სიბერე თავისი გამოსა

ვინც ეს წიგნი წაიკითხოთ, ჩემი ანდერძიც დაისწავლეთო, — მოგიწოდებს ფარსადან გორგიჯანიძე თავის უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი თხზულების ბოლო ნაწილში, როდესაც დაუსრულებია ქვეყნისა და მეფეთა ცხოვრების თხრობა, მერე კი საკუთარი თავგადასავლის ზოგიერთი ნაღვლიანი ეპიზოდზე გაუხდვია მკითხველისათვის.

ბევრის მნახველი და გამოცდილი კაცი გადაჭრით გვარნმუნებს: ადამის ძენი მედროვენი არიანო, სიკეთის დროს გეფერებთან გამოსარჩენად, მაგრამ საქმე თუკი ვაგიმრუდდება, შენი ამაგი მყისვე დაავინებდათ და გიმტრობენო. არც შვილი, არც ძმა, არც ნათესავი, არც მოყვარე და არც ყმა ხელს არ მოგიმართავენო. შენიც რომ ემართოს, არაფერს მოგცემსო.

სხვათაგან გავიწილი ანდა წიგნში წაკითხული როდი აღაპარაკებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოუწამლავს მისი გონება.

შთამბეჭდავია ისტორიკოსის ნათქვამის დასამტკიცებლად მოყვანილი მასალა, მაგრამ მისი დამონებუა შორს წავიყვანდა.

ისევ და ისევ ახსენდება თავის ახლობელთა უმადურობა და გამაჰმადიანებელი ფარსადანი ირონიულად შენიშნავს: აბა ძმა და შვილი თუ კარგნი ყოფილიყვნენ, ღმერთსაც ეყოლებოდაო.

როგორ უნდა შეედავო წლებით დამძიმებულსა და დაბრძენებულ კაცს, რომელიც თვალს უსწორებს მწარე სინამდვილეს, არ მალავს თავის სატკივარს, არ ეჭაშნიკება მიჩქმალოს დამთრგუნველი განცდები, ცხოვრების გრძელ გზაზე რომ გადაუტანია. მისსავე თხზულებაში პირუთვნელად გადმოცემული ეპიზოდებიც ქვეყნის ისტორიიდან, არცთუ იშვიათად,

თითქოსდა ღალატებენ ზემოთქმულ შეხედულებათა სიმართლეს და სათანადო ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე.

ერთადერთი გზა ისტორიკოსის დასკვნის გასაბათილებლად, ალბათ, ის იქნება, რომ სიკეთის არსებობაც შევახსენოთ, ერთგულებისა და თავდადების მაგალითები დავეუპირისპიროთ ღალატსა და მუხანათობას.

...ქართლის ცხოვრება“ მაინცდამაინც არ ანებივრებს დათუნა ბატონიშვილს — თეიმურაზის უმცროს ძესა და ტახტის მემკვიდრეს. სულ ორჯერ მოიხსენიებს. ერთგან აღნიშნულია, რომ დათუნას ცოლად ჰყავდა კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის ძმისწული, მეორეგან კი თეიმურაზ მეფის უკანასკნელი ომის (1648 წ.) აღწერილობაში დათუნა ბატონიშვილიც გამოჩნდება.

ქართველი მემამულე მოკლედ გვაუწყებს: ყიზილბაშებმა გაიმარჯვეს, მოკლეს დავითი და მისი მოკვეთილი თავი ირანის შაჰს გაუგზავნეს.

ეს არის და ეს. არაფერს გვამცნობენ მისი ცხოვრების შესახებ. არ ვიცით, რას აკეთებდა ამ საბედისწერო ომამდე, რა უყვარდა და რა სძულდა, რას ფიქრობდა და რაზე ოცნებობდა, ღვინოს უფრო ეტანებოდა თუ წიგნსა და ლოცვას?

უცხოურ წყაროებში მეტი ინფორმაცია მოიპოვება დათუნა ბატონიშვილზე.

დაბადებული უნდა იყოს 1617 წელს — იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე 1631 წლის ნოემბერში გორიდან აუწყებს რომში მყოფ პიეტრო დელა ვალეს: თეიმურაზ მეფეს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავს, სახელად დავითი; თოთხმეტი წლისა არის.

ჯერ ფეხიც არ აედგა და უკვე კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა, ვინაიდან უფროსი ძმები 1618 წელს დაუსაჭურისეს შირაზში, შაჰ-აბასის ბრძანებით.

1631 წელს, სეფიანთა სამეფო კარზე ქართლის მეფობა ნომინალურად მიეკუთვნა სწორედ დათუნა ბატონიშვილს, როგორც ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერს დედის მხრიდან.

იტალიელი მისიონერი პიეტრო ავიტაბილე 1632 წლის თებერვალში ამცნობდა იმავე პიეტრო დელა ვალეს, რომ თეიმურაზ მეფეს განუზრახავს თავისი ერთადერთი ვაჟის დავითის დაქორწინება შირაზის ხანის — იმამყული-ხანის ასულზე, მაგრამ თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მარცხიანმა აჯანყებამ სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, დაასამარა ეს საქორწინო პროექტი.

კრისტოფორო კასტელის, ალბათ, 1632 წელს დაუხატავს დათუნა ბატონიშვილის პორტრეტი. მორცხვი გამომეტყველებით შემოგვყურებს თხუთმეტი წლის ყრმა.

ახალგაზრდა ბატონიშვილის სიტყვიერი პორტრეტი კი რუსულ წყაროს შემოუნახავს.

აი, რას ვკითხულობთ რუსი ელჩების მოხსენებით ბარათში (1643 წ.): „დავით ბატონიშვილი ახოვანი ტანისაა. შავგვრემანი პირისახე აქვს და მუდამ ძირს დახრილი ნაცრისფერი თვალები. ქერათმიანია, წვერგაპარსული. ოდნავ ჩლიფინებს და ენის ბორძიკით ლაპარაკობს ხოლმე“.

მისი თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი სწორედ იმ საბედისწერო ომთან დაკავშირებით წერს: „დაუდ-მირზა განთქმული იყო თავისი სიმამაცითა და გამბედაობით. მასზე ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი“.

1648 წლის გაზაფხული მოადგა დათუნა ბატონიშვილს ხანმოკლე სიცოცხლის მწვერვალად და მისი სულის მანამდე უთქმელი საუნჯე ამეტყველა.

1648 წლის გაზაფხულზე მოხდა უკანასკნელი და გადამწყვეტი ომი თეიმურაზ პირველსა და როსტომ მეფეს შორის.

უკვე თხუთმეტი წელი იქნებოდა, რაც თეიმურაზი განუწყვეტლივ ექიმპებოდა ყიზილბაშთაგან ზურგგამაგრებულ მეტოქეს. მოსვენებას არ აძლევდა მშვიდობისა და განცხრომის ტრფიალს.

სეფიანთა სამეფო კარი, თავის მხრივ, აგულიანებდა როსტომ მეფეს, ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა ანგარიში

მოუსვენარ მეტოქესთან, კახეთიდანაც განედევნა ისევე, როგორც ადრე ქართლიდან განდევნა.

სპარსელი ისტორიკოსის მიერ ნაქები დათუნა ბატონიშვილის შესახებ ერთობ უჩვეულო ამბავს გადმოგვცემს აღწერილ მოვლენათა თანამედროვე — სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი.

მისი სიტყვით, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, დათუნა ბატონიშვილმა „დაინდო სიბერე თავისი მამისა“, ნება არ მისცა, საომრად აღჭურვილიყო და უწინდებურად გასულიყო ბრძოლის ველზე. გაუგონარი რამ მოხდა — მრავალ ომგადახდილ მეფესა და მკვლავმოუღელელ რაინდს შვილმა ომში ჩაბმა აუკრძალა. ნავიდა შენი დრო, მამაჩემო, მკლავი აღარ გემორჩილება და ხმალიც აღარ გიჭრისო.

რა თქმა უნდა, ასე როდი მიახლიდა პირში. მოზომილი სიტყვით დაუტკობდა მწარე სიმართლეს, მაგრამ განა ძნელი მისახვედრი იყო, თუ რატომ უფრთხილდებოდა შვილი?

სომეხი ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ შეეგუა ესოდენ მოულოდნელ მსჯავრს ამაყი და შეუპოვარი მეფე კახეთისა.

თეიმურაზ მეფე იმხანად ორმოცდაცხრამეტი წლისა იყო. შვილმა ბერიკაცად ჩათვალა და არ აომა.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ: ორმოცდაათ წელს გადაცილებულს „მოხუცებული“ ეწოდებო, ხოლო თავად ამ სიტყვას ასე განმატავს: „სიბერე-მონვენულიო“.

სიბერე მოსწეოდა თეიმურაზ მეფეს და მოსიყვარულე შვილმა „დაინდო სიბერე თავისი მამისა“.

აღნიშნულ ეპიზოდს მკაფიოდ გამოუყვეთავს დათუნა ბატონიშვილის მომხიბლავი სახება პირქუში და შემზარავი მოვლენების ფონზე. თითქოს სინათლის მძლეთამძლე სხივი შეჭრილა შავბნელი ღამის სუფევამი, რათა გააქარწყლოს ფარსადანისეული გულაცრუება ადამის მოდგმაზე, დაამარცხოს მისი პესიმისტური შეგონებანი, ძმისა თუ შვილის გულქვაობას რომ აღმოუცენებია. თითო-ოროლა უცოდველმაც ხომ შეიძლება იხსნას ცოდვილი ქვეყანა ღვთის სასჯელისგან?

ზაქარია ქანაქერცის სიტყვით, ჯარის სათავეში ჩამდგარი დათუნა ბატონიშვილი მედგრად შეიჭრა როსტომ მეფის ლაშქრის შუაგულში, გამარჯვების სასწორი თანდათან იხრებოდა მისკენ, მაგრამ საომარი ნალარის ხმა რომ მოესმათ, წინასწარ ჩასაფრებული ყიზილბაშები მეორე მხრიდან მოადგნენ კახთა მხედრობას, რომელიც ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. დათუნა ბატონიშვილი დაიღუპა ცხარე ბრძოლაში და მისი სიკვდილის გამო არეულ-დარეულმა ჯარმა ზურგი აქცია მტერს.

როსტომ მეფე იმავე 1648 წლით დათარიღებულ გუჯარში წარმოთქვამს: „შემოგირეთ სვეტო ცხოველო, ღვთივალმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და ღალადებით შენგან შენვენვა ვითხოეთ“.

ცხადია, ჯერ თბილისის მეჩეთს ეწვეოდა და ალაჰისაგან ითხოვდა შენვენას. მერე სვეტიცხოველს ესტუმრა.

როგორც ჩანს, ემარჯვებოდა „ორთა უფალთა მონება“.

ორივე ღმერთს შეევედრა შენვენას და, ალბათ, ორივეს უხდის მადლობას თავის გუჯარში: „კურთხეულ ხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისა მყრობელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველთა კაცს დაანახვე: შევიბენით და გავიმარჯვეთ“.

ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ თეიმურაზ პირველს კი ნილად ხვდა დამარცხება, რომელიც მისი უკანასკნელი დამარცხება გამოდგა.

ახალი ფურცელი იშლებოდა მის ცხოვრებაში, სადაც აღარც გამარჯვებანი ეწერა და აღარც დამარცხებანი. 1648 წელს უკანასკნელი დამარცხება იგემა და უკანასკნელი ვაჟიშვილიც დაეღუპა.

საომარ საქმეთაგან მუდამ მოუტლელს ბედმა ამიერიდან საკმარისი დროც აჩუქა ლექსის სანერად და შესაფერი განწყობილებაც.

ნინო დეკანოიძე

# ესთეტიკური საღამო პროზის სამოსელში

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ საუკუნო ძეგლი და-  
უდგა „ქართლის ცხოვრებაში“ მიჩქმალულ დათუნა ბა-  
ტონიშვილს.

უცნობი ავტორის ლექსი მომხდარი ამბის ფინალურ-  
რი ეპიზოდით იწყება: „იმერეთის მთას გადადის აქლემ-  
თა ნატოტარიო, წვიმა დანვიმეს ღრუბელთა, დამდგარა  
ნაგუბარიო, ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დაღებენეს,  
დასძრავს ქარიო“.

ამ სიტყვაძუნს სტრიქონებს მიღმა ბევრი რამ იმა-  
ლება.

ფარსადან გორგჯანიძის მონათხრობი ფარდას ხდის  
ლექსის იდუმალებას:

დამარცხებულმა თეიმურაზმა ქედი მოუხარა როს-  
ტომს. თავის მეუღლეს — ხორეშან დედოფალს სთხოვა,  
როსტომ მეფე თქვენი ბიძაშვილი არისო, მიდით, ნახეთო  
და თქვენის შვილისას შეხვეწენითო, არ მოგიკლასო, ჩვენი  
კი ცხენ-ჯორი გვათხოვოსო, რომ იმერეთს მივანიოთო.

როსტომ მეფემ სათხოვნელად მისულ ხორეშანს  
შვილის სიკვდილი არ გაუმხილა. ხუთასი თუმანი ფეშქა-  
შად მიართვა და იმერეთში გადასასვლელად ხუთასი  
ცხენ-ჯორი და აქლემი ათხოვა.

წვიმა დანვიმეს ღრუბელთაო... ეს წვიმა, ალბათ,  
ჩვეულებრივ ავდარს არ ნიშნავს. ცრემლის წვიმა და  
ცხოვრების გაავდრება. მძვინვარე ქარს შემოუძარც-  
ვავს სამოსელი ვარდისა.

მელექსე გადმოგვცემს ოცდათერთმეტი წლის და-  
თუნა ბატონიშვილის უდროო აღსასრულს — ვარდის  
ფურცელთა ჩამოყრას.

მელექსე ბრძოლასაც აღწერს და დათუნას გმირო-  
ბას ჰიპერბოლით გამოხატავს: „გამეერია ლაშქარსა, გა-  
ანახევრა ჯარიო“.

დათუნა ბატონიშვილის მეუღლე ავი წინათგრძობთ  
შეპყრობილა: „ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ  
მკვდარიო“.

ასე მოთქვამს ბედკრული ქალი, დედოფლობა რომ  
ალარ უნერია, მოთქვამს და ენატრება, ერთხელ მაინც,  
თუნდაც უკანასკნელად შეავლოს თვალი ქმარს. მაგრამ  
სასონარკვეთილი ამონაკვეთი იმას მიგვანიშნებს, რომ  
ალარა სჯერა მისი სიცოცხლე და, ალბათ, დაღუპულის  
ნახვასლა ნატრობს.

ცოცხალია თუ მკვდარიო, თითქმის უიმედოდ მოთქ-  
ვამს ქალი და მელექსის მკაცრი პასუხი ესმის: „დათუ-  
ნას ვინდა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვრალიო“.

ეპოქის სული ერთი პანია დეტალითაც ცოცხლდება  
ხალხურ ლექსში. სპარსული მეტაფორა დაუპატიჟებელი  
სტუმარივით შემობრძანებულა და ქართული სამო-  
სელიც კარგად მოურგია.

სპარსელი ისტორიკოსიც ასე აღნიშნავს დათუნა ბა-  
ტონიშვილის დაღუპვას: სიკვდილის მწარე ღვინით  
დათვრაო.

გამოფხიზლება კი ალარ ეწერა.  
...თეიმურაზის სიძემ — იმერეთის მეფე ალექსანდრემ  
უამრავი ხალხი შეჰყარა სატირალში და მაშინდა გაუმხი-  
ლა სასტიკი სიმატელე თავის სიძემრსა და სიდედრს.

დასტიროდნენ დათუნა ბატონიშვილს და უნეგემოდ  
დარჩენილ თეიმურაზ მეფესაც დასტიროდნენ: ერთი ვა-  
ჟილა გყავდა და ისიც მოგიკლესო, ალარც შექმნის იმე-  
დია და ალარც შობისაო...

კიდევ თხუთმეტი გრძელი წელიწადი უნდა ათრიოს  
ცხოვრების მძიმე უღელი, ლექსების წერით დათრგუ-  
ნოს ვარამი, დაიტიროს თავისი ასული, მეუღლე და შვი-  
ლიშვილებიც.

ერთილა დარჩა სანუგემო — ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოე-  
დება სანატრელი აღსასრული.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული სალონის კიდევ  
ერთი სეზონი გასრულდა მაკა ჯოხაძის წიგნის „ჩაძირული დღე-  
სასწაულის“ წარდგინებით. „ინტელექტის“ წარმატებული პროექ-  
ტის „ჩანაწერების“ სერიიდანაა ეს გამოცემა და, მითუმეტეს, ამ  
მეტად სიმბატიური სიტყვის ოსტატის ავტორობით, შესაშური შე-  
ნაძენი უნდა გახდეს ქართველი მკითხველისათვის.

და მოგახსენებთ პრეზენტაციის შესახებ: იგი გახლდათ გამორ-  
ჩეული არა მხოლოდ დარბაზის სისავსით — არცთუ იშვიათად,  
მსგავსი ვითარებისას ვალდებულებითა თუ მოხატვრებით განვლი-  
ლი გამძლეობა რომ დაემჩნევა ხოლმე — ეს შეხვედრა სარკისებუ-  
რად ამრეკლავი იყო მაკა ჯოხაძის ფრთიანი ფრაზისა — „მწერ-  
ლობა ორმხრივი სიყვარულია“. და აქვე, გადაჭარბების გარეშე, ამ-  
ნაირ განცდას ზიარებია მრავალჯერ მუდმივი და მრავალრიცხო-  
ვანი აუდიტორია ჩვენი „სამშაბათობებისა“.

რეკორდული გახლდათ სიტყვით გამომსვლელთა რაოდენობა:  
მომხსენებელი და ამ ახალ წიგნზე აზრის გამოხატველნი. ამასთან  
იგულისხმება მრავალი მონადირე, შთაბეჭდილებათა გაზიარება  
რომ ვეღარ მოუხერხდათ შეზღუდული დროის გამო. ასე რომ, იმ-  
დღევანდელი ღონისძიებისთვის რეალობა გახლდათ „ორმხრივი  
სიყვარული“. ბარემ ამ რეალობას თვალიც მივაღვენოთ.

იტყვის **როსტომ ჩხეიძე**: ყველას მოგესხნებათ ჰემინგუეის  
„განუყრელი დღესასწაული“. დიდი გაბედულებაა ადამიანისათ-  
ვის, მსგავსი სათაური გაათამაშოს. მაგრამ მაკა ჯოხაძეს ეს ხელე-  
ნიფება ბუნებრივად, რადგანაც წიგნი „ჩაძირული დღესასწაული“  
თავისი სინრფელით, თავისი სიმართლით, თავისი სიღრმით არაფ-  
რად ჩამოუვარდება ამერიკელი მწერლის გახმაურებულ, ყოველი  
ჩვენგანისათვის ერთ-ერთ საყვარელ რომანს.

„ჩანაწერები“ კი, როგორც ჟანრი, მან ასე განსაზღვრა: იყო  
დრო, იგი ითვლებოდა მარგინალურად, მეორე-მესამეხარისხოვან  
ლიტერატურულ მოვლენად. დღეს ეს ვითარება შეცვლილია მთელ  
მსოფლიოში და შეცვლილია ჩვენთანაც. ჩანაწერებს აქვს განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა. იმას, რასაც მწერალი ვერ გამოთქვამს  
ლექსით, მოთხრობით, პიესით თუ ლიტერატურული ესეით, შეუძ-  
ლია გამოხატოს ჩანაწერებით. ოღონდ ყოველთვისაა შესამჩნევი,  
კოკეტობისთვისაა დანერული ეს ყოველივე თუ სინრფელისათვის.  
მაკა ჯოხაძე ყველაფერს წერს გულწრფელად. მისი სტილური თა-  
ვისებურება, ფსიქოლოგიური ნედომი თუ მსოფლმხედველობა  
ხელშესახებადაა გადახსნილი მკითხველისათვის და, შესაბამისად,  
ჩანაწერებიც ბოლომდე არის გახსნილი. ამასთანავე დასძინა გა-  
მომცემლობა „ინტელექტის“ გუნდის საქებრადაც. კერძოდ, პრო-  
ექტი „ჩანაწერები“ მიიჩნია ბედნიერ მიგნებად. ამ სერიით დახვავ-  
და შესანიშნავი წიგნებით — ჩვეული უშურველობა გამოხატა რა  
როსტომ ჩხეიძემ, მოხსენების ნაკითხვა შესთავაზა **მაია ჯალიაშ-  
ვილს**, ვისი საგულისხმო და პროფესიული მოსაზრებებისთვის  
ბევრჯერ დაუფიქრია ყური ამ დარბაზშიც.

იმდღევანდელ მთავლისმომცველ გამოსვლაშიც უპირველესად  
აღნიშნა, რომ მაკა ჯოხაძემ ოსტატურად შეძლო ჩანაწერების ვიწრო  
ჩარჩოებში სამყაროს ფერადოვანი უსაზღვროების მოხელთება...

არცთუ გაადვილდა სათანადო ამონარიდების ამორჩევა ამ  
მოხსენებიდან, რადგან „გვერდზე გადადებული“ ყოველი აბზაცი  
ძნელად იყო ხელგასაშვები...

**მაია ჯალიაშვილი**: მაკა ჯოხაძე სიტყვის მცველია, ეს ჩანწერ-  
ები მისი, მართლაც, ეროვნული სულის გამომხატველი შემოქმედე-  
ბის ერთი საგულისხმო ნაკადია, შემოქმედებისა, რომელიც ვერო-  
პული მწერლობის კონტექსტში უნდა გაეიაზროთ თავისი ჰუმანის-

ტური იდეალების, უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებათა წარმოჩენით.

გულდასაწყვეტია, რომ მაკა ჯოხაძის შემოქმედება უცნობია თანამედროვე უცხოელი მკითხველისთვის. და ეს განცდა მითუფრო მძაფრია, როცა ეცნობი დასავლურ ბესტსელერთა ქართულ თარგმანებს.

ეს ჩანაწერები ნაწილია თანამედროვე ქართული მწერლობისა. აქ თითქოს თავიდან იბადებიან ნაცნობი, გაცვეთილი, დამჭკნარი სიტყვები, დაცარიელებული გულის უდაბნოში მნიშვნელობადაკარგულნი. მის ჩანაწერებში სიტყვები „ნედლდებიან“, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, და მკითხველიც სამოთხისეული უშუალოდ შეიგრძნობს იდუმალსა და მიუნვდომელს.

ყოველი ჩანაწერი პოეტური პროზაა, ძალიან ხშირად — თავისუფალი ლექსია, მეტაფორული, დახვეწილი სტილით, სიტყვათა ენერჯით, არტისტულობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამოთქმის არისტოკრატიულობით. მწერალი ცხოვრების ჭრელი მოზაიკის ცალკეული ნატეხის ფაქიზ და შეუმჩნეველ ხაზებს ისეთი სიყვარულით გვაცნობს, კითხვისას გეუფლება განცდა სრულიად უცხო და მშვენიერ შეგრძნებათა აღმოჩენისა, ალტაცებისა.

ყოველისმომცველია ამ ჩანაწერების სულიერი დრო-სივრცე, რომელიც საოცარი სისავსით ირეკლავს მაკა ჯოხაძის, როგორც გამორჩეული თანამედროვე მწერლის პიროვნულ ტიპილს, ერის ჭირ-ვარამსა და კაცობრიულ სატკივარს. საოცარია, როგორი ნატიფი ძაფებით არის გადართული ერთმანეთთან ეს ყოველივე, როგორ გადაედინება პიროვნული განცდა ზეპიროვნულში.

მაკა ჯოხაძე მთელი თავისი არსებით, ფიქრებით, შემოქმედებით განსახიერება მარადქალურობისა, რომელიც გულისხმობს დაუღალავ მზრუნველობას ადამიანური სულისას, რათა არ ჩაქრეს სამყაროში სიცოცხლის კოცონი, ღვთის მიერ ანთებული და ადამიანებს მინდობილი.

ის მაგონებს უფელესი დროის განდობილს, სიცოცხლის ტაძრის მცველ ქურუმ ქალს, რომელიც ფლობს უზენაეს საიდუმლოს — როგორ აქციო ქვა ოქროდ, როგორ გააღლო გაქვავებული გული, როგორ ახარო სიყვარულისა და სიკეთის ყვავილები.

ეს საიდუმლო მის ჩანაწერებში უშურველადაა გამხეილი და მის მისაგნებად თუ ამოსაცნობად ერთადერთი რამაა საჭირო, როგორც თვითონვე იტყოდა — „მოაზროვნე გული“.

ამ ჩანაწერთა ფიქრთა ნაკადების ერთი ძლიერი ტალღა სამშობლოა. ერთგან იგი აღნიშნავს, რომ დღეს, ამ პროცესებისა და ტრადიციების შემხედვარეს, გაუძლიერდა აზრი: „საქართველო უთარგმნელი ლექსია“.

იშვითა ქართულ პოეზიაში ამგვარი განცდა სამშობლოსი. ამგვარივე შთაბეჭდაობით გამოირჩევა სიტყვიერ ქსოვილში მოხელთებულ განცდა: „სამშობლოში შეიძლება გენატრებოდეს სამშობლო“.

მისი დაკვირვებით, „ჭეშმარიტება და სამშობლო იმ სხივთა განუყოფლობაა, რომელთა გადაკვეთაც ჯვარს ქმნის. მათი დაცილება ისევე აბსურდულია, როგორც დაცილება ჯვრის შემადგენელი, ცისა და მიწისაკენ, ღვთისა და მოყვა-

სისაკენ მიმართული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების დაცილება.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის...“

მისთვის, ილიას „ამ ლექსის სემანტიკური მნიშვნელობაც გრაფიკულად სწორედ ჯვრის ფორმით შეიძლება გამოისახოს“.

მაკა ჯოხაძე შეუცდომლად იგზნებს ნამდვილ ლიტერატურას. ამ ჩანაწერებში, როგორც საზოგადოდ მის ლიტერატურულ ნერილებში, იგი წარმოგვიდგება ოსკარ უაილდისეულ კრიტიკოს ხელოვნად. აქ იხატება მისი თვალსაზრისი ნამდვილ ხელოვანსა და ხელოვნებაზე, რომელიც „ყოველთვის იყო და რჩება ღვთის მაძიებლად“. შესანიშნავადაა წარმოჩენილი არსი თანამედროვე ხელოვნებისა, რომელმაც „მოისხნა სრული მორალური პასუხისმგებლობა ადამიანის ბედისა და სამყაროს წინაშე. აღვირახსნილობის ენერჯით რეტდასხმული შეუდგა ნგრევას, რღვევას, გაპარტახებას“. იგი ნუხს, რომ „კოსმოსი ყველას აინტერესებს, ადამიანი — აღარავის. აი, სნობიზმის პიკი. ესეც XXI საუკუნის კიდევ ერთი ესთეტიკური აბსურდი“. მაკა ჯოხაძის ჩანაწერები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მწერალი საუკეთესო შემფასებელია სიტყვისა.

მას შეუძლია ორიოდ შტრიხით შექმნას სულიერ-ხორციელი პორტრეტი ადამიანისა. აქ საოცრად დამუხტული სახეებია წარმოჩენილი ჩვენთვის ცნობილ მწერალთა, ხელოვანთა, სასულიერო პირთა: რევაზ ინანიშვილისა, ოთარ ჩხეიძისა, ოთარ ჭლადისა, დავით წერეთლისა, რობერტ სტურუასი, მღვდელმონაზონ ანდრიასი, პატრიარქისა, ბორენა ჯაჭვლიანისა, არჩილ და გიგი სულაკაურებისა, ესმა ონიანისა, ზვიად გამსახურდიასი, როსტომ ჩხეიძისა, ირაკლი ჩარკვიანისა, მამა არჩილისა (მინდიაშვილისა), მერაბ ელიოზიშვილისა და სხვა ცნობილ თუ უცნობ კეთილშობილ ადამიანთა, რომელთაც კვალი დაუტოვეთათ მის სულზე.

ანა კალანდაძე განსაკუთრებული სიყვარულით წარმოჩნდება პორტრეტთა ამ მრავალფეროვან გალერეაში. მასთან მეგობრობა ამხელს მაკას საოცარ სიფაქიზეს. ანა კალანდაძე ამ ჩანაწერების მიხედვით სრულიად სხვაგვარი უშუალოდ წარმოგვიდგება და უფრო გასაგები ხდება მისი პოეზიის ღვთაებრიობა.

ამ ჩანაწერებში მოჩანს მისი ოჯახიც: აკაკი და ანუკი მინდიაშვილები, ისინი თითქოს ნოველების პერსონაჟები არიან: „აკაკუჩა და ანუკი დაბრუნდებიან, აბა, რას იზამენ“. მათი გამოჩენისას კი ქრება შემხუთველი შიში და ამის გაცნობიერება მწერალს სამყაროს კანონზომიერებას კიდევ ერთხელ აღმოაჩენინებს: „არაფერიც არ ქრება, ყველაფერი დროებით იმალება, იძირება, ილექება, თვით ღმერთიც კი ხანდახან თვალს ხუჭავს ჩვენი შემხედვარე და ჩნდება ილუზია, რომ იგი გაქრა, წავიდა აღარ არის“.

ვფიქრობ, ეს ხატი „თვალდახუჭული უფლისა“ ჩვენი დროების მრავალსმეტყველი სიმბოლოა. ღმერთს ხანდახან თვალს ახელინებენ ბავშვები, მათ შორის მაკას შვილიშვილი სანდრო, რომელიც, როგორც ყველა ბავშვი, გასაოცარი სიბრძნით შეიგრძნობს სიცოცხლის საიდუმლოს, შემოქმედს და ამგვარად გამოხატავს მისკენ სწრაფვას:



მაკა ჯოხაძე



**ღმერთო! მე შენთან მოვდივარ,  
მე შენს პურს ვჭამ,  
ღმერთო! მე შენთან მოვდივარ,  
შენს ეკლესიაში,  
მე შენს ღვინოს ვსვამ,  
მადლობელი ვარ, ღმერთო!**

თუ როგორ ღრმად აზროვნებს იგი, ეს კარგად ჩანს ქართული და რუსული ხასიათების ანალიზისას. იშვიათია ამგვარი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წვდომა ისეთი რთული ფენომენისა, როგორც ერია, ამას იშვიათი ახერხებენ და მათ შორისაა მაკა ჯოხაძე. მისი აზრით, „იქნებ სწორედ სივრცის ძალადობაა, ამოდენა სტეპებისა და ტრამალების ერთფეროვანი ძალადობაა ის, რომ ჩრდილოელს (რუსს) არ ყოფნის უნარი (ენერჯია) გაუძალიანდეს თვალუწვდენელი ტრამალების ერთფეროვან შემოტყევებს, თავისი სივრცე, სასიცოცხლო სივრცე შექმნას და შემოზღუდოს. გამუდმებით ამ სივრციდან გაღწევას ცდილობს. გამუდმებით სხვათა სივრცეებისა და სხვათა ტერიტორიების დაპყრობისკენ უჭირავს თვალი. ეს კი ყველანაირად არღვევს ღვთიურ კანონზომიერებაზე აკინძულ სამყაროს რუკას. სხვათა მიწებისაკენ, ტერიტორიებისაკენ ეს გამუდმებული, ქრონიკული ლტოლვა საბედისწერო ბუმერანგით უბრუნდება მის ხასიათს, მის თვისებებს“.

მისი აზრით „ქართული სივრცე ლოკალურია, შეზღუდულია. ეს სივრცე, როგორც სურათი, ვთქვათ, ალაზნის ველისა, ანდა ჯავახეთის ზეგანისა, ისე ჰკიდია საქართველოს ტერიტორიის კედლებს, ცისკენ მიიღტვის და მზე, როგორც მარჯვენა ხელი, მისი მოუწყენელი და შეჩვეული მეტაფორაა... აქ სივრცე შემოფარგლულია მთებით, კლდეებით, გეოგრაფიული გარემო (რელიეფი) გამაშტერებლად ცვალებადია“.

და ამ მრავალფეროვან გაღერებაში მოჩანს მისი პორტრეტიც: მისი ბუნება — „რომანტიკოსს პლუს ექსისტენციალისტი, საშიში ნაჯვარია, უფრო ზუსტად, საშინელი — მთელი სამყარო რომ გიყვარს და მაინც მარტოობა გენატრება, რადგან მხოლოდ დიდ მარტოობაში შეგიძლია პირუთვნელად, უანგაროდ ამტკიცო და აჩვენო როგორ გიყვარს, როგორ იცი და როგორ გენანება ადამიანი!“

იგი საოცრად მართალია საკუთარი თავის, ახლობლებისა და სამყაროს წინაშე.

ყოველი ჩანაწერი თითქოს ასოციაციებს „აფეთქებს“ მკითხველში და იმედიანი ფიქრისთვისაც განგანყოფნის, — გამამხნეებლად დაასრულა გამოსვლა მაია ჯალიაშვილმა ავტორისავე სიტყვებით.

— ქალბატონმა მაიამ მისთვის ჩვეული ხელოვნებით მიმოგვატარა მაკა ჯოხაძის წიგნის ღრმა შრეებში — განავრცო ღონისძიების წარმმართველმა და ლევან ბრეგაძეს შესთავაზა სიტყვით გამოსვლა:

**ლევან ბრეგაძე:** თავისთავად საინტერესოდ მიმაჩნია ასეთი შეხვედრები, როცა წიგნი განიხილება და პერსონაჟებიც იქვე არიან. მრავალი პერსონაჟი არის ამ დარბაზში და ესეც თავისებურ ლაზათს მატებს ჩვენს ერთად ყოფნასო — დასძინა სიტყვით გამომსვლელმა და თემატურად ორი სახის ჩანაწერები გამოჰყო მაკა ჯოხაძის ამ წიგნში:

— ერთია ნატურიდან ჩანახატები, მოუწყინარ საკითხავად რომ გვთავაზობს ავტორი, მეორე — ნაფიქრი მისი, ანუ რეფლექსიები. ეს ორი სხვადასხვანაირი დამოკიდებულებაა გარე სამყაროსთან. აქ არის ბევრი შედეგები ამ ჟანრისა და თუნდაც ერთ-ორაბზაცისანი, ნახევარგვერდიანი ან ოდნავ მოზრდილი ჩანაწერი უკეთ ამბობს სათქმელს, ვიდრე მრავალგვერდიანი მოთხრობა.

ლევან ბრეგაძემ საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშიც მოიხმო, როგორც „ლიტერატურული სასწაულების“ შემონათება და დაბეჯითებით განაცხადა: დიდი მწერალი არაფრისაგან ქმნის შედეგსო.

„სულიერი დისკომფორტი“ მიიჩნია ლევან ბრეგაძემ მწერლური ხელოვნების გასაღებად. სულიერი დისკომფორტი თუ არაა, წერე რამდენიც გინდა წიგნები, არაფერი გამოვაო.

— მაკა ჯოხაძის ყველა წიგნი განმსჭვალულია იმ სატიკვარით, რაც სულიერებას ემართება ჩვენს დროში და ეს იკითხება ყველა მის სტრიქონში.

თითქოს შიშველი ნერვებით ეხება იმ პრობლემას, რომ ჩვენი სამშობლო არ გვიყვარს, როგორც საჭიროა, ეს საწუხარი განმსჭვალავს მთელ მის შემოქმედებას.

არადა რა უცნაურია, ყველამ დააღაგა თავთავიანთი სამშობლოები, უვლიან, უყვართ. ჩვენ კი ვერ შევძელით ეს...

ლევან ბრეგაძემ ხაზგასმით ისაუბრა მაკა ჯოხაძის მწერლურ ხელოვნებაზე და სანიმუშოდ მოიხმო ჩანაწერები არჩილ სულაკაურის, ესმა ონიანის, მერაბ ელიოზიშვილის შესახებ და წარმოაჩინა ავტორისეული მეტაფორების თუ ტროპული მეტყველების ნიმუშთა სიზუსტე, სიცოცხლისუნარიანობა, ფერადოვნება და შესაბამისად, დამაჯერებლობაც.

ლიტერატურის კრიტიკოსის მერე პოეტს დაეთმო სიტყვა. **მურმან ჯგუბურია:** საქვეყნო ვითარებაზეა დაფიქრებული ამ „ჩანაწერების“, ანუ „ჩაძირული დელსასწაულის“ ავტორი.

მაკა ჯოხაძე აღწერს იმას, რასაც ხედავს, ანუ აღწერს თავის თანამედროვეობას. აღწერს, თუ რა დღეშია მისი სამშობლო — პირდაპირ, შუბლში, უშიშრად, კაცურად. ხომ ვამბობთ, დედა-კაცი, მამა-კაცი. ერთ-ერთ მოთხრობაში მაკას უწერია: არიან კაცები ყვავილების რომ ეშინიათო, — რაც სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ბარემ აქვე ვიტყვი: პროზაიკოსი ქალების დიდად არა მნამს. მარგერიტ იურსენარის მოვლენა ისეთია, როგორც დაახლოებით ის, რომ კანონს გამოსაკლისიც გააჩნია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლობაში მაკა ჯოხაძის მოვლენაც გამონაკლისია.

გავსინჯოთ ერთი მისი ასეთი გამონათქვამი:

„უცნაურია, ერთადერთი ადგილი, სადაც წარმავლობის განცდა არ მეუფლება, სასაფლაოა“.

ამის გამომთქმელმა რომ ჩვენი დიდი სამეფული: რუსთაველი, გურამიშვილი და ვაჟა — ზეპირად იცის, ცხადზე ცხადია. მაკა წერს:

„საქართველო უთარგმნელი ლექსია“.

სამად-სამი სიტყვით უზარმაზარი მასშტაბია მობოჭილი. მაკა ჯოხაძე, როგორც წესი, ხელმომჭირნედ ხარჯავს სიტყვას. ასე იხარჯება სოფელში ჭის წყალი. ასე იხარჯება სოფელში სიტყვა, სადაც საქმე მეტია და სალაპარაკო ნაკლები.

სიტყვით გამომსვლელთა გულწრფელ აღტაცებას ხმას შემატებს **გიორგი გოგოლაშვილი:** მაკა ჯოხაძის ჩანაწერების გაცნობისას გაიფიქრებს მკითხველი: ასე ხომ მეც შემიძლო მეთქვაო. გენიალურობაც ამ წიგნისა ესაა. გულწრფელად გუუბნებით, ამ წიგნს რომ ვკითხულობდი, არაერთხელ გავიფიქრე, ბიჭობა ის იქნებოდა, ეს მე დამეწერა-მეთქი!

ჩემი ნება რომ იყოს, გამოვკვრედი იმ მონაკვეთებს, რომლებიც სამშობლოს ეხება; პატრიოტიზმის თემას რომ ამოლიანებს. მერე დავალაგებდი თემატურად და დავარქმევდი — „სახელმძღვანელო მამულისმოყვარეობისთვის“. უკეთეს საკითხავს ალბათ ძნელად თუ იპოვის კაცი.

ერთხელ მაკას წიგნის განხილვისას მას ვუწოდებ ქართული მწერლობის დიდი ქალბატონი. აღმოჩნდა, რომ ჩემზე ადრე ასე სხვას მიუჩნევია. კერძოდ, როცა მისი წიგნი „ჩემი დავით კლდიაშვილი“ გამოსულა, კლასიკოსის შთამომავალს დაურეკავს და უთქვამს — დიდი ქალბატონი ბრძანდებითო. რასაკვირველია, გამიხარდა, ფიქრის თანამოზიარე რომ მყოლია.

**იოსებ ჭუმბურიძემ** ყურადღება „ჩანაწერების“ ავტორის პუბლიცისტურ ოსტატობაზე გაამახვილა და აღნიშნა:

„ცოდვა გამხელილი სჯობს: ამ წიგნის წაკითხვამდე მეგონა, რომ ჩანაწერები არ იყო მაკა ჯოხაძის ჟანრი. თურმე

ვცდებოდი. ამ შეცდომას აქვს თავისი ახსნა: მაკა ჯოხაძე ჩემთვის, ფართო და ძლიერი მონასმების მწერალია. ამ თვისებით ნათელა იანქოშვილს მაგონებს — შინაგანი ექსპრესიონიზმი და ძლიერი მონასმებით. მხატვარს შემთხვევით არ ვადავრებ. მაკა ჯოხაძეც მხატვარია, პროზისა და პუბლიცისტიკის ფერმწერი. თანაც, როგორც ყველა ჭეშმარიტ მხატვარს, თავისი საკუთარი ფერი აქვს — რეჰანისფერი.

ბატონი ლევან ბრეგაძის აზრით, ჩანაწერებში მთავარია ფორმულირებისა და რეპლიკის მაღალი კულტურა.

ჩემთვისაც ეს არის მთავარი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ უნარს, ხსენებულ თვისებებთან ერთად, მაკა ჯოხაძის ფერწერული პორტრეტები და დანალმული მეტაფორებიც ძლიერ მოუხდა.

და კიდევ ერთი მთავარი თვისება, მაკა ჯოხაძის ჩანაწერებს რომ გამოარჩევს — „სამშობლოს გრძობა გასაკვირველი“. სწორედ ამ გრძობამ შეაქმნევინა მას ნამდვილი შედეგები — „ვარძია ფიჭაში“, პუბლიცისტიკური ოსტატობის ნიმუში.

მე დიდი ხანია ვოცნებობ თანამედროვე ქართული პუბლიცისტიკის ქრესტომათიის შედგენაზე. ამ პანია შედევრის იქ აუცილებლად შევიტან, მაგრამ საკითხავი ის არის, მაკა ჯოხაძის რამდენი შედეგები უნდა შევიტანო, უფრო სწორად, რომელი არ უნდა შევიტანო...“

**ვახტანგ ბახტაძემ** მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკურ ოსტატობაზე გაამახვილა ყურადღება:

— „ჩაძირული დღესასწაული“ მრავალი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. მწერლის პუბლიცისტიკური სტილი ბრწყინვალეა, პოლემიკური და ეროვნულად ავსნიებული, სინამდვილის სურათები, ადამიანთა სახეები ზუსტია და შთამბეჭდავი; მის პუბლიცისტიკურ წერილებს (მომცროსაც და დიდსაც) ყოველთვის თან ახლავს ავტორის აზრის განმამტკიცებელი მაგალითები, არგუმენტები, რათა მკითხველი ყოველთვის დაარწმუნოს, რომ ანალიზი, მსჯავრი სწორი და სამართლიანია.

მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკა ყოველთვის ავლენს უსულგულო გლობალისტთა მსოფლმხედველობრივი ნაკადის მესვეურთა ავ ზრახვა-ჩანაფიქრს, ხელს უწყობს მათ მიერ „შეჩეჩებულ მუტანტთა“ ნამდვილი სახის დანახვას. ჭეშმარიტი პუბლიცისტიკა ხომ ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის მომიჯნავე სფეროა. იგი საზოგადოებასთან (პუბლიკისთან) პირდაპირ, გულახდილად საუბრობს სხვადასხვა საჭირობო-ოცნებო საკითხის შესახებ. მისი მიზანი საზოგადოებრივ აზრსა და განწყობაზე უშუალო ზეგავლენის მოხდენაა.

დღეს, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ უთანასწორო ბრძოლებით ქანცგანყვეტილ ეპოქებში, ესოდენ რთულად, ესოდენ მწვავედ, ყოფნა-არყოფნის გზასაყარზეა „ბედი ქართლისა“, როცა ჩვენ მიერ ნაოცნებარი და ნანატრი „ყოველთა ქართველთა ერთობა“ ჯერაც არ არის მიღწეული, სწორედ დღეს ასეთი გულწრფელობით და პირდაპირობით დანერვილი წიგნები ესაჭიროება ქართველ მკითხველს, ქართველ ხალხს.

მაკა ჯოხაძის გამორჩეული პიროვნული ღირსებების შესახებ მაღლიერებით ისაუბრებს პოეტური მეტაფორების, ასტროლოგიის ცნობილი მოღვაწე ანუ ორჯერ პოეტი **შალვა საბაშვილი**:

— არ შემეძლო არ გამოვსულიყავი და არ გამომეხატა ჩემი მოხიბლულობა მაკა ჯოხაძის შემოქმედებით. მე ვისაუბრებ არა მის ახალ წიგნზე, რომლის მხოლოდ ფრაგმენტს ვიცნობ (თუმცა ვიცნობ მის ბევრ პუბლიკაციას და საოცარ წიგნს „სამოთხე უსიყვარულოდ“), არამედ თვით მაკა ჯოხაძის პიროვნებაზე, თანაც ერთი ასპექტით.

ხშირად დაუსვამთ კითხვა: შეედრება თუ არა ქალი მამაკაცს შემოქმედებითი პოტენციით? მთლიანი ისტორიის გათვალისწინებით გამოტანილია დასკვნა: ქალები შთააგონებენ მამაკაცებს გენიალურ სიმფონიებს, ფერწერულ ტილოებს, ლექსებს, საგმირო საქმეებს. მათი საკუთარი შემოქმედება

შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია. ამ დებულებას კი არ იხილავენ ან ამონებენ, არამედ აქსიომად მიაჩნიათ და მხოლოდ მის ახსნას ცდილობენ ბიოლოგიური, ისტორიული, სოციალური ან სხვა მოსაზრებებით.

არ მინდა შევაფასო მოყვანილი აზრი (ყველაფერშია სიმართლის მარცვალი!), მაგრამ თანამედროვეობაში ვიცნობ რამდენიმე ქალს, რომელთა გონების ძალა თუ სამყაროულ კანონზომიერებათა ხედომის სიღრმე არცერთი მამაკაცისას არ ჩამოუვარდება და ერთ-ერთი უპირველესი მათ შორის არის მაკა ჯოხაძე.

ქალის ფენომენზე მეც მიფიქრია. მასში ერთი თვალმისაცემი გამორჩეულობაა: ქალი სამყაროს, ბუნებასა თუ ადამიანთა საზოგადოებას ნეიტრალური და ობიექტური კვლევის საგნად კი არ მიიჩნევს, არამედ ერთგვარად პირიქით — საკუთარ თავს წარუდგენს მათ და აქეთ ითხოვს თავყვანისცემასა თუ აღიარებას. რაღაც დოზით იგი თავის პერსონაზეა კონცენტრირებული და არა გარესამყაროზე. იგი ინდივიდუალისტია. ეს ჩანს თუნდაც მის სწრაფვაში — გამოირჩეოდეს ჩაცმულობით ყველასგან. როგორღა იქნება მისი ხედვა ღრმად ობიექტური? ამ აზრშიც ჩანს სიმართლის მარცვლები. და მაინც, არა მგონია მაკა ჯოხაძეს რომელიმე ქალზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდეს საკუთარ ფიზიკურ თუ სულიერ მომხიბვლელობაზე, მაგრამ მას თითქმის არ ახასიათებს გარემოსთან კეკლუცობა, არაგულწრფელობა, კომპლიმენტების მოთხოვნა. იგი სრული გულწრფელობით, ლამის რენტგენული ხედვით უყურებს მოვლენებს და მათ ასახვამდე საოცარ ეფექტებს აღწევს. იგი თვითკმარი, პატიოსანი შემოქმედი. მისი მაღალი ბუნება ვლინდება მისეულ მიმოხილვებშიც, სადაც ავტორთა შემოქმედებით მიღწევებს ამზეურებს უპირატესად და არა მათ ჩავარდნებს.

მის ნაწერებში ბევრგან ნავნყდომივარ სამყაროსეული მოვლენებისადმი გამოვლენილ ხედვებს, რომლებსაც სასველებით ვიზიარებ. ამის გამო მაკა ჯოხაძე სულიერად ახლობელ ადამიანად მიმაჩნია.

ასტრონომიული კუთხიდან მომხიბლავად დანახული წიგნი და მისი ავტორი არანაკლებ საინტერესოდ წარმოჩნდა „ჩვენი ფიზიკოსის“ საუცბათო ჩანაწერებით. როგორც წესი, უპირველესად წინამორბედ გამომსვლელთა სიტყვებს ხასხასა კომენტარები გადაავლს **თეიმურაზ ნადარეიშვილმა**, ხოლო მახვილი მიგნებებით და მსოფლიო კლასიკის გასაკვირველი ცოდნით „შეიარაღებული“, ამ დღესაც მონოდების სიმალღეზე იდგა.

იმსალამონინდელ მოულოდნელობას, ვერ გეტყვით, დიდად დაემსუხრებინოს ღონისძიების მასპინძელი, პირიქით, უფრო დანინაურებულის ხალისით აღნიშნავს — აქამდე რომ პირიქით იყო, დღეს კაცების სრული ტრიუმფი გვაქვსო, და მაინც დაგვიანებული გულმონყალებით გენდერულ დაბალანსებას შეეცადა.

და სიტყვა თუ ვინმესი მოისმინება, რასაკვირველია, ქნ **მანანა გაბაშვილისა**: მაკას განვლილი გზა ჩემთვის ნაცნობია. დიდი სიყვარული მაქვს მისადმი. ეს არის გამოცდილი და არა ემოციებს აყოლილი სიყვარული. ასეთი პრინციპული, პირდაპირი ადამიანი იშვიათად მინახავს. მისი წიგნი, ასე მგონია, მაშველი რგოლივით უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის. და კიდევ, როცა ეს წიგნი ნაკვიკითხე, დამიტოვა განცდა, რომ ავტოპორტრეტს გავეცანი.

აქ ბევრი თვალსაზრისი გაარჩიეს. მართლაც, არ არსებობს პრობლემა, რომ ამ წიგნში არ იყოს. მე გავამახვილებდი ყურადღებას სათაურებზე. ეს იმდენად საინტერესოა, ცალკე კვლევისა და შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. სათაურები და თარიღები ჩემთვის გახლდათ თავისებური მეგზური, რომელსაც სხვადასხვა დროში გადავყავდი და ეს დრო მხოლოდ საქართველოს ირგვლივ ტრიალებდა. წიგნის მრავალი მონაკვეთი მეტად სახიერია, ფერადოვანი. იმდენად კინემა-

ტოგრაფიულია, რასაც კითხულობ, თითქოს ხედავ კიდევ. თითოეული პრობლემა „ჩანანერებიდან“ ეხმანება თანამედროვეობას. მეტად აქტიურად, მწვავე საკითხთაგან ერთ-ერთია მინის პრობლემა. ამ ნიგნის ავტორმა კარგად იცის, რას ნიშნავს მინის გამოცლა ქვეყნისთვის. ამაზე მთელი ქართველი საზოგადოება იყო მობილიზებული XIX საუკუნეში, როცა დამოუკიდებლობა დავკარგეთ. ერის თვითმყოფადობისათვის, სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის ეს პრობლემა დღესაც საბედისწერო საკითხავია. დავაზუსტებდი, ეს ნიგნი არის ფიქრის საგანი სულიერებასთან მისაბრუნებლად. თუ სულიერება აღარ იქნება, საქართველოს ვერც ეკონომიკით გადავარჩინებ, ვერც შეიარაღებული ჯარით, ხანდახან რომ რეალობას დაცილებულ ზღაპრებს ვყვებით.

ჭკუა, განათლება და ასეთი ნიგნები, როგორცაა „ჩაძირული დღესასწაული“ საქართველოს გადაარჩენს.

უფროსი თაობის მწერალთა დობილი, შეიძლება ითქვას, მათი მოკრძალებული ბიოგრაფიკ — **ცისანა კვინტრადეგოძიაშვილი** — ხოტბას შეასხამს რა მაკა ჯოხაძეს როგორც პიროვნებას, როგორც სიტყვის ოსტატს, მის ორატორულ ნიჭიერებაზეც გაამახვილებს ყურადღებას. მან გაიხსენა რევაზ ინანიშვილის დაკრძალვის დღე: ტყვიების ზუზუნში გამოვასვენეთ რეზო... რატომღაც სულ იხსენებენ, ცოტა ხალხი იყო. არადა დიდუბის პანთეონში მოვიდა ცოცხალი-მადლით დამძიმებული, ორად გახლეჩილი საქართველო. ვერ ავიწერო, რაც იქ ხდებოდა. როდესაც მაკა გამოსასალმებელ სიტყვას წარმოთქვამდა, უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა, ხალხი სულგანაბრული უსმენდა, მერე კი ყველას დაპაღუპით ჩამოსდოდა ცრემლი...

ჩვეული უშუალობით წარსდგა აუდიტორიის წინაშე **ინგა მილორავა**: ამ ნიგნის ავტორს რომც არ იცნობდე, ნაიკითხავ და მიხვდები, ეს არის ნამდვილი ადამიანის დაწერილი. და კიდევ, დიდი ნიჭიერებით ამოიცნობა იგი უპირველესად. პირადულობა, ინტიმურობა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა თამამად და ლაღადა დაბალანსებული ამ ჩანანერებში. გჯერა, რომ თანაზომიერია განცდა დედისა და სამშობლოსი, საკუთარი ოჯახისა და საქვეყნო ღირსების.

ძალიან ნათელი ნიგნია. ბევრი ფრაზა აფორიზმის ფორმას იძენს...

არაჩვეულებრივი და საყვარელი — ამ ეპითეტებით შეამკო ბოლოს ინგა მილორავამ „ჩაძირული დღესასწაული“ და მისი ავტორი.

**დალილა ბედიანიძემ**, უფაქიხესი ლექსი უძღვნა რა მაკა ჯოხაძეს, გამოხატა ნატვრაც, „ჩაუძირველი დღესასწაული“ დამდგარიყოს სრულიად საქართველოსთვის.

რომანტიკითა და აკადემიურობით განისაზღვრებოდა **რუსუდან ნიშნიანიძის** გამოსვლა — მე მომწონს საოცარი თვისება შენი, ასეთი ლიმილიანი, ასეთი თბილი და იმავდროულად ასეთი მკაცრი და უკომპრომისო, როგორც ამ ნიგნში დღესაც. ვისურვებდი ისევ საქართველოზე ფიქრით იყოს დამუხტული შენი მომავალი ნიგნები, ოღონდ არა ამ რანგის ტკივილებით, სულ სხვანაირი საზრუნავით, სულ სხვანაირი ფიქრით...

რუსუდან ნიშნიანიძემ ხაზგასმით გამოკვეთა რა საზოგადოებისა თუ ცალკეულ ადამიანთა მიერ გამოვლენილი უგულისყურობა, ეგოიზმი და ამბიციაც, რაც „ჩანანერებში“ არ დაიფარა, გადამდები მუხტით, აღარ დამალა უსიამოვნო ამბავი. სულ ახლახან თვითონ რომ გადახდა ერთ-ერთ სამეცნიერო კონკურსზე გასაუბრებისას. მიიჩნია, რომ მონოგრაფია, რომელიც კომისიას წარუდგინა, ისე დაუნუნეს, არც ნაუკითხავთ.

ერთი სიტყვით, რეპორტაჟში ეს ამბავი აისახა როგორც მინიშნება, რაც შეეხება არგუმენტირებულ და საბუთიან წერილს, მუდამ სიმართლის ერთგული რუსუდან ნიშნიანიძე არც არავისგან დაივალბს...

შეუძლებელია რეპორტაჟს მიღმა დავტოვოთ აუდიტორიის ყველაზე უმცროსი მსმენელი **ალექსანდრე კერვალიშვილი**, სულ მალე პირველკლასელი რომ უნდა გახდეს. პაპის გვერდით ერთხანობას კიბეზე ჩამომჯდარი, მართალია გულდინჯი ვერ იყო მოსაუბრე უფროსებისადმი, სამაგიეროდ არ მოცდენილა როგორც რეპორტიორი. განაფულად იღებდა ვიდუოკადრებსა და ფოტოებს აიპოდით; მომეტებულად მოდარაჯე იყო საყვარელი დიდდასადმი, ვის ნიგნშიც უბრყვილო ლექსად დაბინავდა მისი მადლიერი ლოცვა უფლისადმი.

ბოლო სიტყვა თვით ნიგნის ავტორს, **მაკა ჯოხაძეს**:

— აქ რამდენჯერმე ახსენეს სიტყვა შედეგები. ცხოვრება სავსეა ამ „ტრაგიკული შედეგებით“. მარტო მწერლისთვის არა, თითოეული ჩვენგანისათვის. უბრალოდ საჭიროა თვალი და გული. სიცოცხლე უანგარო საჩუქარია... მთავარია ცხოვრებაში ამ საჩუქარს როგორ მოუვლი. ახალგაზრდობაში ადვილად წერ იმიტომ, რომ სრულიად გახსნილია სამყარო შენთვის, საკუთარ თავსაც ენდობი და სხვასაც. ასაკთან ერთად ეს რთულდება, მითუფრო ასეთ მარადიულად მოუწყობელ ქვეყანაში.

მახსოვს ერთხელ რეზო ინანიშვილი კინაღამ მოკლეს, პროფესიულ ჩვევებსა და წმინდად ესთეტიკურ საკითხებზე რომ საუბრობდა. გამოვიდა მწერალთა კავშირის სხდომაზე ერთი, გულზე მჯიღს იკრავდა, რა დროს ამეებზე ლაპარაკი. ბატონმა რეზომ ინატრა, როდის დადგება დრო, რომ მწერლები სწორედ ასეთ საკითხებზე ვსაუბრობდეთ და არა მხოლოდ იმაზე, რაშიც გაუთავებლად ვცხოვრობთ (პოლიტიკას გულისხმობდა).

თითოეულ თქვენგანს დიდი ყურადღებით ვუსმენდი და, რა თქმა უნდა, თქვენ რომ არ მეგულეობდეთ, რომ არ მეგულეობდეს ჩვენი სამყარო, ჩვენი თბილისი, ჩვენი საქართველო, არც ქვეცნობიერად და არც ცნობიერად, ასე მგონია, არ განდებოდა წერის წყურვილი, გულის გადახსნის, გაზიარების სურვილი.

მე ვარ უბედნიერესი ადამიანი იმიტომ, რომ ასე კარგად გესმით ჩემი, პირადად ერთი ადამიანის, ერთი მწერლის, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ზოგადად, ღვთის წყალობით, ყველანი ნიჭიერები ვართ და კარგად გვესმის მთელი სამყაროსი.

ამიტომ მხნედ უნდა ვიყოთ და მომავლისაც გვჯეროდეს. მერე რა, რომ აპოკალიფსი ძალაში შევიდა და ბოროტება მძლავრობს.

მე მიყვარს ქრისტიანული პარადოქსის ხშირი განმეორება — სიკეთის ძალა მის სიმცირეშიაო. გახსოვთ, პანია სანთლის შუქმა ვეება გამოქვამულის წყვდიადი რომ შთანთქა. დაახლოებით ეს პროპორციული შესაბამისობაა ბოროტებასა და სიკეთეს შორის. გარდა ამისა, ბოროტებას ფანტაზია არ გააჩნია, სულ იმეორებს თავის თავს. სიკეთე კი ისეთი ფერადოვანია, ისეთი უთვალავი, როგორც ღვთის მადლით შექმნილი სამყარო.

ძალიან დიდი მადლობა გამომცემლობა „ინტელექტს“, „ჩანანერების“ პროექტის ავტორს, ჩემს უმცროს კოლეგასა და მეგობარს **ზვიად კვარაცხელიას**, რომელმაც პირდაპირ მაიძულა, რომ ეს ნიგნი დაწერილიყო.

მადლობა ჩემს მეგობარს **როსტომ ჩხეიძეს**, ასე რომ მახალისებდა და ყოველგვარ პირობებს მიქმნიდა. მადლობა თითოეულ გამომსვლელსა და დამსწრეს, ამ პაპანაქებაში რომ არ დაიხარეთ და მობრძანდით. მით უფრო, რომ საამისოდ ვერავინ შევანუხე და მოსვლა ვერ ვთხოვე.

ხელის შეწყობისთვის ამერიკული მადლობა ჩემს მეუღლეს, აკაკი მინდიაშვილს, მით უფრო, რომ საზრუნავად და მოსაველად მას თავისი დიდი სამყარო აქვს.

დაბოლოს და პირველ რიგში, მადლობა უფალს, რომ ჩვენ ყველას ერთგულების, ურთიერთდანახვისა და ურთიერთგანის ნიჭი მოგვცა.

# ორი ესეი ახალ მონოგრაფიაზე

მურმან ჯგუბურია

## ჩინს ქვასა ზედა წერია...

„დაო დე-ძინი“ გვეკითხება: „რა უფრო იოლი ასატანია: გამარჯვება თუ დამარცხება?“ ამ შეკითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად მე მზად არა ვარ. „ომიდან გამარჯვებით მობრუნებულ ჯარს ძაძებით უნდა შევეგებოთ“.

არც ეს გამონათქვამია ჩემთვის იოლად გასაგები. რა ომზეა საუბარი — გარე თუ შინა ომზე? რას ნიშნავს „მობრუნებული“? შინა ომზე რომ იყოს საუბარი, მაშინ სიტყვა „მობრუნებული“ ხომ ზედმეტი იქნებოდა.

ომიდან მობრუნებული ჯარით, ესე იგი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯარი იბრძოდა სამშობლოს გარეთ, უცხო მიწაზე (ალექსანდრე მაკედონელი, ბათო ყაენი, თემურ ლენგი, ჯალალედინი, ნაპოლეონი, ჰიტლერი) და აქედან გამომდინარე, ლაო ძი მსგავსი ომის მომხრე არაა, — სამშობლოს გარეთ მეომარ ჯარს არა ტაშფანდურითა და ზარზემით, არამედ ძაძებით უნდა შევეგებოთ.

ომთან მსგავს მიმართებას ქრისტიანულ საზრისთან მივყავართ. თუმცა „დაო დე ძინის“ ავტორი ქრისტემდე ხუთი საუკუნით ადრე წერდა თავის პოემა-შეგონებას. ანუ როგორც გვითხრა მემედ ბეგ აბაშიძემ, „ქრისტეშობამდე არსებობდნენ ქრისტიანები“.

ამირან არაბულის ეს წიგნი „ვაჟკაცობისას ამბობენ“, და არა მარტო ეს წიგნი, მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობაზეა აშენებული. ანუ — სიმართლეზე. „სადაც სიმართლე არაა, იქ არაა ქრისტი“ (არქიმანდრიტი რაფაელი).

ამირან არაბული: „თუკი ვინმე ჰუმანურობისა და მიმტევებლობის მოჭარბებულ ქადაგებაში დამდებს ბრალს, ჩავთვლი, რომ დრო და ენერჯია ამაოდ არ დამიკარგავს“.

ამ სიტყვების პატრონმა ზედმიწევნით იცის ჩვენებურების ზნე-ხასიათი. და მთელი მისი წიგნი ამ გამონათქვამის გაშლა-გავრცელებას ემსახურება.

წიგნი გაჯერებულია ხალხური ლექსებით, ანდრეზებით, ანდაზა-შეგონებებით, ხატოვანი სიტყვა-გამონათქვამებით, ცოდნა-ჭკუით.

„ცოდნა — სტუმარია, ჭკუა — მასპინძელი. ცუდ მასპინძელთან სტუმარი დიდი ხანი არ გაჩერდება“ (პეტრე დადიანი). ანუ ამ წიგნში ცოდნა და ჭკუა ერთმანეთის ნათესავები არიან, როგორც ის იშვიათი სიტყვები, რომლებსაც აცნობს ერთმანეთს ამირან არაბული, რაც მწერლის ნიჭიერების ნათელი მაგალითია.

„ხელისგულის სიცხადით“, „უნიშანგემო“, „მთვლემარე ნერვი“, „ულამაზო ლამაზი“, „სახიფათო საბრუნე“, „გასაგის-დაკარგული“, „გაცამცემული სანახაობა“, „ლექსმა გამოტოვა“, „უბედური ბედნიერი“ და მისთანანი...

ჩინეთი ვახსენეთ.

ჩინელი მესიტყვე პუ სუნ ლინი ერთ ასეთ სურათს აგვიწერს: კაცმა უნდა მოკლას კაცი. მტერი მისი. შეარჩია უკუნი ღამე, ქარიანი. მიეახლა მომტერეს სახლს. ფანჯარაში შეიხედა. ზის ჯალაბი დიდ ნავახშმეზე. ოჯახის თავს მუხლზე უზის შვილიშვილი, შილიფად აცვია, თავზე ქუდი არ ახურავს, და,

ამ სურათს რომ წაესწრო, შურისმაძიებელმა გადაიფიქრა მისი მოკვლა, და გაბრუნდა, ღამეს მისცა თავი. წეს-ადათმა (თავზე ქუდი რომ არ ეხურა!) ააღებინა ხელი იარაღზე.

სხვა მაგალითი: მიხეილ ლერმონტოვს რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონოდა ნაკითხული, „Бежали робкие грузины“-ო არ იტყოდა. არ დაწერდა. „სადა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ და იმიტომ, თანაც — „კარგისა მამაციისაგან“.

ამირან არაბულის წიგნი გველაპარაკება იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს წესი და ადათი, რას ნიშნავს სტუმარი. რას ნიშნავს მასპინძელი (ვაჟას კვალბაზე), რას ნიშნავს და-ძმა, ნათესაობა, მეგობრობა, მეზობლობა, ღობე და სამანი, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან ადამიანსა და გარემო-ბუნებას, დარ-ავდარს, ძილსა და სიფხიზლეს, ცეცხლსა და ზამთარს, და ამას ყველაფერს ვაჟკაცობასთან აკავშირებს. რა არის შურისძიება და რა არის მიტევება. აი, ეს მიტევებაა სწორედ სას-ველი. კაცი, ვისაც მიუტევებს (აპატიებს), მთელი ცხოვრება იმის ფიქრებში იქნება, რატომ მიუტევებს, ხოლო კაცი, ვისაც მიაგებს მისაგებელი, ანუ გამოუტანს განაჩენი-სასჯელი, განაჩენის გამოტანისთანავე ხდება ერთგვარად თავისუფალი, ასე იკითხება, ესე იგი, დანაშაული გამოვისყიდო.

რატომ არიან ანდრეზების, ხალხური ზეპირსიტყვიერების, ვაჟას, ყაზბეგის გმირები ისეთები, როგორებიც არიან? იმიტომ, რომ მთელი სიგრძე-სიგანით იციან, სიკვდილის შვილები რომ არიან. „რა წამს კი დავიბადებთ, იქვე საფლავი მზა არი“. ცას ვერადნ გამოეკერება. ანუ, ჩვენი თანამედროვე ფილოსოფოსისა და პოეტის ზურაბ ხასაიას გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, ყველაფერი უკვე მომდარია, ბოლო ცნობილია, და ღირს კი ეს წამწამის მსწრობელი ნუთისოფელი უღირსებოდ გაირბინო. აი, ეს გახლავთ ამ წიგნის მოტორი, მისი გული.

ვაჟკაცობის არსია წესისა და რიგის მიყოლა. მოწესებობა. ამ წესიერი წიგნის ავტორი კი თავად არის პატიოსანი მოწესე. კაცი. პიროვნება. მუდამ მხრებში გამართული. თავანუელი. კაცი ბევრია, პიროვნება — თითებზე ჩამოსათვლელი. ვწერ ამას და ცხონებული ვლადიმერ სიხარულიძის ერთი გამონათქვამი მაგონდება. ხუტა ბერულავა პიროვნება არიო, რომ მითხრა ერთ კამათთან დაკავშირებით. ბერულავასთან მოკამათეზე კი დუმილი არჩია. პიროვნება იშვიათია-მეთქი. გამორჩეული პიროვნება გახლდათ ცხონებული რეზი თვარაძე. კაცი შეიძლება კარგი პოეტი (მწერალი) იყოს, მაგრამ არ იყოს პიროვნება. პიროვნების განსახიერებაა, სამაგალითოდ ვამბობ, ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი. სცენაზეც და ცხოვრებაშიც. ჰაკი აძბას განასახიერებს თუ საკუთარ თავს.

ამირან არაბული ვახტანგ კოტეტიშვილის, აკაკი შანიძის, ალექსი ოჩიაურის, ალექსი ჭინჭარაულის, თენგიზ მირზაშვილის მიერ მონიშნული გზის მიმყოლი და მიმდევარია, რასაც განაპირობებს მათი მიმართება ზეპირსიტყვიერებასთან, ანდრეზებთან, ზღაპარ-მითებთან, რაც ასევე ითქმის ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ნატროშვილის შემოქმედებაზე. რაც ასევე ითქმის ამირან არაბულის მანდილოსანზე, პოეტსა და პიროვნებაზე, ქალბატონ ეთერ თათარაიძეზე, საკვირველი ლექსების გამომთქმელზე, ერთხელაც, საღამო რომ ძალაში შედიოდა და თავის საყვარელ თუშეთს შეეკითხა, ხომ არ ბერდები-ო, რაც, დაახლოებით, ბარათაშვილისეულ გუნება-განწყობას მოგვაგონებს, ფიქრო-დასართველად რომ გამოვიდა და თვითონ ბუნება (არემარე) დახვდა მოწყენილი და რითი შეწეოდა, ამაზედ რომ დაფიქრდა...

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ყველანი ერთ ალაგას, ერთ მიწაში მოვთავსდებით (შევიყრებით), იმ მიწაში, სერვანტესს რომ სადაფის ხელა მოეჩვენა.

გაცვეთილი გამონათქვამია: ცხოვრება ჭადრაკია, ანუ ის ალაგი, სადაც ვართ და სადაც ვეომებით ერთმანეთს, ბოლო-ბოლო კი დაფა დაიხურება და ერთი დაფის წიაღში მოცივრებით.

ახალგაზრდა გენიოსმა ცუდი ეპითეტით მოგვისხენია, მაგრამ ეს სტრიქონებიც მისი კალმის ნაყოფია:

**„Я думал: Жалкий человек. Чего он хочет!.. небо**

მარინე ტურავა

# ნარუჰალი წიაღი

მთას თავისი მითოსი აქვს, თავისი დაუნერვლი კანონი, თავისი მორალი... ამით განსხვავდება იგი ბარისაგან, დანარჩენი საქართველოსგანაც. ეს კანონი ზოგჯერ ძალიან მკაცრია, შეუვალი, მაგრამ სწორედ ამ შეუვალობამ გადაარჩინა იქაურობა, შეუნარჩუნა თავისუფლება, მოიყვანა დღემდე. მთის სამართლებრივი და ზნეობრივი ადათები კარგად ვიცით ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებიდან. შეუვლობასა და სიმკაცრეს ყოველთვის ახლავს დამარცხებული მტრის ღირსების აღიარება, თანაგრძნობა და მეტიც... აღფრთოვანება და სიყვარულიც კი... აღიარება იმისა, რომ ურჯულოსაც აქვს ქადილის ძალი, მასაც შეუძლია ვაჟაკობის, გმირობის ჩადენა. ბოლოსდაბოლოს ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და არ შეიძლება პოლინიკესავით დაუმარხავი და დაუტირებელი დარჩეს („ანტიგონე“).

თუ ალუდასავით არ გიყვარს და არ მოგწონს მუცალი, თუ ჯოკოლასავით არ თანაგრძნობ ზვიადაურს და ალაზასთან ერთად არ დასტორი მას, ძნელია გაიგო ვაჟას ჰუმანიზმი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მტრის სიყვარულის — ახალი აღთქმისეული კონცეპტის — მხატვრული ხორცშესხმაა. მისი შემოქმედების მასშტაბურობის მიუხედავად, ვაჟა მინც მთის შვილია და სწორედ ამ ლოკალური ქრონოტოპოსიდან აღიქვამს და აფასებს ადამიანის ტკივილ-სიხარულსა და პრობლემებს.

მტრის შეწყალებისა და ჭირისუფლის თანაგრძნობის მოტივი XIX საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართული მხატვრული ცნობიერებისათვის, ამის დასტურია „ვეფხისტყაოსანიც“. ხატაეთის დამარცხებულ მეფეს — რამაზს, ორპირობისა და ღალატის მიუხედავად, ფარსადანიცა და ტარიელიც ღირსეულად ეპყრობიან. ტყვედ ჩავარდნილი რამაზი ინდოეთის უძლეველმა მეფემ ისე ტკბილად მიიღო — „ვითა შვილი სააკვა-ნე“: **„ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე, ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!“**

ხატაეთის ომში გამარჯვებულ ტარიელს, ძღვევამოსილ მხედართმთავარს, ღირსებას მატებს დამარცხებული მტრის, მითუფრო ტყვედჩავარდნილის, ამგვარი შეწყალება. სხვაგან ასე ამბობს რუსთაველი: „ოდეს მტერსა მოერიო, ნულა მოჰკლავ, დაიყოვნე“.

„ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ ქართული ზეპირსიტყვიერების უძველესი ძეგლია. ვრცელ ვარიანტში ცენტრალური ადგილი ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლას უჭირავს. ეს ხალხური ლექსი როგორც სტილისტური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, ქართული ხალხური ტრადიციის ნაყოფია. ბალადის ამბულბული, ჰუმანური იდეები, დალუბული გმირის დედის სახე ქართული ფოლკლორის იდეებსა და მხატვრულ სახეებს ემყარება: **„იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა! წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა, ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა ჩემი შვილისა... იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.“**

ამირან არაბულმა ქართული ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის გამოცდილება ერთ წიგნად აკინძა, თუმცა ყურადღება აქამდე უცნობ ამბებზე გაამახვილა: „იმდენად გადამ-

**ясно, Под небом место много всем, Один враждует он — зачем?“**

და მინც: „რა უფრო იოლი ასატანია: გამარჯვება თუ დამარცხება“.

**P.S.** ძვირფასო მკითხველო, ვატყობ, ნამეტანი მოვიწყლიანე ენა. დამარცხება კი არ უნდა უსურვო მტერს, არამედ გარდასახვა. ამ წიგნზე მხოლოდ ეს რომ მეთქვა, ისიც იკმარებდა.

დები და დაუვიწყარია ლოკალურ სახალხო გმირთა თუ უბრალო, ჩრდილო ყოფნას ჩვეულ ადამიანთა დიდსულოვნების თვითენური გამოვლინება, შეუძლებელია გულგრილი დარჩე და არ დაინტერესდე მათი „უცნაური“, არაორდინარული ქცევისა და მოქმედების განმაპირობებელი შინაგან-გარეგანი იმპულსებით“.

„ვაჟაკობისას ამბობენ“ 2011 წელს გამოსცა „უნივერსალმა“, რედაქტორი გიორგი ალიბეგაშვილი, მხატვარი კი თენგიზ მირზაშვილია, სიკვდილამდე, წიგნის დამთავრებამდე, მოუსწრია მისი გაფორმება, ამიტომაც გულისტკივილით წერს ავტორი: „რომ დასცლოდა და დამთავრებას მოსწრებოდა, ალბათ კიდევ ბევრ ხარვეზზე მიმითითებდა და ნაშრომიც, გამომდინარე აქედან, უკეთესი იქნებოდა“.

ფორმითა და შინაარსით ეს ერთიანი წიგნი თავებად არ არის დაყოფილი, მხოლოდ წინათქმა აქვს და ქვესათაურები, რომელთა ფუნქციასაც ეპიგრაფები ასრულებს. თხრობა საინტერესოა, ცოცხალი — ამირან არაბულის სტილისათვის დამახასიათებელი მდიდარი ლექსიკით, თანამედროვე ლიტმცოდნეობითი ტერმინებისა და არქაიზმების შერწყმით. თუმცა ეს სიტყვები მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება ჩაითვალოს ძველ ფორმებად, სინამდვილეში ეს არის ჩვენგან უსამართლოდ მივიწყებული ის ძარღვიანი ქართული, რომელიც სლენგის, პარბარისზისა თუ კალკის წყალობით ნარსულს ჩავაბარეთ.

„ხალხური სიტყვიერებაა ის წიმარო, ნარუჰალი წიაღი, სუფთა საფანელი და ზღაპრულ ჭასავით უშრობი წყაროსთვალე, არაამქვეყნიური ციაგით რომ ავსებს და მოსავს საუკუნეთა შორეთში შექმნილი სიტყვაკაზმული მწერლობის ბევრ საჩინო, შესანიშნავ ნიმუშს“, წერს ამირან არაბული. მისი აზრით, ქართველთათვის დამახასიათებელი სიღბო და სიმაღლე ყველაზე მეტად ფსევდონტელექტუალური დანამეგრებისაგან თავისუფალ ფოლკლორში ვლინდება. ამ წიმაროს გვაზიარებს უშურველად ავტორი. წიგნის მიხედვით, გმირობა ადამიანის სულისთვისა და შინაგანი მდგომარეობაა, დიდი განსჯისა და ფიქრის გარეშე ხორციელდება საგმირო საქმენი. ხევსურმა ადუა გაბურმა სანადიროში შემთხვევით დაჭრა ამხანაგი გიგია ჭინჭარაული, არხოტამდე შორი იყო და ამიტომაც სათხოვნელად „მესისხლე მტერს“ — ქისტს მიადგა. ქისტები დაირაზმნენ, დაჭრილს ნატყვიარი შეუხვიეს და არხოტამდეც მიაცილეს, ადუასაც მადლობა გადაუხადეს, მათთან რომ მივიდა დახმარებისათვის...

შატილივებმა ლილოში გაძარცულ თანამომძმეთა ჯავრის ამოსაყრელად და ნაძარცვის უკან დასაბრუნებლად კარგი ვაჟკაცი — ჰასანი წამოიყვანეს ტყვედ. იგი მორიგეობით გადაჰყავდათ ოჯახიდან ოჯახში და მტრის პატივისცემაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. ერთ ღამეს სოფლის მიდამოებში შემოიპარნენ მიზეულები, რომლებმაც ჰასანს მამა მოუკლეს. ლილველი ევედრება მიხას, მაგათ ნუ დაახსენებენ ჩემს თავს, თოფი დამკაროთ, ამგვარი სიკვდილი მირჩევნია შერცხვენასო. მიხა ითვალისწინებს ჰასანის მიძიმე სულიერ მდგომარეობას და მიზეულებს განზილებულებს გააბრუნებს შატილიდან. მოგვიანებით ნაძარცვის დამბრუნების შემდეგ, ჰასანს ათავისუფლებენ. სამი თვის თავზე ქისტეთიდან ამბავი მოდის, ჰასანმა „მამამისის მამკლავი“ მიზეული ბენახუა საიქიოს გაისტუმრაო. „დედა ვაცხოვნე ვაჟისაო“, ამბობენ აღფრთოვანებული შატილივები. ხევსურ-ქისტური ურთიერთობის არაერთი ასეთი მაგალითი არსებობს. ხევსური ვაჟკაცი ნაჭრილობისაგან კვდებოდა, ვე-

რანაირმა წამალმა და დასტაქრობამ ვერ უშველა. ერთადერთი გზა დარჩა, გააგებულნი ჩრდილობის უებარი წამალი — წითელი გველის ნაფშენი, რომელიც მხოლოდ ქისტეთში იშვევებოდა. შუამავლის მეშვეობით, დახმარებას მტერს სთხოვენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღებენ კიდევც. ასეთი მაგალითის სიჭარბის გამო ასკვნის ამირან არაბული, რომ ქისტებთან დაპირისპირებას ჰქონდა პოზიტიური მხარეც, იყო „მტერი, როგორც მუდმივი სულიერი სიფხიზლისა და ფიზიკური მზადყოფნის განმაპირობებელი ფაქტორი, ანუ ის რეალური ძალა, რომელიც გაიძულებს სათანადო საბრძოლო ფორმის შენარჩუნებას“.

ქისტების მიერ მოყენებული უამრავი ტკივილისა და მწუხარების მიუხედავად, ისინი მაინც გვაიძულებდნენ მუდმივ მზადყოფნაში ვყოფილიყავით, სიფხიზლე არ დაგვეკარგა, რაც იმ ისტორიულ რეალობაში გადარჩენის ერთადერთი გზა იყო. ასე ფიქრობს ნიგნის ავტორი, რომელიც თვითონვეა გმირ მთიელთა ღირსეული და ერთგული ჩამომავალი.


„მთიელთა ეთიკის ზეპირი ნორმებით, ტყვის ანდა შინ „შემოხვეწილი“ თუ ჯვარში „შემჯდარი“ მტრის მოკვლა ჩამოურეცხელ, თაობებზე გადამწვდომ სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომაც სთხოვს გრიგოლ ორბელიანი, რუსული არმიის ოფიცერი, შამილს, ვის დამარცხებასა და დაჩოქებაშიც ლომის ნილი თავადაც მიუძღვის, ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ქალებისა და მათი შვილების უსასყიდლოდ გათავისუფლება. „მართალია, მტრები ვართ, მაგრამ თქვენის კეთილშობილ გულისა და სულგრძელობის შთაგონებით ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც არის უნდა უთუოდ ამისრულოთ“.

გრიგოლ ორბელიანს შამილის პორტრეტი საკუთარ სახლში ეკიდა თურმე, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ გაორებული კაცის შინაგან ჭიდილსა და სულიერ ტრაგედიაზე. დღევანდელ მსოფლიოში, გინდა კავკასიაში, სრულიად წარმოუდგენელია დაპირისპირებულმა ძალებმა ამგვარი ეპისტოლეებით მიმართონ ერთმანეთს ან მტრის პორტრეტი დაიკიდონ სახლებში — აღერთვანებისა და პატივისცემის ნიშნად. დღევანდელი მსოფლიო, მისი პოლიტიკა ბევრად დაუნდობელი და უეთიკოა...

მთის კანონებით, დაუნერული წესებით ვაჟაკიც არ დაესხმოდა დაძინებულ მტერს, ცხოველსაც კი. ხალხურ აზროვნებას „პრიორიტეტი მძინარე სულიერში განსხეულებული მტრის დანდობის მოტივისთვის მიუნიჭებია“. ზნეობრივ გმირად ვერ ჩაითვლება ელუმ თულუმიშვილი, რომელმაც ზურაბ არაგვის ერისთავი მძინარე მოკლა საფურცელში, ვერც ქეჩან ქეთელაური, გულანის-თავ დაძინებულ მთიელები რომ დახვია, მათგან მოკლული ორი ძმის სანაცვლოდ. მოსისხლევა ხარ-ცხენების ნამსხმელს, მპარავსა და მარბიელს, შინ ძალით შემოვარდნილ მტერს, რომელსაც მდევარი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრის, მაინც აცლიან ღირსეულ და „მშვიდ“ სიკვდილს. შორიასლოს დაყოვნებულები ერთმანეთს ეუბნებიან — კაი ვაჟაკიცა, აღარაფრის თავის აღარ ექნება, ცოდოა, თავზე ნუ წავადგებთო.

ცხოველთა მიმართ შემწყნარებლობა კი „მორს სცილდება ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობათა პროფანულ სფეროს“, აქ ადამიანი თავის თავზე მალდებდა და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ღვთის ხატი და მსგავსია. სვანური საფურცლო ლექსის პროტაგონისტი — თამბი — ერთდროულად არის დიდი ვაჟაკიცა, დაუნდობელი და თავგანწირული, მაგრამ მგრძობიარეც, უსულო ბუნებასთან ერთიანობისა და ჰარმონიის შემგრძნობი, ამიტომაც გულწრფელად დასტირის მის მიერ მოკლულ ვეფხვს — „ნეტავი შენ არ მომეკალ, თავი მომეკლა-და-ტიალი“.

ხმლისა და „მშვილდ-ისრობის“ დროის გმირთა ამბების თხრობისას ჩნდება მოტივი, რომლის მიხედვითაც არსებობდა მიჯნა, სამანი, ის „სამრისხველო“, რომლის იქითაც სისხ-



ლისღვრის გაგრძელება დიდ ცოდვად ითვლებოდა. არავინ ამ სამანს არ დაარღვევდა, არ გადალახავდა, ნაქცეულსა და დამარცხებულს არ შეურაცხყოფდა, რადგან მთავარი მტრის ძლევა კი არა, ღირსეული ძლევა იყო.

მთაში ყოველთვის ფასობდა გმირობა, მოხდენილი ვაჟაკის წინაშე მტერიც კი უკან იხევდა, ეცოდებოდა და ებრალებოდა იგი მოსაკლავად. ნებით თუ უნებლიეთ დანაშაულის ჩამდენი პირი თუ თემ-სოფლისათვის საჭირო, საიმედო ვაჟაკიცა იყო, მოსაკლავად ვერ იმეტებდნენ, ამიტომაც მის აჩრდილს დაახლიდნენ ტყვიას. „ცუდი ვაჟაკიცა გამოვა მომკვლელი კაი ყმისაო“ — ამბობს ხალხური ლექსი.

ლეგენდის მიხედვით, თვით დევიც კი არ შეერკინებოდა ლაჩარსა და უსუსურს, ის ღირსეულ მტერს ელოდა, ტოლთა შერკინება და ბირდგნიალი გათენებამდე გრძელდებოდა...

ნიგნში მრავალგზის არის ხაზგასმული „ქართველი კაცის მონყაღ ბუნება და შემწყნარებლობის უწყვეტი ნიჭი“ (გურამ ასათიანი), რომლის კლასიკურ მაგალითად გამოდგება ოლა გურამიშვილის მიერ ილიას მკვლელობა შემწყნარება — „თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს... რათა დავაბოლოო ის ღვანლი კაცთა მიმართ მზურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შევეუნდო იმ უბედურთ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ვაზეთ „რუსკი ვედემოსტი“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, ლევ ტოლსტოის მეგობარი, ივანე გორბუნოვი, აღნიშნავდა: „ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის“, ახლა „ზნეობრივმა მზემაც აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოსაშუქა“.

ალექსანდრე ყაზბეგის ბიძას, ბიბოს, სახელგანთქმულ ვაჟაკაცს, უპატივბია თავისი ძმისწულის მკვლელობა მოჯამაგირისათვის, რადგან მასში პირადი ღირსების დამცველი, თავისიანის მჯობნი დაუნახავს. ამიტომაც ამბობს უარს საუკუნოვანი ადათ-წესებით გამართლებულ სისხლის ალების ტრადიციასზე, რაც ბევრისათვის მისაბაძი მაგალითი გამხდარა მთაში.

ნიგნში საუბარია არაერთ ამბავზე, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებად ქცეულა, შემწყნარებლობისა და გმირობის საქციელი არ რჩება ამირან არაბულის თვალსაწიერის მიღმა. ბევრ მნიშვნელოვან ფოლკლორულ, მითოსური საბურველით შემოსილსა და ნამდვილ ამბავსაც გვიცოცხლებს ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ „ვაჟაკობისას ამბობენ“... არის სერიოზული კვლევა, ავტორი უამრავ მნიშვნელოვან წყაროს გვაცნობს და იყენებს, ამასთანავე ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ნარატივი, რომლის ყოველი პასაჟიც და მთლიანი ტექსტიც დიდი ინტერესით იკითხება. ეს არის ემოციით აღვსილი ნიგნი, რომლის ავტორიც იმ ეპოქებიდან გადმოსულ გმირს უფრო ჰგავს, რომელიც ცდილობს ჩვენი წინაპრებისა და მამა-პაპათა მღელვარე ხმა რელიქტად არ იქცეს და უდაბნოში მიშვეებული წყლის სუსტი ტოტივით არ განყდეს, უკვალოდ არ დაიკარგოს...

ნიგნი კარგი მასალა და შთაგონების წყაროა არაერთი შემოქმედისა და მეცნიერისათვის. თუმცა, როგორც ამირან არაბული აღნიშნავს, ინტერტექსტუალიზაციამ, ლიტერატურულმა გარდათქმამ და გამრავალსიტყვებამ უსახელო მთხრობელთა ხელით შექმნილ ამ ამბებს, შესაძლოა „შემზარავი სილაამაზე“ დააკარგინოს. ხევისურთა, მთიელთა ცხოვრება ზოგადად, მნიშვნელოვანი მასალა თანამედროვე ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგთათვისაც. თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ყოფა, რომელსაც ჩვენი წინაპრები საუკუნეებით გამყარებული დაუნერული კანონებითა და მორალით ქმნიდნენ — სამართლიანობასა და გმირობაზე, დამარცხებული მტრის პატივისცემაზე, მაღალ ადამიანურ ღირსებებზე იყო დაფუძნებული.

მიუხედავად იმისა, რომ „შეცვლილია, თანაც შესამჩნევად, ქართველი კაცის ზნე-ხასიათი და შინაგანად: დროისმიერი დამლა დასტყობია მის ცნობიერებას“, იმედია, რომ ამგვარი მაღალი ზნეობის ჩამომავალთ არაქრობიერის უღრმეს ხვეულებში მაინც შემოგვრჩა ხასიათის სიღბო და სიმალღე. ამ

არაცნობიერ იმპულსთა გაცნობიერებასა და გაცოცხლებაში დაგვეხმარება ეს წიგნი.

ახლა მთავარია იგი იმ ადამიანებმაც წაიკითხონ, ვინც დღეს წარმართავს ჩვენს საზოგადოებას, ქმნის და აყალიბებს მის ურთიერთობებსა და წესებს.

როსტომ ჩხეიძე

# და სიყვარულის ასე მოთმენა

უძირო და უნაპირო პალიასტომის ტბა მსახიობებს თავიდან შავი ზღვა რომ ეგონებოდათ, ასიკო დიდად არც საკუთარ თავს საყვედურობს და არც დანარჩენ მამაკაცებს, ქალების გეოგრაფიულ ცოდნაზე ჩუმჩუმად რომ ხითხითებდნენ... ეგაა, ძალიან შეეშინებოდათ ტივზე გადასვლა მარტოდენ ერთი სქელი ფიცრის იმედად: თვალები აგვიჭრელდება და წყალში ჩავცვივდებითო.

და მასპინძლები:

— უი, დედა! ღმერთო, მომკალ! მერე ვინ მიგაკარებს წყალს? მობძანდი!

სტაცებდნენ ხელს და სათითაოდ ფრენით გადაიყვანდნენ ტივზე, და კიდევ გაიზრიალებდა ჰაერში სევდიანი და საყვედურით სავსე კრიალა სიმღერა „ალი-ფაშამ გვიღალატა“.

და ფოთში განცდილი საარაკო შთაბეჭდილებანი ასიკოსაც შეაუხერხულებდა და სხვა არტისტებსაც: რითი ვართ განა გამოჩენილნი, ამდენი პატივისცემის ღირსნი რომ შევიქვით, ვის რა ღვანლი მიგვიძღვის საზოგადოების წინაშეო?

— არაფრისაგან არაფერი, — ასეთი მკაცრი და უშეღავათოა მემუარისტი, რაკილა თავმდაბლობა სძალავს ყველა სხვა განცდას.

მაგრამ ქართული გულის ძვერა?

მისი უტყუარი და ღრმა გრძობათა გამოთქმა ამ დიადი საზოგადო საქმის დაწყების გამო?

და ცოტათი დამშვიდებოდნენ: ბოლოსდაბოლოს, ჩვენ გვაფასებენ, როგორც წინამორბედთ, საძირკვლის ჩამყრელთ რალაც განსაკუთრებული მოვლენისა ქართულ სინამდვილეშიო.

ფოთიდან გასვლის წინ ორი დღით ადრე ბათუმში გაისტუმრებდნენ ადამ ჩუბინაშვილსა და კოტე ყიფიანს მთელი ბარგით — სცენის მოსაწყობად. თუმც ის სამწუხარო ამბავიც დაემართებოდათ, რომ ვასო აბაშიძეს ტფილისიდან დეპუტა მიუვიდოდა, მამის მძიმე ავადმყოფობას რომ შეატყობინებდა.

— იმისი როლების მოთამაშე ეხლაც არავინ არის და მაშინ ხომ ვინ გვეყოლებოდა?

მის ზოგიერთ როლს, მაგალითად — ზიმზიმოვისა, გიგა ყიფშიძე ითამაშებდა, სუფლიორად გამოყოლილი და ამ მხრივ დიდი უნარის მქონე. მისი ეს ნიჭიც საგანგებოდ მოიხსენიება მოგონებებში, მაყურებლისათვის ეგებ სრულიად შეუფასებელი, მაგრამ:

— არტისტებს ესმით, რა მნიშვნელობა აქვს კარგს სუფლიორს თეატრში.

აკი საკუთარ თავზეც გადაეტანა ასიკოს ეს მოვალეობა და კიდევ უფრო ღრმად ჩანვდომოდა მის თავისებურებასაც და დანიშნულებასაც.

მათი ტურნე გემით მგზავრობასაც უნდა გაელამაზებინა, თუმც თავიდან მიშითაც ელოდნენ ზღვის ავადმყოფობას, გავონებით რომ გაეგონათ.

ბათუმის სანაპიროზე გადასულებს აუარებელი ხალხი დახვდებოდათ — საზოგადოდაც და უშუალოდ მათი მომლოდინენიც.

ბათუმი ახალი აღებული გახლდათ — მინგრეულ-მონგრეული სახლების კედლებს ჯერ კიდევ აჩნდათ ტყვიისა და ყუმბარის ნაკვალევი. საერთო იერი კი ტფილისის აბანოების უბანსა და აშპაშხანას გაახსენებდათ თავისი რამდენიმე მინარეთით.

ქართულ ოჯახთა შორის გამოირჩეოდა დურმიშხან ჟურელის სახლობა — ქალაქის პოლიციის უფროსის, თავის სახლს არტისტებისათვის ისიც მუქთა სასტუმროდ რომ გადააქცევდა, და მისი მეუღლე ქეთევანი არაფერს ზოგავდა სტუმრების დასახმარებლად.

წარმოდგენისათვის დარბაზიც მოეწყობოდა და ბილეთებსაც დაიტაცებდნენ, და განა მარტო ქრისტიანი ქართველობა შეიქნებოდა ჩვენი დასის მაყურებელი, არამედ — გამაჰმადიანებულნიც, და კიდევ — უცხოელებიც.

ეგაა, ვერ მოაფიქრდათ, რომ ქუთაისში დაბეჭდილი აფიშები ნამოვლოთ. ამ განუჭვრეტელობას კი მემუარისტი თავიანთ უშნობას მიანერს: ბათუმში სტამბა რომ არ იქნებოდა, ხომ წინასწარვე უნდა გვევარაუდაო.

ხელნაწერ აფიშებს დაამზადებდნენ, მაგრამ განა რამდენს? მთელ ქალაქს როგორ უნდა განვდომოდა ის მცირე რაოდენობა? ითათბირებდნენ, ითათბირებდნენ და... მოისაზრებდნენ: ზაფხულობით ცივ-ცივი წყაროს წყალი რომ დააქვთ კოკებით, დამტარებელთ ზურგზე გავაკრათ რამდენიმე აფიშა და თან დაევარიგოთ, რაც უნდა იყვირონ ქუჩა-ქუჩაო.

და ივლიდნენ ბათუმის ქუჩებში მუსულმანი ქართველები და იძახებდნენ გაზეპირებულ სიტყვებს:

— დღეს თრიათში ქაართული თრიათრიააა. თამაშობენ: საფაროვი, გაბუუუნია, ყიფიანანი...

მაკო საფაროვსა და ნატო გაბუნიას წყრომა ეუფლებოდათ და თავს ვერ იკავებდნენ ურთიერთსაყვედურებისაგან: შენს გვარს ჩემზე ადრე რად ამბობენო. ჩაუცვივდებოდნენ წყლის დამტარებელთ ქუჩაში და აბაზს სთავაზობდნენ: არა ჯერ ჩემი გვარი თქვი და არა ჩემიო.

ათნეულელები რომ გადაიკეცებოდა და ნატო გაბუნიაც არდილებს შეერთვოდა, მაკო საფაროვი გულალალად აღიარებდა: ჩემზე ნიჭიერი იყოო, — და თავის დიდბუნებოვნებას ძალდაუტანებლად გაამჟღავნებდა.

ჯერჯერობით კი...

კაცები? სიცილით წედებოდნენ ამ „შერკინებაზე“ და მსახიობ ქალთა გვარების დამახინჯებულად ყვირილზეც.

თეატრში კი დიდი ჭედვა შეიქნებოდა. არც საჩუქრებს მოაკლებდნენ ბათუმელები არტისტ ქალებს.

— გაბუნიას ქალს დღესაცა აქვს მაშინდელი რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი.

პროვინციებში ხშირად რომ შველოდნენ სცენისმოყვარენი, დიდი სიამოვნებით რომ თანხმდებოდნენ ამა თუ იმ როლის შესრულებას, ბათუმშიც დასჭირდებოდათ ქალის როლის შემსრულებელი და ბევრს არ იფიქრებდნენ, მაშინვე გამოძებნიდნენ... გიორგი ჟურელს, ქალაქის პოლიციის უფროსის ვაჟს, შემდგომში პატივცემულ ცენზორს, იმხანად კი პირველი კლასის კადეტს, მოკლე და არშიებით მორთულ ქალის სამოსს მშვენიერად რომ მიორგებდა და როლსაც ჩინებულად შეასრულებდა.

ქართველი ოფიცრობა ყოველდღე კავალკადას გაუმართავდათ — გამოუგზავნიდნენ საუკეთესო ცხენებს და ესენი,

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17,18

ქალიანკაციანად, ამხედრდებოდნენ და გასწევდნენ თამარის ციხისა და „გოროდოვკისაკენ“ — რუსების ახალშენისაკენ. ქალაქის ახლომახლო მთებზე საარტილერიო სიმაგრეებს აშენებდა ხელისუფლება და თანაც გაცხარებით.

გაცივდნენ და დაუახლოვდებოდნენ ქართველ ბეგებსაც, რომელნიც ლაპარაკობდნენ ძველი ქართული ენით, კილო კი გურული ჰქონდათ.

გამოცილებისას დიდძალი ხალხი აღარ აოცებდათ, მაგრამ აქ რაკილა ზღვით უნდა გამომგზავრებულიყვნენ, უკან გამოჰყვებოდათ რამდენიმე ნავი ყვილი-ხვილითა და სიცილ-ხარხარით, ქულებისა და ხელსახოცების ჰაერში სროლატრიალით.

ფოთში შემთხვევით შეეყრებოდნენ დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც მათი ერთნაირი ლურჯი ხალათებისა და ბეგებისაგან ნაჩუქარი ფეხების შემხედვარე იკითხავდა:

— ამ ტყვეებს აქ რა უნდათ, აქამდისრად შეგინახავთ ან სად გზავნით?

გუბერნატორი ძალიან შენუხდებოდა და ვერაფერს მიუგებდა, მაგრამ ერთი მოხელე იხსნიდა:

— თქვენო უმაღლესობავ, ესენი ტყვეები არ გახლავან, ქართული თეატრის მოგზაური არტისტები არიან.

და გაცივებდა დიდი მთავარი:

— ეს რა უცნაურად აცვიათ. ხაშურში შესულთ კოტე ყიფიანი მიინვევდა ქვიშხეთში და ესენი ხელიდან როგორ გაუშვებდნენ შემთხვევას დიმიტრი ყიფიანის კიდევ ერთხელ ხილვისა.

და აგერ ყიფიანთა სასახლის აივანი.

და დინჯი და მტკიცე ნაბიჯით მოსიარულე, წელში გამართული ღვთაებრივი მოხუცი, დიდი ღურბინდით ხელში გზას რომ გამოჰყურებდა სტუმრების მოლოდინში.

მერე ჭიშკართან შეეგებებოდათ და ჯერ კოტეს ჩაიკრავდა გულში მამაშვილურად:

— ამ კეთილმშობლიურ გრძნობაში, როგორც მამა-შვილური სიყვარულია, ბერს მოეხსენება, რომ დიმიტრის ვერავინ ვერ შეედრებოდა.

შემდეგ კი ყველა არტისტს ეამბორებოდა.

როდესაც შეიტყობდა ხალხის აღტაცებასა და დიდებულ დახვედრას ყველგან და უცხო ტომის ადამიანთაგანაც, სიამე გადაეფინებოდა და ფილოსოფიური აღფრთოვანებით იტყოდა:

— ეს ასეც უნდა მომხდარიყო! საქმე დამნიფდა, ხალხმა შეიგნო საქმის ძალა.

ამ მემუარებშიც იგი ისევეა წარმოსახული, როგორც სხვა გადმოცემების მიხედვით შეგვქმნია მასზე სრულყოფილი წარმოდგენა: დიმიტრის საუბარი ყველგან და ყოველთვის, მეტადრე თავის ოჯახში, ქვეყნის ვარამითაა აღსავსე, სხვა ნაღველი არ იცის, და თუმც საქმის კაცია და არა სიტყვისა, საკუთარ საქმეებზე ნაკლებად ფიქრობს.

— დაგვინყებდა ბასს ჩვენ, ბავშვებს, როგორც ამხანაგი, მეგობარი, სიყვარულით და ისე გაგვიტაცებდა, რომ საუბრის დროს ხშირად მუხლზედ ხელს დაგვკრამდით ხოლმე!

ბორჯომი ისეთ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა ასიკოს, ტყე რომ არა ბურავდეს, ტფილისის პირი იქნებოდაო: ისეთივე თონესავით ჩაღრმავებული ადგილი, ისეთივე ხრიაკი-ნაპი-

რებიანი მტკვრის ხეობა, ისეთივე სიცხე-პაპანაქება... ზაფხულის ნაშუადღევს ოთხ-ხუთ საათზე ბორჯომშიც ისეთივე სიცხეს შეესწრებოდა, როგორც მკათათვის ტფილისში... და რატომ ამოეჩემებინა ხალხს ბორჯომი სააგარაკოდ, ვერ აეხსნა, რადგანაც თუკი მის ნაკულუოვანებას გაითვალისწინებდნენ, სახარბიელო სრულიადაც არ გახლდათ.

სპექტაკლი არ გაუმართავთ, რადგანაც მცირე მოაგარაკენი დახვედებოდათ.

არც ახალციხეში მოელოდათ მაყურებელთან შეხვედრა — იმავე მიზეზით. და ესენი, აბასთუმნისაკენ გამგზავრებულნი, ამბავს დატოვებდნენ: გამობრუნებისას გიჩვენებთ სპექტაკლსო. და ის მცირე ქართველობა, ვინც ზაფხულის სიცხეს აქეთ-იქით არ გაქცეოდა, დახმარებას აღუთქვამდათ.

თხრობის ეს მონაკვეთი იმითაა საგულისხმო, რომ ავქსენტი ცაგარელი და გიგა ყიფშიძე მეტივეურს იმდერებენ და ზაალ მაჩაბელი და სხვანი ბანს შეანევენ.

აბასთუმანში კი მოაგარაკენი ბლომად დახვედებოდნენ და მათში — საკმაო ქართველობა. საღამოს მიატანდნენ აქამდე და სასტუმროსაც გამოძებნიდნენ, დილით კი სცენის დასათვალიერებლად რომ გასწევდნენ, იქ მიაკითხავდათ ნიკო მესხიშვილი, ახალციხის მაზრის უფროსი, ინჟინერი ფილო ყაზბეგი (ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი), მამია გურიელი, გიორგი ჩიჩუა, ივანე ბრათაშვილი, დათიკო ამილახვარი და კიდეც სხვანი — ქალი თუ კაცი.

სასტუმროში გამართავდნენ ორ წარმოდგენას, მათგან ერთი განსაკუთრებით დაამახსოვრებოდა — „პეპოსა“ და ვასო აბაშიძის ვოდვეილს „ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“ ერთდროულად რომ წარმოდგენდნენ, დაამახსოვრებოდა, რადგანაც აქ მონაწილეობას მიიღებდნენ ნიკო მესხიშვილი და ფილო ყაზბეგი.

ახალციხის მაზრის უფროსი და... თუნდ ერთდღიანი არტისტობა?

თურმე დიდი ხანია გულში უღვიოდა ეს მწველი სურვილი — ეთამაშა მაინცდამაინც პეპოს როლი, და როდესაც შეიტყობდა, მუდმივი დასი ამ სპექტაკლის გამართვას აპირებდა, თვითონვე შესთავაზებდათ: მე პეპოს როლს ვიკისრებ, ფილო კი ვოდვეილში გამოვიყვანოთ.

ამათ ჭკუაში დაუჯდებოდათ — ეს მოულოდნელობა დადგმასაც ახალ სხივს შესძენს და შემოსავალი გაგვეზრდებო.

და დიდი სიამოვნებით გადასცემდნენ ორივე პიესას გასაცნობად.

— აბა, ჩვენ რად გვინდოდა, ყველამ ზეპირად ვიცოდით, არამც თუ მარტო ჩვენი როლები, არამედ მთელი პიესაც. რა დრო იყო?

მსახიობებს ვერც წარმოედგინათ, მთელი პიესა თუ ზეპირად არ ეცოდინებოდათ თავიდან ბოლომდე, თორემ ნაკითხვით ხომ აუცილებლად ნაკითხავდნენ და თანაც გულდასმით, ყოველივე ნიუანსობრივად რომ გაეაზრებინათ. და ვერც დააჯერებდი, თუკი დადგებოდა ისეთი დროც, როდესაც მსახიობთა უმეტესობა მარტოდენ საკუთარი როლის ცოდნას იკმარებდა და არც დანტერესდებოდა პიესის საერთო მსვლელობითა და სხვათა როლებით — ზერეულედ თუ გადაიკითხავდნენ, და ამასაც დაიმადლებოდნენ.



მხატვარი კარლო ფაჩულია



ნიკო მესხიშვილის შეთავაზების შემდეგ კი აბასთუმანს ერთბაშად მოედებოდა ხმა (ელექტრონის სისწრაფით გავრცელდაო, ვარაუდს გვიდასტურებს მოგონებანი), მაზრის უფროსი ქართულ სცენაზე ითამაშებსო და... დარბაზში ჭედვა იქნებოდა და რა ჭედვა — პირველ საღამოზევე დაიტაცებდნენ ბილეთებს, მაგრამ რაკილა დარბაზი სიდიდით ვერ დაიკვეხნიდა, ბევრი მსურველი გარეთ დარჩებოდა.

ესენი რეპეტიციისთვის გაოცდებოდნენ, ბატონ ნიკოს თავისი როლი ერთ დღეში რომ დაეზეპირებინა, მის გამოსვლას სცენაზე კი საზოგადოების აღტაცება მოჰყვებოდა. სხვა ყველა თავთავის როლს ასრულებდა, გარდა გიგა ყიფშიძისა — მოგესხნებათ, ვასო აბაშიძის უეცარი გამგზავრება ზიზზიმოვის როლს რომ არგუნებდა. ასე რომ, წარმოდგენის დროს ისიც სუფლირობდა და, მასთან ერთად, ასიკოც და მაკო საფაროვიც, იმისდა მიხედვით, ვინ როდის იყო თავისუფალი.

აქვსენტი ცაგარელს პეპოს როლში ბევრი ენახა — იქით სომხების არტისტი ჩმიშკიანი, აქეთ სანდრო ყაზბეგი თუ ზაალ მაჩაბელი, კიდევ სხვანი, მაგრამ ვერცერთს ვერ გამოეხატა როლის სინამდვილე ისე, როგორც... ახალციხის მაზრის უფროსს.

უკვირდა, ვერ აეხსნა, რატომ ცდილობდნენ პეპოს როლის შემსრულებელნი, რომ ამ პერსონაჟისათვის მიეთვისებინათ შექსპირისა თუ სხვა ტრაგედიების გმირთა ხასიათი — განწირული სულისკვეთება, სიტყვების (სულ უბრალო და მკრთალ-შინაარსიანის) მრისხანედ ჭეკა-ჭეხილი, უღრმესი სასონარკვეთილება, გულის წუხილი, უიმედო სულის ბრძოლა და ამისთანები.

გაბრიელ სუნდუკიანიც მისი პერსონაჟის ასეთ სრულ გარდასახვას როგორ შეხვედროდა?

— დიდათ პატივცემული ავტორი ამ გვარ პეპოს როლის გამოხატვას ყურადღებას არ აქცევს, მგონია მოსწონს კიდევ.

აქ თეატრალური კრიტიკოსის დაკვირვებაც მოჩანს და... კომედიოგრაფის ქიმიუნჯიც მეორე კომედიოგრაფის მიმართ, ოღონდაც პიესის დადგმას ხელი ოდნავადაც არ შეშლოდა და კრინტსაც არ დაძრავდა მსუბუქი საყვედურისთვისაც. თან, ეტყობა, კიდევ მოხიბლავდა არტისტთა ეს მოწადინება, მისი პერსონაჟი ტრაგედიის სიმალლეზე აეყვანათ, თუნდ ხასიათის დარღვევის ფასად.

მაგრამ... პეპო რომ ევროპელი გმირი არ გახლდათ?!

— იგი ჩვენი ორთაქალის მეთევზეა, უბრალო მომაკვდავი, შრომის შვილი, ჰალალი ლუკმის მჭამელი, ძლიერისაგან დაჩაგრული, ფულით გაბატონებულის უსამართლოების მსხვერპლი და ლაპარაკის, სევდის და ნალევლის გამოთქმის კილოც ასეთი აქვს: არა ამაყური, არამედ წყნარი... ბედისაგან დაჩაგრულის შეგნება თავის უძლურებისა ძლიერთან ბრძოლაში. პეპოს მთელს ტანში მოდებული აქვს სიმწარე უსამართლობის გამო, მას ბოღმა ახრჩობს გული სისხლით ევსება, მაგრამ ამ გამოუთქმელ ტანჯვას ის ვერ დაიყვირებს, მგრგინავი მეხით ვერ შესძახებს ქვეყანას, ეს ასეაო!

ეს ხომ ასიკოსათვის მშობლიური გარემო გახლდათ, მისი კომედიების შთამაგონებელი და უკანასკნელ წვრილმანებამდე კარგად ნაცნობი და შეთვისებული. და, ცხადია, ყურს მოჭრიდა ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლის ოდნავი დარღვევაც კი, არამცთუ სრული გადაკეთება და ხასიათის დამახინჯება.

და გაიხარებდა, როდესაც აღმოაჩნდა, რომ ნიკო მესხიშვილსაც სწორედ ისე წაეკითხა სომეხი დრამატურგის ეს ქმნილება, თვითონ ასიკო როგორც ხედავდა და, თუნდაც იმ მონოლოგისას, როდესაც პეპოს სხვა შემსრულებელნი ერთ უშველებელ ყვირილს ასტეხდნენ ხოლმე, ბატონი ნიკო დინჯად, ხმადაბლა, სასონარკვეთილებით ატანილი საკუთარ თავს დაუნყებდა ლაპარაკს.

და თავს ვერ შეიკავებდა, რომ მოგონებებში ესეც არ ჩაერთო:

— მე არაფერი შვილი არტისტი ვარ, მაგრამ თუ ოდესმე შემხვდა პეპოს როლის თამაშობა და დაახლოვებით მაინც მიგბაძებ ნიკო მესხიშვილის თამაშობას, დარწმუნებული ვარ, რომ დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩება ჩემი თამაშობით, ასე ღრმა შთაბეჭდილება იქონია ბ. ნიკოს თამაშობამ ჩემზედ.

თუ ოდესმე შემხვდა პეპოს როლის თამაშობაო...

ჯერ კიდევ როდის ჩამოსცილებოდა სცენას, ახალგაზრდული ჯანღონითა და მგზნებარებით სავსე, და ახლა განა რა-ღას უნდა მივბრუნებინა მსახიობად?! გალოთებული, სასონარკვეთილი, დასწეულბული... მაგრამ, ეტყობა, წერისას მოეკიდებოდა ძველებური ცეცხლი და, თუმც თავის არტისტულ ნიჭზე აზრს არ შეიცვლიდა, ეგებ ეს ერთი როლი მაინც ეთამაშა — მითუმეტეს, წინ ედო ჩინებული თარგი, მოდელი, და მას გაიმეორებდა — ბოლოსდაბოლოს, იმ დაუვინყარი შთაბეჭდილების გასახსენებლად და საპატივსაცემოდ. ნიკო მესხიშვილს დაუდგამდა ამით თავისებურ ძეგლს. ისე მემუარების ამ პასაჟითაც დაედგა ძეგლი, სანიშნოდ რომ დაესახა როლის მისებური გააზრება მსახიობთა ახალი თაობებისთვისაც, რაკილა იმედოვნებდა — და ასეც ახდებოდა — რომ არც „პეპოს“ დაივინყებდა ქართული თეატრი და რეჟისორები ადრე თუ გვიან მოისაკლისებდნენ სუნდუკიანის ამ პიესასაც. არანაკლებ გამოიჩინდა თავს იმ დღეს ფილო ყაზბეგიც.

— მხოლოდ „მეორეს მხრივ“.

ამ ვოდევილისას ასიკო სუფლირობდა და პიესის დაწყებამდე ფილო სთხოვდა: როლი კარგად არ ვიცი და ვინძლო რიგინად მომანდო სიტყვებიო. ლექსების წარმოთქმამდე რომ მივიდოდა სიუჟეტი, სუფლიორი ხმას აუმაღლებდა, რათა უფრო მკაფიოდ გაეგონებინა, ყვირილსაც კი მორთავდა, მაგრამ... ერთ სიტყვასაც ვერ ათქმევინებდა — ფილო მხოლოდ იხტუნავებდა და „ტრალალას“ იძახებდა. ასიკო თავს ვერ შეიკავებდა და წაიფრუტუნებდა, არტისტებსაც სცენაზე წასკედებოდათ სიცილი. მაყურებელი ამის დანახვაზე ასტეხდა საშინელ სიცილ-ხარხარს და შეიქნებოდა დაუსრულებელი ჟრიაშული, რაც ათ წუთს მაინც გასტანდა. არტისტებიც თავს ველარ შეიმავრებდნენ და უდროო დროს ფარდის ჩამოშვებით მოათავებდნენ დადგმას.

ის ფსიქოლოგიური ვითარება ყველა თეატრალისათვის ცნობილი და ასიკოც შეახსენებდა მკითხველს, რომ უბედურებაა, თუკი წარმოდგენისას მსახიობებს სიცილი აუტყდებოდათ — შეკავება ყოვლად შეუძლებელი ხდება დასუსტებული ნერვებით, გულიც ამოუჯდებათ, სულსაც ველარ ითქვამენ და სიცილი სულაც ისტერიკად გადაექცევათ.

იმ დღეს რაც ამათაც დაემართებოდათ.

რა გინდა — დამსწრე საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩებოდა, რის დასტურადაც მეორე დღეს ტყემი დიდ ნადიმს გადაუხდიდნენ სტუმრებს.

ტფილისისაკენ დაძრულები ერთ წარმოდგენას კიდევ გამართავდნენ ახალციხეში და იმავე დახმარებით, იმავე ყურადღებით მაღლიერნი მოაშურებდნენ დედაქალაქს — სამუდამო ჭაპანის გასანევად.

\*\*\*

წარმატებით ამოთავებულიყო ერთი რკალი იმ მისიისა, რაც განახლებულ ქართულ თეატრს ეკისრა არამარტო კულტურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების წარმართვისათვის — დიდი სამსახური გაენია ჩვენი პროვინციებისათვის, არანაკლები, ვიდრე ტფილისის მუდმივი სცენისათვის.

მიზანიც დასახულიყო ამ მიმართულებით და თამასაც იმ სიმალლეზე აზიდულიყო, რომლის შესანარჩუნებლადაც თავდადებული გარჯა მართებდათ, მუდმივი მზადყოფნა და სრულყოფა საკუთარი სამსახიობო ხელოვნებისა — ამ თაობასაც და ახალუხლებსაც.

ამ მისიის მნიშვნელობაზე საგანგებოდ რომ ჩამოაგდებდა სიტყვას ვალერიან გუნიას („ხელოვნება“), დასძენდა:

— პროვინცია, — სოფლები და დაბები, ყოველ შემთხვევაში როგორც განაპირებულნი არიან ყოველივე იმისაგან, რითაც მდიდარია და რითაც თავმომწონეობს ქალაქი, ამიტომაც წარმოდგენები პროვინციებში, იმის გარდა, რომ დანაკლისს უფსებენ სოფლის მცხოვრებლებს, მეტად სასარგებლოა ყოველწლიურად გონებისა თუ ზნეობის მხრივ, საზოგადოდ, ცხოვრებაში ახალი გამაფხიზლებელი სიოს შეტანით.

და ამასთან:

ქვეყანა უნდა შეეკრა თეატრალურ დასს, ორ გუბერნიად დაცალკეებული ყოფილი საქართველოს ტერიტორია ერთ მთლიანობად შეენიგთა და ერთი აზრითა და განცდით, ერთი სულითა და სწრაფვით განემსჭვალა, იმ უკეთესი ჟამის მოლოდინით, სახელმწიფოებრიობის აღდგენა ოცნება კი აღარ, რეალობა რომ იქნებოდა.

მეტი ეროვნული და პოლიტიკური მისიაც რაღა უნდა ყოფილიყო!..

აგერ ივანე ზურაბიშვილის დასტურიც ამ მისიის წარმატებული აღსრულებისა:

— ტფილისი, ქუთაისი, თელავი, ბათომი, გორი, ამ მხრით, ისე გადაბმულ-გაერთიანებული, ისე ერთსულოვანი იყვნენ, თითქო ცალკე, ერთი მეორეს დაშორებული ქალაქები კი არა, არამედ ერთის ქალაქის საზოგადოების წევრნი ყოფილიყვნენ. ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და ვიქტორ გამყრელიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალიკო გუნია და კოტე შათირიშვილი ერთ და იმავე დროს ტფილისელებიც იყვნენ, თელაველებიც, ქუთაისელებიც და ბათომელებიც.

\*\*\*

თითქოს მზის სინათლეზე პირველად ამოსულიყვნენ, ხელახალ დაბადებასავით განიცდიდნენ ამ მოგზაურობას, აღმოაჩენდნენ, რომ — გარდა ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვისა — ყველანი სამეფო-საპატარძლოები იყვნენ და... მოზვერ-დეკულებივით აფუნდრუკდებოდნენ.

და კიდევ მოადევნებდა ნუთისოფლის სამდურავს: ამ 22 წელიწადში ფუნდრუკი კი არა, კუდით სანევეები გავხდითო!..

— ეჰ, მახლას! ერთი დრო არავის შერჩებაო! ის ნეტარი სიყმაწვილე ხომ გამოვცადეთ, ესხლა სიბერის სიმყაყეს ვებრძოლოთ.

სიბერის სიმყაყეო...

44 წლის კაცს ასე როგორ ჩაუქნევია ხელი, უკვე რომ ჰგონია, სიბერეში მიდგას ფეხიო...

რა კარგი იყო ის წამიერი გამონათება — თუ ოდესმე მომიწევს პეპოს როლის შესრულებაო.

ეს წამიერი გამონათებაც — მოგონებათა საწერად რომ დასვაოდა.

და თვალწინ ამოდინდა თეატრალური კომიტეტი, სცენის მოყვარულთაგან ამორჩეული ხუთი წევრით, ყოველგვარ დაბრკოლებას რომ გადალახავდნენ და მუდმივ დასს ჩაუყრიდნენ საძირკველს: დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ავალიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, იოსებ ბაქრაძე და გიორგი თუმანიშვილი. ალექსანდრე სარაჯიშვილს უცხოეთში წასვლა რომ მოუნევდა, კომიტეტს მის ნაცვლად ერთბაშად ოთხი წევრი შეემატებოდა: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, ივანე მაჩაბელი და დავით სარაჯიშვილი.

დავით ერისთავი უარს რომ განაცხადებდა პირველი რეჟისორის პატივზე — კერძო საქმეების გამო, ამ თანამდებობას გიორგი თუმანიშვილს შესთავაზებდნენ, ჭეშმარიტად თავდადებულ ადამიანს ქართული მუდმივი დასის დაარსების საქმეში.

მტკვრის ნაპირას სათეატრო დარბაზი რომ გახლდათ და საზაფხულო თეატრს ეძახდნენ, იქ მოიყრიდნენ თავს. ეს თეატრი ალბულები ჰქონია ალექსანდრე პალმს, მსახიობსა და დრამატურგს, და განაგებდა მისი უფროსი ვაჟი სერგეი — კომიკოსი მსახიობი. ამ ოჯახს ძალიან ემადლიერებოდნენ

ჩვენი არტისტები დიდი ყურადღებისა და რჩევა-დარიგებებისათვის — მოუნყინრად რომ ესწრებოდნენ ჩვენი დასის წარმოდგენებს და პიესებსაც სთავაზობდნენ სათარგმნელად. აგერ ასიკოსათვის ამ მიზნით გადაეცათ „ორი ობოლი“, „მონასტრის ზღუდეთა შორის“ და „კარდინალი რიშელი“.

გრიგოლ არწრუნი ქარვასლაში რომ გამართავდა თეატრს, ქართული დასიც მას შეეკედლებოდა და მისგანაც სიკეთის მეტი არაფერი დაამახსოვრდებოდათ — როდესაც შემოსავალი ნაკლები ჰქონდათ, არწრუნი ან სულ პატიობდათ ქირას ანდა მხოლოდ განათების საფასურს ართმევდათ. ფულით იქითაც კი გაუმართავს მათთვის ხელი და თანაც არაერთხელ — ბენეფისებში თეატრის ქირა შეუწირავს არტისტებისათვის. და მის ლაკონიურად მოხაზულ სილუეტს ამ სიტყვებით აბოლოვებს მემუარისტი: ჭკვიანი და შორს განმჭვრეტი კაცი იყო.

პირველ სპექტაკლებს რომ ჩამოთვლიდა, ჩაურთავდა: კაცმა თავისი თავიც არ უნდა დაივიწყოსო, — და ჩამონათვალში არც საკუთარ კომედიას გამოტოვებდა.

საზოგადოება მალე შეეჩვეოდა თეატრს.

ბევრი აბონიმენტსაც აიღებდა.

არტისტებს გამოუჩნდებოდნენ მოსარჩლენი და თავყვანისმცემელები.

და ნორჩი თეატრი ერთბაშად დაემსგავსებოდა დავაჟკაცებულ უცხო თეატრებს.

ის ნუხილიც უნდა ამოითქვას: საზოგადო საქმეში, მეტადრე ჩვენში, განა შეღავათს მოგცემენ, რათა შეისვენო და თავისუფლად ამოიქაქანო, — და ჩვენი თეატრიც არაერთხელ ჩავარდებოდა განსაცდელში ამ 22 წლის განმავლობაში, მაგრამ მაინც მამაცურად გადმოქელავდა XIX საუკუნეს და თავს ამოჰყოფდა მეოცეში და გაკვერილ გზაზე დამდგარს არავითარი შერყევა აღარ მოელოდა, რაკილა ფესვები ღრმად და შორს წასვლოდა...

დასს ჩამოშორდებოდნენ მარიამ ყიფიანი, ბაბო კორინთელი, გიგა ყიფიძე, ზაალ მაჩაბელი, ადამ ჩუბინიშვილი, შემატებით კი შეემატებოდნენ ალექსანდრე ყაზბეგი და ბაბო ავალიშვილი, და კიდევ სხვანი და ერთხანს ჩანჩალით ადვენებული ასიკოც აკი გამოეთხოვებოდა სცენას, ვიდრე 17 წლის შემდეგ ჟინი ძველებურად არ მოუვლიდა: ახ, ნეტა პეპო მათამაშაო.

ეს ის ჟინია, მოგონებათა ამ რკალს წერტილს რომ დაუსვამდა, მაგრამ მის გასაგრძელებლადაც შეიმართებოდა: ახ, ნეტა შემდგომი ამბებიც მომთხრობინაო.

და მკითხველისაგან ითხოვდა შეგულიანებას: თუ ნებას დამრთავთო.

მკითხველი კი სიხარულითაც შეეგებებოდა და გაგრძელებასაც დაელოდებოდა, მაგრამ ოლონდ ერთბაშად აუსწრაფდებოდა ნუთისოფელი.

### თავი VI კინისრის ცოლი

— 1878 წელსივე ჩამოვიდა გორიდან ნ. გაბუნისა ქალი, და პირველად გამოვიდა დავით ერისთავისაგან გადმოკეთებულ ფრანგულ პიესაში „გეო, მინას და კამპანია“. ეს პიესა ვითამაშეთ „მუზიკალური საზოგადოების“ ზალაში, იარმუკაზე. ესხლა იქ რაღაც სასტუმროა.

ასე ლაკონიურად გამოჩნდებოდა ეს პიროვნება ავქსენტი ცაგარელის მოგონებათა ფურცლებზე. ასე თავშეკავებულად. ასე გამოუცალკევებლად სხვა არტისტთაგან. თითქოსდა ისიც მარტოდენ მსახიობი იყო და არა სათაყვანო ადამიანი მემუარისტისათვის.

არც შემდგომი თხრობისას წაცდება რაიმე ისეთი, ამას რომ აფიქრებინებდეს მკითხველს — მის იქით ველარავის და ველარაფერს ხედავდაო.

პირადი განცდები რომ არ ჩაექსოვია, ხომ შეეძლო მისი არ-ტისტული ხელოვნება საგანგებოდ მოეხსენიებინა.

რა — იქნებოდა რაიმე გადაჭარბებული თუ რა!..

დიდი და პატარა რჩეულ მსახიობად არ აღიარებდა ნატო გაბუნისა?

რალა მისი ბენეფისი და რალა ტფილის-ქალაქის დღესას-წაული.

მაგრამ მემუარისტი თხრობის ჩარჩოებს ოდნავადაც არ გადაცდებოდა, თხრობა კი არ მოითხოვდა ნატო გაბუნისა შე-სახებ თუნდ შედარებით გაშლილ საუბარს.

ამიტომაც გაერიდებოდა ზედმეტ ფრაზასაც — განსა-კუთრებული შინაარსისას, ის კი არა, მინიშნებასაც.

მოგონებანი რომ გაეგრძელებინა და თვალსაჩინო მსახი-ობთა პორტრეტებიც წარმოესახა, უკვე ვეღარ აერიდებოდა ნატო გაბუნისაზე საუბარს, თუმც შეეცდებოდა შეენარჩუნე-ბინა პირუთვნელობა და დისტანციურობა. ეგაა, ისეთ ყოფით და ფსიქოლოგიურ რელიებსა და დეტალებს გაგვაცნობდა მისი ბიოგრაფიიდან, რაც თეატრალურ კრიტიკოსებსა და მკვლევარებს მიუგნებელი დარჩებოდათ, თორემ იმ გარემოე-ბას ხომ ისიც საგანგებოდ გვამცნობდა, რაც თეატრის ისტო-რიისათვის ისედაც ცნობილია — ამ ყმანვილქალის მოწვევა ტფილისში დავით ერისთავის სახელს რომ უკავშირდებოდა — გორში საგანგებოდ ჩასული გიორგი ერისთავის „გაყრამი“ რომ იხილავდა ნატოს, მონაწირდისას როლში, ალტაცებას ვერ დაფარავდა და კულისებში შესული მერაბ გაბუნისათან — ქალის მამასთან — ერთად არც აციებდა და არც აცხელებ-და და შესთავაზებდა: ფრანგულიდან გადმოვაკეთე ერთი პი-ესა და იქ მინასას ცოლის როლი შენთვისაა ზედგამოჭრილი. მერე რა, რომ მეორეხარისხოვანი როლი — მთავარია ტფილი-სისაკენ გაკვალვოდა გზა.

ხმა გავრცელდებოდა, ნატოს გამოპარება დასჭირდათ ში-ნიდან და ზაალ მაჩაბელს გამოუჩენია ხერხიანობაო.

1878-79 წლების მიჯნაა.

ჯერ მუდმივი დასი არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ახლო არს ჟამი მისი ამოზრდისა და ჰაერიც ისე გაჯერებულა ამ სუ-ლით, ფიქრსა და სწრაფვას რეალური კონტურები შეუძენია და უფრო ნამდვილია, ვიდრე არაერთი თვალთხილული მოე-ლენა თუ საგანი.

ის შეხედულებაც თვალდათვალ ირღვეოდა, ქალის სცენაზე გამოსვლა შემარცხვენლად რომ მოჩანდა საზოგადოებრივი მო-რალის კვალობაზე, და თურმე ეს რღვევა ნატო გაბუნისა წყალო-ბითაც უნდა მომხდარიყო, მის თავზე გადაეკლო ამ განწყობლე-ბის შემოტრიალებას თეატრალური ცხოვრების სასიკეთოდ, თო-რემ როდემდე ეთამამათ მამაკაცებს ქალების როლი მხოლოდ იმის გამო, რომ ქალების (უფრო კი მათი ოჯახების) დაყოლიება მეტად გართულებულიყო სპექტაკლებში მონაწილეობაზე.

ამ სირთულის წინაშე დადგებოდნენ გორში „გაყრის“ ახა-ლი დადგმის მზადებისას გარეკახელი მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი და სცენისმოყვარე ზაალ მაჩაბელი, ერთ ქალს რომ დაითანხმებდნენ, მაგრამ მეორე ვერა და ვერ ეშოვათ. მაშინ იყო, ვილაც რომ ურჩევდათ: ლიახვის პირას მდივანბეგი მერაბ გაბუნია რომ ცხოვრობს, იმას ჰყავს ერთი დამთხვეუ-ლი გოგონა და სთხოვეთ, იქნებ ითამამოსო.

ესენი სასწრაფოდ მიადგებოდნენ მდივანბეგს.

მასპინძელი უარზე არ დადგებოდა, რაკილა იცოდა, რომ... დაშლით მაინც ვერ დაუშლიდა:

— ჩემ ალქაჯე გოგოს ეგ გააგებინეთ და მეტიც არა უნდა რა.

და კიდევ შემოიჭრებოდა ოთახში მზისაგან გარუჯული, შავთვალწარბა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმანვილქალი და საკმაოდ ხმამაღლა და თამამად იკითხავდა:

— დაგჭირებია?

ასეა და ასეო, მოახსენებდნენ.

და ის ცას რომ დაენოდა სიხარულით, მისი შემაკავებელი ვინ ან რა შეიძლება ყოფილიყო.

სცენისმოყვარულებში აკი მანამდეც გამორეულიყო და გაბრიელ სუნდუკიანცის პიესაში „ხათაბალა“ ისე შეასრუ-ლებდა თავის როლს, „დროების“ რეცენზიაში (1877, 11 აგვის-ტო) საგანგებოდ აღინიშნებოდა მისი ნიჭიერი გამოსვლა და ის მოსაზრებაც გამოითქმოდა: ერთიათად უკეთესად ითამა-შებს, სხვა შემსრულებელნიც მეტ-ნაკლებად რიგიანად რომ გამოიყურებოდნენო.

იგივე გაზეთი ცოტა უფრო ადრე (1875, 22 აგვისტო) მო-ლიერის „ძალად ექიმისა“ და გიორგი ერისთავის „უჩინმარჩი-ნის ქუდის“ დადგმებს რომ გამოეხმაურებოდა, მკითხველს ამცნობდა იმ განსაკუთრებული ყურადღების თაობაზე, რო-მელსაც გორის საზოგადოება გამოიჩინდა ნატო გაბუნისა მი-მართ, სწორედ მოსაწონად რომ შეასრულებდა თავის როლს.

უფრო ადრე კი ანტონ ფურცელაძეს უნდა შეენიშნა ამ ეშ-ხიანი გოგონას სცენური ტალანტი და თუმც ის პოეტობაზე ოცნებობდა, ერჩია, სცენისმოყვარეებში გაერიეო.

გორელები ვერ ურიგდებოდნენ გიორგი ერისთავის გარ-დაცვალების შემდგომ მის მიერ შექმნილი თეატრალური დასის დაშლას და ლამობდნენ მის აღდგენას თუნდაც კანტიკუნტი წარმოდგენებით, რათა სადინარი მაინც შენარჩუნებულიყო.

და აგერ ნატო გაბუნია — იშვიათი მუსიკალური სმენით და-ჯილდოებული, იმხანად ქართლში განთქმული სიმღერების — „ციციანთ მრავალჟამიერი“ იქნებოდა, „წონგურო“, „ყურშაო“ თუ კიდევ სხვანი — დამწყები და ლაზათის მიწინააღმდეგე, პოე-ზიით მისი გატაცება კი იმითაც გამჟღავნდებოდა, რომ უყვარ-და ჩვენს მგოსანთა ლექსების დამღერება დაირისა თუ თარის აკომპანიმენტით, და მსმენელები ირწმუნებოდნენ: ეს უკლიდან ამონაკვნისი, კავშირით სავსე სიმღერები ოცნების სამეფოში რომ მიგვაფრენენ, კიდევ გვწვავენ და კიდევ გვატკობენო.

მიზინარდებოდნენ, მოსევდიანდებოდნენ, გაითანგებოდ-ნენ და მღუმარებად გადაიქცეოდა ხოლმე ნვეულებანი, და აღარავინ გახლდათ სუფრის ნევრთა გამომყვანი ამ მღუმე-რებიდან, თუ არა ისევე ეს პატარა ქალი, უეცრად გადმოსრო-ლილი მარჯვე სიტყვით თუ შეძახილით კვლავინდებურად რომ უნდა გაემხიარულებინა იქ შეკრებილი საზოგადოება.

და აგერ ნატო გაბუნია — კვიმატი ენის პატრონი, მოსწ-რებული, ფრთიანი გამოთქმების ოსტატი, შემდგომ და შემდ-გომ ბევრი რომ მოჰყვებოდა მტკიცებას: ამ მხრივ აკაკი წერე-თელი თუ გაუსწრებს, თორემ ავსკენტი ცაგარელზე ნაკლები ნამდვილად არ არის და არაო. და თუ ზოგნი ასიკოს აკაკიზე ნაკლებად არც მიიჩნევდნენ, მაშ ნატო უკეთესთა შორის უკე-თესადაც უნდა გვეგულისხმა, რომ ვეღარ გაურკვევიათ, რო-მელი რომელს სჯობია.

სცენისმოყვარეებში გაერიეო, — ამ გზაზე ანტონ ფურცე-ლაძეს შეეყენებინა, იმას ეპოვინებინა ნატოსათვის თავისი ნამდვილი მოწოდება.

და არამარტო ამ რჩევითა და შეგულიანებით.

იმითაც — პოეტობას რომ გადააფიქრებინებდა.

ნატოს მისთვის მთელი დასტა გადაეცა ლექსებისა და იმ გავლენის პატრონს, ანტონ ფურცელაძეს რომ მოეხვეჭა, არ უნდა გაძნელებოდა ერთი-ორი ნიმუშის ისე ჩასწორება და შე-დარებით გაუკეთესება, რომ დაბეჭდვაზე უარი არ ეთქვათ. მაგრამ ამით ხომ ნატო გაბუნია საკუთარ მონდომებას აცდებ-ოდა და ერთ სუსტ მელექსედ იფოჟიალებდა, ველარავინ რომ ვეღარ გადაარწმუნებდა, არ არის პოეტობა შენი ხელობა და ეგებ უფრო შესაფერის საქმეს ეწიოო.

ამიტომ არ იზრუნებდა მათ გამოსაქვეყნებლად. თუმც... გულსაც ხომ არ გაუტეხდა მომხიბლავ, გულანთებულ გოგო-ნას და... დაუბეჭდაობას ცენზურას გადააბრალებდა: ვერაფ-რისდიდებით ვერ დავიყოლიეთო.

ნატო გაბუნისა, ხალხოსანთა წრეებთან დაახლოებულსა და მემამბოხურად განწყობილს, ეს უფრო გაახარებდა, ვიდრე ლექსების გამოქვეყნება, და ქვეყანას მოსდებდა: ჩემი ლექსე-ბი ცენზორს არ გაუშვიაო.

ანტონ ფურცელაძის მიმართ ყოველთვის შეინარჩუნებდა განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას.

არტურ ლაისტი გაიხსენებდა, თუ როგორ ესტუმრებოდა პირველად დავით ერისთავის სახლს 1884 წლის ივნისში და იქ კი ნატო გაბუნია ანტონს რომ გააცნობდა, მის კოჭლოზზე მიუთითებდა და დასძინდა:

— ეს ჩვენი ბაირონია.

არაფერი უკლდა ბაირონობას!..

თუმცა თუკი გაიდელალებულად შეხედავდნენ, რატომღა ჩამოუვარდებოდა.

ისე რა დრო დამდგარიყო, რომ ნატო გაბუნია დავით ერისთავის ოჯახში ასე გაშინაურებულიყო.

შემოქმედებითი გზა შორითშორად რომ ილანდებოდა, თანდათან სულ უფრო ხელშესახები უნდა გამხდარიყო და, რაკილა დავით ერისთავის ყურსაც მიწვდებოდა ყმანვილქალის ქების ხმა და საგანგებოდაც ჩაეკითხებინა გორში, ეს უკვე მოასწავებდა კარის შესხნას თეატრალურ სამყაროში, წარმატებას წარმატება რომ მოჰყვებოდა და სულ მალე კორიფედაც წარმოდგებოდა.

გამართლებოდა ის იმედი, ზოგიერთი მაცურებელი „მინას, გეო და კამპანიას“ და ვოდევილს „სხვა რიგი სიყვარული“ იმიტომ რომ დაესწრებოდა: ნეტა გვაჩვენა გაბუნიას ქალი, უკვე ასეთი სახელი რომ მოუპოვებიაო.

და, აი, „დროების“ რეცენზენტის პირველი შთაბეჭდილება (1879, 23 მარტი):

— აქ გამოჩნდა გაბუნიას ქალის ნიჭის ხასიათი და თვისება და ამიტომ ვიტყვით რამდენიმე სიტყვას ამ ახალ მოთამაშეზე. ერთი დანახვა სცენაზე გაბუნიას ქალისა საკმაოა, რომ სთქვას კაცმა, იმას ნამდვილი სცენიკური ნიჭი აქვსო... სხვა ღირსებასთან გაბუნიას ქალი კიდევ იმიტომ არის ძვირფასი ჩვენი სცენისათვის რომ ხმა აქვს და სიმღერა იცის.

ამ რანგის ხელოვანებზე დასავლეთში მონოგრაფიების მთელი წყება შეიქმნებოდა, ჩვენში კი ნატო გაბუნია ერთი მცირე მონოგრაფიის გმირი თუ გახდებოდა, ალექსანდრე ბურთიკაშვილის მიერ საკმაოდ რიგიანად შედგენილი ბიოგრაფიული ნარკვევის, საიდანაც — ჩემი არ იყოს — არაერთი საგულისხმო ცნობის ამოკრება შეუძლია მკვლევარსა თუ ბიოგრაფოსს ამ გამორჩეულ მსახიობზეც და იმ საზოგადოებრივ-კულტურულ სინამდვილეზეც, როდესაც თეატრალური ცხოვრება საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ჩვენი არსებობის განუყრელ ნაწილად.

ნატო გაბუნიაზე მონოგრაფიაში ესეც ითქმოდა: თამამად შეეძლო გაემეორებინა იულიუს კეისრის სხარტული სიტყვები — მიველ, ვნახე, გავიმარჯვეო.

და ის ხომ ამჟამად და ამჟამად, რაღაც ამისთანას თვითონაც მოიფიქრებდა ასეთი გონებამახვილობის პატრონი.

იცინოდნენ, ხარხარებდნენ მის კვიმატ, ორლესულ, იუმორით სავსე გამოთქმებზე, მოსწრებულ რეპლიკებზე, იმეორებდნენ და ავრცელებდნენ, მაგრამ არავის მოაფიქრდებოდა მათი ჩანერა. ან ჩანერა ვითომ რა საჭირო გახლდათ — მათაც ეგონათ, რომ ცხოვრების მდინარება აქ და მანცდამანც აქ შეჩერდებოდა, ნატო გაბუნიაც სულ იქნებოდა და თვითონაც სულ ასე იცინებდნენ და იხალისებდნენ.

ერთადერთი მაკვარანცხობა შემორჩებოდა მისი და ისიც იმიტომ, რომ ეს გადაამაშებდა ნაახდენდა სპექტაკლს და პრესაშიც გამოჟონავდა გულისწყრომა დადგმის ჩაფლავებით — უადგილო ადგილას მსახიობთა თავშეუკავებელი სიცილით.

თამაშობენ პიესას „მონასტრის ზღუდეთა შორის“, რომელშიც ნატოს მონაზვნის როლის შესრულება უწევდა. მძაფრი დრამატული წუთებია, მაცურებელი სუნთქვაშეკრული რომ ადევნებს თვალყურს, — სცენაზე უნდა შემოიჭრას ტერეზას მოტრფიალის როლის შემსრულებელი ლადო მესხიშვილი და სასონარკვეთილმა იკითხოს: სად არის ჩემი სატრფოო, — რის პასუხადაც უნდა მიუგონ: ურსულას მონასტერშიო.

და ნაცვლად ამისა უნდა გაისმას ნატოს ხმა:

— დაი ტერეზა წმინდა ორსულების მონასტერში გაგზავნეს. დარბაზის ხარხარი ხარხარად და მაცურებელს არც მსახიობები ჩამორჩებოდნენ.

დადგმა ჩაფლავდებოდა, აბა, რა იქნებოდა — ამ გაპამპულების გარდა ვეღარც მერე მოხერხდებოდა დრამატული განწყობილების შექმნა, ისე მოირღვეოდა ყველა ზღუდე.

თვით ამ რანგის მსახიობსაც არ აპატიებდნენ ასეთ გამოხდომას, თუმცა ის არაფრისდებოდა არ გამოტყდებოდა, განზრახ მოიქცა ასე კომიკური ეფექტის შესაქმნელად თუ უნებურად შეეშალა. ესეც ხომ ხდებდა და ყველას შეიძლება დაემართოს, თვით გამოცდილსა და ენის კარგად მცოდნესაც კი, არამცთუ გარუსებაგამოვლილ არტისტს. აკი ეს უხერხულობა კიდევ მოუვიდოდა ერთ თვალსაჩინო მსახიობს.

თუმცა რატომ ზოგადად და მინიშნებით.

თვით კოტე ყიფიანს დაემართებოდა ისეთი რამ, სასაცილოზე მეტიც რომ აღმოჩნდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: თუმცა უდროოდ დაგვისწულდა ძველი არნივი თეიმურაზიო, — „დაგვისწულდაზე“ რატომღაც ენა აებმოდა და სცენიდან გამოგნებლად გაისმოდა: თუმცა უდროოდ დაგვიორსულდა ძველი არნივი თეიმურაზიო.

ისევე ის საბედისწერო სიტყვა!..

თუმცა არავინ, ერთი ადამიანიც კი არ ჩამოართმევდა წინასწარგამიზნულ ანგლოზად. აი, ნატოზე კი ვერ დაიფიცებდნენ...

ნატოს მანამდელი — ტექსტით გაუთვალისწინებელი — უწყინარი ხუმრობები და მოულოდნელი რეპლიკები კი ძალიან ხიბლავდა მაცურებელს და სულაც მოლოდინში იყვნენ, რას იტყვოდა ახალსა და მოხდენილს, წინა სპექტაკლებში ერთბაშად და მარჯვედ მოფიქრებულ რეპლიკებს რომ გაუბრბოდა და სულმუდამ ცინცხალს ეძებდა, რათა ერთი წარმოდგენა მეორის ალიკვალი არა ყოფილიყო. ისე რას ერჩოდნენ, რომ ერჩოდნენ იმ გადამეტებისათვის — თვითონ მაცურებელი აქეზებდა სამისოდ, ის მოითხოვდა მისგან დაუსრულებელ იუმორსა და სიხალისეს და როგორ გინდა ყოველთვის დახვეწილი სხარტულით მოიწონო თავი.

ალექსანდრე ბურთიკაშვილს აპოლოგეტობა ხელს ვერ შეუშლიდა, რათა აღენიშნა ამ დიდებული არტისტის შემოქმედებითი მარცხი მაშინ, როდესაც ნებით თუ უნებლიეთ ისეთ როლს აკისრებდნენ, მის არტისტულ ბუნებას რომ არ შეეფერებოდა.

სხვა შემთხვევაშიც ასევე მოიქცეოდა — ზოგიერთ ნაკლსა თუ ზადს თვალს არ აარიდებდა, და მითუმეტეს, ახლა, როდესაც თვალწინ ედო ილია ზურაბიშვილის მიერ შესრულებული ლიტერატურული პორტრეტი, პანეგირისტული სულით განმსჭვალული, და მანც უშეღავათო და მოურიდებელი, როდესაც მზერას გადაავლებდა და ერთმანეთს შეუდარებდა ნატოს როლებს, ამ არაერთგვაროვან გალერეას:

— დრამატული როლები და გრან-დამების როლები ნატოს სფეროს არ შეადგენდა. ამისათვის მას ხელს არ უწყობდა არც ნიჭის ხასიათი, არც გარეგნობა, არც ხმა და, თუ გინდათ, არც სახე.

აგერ წარმოადგენდნენ დავით ერისთავის „სამშობლოს“ და ქეთევანის როლში გამოჩნდებოდა ნატო გაბუნია. და თუმცა თვითმხილველი თეატრალი ირწმუნებოდა: გვარიანად თამაშობდაო, — მაცურებელი მანც უკმაყოფილო დარჩებოდა. და ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ რაკილა კომიკური როლებით დაემასხოვებინა მათთვის თავი და უკვე შეჩვეოდნენ მის ამ ნიღაბს, ამჯერადაც სულ იმის მოლოდინი ჰქონიათ, აი, ახლა იტყვის რაიმე სამასხარაო სიტყვას და გაგვაცინებს და, აი, ახლაო.

სცენაზე ტრაგედია რომ თამაშდებოდა, ამას აღარ დაგივდებდნენ.

სიცილი უნდათ, ვა!..

ასე ხდებოდა სხვა კომიკოსთა მიმართაც — და არამარტო საქართველოში.

და ამ მხრივ არც ნატო გაბუნია აღმოჩნდებოდა გამონაკლისი.

კიდევ კარგი იმ დღეს უადგილო ადგილას მანც არ აუტეხია მაყურებელს ხარხარი, სხვა დროს როგორც მომხდარა. ეგაა, გასაცინებლად მომზადებულნი და დაჭიმულნი ნირნამხდარნი გამობრუნდებოდნენ შინ და გუნებაში ბჭობდნენ: რა იყო, დღეს რა დაემართაო!..

უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“ დანიის დედოფლის გერტრუდას როლს რომ შეურჩევდნენ, კვლავ ნირნამხდარი გამობრუნდებოდა მაყურებელი: თავის ვაჟთან, ჰამლეტთან შეხვედრისას რა სასონარკვეთილი მონოლოგები აუტყდა, კარგი, რაც იყო, იყო, ხომ ბევრი იჯავრა და ივიშვიშა, ერთი-ორი სახუმარო სიტყვა როგორ არ გამოურია, განა რა დააკლდებოდაო.

ამუნათებდნენ: ცრემლები რომ გვაფრქვევინოს, ამისათვის ხომ გვყავს ლადო მესხიშვილი, ნატომაც თუ აგვატირა გაციინების მაგივრად, რალა გამოვა, რატომ ავინყდება თავისი მოვალეობაო.

თურმე ისე უხეშად უნდა ჩარეულიყო შექსპირის ტექსტში, სრულიად გადაესხვაფერებინა დედოფლის ხასიათი.

ვერა ჰკადრებდა ამას შექსპირს. სამაგიეროდ, სხვას აღარ მოერვიდებოდა და... ორსულების მონასტერიო, — აკი აცინებდა და ახარხარებდა დარბაზს.

მახვილი, მოსწრებული სიტყვა მახვილ, მოსწრებულ სიტყვად და, როგორ უხდებოდა წყევლაც კი, ხანდახან ალერსითაც რომ სჩვეოდა. მათგან ილია ზურაბიშვილი რამდენიმეს შემოგვინახავდა: შე ამოსავარდნელოო!.. შენზე მენახოს მინაო!.. შე მამაობის შვილოო!.. მეხი კი დაგაყარეო!..

რალაც სხვა ლაზათი დასდევდა მის წყევლასაც. მელოდიასავით იღვრებოდა.

ფარული ალერსი ასხივოსნებდა.

ხომ არაფერი გეცნოთ ამ ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისას? ხომ არავინ წამოგაგონდათ ქართული მწერლობის თვალსაჩინო პერსონაჟთაგან?

ოთარაანთ ქვრივი, არა?

დიახ, სწორედაც ოთარაანთ ქვრივი, და თურმე უნებლიე ასოციაციით სულაც არა, რაკილა თანამედროვენი იგუშანებდნენ და დაიდასტურებდნენ კიდევ: ილია გვირისტს რომ ავლებდა ისედაც შესანიშნავად მოქარგული ოთარაანთ ქვრივის სახეს, თვალწინ ეგებ ნატო გაბუნია ედგაო.

მითუმეტეს, ნატოსაც სჩვეოდა მათხოვართა განკითხვა. და წყალობის გაღებისას არც პილიპილიან სიტყვასა და წყევლას მოაკლებდა — ვითომპილიპილს, ვითომწყევლას... და ეგებ მართლაც გადანაცვლებულიყო იმთავითვე მეტად პოპულარული მოთხრობის ფურცლებზე, ოთარაანთ ქვრივი მათხოვარს საქალამნე ტყავს რომ უყიდდა და მიათხლებდა, თანასოფლელებს კი არწმუნებდა: მაგის ვალი მემართა, თორემ ვილაც ოხერის გულისათვის ჩემს თავს ხომ არ დავაკლებდი საზრდოსო.

თითქოს ვინმეს დააჯერებდა!..

რა ეგებ და რომელი ეგებ — კითხულობდნენ მოთხრობას და... ნატოს ხმა ჩავსმოდით, მისი საუბრის მელოდიკა, უჩვეულო და დამატყვევებელი, წყევლასაც რომ ალერსად და ლოცვად განგაცდევინებდა. და, აბა, ლოცვისას წარმოიდგინეთ, რა სხივსა და მადლს მიმოაფენდა გარშემო.

ნატო გაბუნია რომ არა, ილია „მაჭანკალს“ არც დაწერდა. არ გახლდათ მისი საქმე დრამატურგობა და ისეთს არაფერს შეეჭიდებოდა, რასაც საკუთარ მონოდებდა არა გრძნობდა, მაგრამ ნატო საბუნეფისოდ პიესას რომ დაისაჭიროებდა და მაჭანკლის როლს მოინებებდა, ილია — უთუოდ ბუზლუნ-ბუზლუნით — ჩაუჯდებოდა „კაცია-ადამიანის“ ცაცინურიებას.

რალაცას კი დაამგვანებდა და ბენეფისის ძალიანაც მოუხდებოდა, და ეგებ ავქსენტი ცაგარელს სწორედ იმ დადგამამაც უბიძგა ხანუშას სახის შესაქმნელად და იმ უკვდავი სიუჟეტის გამოსაძენად, უფრო სწორად, ყოფითი სინამდვილიდან სცენაზე გადასატანად, ნატოს ამ როლში რომ იხილავდა: რარიგ დაშვენდა მაჭანკლის იერი, რა საგულისხმო შტრიხებს მიაგ-

ნო და კიდევ უფრო მძაფრ ქარგაში ბევრად უკეთესად გაშლის ფრთებსო.

დრო მანც ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს მოთხრობის გასაპიესებლად, თორემ, აბა, აკაკი წერეთელი ჩავარდებოდა თუ ჩავარდებოდა მძიმე დღეში — როგორია ერთ ღამეში პიესის დაწერა?!

არადა, რა გინდა ილონო!..

1880 წლის 10 იანვრისათვის გადაწყდებოდა ნატო გაბუნის პირველი ბენეფისი. პიესაც შერჩეული გახლდათ, ყველაზე ძალიან რომელიც მოსწონდა ნატოს თავისი ტალანტის სრულყოფილად გამჟღავნებისათვის, მაგრამ... ზედ წინა დღეს ავად შეიქნებოდა მაკო საფაროვი — უიმისოდ კი სპექტაკლი ველარ დაიდგმოდა.

ეგებ სხვა პიესა გამოენახათ სახელდახელოდ?!

მაგრამ ისეთს ვერაფერს მოიძიებდნენ, რომ მარტო ერთ არტისტს შეესრულებინა.

დალონდებოდა ახალგაზრდა ქალი — დიდი მომლოდინე იმ ბენეფისის, ყველა სხვა სანუხართან ერთად ახლა მატერი-ალურადაც რომ უნდა დაჩაგრულიყო.

და სიამაყით გაიხსენებდა ხოლმე აკაკი წერეთელი იმ მღელვარე წუთებს მსახიობის ცხოვრებაში და თავის მტკიცე გადანყვეტილებას — დილისათვის გამზადებული ჰქონოდა რაიმე ახალი პიესა.

— ახალგაზრდა ნიჭის ყოველთვის თანამგრძნობი ვიყავი და გაბუნის დალონებამ მეც შემანუხა.

შენუხება და ამისთანა?!

დილისათვის მართლაც გამზადებული ექნებოდა სცენები „კინტო“ და ნატოც, აღფრთოვანებული ამ ზეცითმოვლენილი საჩუქრით, საღამომდე მისებური ხელოვნებით მოირგებდა ამ როლსაც.

ბენეფისი ისე ჩაივლიდა, ნატო გაბუნის როგორც ეკადრებოდა — მასაც და აკაკისაც დაუსრულებლად გამოიწვევდნენ სცენაზე ოვაციის გრიალში, და თეატრიდან გამოსვლის შემდეგაც ნატოს ბენგალის ჩირადნით დახვედებოდნენ და იქაც ტამისციმას ასტეხდნენ.

და აკაკი წერეთელს მადლობას რომ შესწირავდა ასეთი თავგამოღებისათვის, ის შორს დაიჭერდა: აბა, მამ რისთვისა ვართო!.. — გუნებაში კი გაივლებდა: მაგის გულის დაჩაგვრას როგორ მოვითმენდიო.

ეს ბენეფისი დიდხანს რომ დარჩებოდა საზოგადოების ცნობიერებაში, „დროება“ მეორე დღესვე გამოთქვამდა დაბეჯითებულ რწმენას, რაკილა ყველას კარგად მოეხსენებოდა ის აჟიოტაჟიცი, რაც ბენეფისის მოლოდინს გამოენვია, და ის ალტაცებაც, რასაც მოლოდინის გამართლება იწვევს.

ვინც კი ტფილისში წარჩინებული და თავმომწონე ადამიანი ყოფილა, ყველას სიტყვა მიეცა ერთმანეთისათვის, ამ წარმოდგენას აუცილებლად დავესწროთო. და მართლაც თეატრი ისე გადაიჭედებოდა, რომ ლოყები და პარტერი კი არა, ორკესტრიც კი გადაეგვო მაყურებელს და ხუთი-ექვსი მანეთიც არ ენანებოდათ, ოღონდ კულისებში დამდგარიყვნენ.

— და ბენეფიციაანტკა ღირსიც იყო ამ ჩვენი საზოგადოებისაგან ყურადღებისა... აბა, აკაკი წერეთელი არ მოვლენოდა მსხნელად მასა და მთელ თეატრალურ დასსაც.

თმც ასე არც უნდა ითქვას, როდესაც აკაკი წერეთლის სახელს ვახსენებთ. როდესაც აკაკი იქ არის, საღელვებელი და დასაფრთხილებელი არაფერია — შეუძლებელსაც შეძლებს, თორემ პიესის დაწერა მისთვის რალაა!.. რა ვუყოთ, რომ ცაიტნოტის პირობებში.

მისი კალმის მადლი იყო, მსახიობი ერთბაშად ასე ჩინებულად რომ შეეთვისებოდა ამ როლს.

ამ კალმის მადლი იღვრებოდა ნატოს სიმღერებიდანაც — სუფრაზე მოლხენა თეატრალურ ანტრაქტებსა და დივერტის-

მენტებში გადაინაცვლებდა და მის რეპერტუარში ერთ გამორჩეულ ადგილს დაიჭერდა აკაკის ლექსები, განსაკუთრებით კი მანც „აღმართ-აღმართ“, რომლის შესრულებასაც არამარტო თეატრალური რეცენზენტი მოიხსენიებდა მონონებით, არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებსაც ამ სიმღერით გაილაშაზებდა და შეიმსუბუქებდა, სიცხისაგან გავარვარებული თან ცრემლად რომ იფრქვეოდა, რაკილა ენანებოდა წუთისოფელთან განშორება, და თან ღიღინებდა და ღიღინებდა: დაივინყე, ვინც გახსოვდა მარად ის, ხელდაკრეფით განისვენე მარადისო.

ნეტა გრიგოლ ორბელიანის გამოთხოვებაც საწუთროსთან ამ სიმღერის მელოდიათა ნარნარში ხომ არ მომხდარიყო?!

სამისოდ პირდაპირ ცნობას არ გვაუწყებენ მემუარისტები თუ მკვლევარები, თუმცა ვარაუდი ეგებ ვადამეტებად თუ უხემ ჩარევად არც ჩამოგვერთვას, იმ წუთებს როდესაც ჩაუვკვირდებოთ.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე პოეტი და გენერალი რომ ითხოვდა ნატოს ტკბილი ხმის მოსმენას, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი და იონა მეურნარგია კიდევც ახლებდნენ მსახიობს და ისიც მოუწყინრად გადმოშლიდა თავის სასიმღერო რეპერტუარს, მათ შორის კი აუცილებლად იქნებოდა ამ რეპერტუარის გვირგვინი „აღმართ-აღმართ“.

რა გამოდიოდა — გრიგოლ ორბელიანს აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი სიმღერა მიაცილებდა იმეცყნად?

ჩემი ბედიც ეს ყოფილაო, — გუნებაში ჩაელიმებოდა ბრძოლებსა და პოეზიის ასპარეზზე ნანრთობ კაცს, მთელი არსებით რომ მიწებდებოდა საამურ ჰანგებს.

ესეც რა ჩემი ბედაო, — უკმაყოფილო დარჩებოდა აკაკი წერეთელი, გარდაცვლილი პოეტი-გენერლის აჩრდილთანაც რომ არ მოინდომებდა შერიგებას.

ის სამნი კი, ნატო გაბუნას თანმხლებნი, ყოველთვის სიამით მოიგონებდნენ: ეს სურვილი მანც ავუსრულეთ ამ დიდებულ პიროვნებას, ამ ხმატკბილი გალობით მანც გავუნედლეთ გული და მისი ცხოვრების დაუვიწყარ წუთებს ეს ნეტარი საღამო შევმატეთო.

ეგაა, არც არასოდეს მოინადინებდა ნატო მუსიკალური ანბანის შესწავლას. ალბათ შიშობდა, ვაითუ ბუნებრიობა შემობორკოსო.

ვერც წიგნის კითხვა გაიტაცებდა, ის კი არა, გულახდილად აღიარებდა: მთქნარებას მგვრისო.

კიდევ კარგი, პოეზია უყვარდა და ლიტერატურულ საღამოებზე ლექსებს რომ წარმოთქვამდა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაშიც მიიწვევდნენ იმ თავყრილობათა გასალამაზებლად.

მისთვის რომ გეკითხათ, თქვენთვის მსახიობობა პროფესია თუ ბედისწერაო, სასაცილოდაც არ ეყოფოდა ამგვარი დაპირისპირება, რაკილა მისთვის მსახიობობის იქით არაფერი არ არსებობდა და ამ გადმოსახედიდან ყოვლად უმნიშვნელოდ გამოჩნდებოდა არტისტობის გაიგივება ხელობასთან.

— ჩემთვის ყველაფერს თეატრი შეადგენს, იგია ჩემთვის ჩემი ოჯახი, ჩემი ასიკო, ჩემი სალოცავი, ჩემი სულისდგმა.

ამიტომაცაა, რომ მისთვის არ არსებობდა ეპიზოდური თუ მეორეხარისხოვანი როლი და იოლად თანხმდებოდა ამ შემოთავაზებას, რადგანაც თვითონაც დარწმუნებული გახლდათ და არც არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მისი უჩვეულო ოსტატობა ყოველ უმნიშვნელო როლს მნიშვნელოვნად აქცევდა და ეპიზოდურს კი წინ წამოსწევდა.

ამ საყოველთაო განწყობილებასა და შეხედულებას აგერ ილია ზურაბიშვილიც დაგვიდასტურებდა:

— არ მახსოვს არც ერთი წარმოდგენა, რომელშიაც ნატოს მონაწილეობა მიეღოს, თუნდაც სულ უმნიშვნელო როლის აღსრულებით, და ეს მონაწილეობა უმნიშვნელო ყოფილიყოს პიესის წარმატებისათვის. ერთი სიტყვით, როცა კი იგი სცენაზე იყო, დარწმუნებული უნდა ყოფილიყავით, რომ თუ წარ-

მოდგენა თქვენ ლამაზ თაიგულად გეჩვენებოდათ, ნატოს ხელოვნება ამ თაიგულში უეჭველად ერთი საუკეთესო ყვავილთაგანი იქნებოდა.

ეს კიდევ რა არის, ილია ზურაბიშვილი სულაც ქება-დიდებად დაიღვრებოდა: განცვიფრებაო, გამოუცნობი საიდუმლოო, გულთმისნობაო...

არადა, სულ ადვილად შეეძლო წარმოდგენა ნატოს მიერ შექმნილი ყოველი სახე — მისი წვრილმანი ნაკვთებიც კი, თვითეული ინტონაცია, თვითეული მოძრაობა სახისა, სხეულისა, რადგან ეს ყოველივე მკაფიო გახლდათ და მკვეთრადაც ჩაეჭრებოდა მეხსიერებაში.

— ყოველი კერძობითი გამოვლინება, ერთად აღებული, ჰქმნიდა სრულყოფილ მთლიან აღნაქესს.

ძალიან შავგვრემანი, წაბლისფერთვალეობა, მრგვალ პირისახიანი, ოდნავ ნოლა ცხვირიანი და ვენებიანტურებიანი ნატო ნამდვილ აღმოსავლური ტიპის ქალს აგონებდა. და აღმოაჩნდა, რომ მომცრო, ჩამრგვალებული ტანი იოლად იშვენებდა დედანის სამოსელსაც და უხვად გაფუებული მანდილოსნის სამკაულსაც.

— სახე, კუნთებმოძრაი, მრავალმეტყველი, ისე ადვილად იკარებდა გრიმს, რომ სულ რამდენიმე შტრიხი იყო საკმარისი, რათა ეს ახალგაზრდა ადამიანი ღრმა მოხუცებულად გადაქცეულიყო.

— ტურქების უხმო მეტყველება ჰქონდა განსაკუთრებით იერიანი.

თვალწინ ედგა, თუ როგორ გამოირჩეოდა მკაფიო დიქციით, ნამდვილი ქართული გამოთქმის კილოთი, ზოგიერთ მიმოქცევაში ქართულურ აქცენტსაც რომ შეურევდა, ქალაქურ და სოფლურ დიალექტებს მშვენივრად, ბუნებრივად, მიმბაძველობას სრულიად მოკლებულად რომ ამჟღავნებდა და ინტონაციაც მრავალფეროვანი ახასიათებდა.

— რაც უნდა დიდი მონოლოგი ჰქონოდა სათქმელი — არ მოგანყენდათ, ისე ააფერადებდა სხვადასხვა მეტყველებით.

სანიმუშოდ დაასახელებდა ხანუმას მე-4 მოქმედების დასაწყისი და გლეხის დედაკაცს კატინას „რაც გინახავს, ველარ ნახავ“-ის პირველი მოქმედების დასაწყისში.

აკოვ დარდიმადიანცი რომ ეუბნებოდა ხანუმას: დიდი ფოკუსნიკი ხარო, — ილია ზურაბიშვილს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველა ის ფოკუსი, რასაც ხანუმა სჩადის თუ ამბობს, ასიკომ შექმნა მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედების დროს გონების თვალწინ ნატო ედგა მთელი თავისი ჯადოსნური ნიჭით. და ვერც „ხანუმას“ ვერ დაწერდა იმ აღმაფრენით, ნატო რომ ის ნატო არ ყოფილიყო, რაც იყო, როგორც ხელოვანი.

ქება-დიდებად დაიღვრებოდაო...

მკითხველს სთხოვდა, ცოტათი ფანტაზია გავამახვილოთ, და წარმოდგენინებდა მშვენივრად ნაკეთებ მოდილო ფილას, მთლად მარგალიტის სავსეს, შიგ ხელს რომ ურევდი ობოლი მარგალიტების ამოსარჩევად და ვერ კი ამოგერჩია, რადგანაც ხელთ სულ ობოლი მარგალიტები გხვდებოდა, ობოლი — ზოგი სიდიდით, ზოგი იერიით და ზოგიც მოყვანილობით.

და ნატოს შემოქმედებას სწორედ ასეთ საოცნებო ფილას გაუიგივებდა, სახეებითა და მათი შემადგენელი მხატვრული დეტალებით სავსეს.

ცოტათი კი არა, ისე გაიმახვილებდა ფანტაზიას, ისეთ სივრცეში გადაიჭრებოდა ილია ზურაბიშვილი, შოთა რუსთაველის აფორიზმებსა და მეტაფორებსაც ახსენებდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მჭმუნვარე სულსაც, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შესანიშნავ გამოთქმებსაც, ზაქარია ფალიაშვილის მშვენიერ მელოდებსაც, რათა ნატო გაბუნას როლებიც ამ წრეში მოექცია და მკითხველისათვის დაეებჯითებინა: ეს ყოველივე შენი სულიერი არსების ძვირფას საუნჯეს შეადგენს და თვითეულის გახსენებაც კი ყოველთვის განუხაზღვრელი სიამოვნებით აღგძრავს, გატკობს თითქმის პირვანდელი სიტკობებითო.

აგერ კიდევ შალვა დადიანი რომ დაბეჯითებით განაცხადებდა: ნატო გაბუნია მოწოდებული იყო ქართული ყოფაცხოვრების ამსახველ დიდ მსახიობად და ზურაბ ანტონოვის, გაბრიელ სუნდუკიანცისა და განსაკუთრებით ავქსენტი ცაგარელის კომედიებში დიდად რეალურად ამიტომაც გადმოსცემდა გამომსახავ ტიპებსო, — არც იმას დაივიწყებდა, რომ ზოგჯერ თვით ევროპულ სახასიათო როლებშიც შეუდარებელი გახლდათ, და სანიმუშოდ მოიხმობდა მაღამ ფროშარის შესრულებას.

პატარა ვოდვეილებითაც საოცარ საქმეებს რომ აღასრულებდა?

შედეგებს აყალიბებდაო, — გვამცნობს შალვა დადიანიც და ორ დადგმას რომ მოიხსენიებს — „დატრიალდა ჯარაში“ და „ადვოკატთან“ — განსაკუთრებულ აღტაცებას გამოთქვამს იმ ვოდვეილის გამო, „სიჩუმე“ და „დუმილი“ რომ ერქვა და ნატო სიდედრის როლში მოგვევლინებოდა:

— საქმე ისაა, რომ სიდედრს ბევრი ლაპარაკი უყვარს და არ ალაპარაკებენ, თვითონაც ფიცსა დებს, ხმას არ ამოვიღებო, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ უჭირდა ნატოს მოცემული სიტყვის ასრულება, როგორ ებერებოდა ლოყები, უნითლდებოდა თვალები, თითქო თავის თავს „ასკდებოდა“ და შემდეგ სიტყვის ნიაღვრად გამოიშლებოდა.

აღმტაც ეპითეტებს კი მწერალი ამ დითირამბით დაავირობებდა: ქართული თეატრის საუნჯეში ნატო საუკეთესო მარგალიტია და მას მოელის თავისი დიდი მკვლევარი, მომზახლოვებელი ჩვენამდე მისი სწორუპოვარი ნიჭისა და შემოქმედებითი უნარისაო.

აგერ კიდევ ნიკო გოცირიძე, სახალხო თეატრიდან რომ დამკვიდრებულიყო დიდ სცენაზე და სახალხო არტისტის წოდებაც მოეპოვებინა, ირწმუნებოდა: ნატო მოკლებული იყო მსახიობთა და სცენისმოყვარეთა უმეტესობისათვის ნიშანდობლივ ჟინიანობას, თითქმის ათი წელი მოღვაწეობდა სახალხო თეატრის სცენაზე და არ მახსოვს, ოდესმე დაეგვიანოს ან რეპეტიციაზე თავის დროზე არ გამოცხადებულიყო.

ესეც რაოდენ სახასიათო შტრიხია, საქრესტომათიო ახალ თაობათათვის:

— ასჯერ ნათამაშევი პიესა რომ გვეთამაშნა და მას ასჯერ ნათამაშევი როლი ჰქონიყო, რეპეტიციას ისე გადიოდა, თითქო ახლად სთამაშობს... ისე თავდადებული იყო სცენისათვის, რომ სულ უბრალო შენობაშიაც არ თაკილობდა თამაშობას. იშვიათად თუ მოიპოვებდა მეორე მსახიობი, რომელსაც ასე ჰქონდეს შესისხლბორცებული თავისი მოვალეობა სცენის წინაშე.

ბოლო წუთებამდე შეინარჩუნებდა კრძალვას ამ გარემოს წინაშე.

შეინარჩუნებდა წმინდა მოვალეობის აღსრულების შეგნებას. მისი განსაკუთრებული თეატრალური ზეგავლენაც ამისა გახლდათ.

და საყოველთაოდ აღიარებულ ამ შეხედულებას არტურ ლაისტიც თავის მხრივ დაადასტურებდა, როდესაც გამორჩეული პატივისცემით მოიხსენიებდა ვასო აბაშიძეს — შესანიშნავ კომიკოსს, ერთნაირად დასამახსოვრებელს არამარტო ტიპურად ქართულ, არამედ საზოგადო ყაიდის როლებშიც, ორ ათეულ წელიწადს ქართული თეატრის მნიშვნელოვან ძალას რომ წარმოადგენდა — და დასძინდა:

— მისი მეუღლისა (მაკო საფაროვის) და ქალბატონი გაბუნიას მოღვაწეობაც ასევე ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო, ახალი თაობა მათი გავლენით ჩამოყალიბდა.

ჩემთვის ყველაფერი თეატრს შეადგენსო...

ჩემი ოჯახიც ის არის, ჩემი ასიკოც, ჩემი სალოცავიც და ჩემი სულისდგამაცო...

ჩემი ასიკოცო...

არადა, მისთვისაც რომ გეკითხათ, ავქსენტი ცაგარელისათვის, რა არის შენთვის თეატრიო?!

ასე პირდაპირ არსად გამოუთქვამს თავისი შეხედულება მის სულსა და ცხოვრებაში თეატრის ადგილზე.

ერთარსებად ქცეულიყვნენ ის და თეატრი?

თუ კომედიოგრაფობა მისთვის ხელობა უფრო გახლდათ, ვიდრე ბედისწერა?..

რა წარმატებისთვისაც მიეღწია ნატო გაბუნიას სცენაზე, არანაკლები სახელი მოეპოვებინა ავქსენტი ცაგარელს კომედიოგრაფობით, მაგრამ ნეტა ისიც თუ დაბეჯითებით იტყოდან: ჩემთვის ყველაფერს თეატრი შეადგენს, იგი ჩემთვის ჩემი ოჯახი, ჩემი ნატო, ჩემი სალოცავი და ჩემი სულისდგამაო?!

გაეიდებოდა მთელს — შარავანდემოვლებულს შეკყურებდა არამარტო სცენაზე, არამედ თავის გვერდითაც და მხოლოდ ასე თუ მისწერდა, ამგვარი თაყვანებითა და აღტაცებით, თუნდ 1882 წლის ივნისში გამოგზავნილ ბარათში რომ ამოვიკითხავთ:

— რასაც ვიშოვი, ნატოჯან, დარწმუნებული იყავი, რომ ყველაზე უფრო შენ მახსოვხარ! ან კი ვინა მყავს შენს მეტი ჩემო ერთგული? ვინ არის ჩემი სულის მეგობარი? ვინ არის ჩემი... ნატო?

ანდა 1884 წლის 25 ივნისით დათარიღებულ წერილში:

— ჩემო რაფაელის მადონავ, ნატო (რაფაელ ერისთავი კი არ გეგონოს! რაფაელი მთელს ქვეყანაში გამოჩენილი მხატვარი იყო, რომელმაც ერთი სურათი დახატა, სახელად მადონა უწოდა, ესე იგი, ღვთის მშობელი, რომლის ულამაზესიც დღესაც არა არის რა ქვეყანაზედ), სხვა არა იყოს-რა, თქვენც ხომ კარგად მოგეხსენებათ ეს სიტყვა, თქვენ და საფაროვის ქალს პრიმადონებს გეძახიან (ლათინურათ), ე.ი. უპირველეს ქალებს; მხოლოდ ცოტაოდენი განსხვავება იმაში გახლავთ, თუმცა იმას მარტო მადონა ჰქვია და თქვენ კი პრიმადონები. მაგრამ, როდი უნდა გენყინოს, ჩემო ნატო, ხომ იცი ქვეყანას შურით თვალები უბნელდება...

რას იზამ, აღტაცება და ქება თუ არ აკლდა, არც შური და კილვა უნდა დაკლებოდა.

გადიგამოდოდა ნატო გაბუნიას სახელი, ყველგან ახსენებდნენ, ყველგან წარმოთქვამდნენ, ვინ როგორ და ვინ როგორ — მოწინებითაც, სიამაყითაც, აღფრთოვანებითაც და... ჭორების ქსელშიც გახვეულიყო და ისე გახვეულიყო, ზღვარი აღარ დაედებოდა — ყველა ჭორს წააჭარბებდა ერთობლივად, რაც სხვა ტფილისელ ლამაზმანებზე ფუთფუთებდა, ივლიდა, იტრიალებდა და... ბოლოსდაბოლოს ასიკოს ყურამდეც მიაღწევდა.

ძალიან წუხს, მეტი რომ არაა, ისე განიცდისო, — ვითომდა თანაგრძნობით ამცნობდნენ, — გაკვირვება და აღშფოთება ერთდროულად მოჩქეფს მისი სიტყვებიდან, არადა, აღარ იცის, რა ილნოს, ასე მაინც რამ გადარია და გაახელა მთელი ტფილისის კაცებიო.

რას წუხდა, რას განიცდიდა ასე ძალიან?

შიშით ველარსად შევსულვარო, — შესჩიოდა თურმე ხან ვის და ხანაც ვის, — მაშინვე უნდა დამეძგერონ და გადამათრონ, კარის ჩაკეტვაც ავიწყდებოდა და ხან ვინ შეიძლება წამოგვადგეს თავზე და ხანაც ვინო.

რა იყო მაინც, რა ხდებოდა?

ასე არავის ეტაკებოდნენ კარის შეღებისას, ასე არავის მიანონიალებდნენ, არაფერს რომ აღარ დაგიდევენ და... ნატო გაბუნიას მიმართ რა გახელვება შეჰყროდათ, რა ჟინი ამოქმედებდათ, რომ გონებაც სრულიად ეკეტებოდათ და თვალთაც უბნელდებოდათ?

და ასე ერთპირიანად?

„არსენას ლექსის“ ის სტრიქონები, სულ სხვა შინაარსით დატვირთული, თითქოს მასაც მიესადაგებოდა: მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსაო...

გაზვიადებულიყო მცირე რამ ეპიზოდები, თუნდ უსაშველოდ და უღმერთოდ გაბუქულიყო?

ან ეგებ თავიდან ბოლომდეც შეთხზულიყო იმ იმედით, გინდაც არ დაიჯერონ, ეჭვი მაინც გაუჩნდებოდა: კვამლი სულ უცეცხლოდ არ იქნება და ყველგან თუ არ მისტანებიან, კარი სადაც შეუღია, ერთი-ორჯერ ნამდვილად შეემთხვეოდა, ყოველ შემთხვევაში სათნოებითა და კდემამოსილებით ვეღარ დაიკვებინისო. რამდენი ასეთი უგვანი ჭორი შეუთხზავთ სწორედ ამ უკეთური მიზნით — მთლად თუ არ დაიჯერებენ, ეჭვი ხომ მაინც დაითესებაო.

როგორი მოსასმენი იქნებოდა ეს ყოველივე ასიკოსათვის — თუნდ მოიარებთ გამხელილი, თუნდ მიინიშნებოდა და გადაკვრებით.

ჩემო ერთგულო ნატოო...

ჩემო რაფაელის მადონავო...

და უეცრად კი...

მისთვის უეცრად, თორემ არ დარჩებოდა მაშინდელ ტფილისში კუთხე-კუნჭული, ამაზე რომ არ ელაპარაკათ.

ნატო გაბუნია ფრანგი მსახიობი რომ ყოფილიყო, მასზე შექმნილ მემუარებსა თუ ბიოგრაფიულ ქრონიკებში უეჭველად აღინიშნებოდა ეს მოარული ხმები — ზოგისაგან სიმართლედ, ზოგისაგან ნამეტანი გადაჭარბებდად ან პირწმინდა ჭორად, მაგრამ გამოტოვებით არ გამოტოვებდნენ — მტკნარი სიცრუეც რომ ყოფილიყო, მისი და მისი მეუღლის სიცოცხლე ხომ გაებლანდათ ამ შხამიან აბლაბუდაში, ხომ გაემწარებინათ სიცოცხლე და სიკვდილიც მოუნდომებინათ მათთვის, და ასეთ დროს რაღა მნიშვნელობა აქვს — ტყუილია თუ მართალი: თუ უმეტესობას კიდევ სჯერა, გამეორებით კი ყველა იმეორებს.

ეს რა ხალხიაო...

შიშით ველარსად შევსულვარო...

ლამაზს ვილა ჩივის, ქალი განყვეტილიყო ტფილისში თუ რა?!

ამას მაშინაც იკითხავდნენ ნატო გაბუნიას პატივისმცემელი, რომელთაც არაფრისდიდებით არ ენდომებოდათ ამ ჭორების დაჯერება.

ფრანგი მსახიობი რომ ყოფილიყოო...

აქ კი, ჩვენში არსად ვაჭაჭანდებოდა მინიშნებაც კი ამ — დაერქვას თუნდ პირწმინდა ჭორიც — გავრცელებულ ხმებზე. არც მემუარულ ჩანაწერებში, არც ნარკვევებში, და თუ მაინცდამაინც ჩავეძიებით, ძალზე შორეული მინიშნება შეიძლება ვიგულისხმოთ იოსებ გრიშაშვილის იმ ფრაზებში, ავქსენტი ცაგარელის გალოთებისა და გაბოროტების სათავედ — მიყრუებულ ადგილებში ხეტიალისა და უსიამოვნო სამსახურის გარდა — რომ მოიხსენიებდა „ბევრ სხვა მიზეზსაც“.

ეს „ბევრი“ იმ ერთსა და უმთავრესზე ხომ არ გადაგვიკრავს, „მიყრუებულ ადგილებში ხეტიალი“ და „უსიამოვნო სამსახური“ გარეგნულ საბურველად რომ შემობლანდვია, რაკი და იოსებ გრიშაშვილს ვერ გაუმეტებია მისთვის სათაყვანო დრამატურგი და იდუმალებაში ამიტომაც ჰხვევს ავქსენტი ცაგარელის დეპრესიისა და სულიერი და ფიზიკური რღვევის ფსიქოლოგიურ საწყისს, თორემ თვითონ არაერთხელ ექნებოდა მოსმენილი ის ჭორები და არც ძაფის გაბმა გაუძნელდებოდა იმ ჩანვეთებულ ხმებსა და ასიკოს მწუხარე ხვედრს შორის.

და რას მიხვდები იმ ნაგულისხმევს, თუ ის ჭორები არა გსმენია და ძალაუნებურად არ მიუსადაგებ აღიარებული კომედიოგრაფის სიცოცხლის მიმწუხრს, ისედაც გაუსაძლისს, სხვა მხრივაც რომ დამალონებელი არა ყოფილიყო.

არა კმარა ასეთ დროს თვითნუგემისათვის: ქვეყანას შუერთ თვალები უბნელდებოა.

რაფაელის მადონა — რაოდენ აღმტაცია ხატი!..

იქ კი, რომში კეთილი ღმერთქალისა თუ ქალთა მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულს გადაიხდიდა საკუთარ სახლში პომპეია, მეუღლე გაიუსი იულიუს კეისარისა.

ეს რომაული დღესასწაული რა შუაშია?

რა შუაშია და:

ამ საიდუმლო ღვთისმსახურებას ორფიკულ მისტერიებსაც ამგვანებდნენ და, სხვა ტრადიციულ წესებთან ერთად, იმ კონსულისა და პრეტორის ოჯახიდან, სადაც ზეიმი უნდა გამართულიყო, ყველა მამაკაცი შინიდან მიდიოდა და ოჯახის უფროსობას იმ დღეს ქალი კისრულობდა და შესაფერისადაც რთავდა სახლს. ღვთისმსახურების უმთავრესი ნაწილი სრულდებოდა ღამით და ზეიმს თან ახლდა სხვადასხვა გართობა და შეუწყვეტელი მუსიკა.

და იმ დღეს პომპეია სწორედ ასეთ დღესასწაულს რომ ხელმძღვანელობდა, პუბლიუს კლოდიუსი — წარმოშობით კეთილშობილი კაცი, სიმდიდრითა და ენამჭევრობით გამოჩენილი, მაგრამ ისეთი ბილწი და თავხედი, რომ ვერცერთი ყბადღებული გარყვნილი ვერ აჯობებდა, იმხანად კი ჯერაც უწვერულვამო — იმ იმედით, პირტიტველობა დამეხმარებო, ქნარზე დამკვრელი ქალის სამოსს გადაიცვამდა და ასე მორთული გაემართებოდა კეისრის სახლისაკენ. კარი ღია დახვდებოდა. მხევალი, ვისაც ყველაფერი მოეხსენებოდა, უშიშრად შეიყვანდა შინ და თვითონ პომპეიასთან გაიქცეოდა, რათა კლოდიუსის მოსვლა შეეტყობინებინა. ცოტა რომ შეაგვიანდებოდა, კლოდიუსი ერთ ადგილას დგომას ვეღარ მოითმენდა და ვეებერთელა სახლში სიარულს მოჰყვებოდა. ამ სიარულ-სიარულში ავრელიას მოახლეს გადაანყდებოდა, ვინც ხმაზე მიუხვდებოდა მამაკაცობას და ყვირილსა და ხმაურს ასტეხდა. კლოდიუსს იქიდან გამოაძევებდნენ და შინ მობრუნებულ ზეიმის მონაწილე ქალთაგან მალე მთელი რომი შეიტივებდა, რაც მომხდარიყო კეისრის სახლში.

ამ ბილწი საქციელისათვის პასუხს მოსთხოვდა მთელი ქალაქი და არამარტო მის მიერ შეურაცხყოფილ პირთა წინაშე, არამედ — თანამოქალაქეებისა და ღმერთებისაც. ერთ-ერთი სახალხო ტრიბუნი კლოდიუსს ბრალს ღვთის მკრეხელობაშიც დასდებდა. მის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ ყველაზე უფრო გავლენიანი სენატორებიც და სხვა ბლომა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად ამხელდნენ მის ბილწ კავშირსაც საკუთარ დასთან... მაგრამ მათ მისწრაფებათა წინააღმდეგ აღსდგებოდა ხალხი და კლოდიუსს გამოესარჩლებოდა. ეს კი ძალზე დაეხმარებოდა დამნაშავეს მოსამართლეთა წინაშე, რომელიც შემინებულნი იყვნენ და ბრბოს წინაშე ძრწოდნენ.

გაიუსი იულიუს კეისარი მაშინვე გაეყრებოდა პომპეიას, როგორც კი მის სახლში დატრიალებულ ამბებს ამცნობდნენ.

მაგრამ როდესაც სასამართლოზე მონმედ მიიწვევდნენ, განაცხადებდა:

— კლოდიუსის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებათა ირგვლივ არაფერი ვიცი.

ყველას უცნაურად მოეჩვენებოდა ეს პასუხი იმ გადაწყვეტილების შემდეგ, ცოლს რომ შეეღეოდა, და ბრალმდებელი ჩაეკითხებოდა:

— კი მაგრამ მეუღლე რატომღა გაუშვი?

— იმიტომ, რომ კეისრის ცოლი ეჭვმიუტანელი უნდა იყოს.

ამ პასუხს ზოგი გულწრფელობად ჩამოართმევდა მომავალ დიქტატორს: ის თქვა, რასაც ფიქრობდაო; ზოგიც დიპლომატიურ ხერხად: ხალხის გულის მოსაგებად მოიქცა ასე, რაკილა ხალხი კლოდიუსის დახსნას ლამობდაო.

და პლუტარქე კეისრის ბიოგრაფიულ ქრონიკაში ამ ამბებს რომ გვიყვება, საკუთარ შეხედულებას თავზე არ ახვევს მკითხველს — თვითონ მიუდგომლად გადმოსცემს, რაც მოეხსენება, და დაე მკითხველმა თვითვე განსაჯოს კეისრის ამ პასუხის ფსიქოლოგიური საწყისი თუ მორალური საზრისი.

ყოველ შემთხვევაში ეს ფრაზა შემორჩებოდა საუკუნეებს სამოძღვრებო ნიმუშად, ანდაზებსა და შეგონებებს შორისაც რომ მოიპოვებდა ადგილს:

კეისრის ცოლი ეჭვმიუტანელი უნდა იყოს.

თურმე დაუდასტურებელი ჭორიც კი კმარა საიმისოდ, რომ ცოლქრული კავშირი განყდეს.



და... სხვათა მეუღლეები? აი, თუნდაც კომედიოგრაფის ცოლი?

თანაც ვილაც უჩინარი კომედიოგრაფისა ხომ არა, იმ დრამატურგის, ვინც თავისი ხელოვნების კეისრად აღიარებული?

და თუ მაშინვე ვერ მიიღებს ამ გადანყვეტილებას გაიუს იულიუსივით, დღეების, თვეების, წლების სიმძიმემ და გაუსაძლისობამაც არ უნდა უზიძგოს აქეთკენ?

ვითომ გიშველიდა საკუთარი პერსონაჟის სამოსში შეფარება და იმისებური გულდამშვიდება: მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილოო?!

შველოდა თუ ვერა შველოდა ავქსენტი ცაგარელს, მაინც ღვინოში ჩახრჩობას ამჯობინებდა, ვერ მოსცილებოდა ნატო გაბუნისას, ვერ შელოდა, ვერსად დამალვოდა ვერც მას და ვერც საკუთარ თავს, შუაზე გახლეჩილი ამაოდ რომ აწყდებოდა აქეთ-იქით და ჩამომხმარი და ლანდად ქცეული, სიკვდილის აჩრდილის მოახლოებისას ისევ იმისკენ იშვერდა ხელებს სასოებით:

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

აკილოგი

ნატო გაბუნისას დისწული ჰყვებოდა ხოლმე.

სად აღარ გაიხსენებდა.

ვისთან აღარ მიიგონებდა.

ჩანიშვნით... მხოლოდ ვალაკტიონი ჩაინიშნავდა.

ნატოს იუბილეს შემდგომ ბანკეტს რომ გადაიხდიდნენ, ცერემონიამისტერობას ვალერიან გუნია ითავებდა.

იუბილარი გაეხუმრებოდა:

— შენ ისეთი ვინმე ხარ, რომ ჩემს დასაფლავებაზეც ცერემონიამისტერი იქნები.

ისე ხდებოდა, რომ ვალერიან გუნიას გარეშე საზოგადო საქმე აღარ კეთდებოდა — ხშირად თაოსანიც ის გახლდათ და ხელმძღვანელობაც მას ერგებოდა ხოლმე, თორემ მონაწილეობით ხომ ყველგან მონაწილეობდა, ილია ჭაჭავაძეს ჩაზიარებოდა თუ ნაშველებოდა და ყველა ეროვნული ამონწყების შუაგულში კი მოექცეოდა ხოლმე, საქვეყნო დაკრძალვებსაც რომ იგი უძლოდა — სტავროპოლიდან დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენებით გაჩირაღდნებულ ამ საპროტესტო აქციებს.

შენ ისეთი ვინმე ხარო...

შემოხუმრება ამისა გახლდათ.

და ხუმრობითვე მიაგებებდა ვალერიან გუნია:

— ეგ მართლაც ეგრე იქნება.

და ისეთ სიცილს მოადვენებდა, რაც გულისხმობდა: ჩემი ძვლებიც აღარ იქნება, როდესაც შენ კვლავინდებურად დაამშვენებ სცენასო.

არ გავიღოდა ერთი წელიც და... ნატო გაბუნისაც გამოეთხოვებოდა ნუთისოფელს — ასე ნაადრევად და მოულოდნელად.

ჯერ ისედაც ძალიან განიცდიდა ვალერიანი მის გარდაცვალებას და... ის ხუმრობა მწარედ წამოაგონდებოდა და გუნებას მოუშხამავდა.

რა სახუმარო თემა ეს იყო, — ინუხებდა და ივავლახებდა.

და მღელვარებას ველარ დაიოკებდა, ცერემონიამისტერობას მართლაც რომ სთხოვდნენ დაკრძალვის ცერემონიაზე.

შენ ისეთი ვინმე ხარ...

— არასგზით, არა და არა! სულ ერთი წლის წინათ ხუმრობით დავპირდი ნატოს ცერემონიამისტერობას მის დასაფლავებაზე და აკი...

არ მოუშვებოდნენ, შეევედრებოდნენ, შეენუკვოდნენ, დანამუსებითაც დაანამუსებდნენ: შენსავით ამ საქმეს თავს ვერავინ მოაბამს და აგერ ნატოს სურვილი და წინათგრძნობაც ეს იყო, შენ თუ ხუმრობად მიიღე, თურმე ის არა ხუმრობდაო.

ძალისძალათი დაითანხმებდნენ.

თეატრის წინ რომ დაასვენებდნენ მის ცხედარს, ვასო აბაშიძე რამდენიმე სიტყვის ამოთქმასლა მოახერხებდა ბოლმითა და ნაღველით გათანგული, და ამასაც ამოგმენდა:

— დაო, მხარი რათ მომტყხე, რად დამაბოლებ!

და იოსებ იმედაშვილს ისეთი შთაბეჭდილება გამოჰყვებოდა, რომ ჩვენი სცენის ეს მუდმივი მხიარულება, თვით მოლუშვის დროსაც, შაჰ-აბასის როლშიაც კი, ყოველთვის გულხალვათ სიცილს რომ ინვევდა, ნატო გაბუნისას ნეშტის წინაშე მდგარი ყოველმხრივ გაუბედურებულ, მწუხარე ღირს დამსგავსებოდა.

ლადო მესხიშვილი ისედაც ხმაჩახლეჩილი სიტყვით ყველას ააქეთინებდა.

თითქოს ძეგლიც დაიდგმოდა ნატო გაბუნისას სამარეზე. მოაჯირიც შემოეველებოდა.

მაგრამ მონგრეოდა ის ძეგლი, ზევითა ნაწილი, მარმარილო მუხლებზე გვირგვინდადებული მწუხარე ქალის გამოსახულება და იკარგებოდა და სამარესაც შამბი და ბალახი გადაუშლიდა.

ასიკოს საფლავისა არ იყოს — მიტოვებულის, თანდათან კვალწაშლილის, ოდესმე თუ უჭირისუფლებდა ვინმე.

ამით მაინც დაემგვანებოდნენ ერთმანეთს ავქსენტი ცაგარელი და ნატო გაბუნია: ქმარი და ცოლი, და მუდმივი თეატრალური დასის მესაძირკვენი და ახლაც გვერდი-გვერდ მწოლიარენი, ერთი — თვალსაჩინო მსახიობი, და მეორე — თვალსაჩინო დრამატურგი — ილიაც რომ შენატროდა, არტისტობას მაჩანჩალად ადვენებული, მაგრამ ფრთაგაშლილი კომედიის უანრში, თავმომწონედ რომ გახედავდა გიორგი ერისთავსა და ზურაბ ანტონოვს, თორემ გვერდით ხომ აღარავის დაიყენებდა, ვიდრე... ვიდრე...

ყველას თავისი ბედი მოსწევია.

ავქსენტი ცაგარელის ბედი ეს გახლდათ.

ძირებოდა, ინთქმეოდა ღვინოში, თავდავიწყების ძებნას აქამდე მიეყვანა და იქიდან კი გამოსავალი ველარ ეპოვნა.

ველარ ეპოვნა თუ... აღარც სურდა?! და ასეთი წელი თვითმკვლელობა ემჯობინებინა?!

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

სად... იყო... და...

ეგებ არცა?!

ველარსად შევსულვარ, ვინ არიან, ეს რა ხალხია!..

ჰა, ეგებ არცა?!

ეგებ მსგავსიც არაფერი ეთქვა, არ შემთხვევოდა არაფერი მსგავსი და რატომღა უნდა სამდურავად თუ... ფარულ თავმონონებად?!

ყურს კი ხვრეტდა, გულს კი ფლეთდა, სულს კი ყინავდა ეს ხმა, სცენიდან რაოდენი სიამით, რაოდენი სინარხარით გადმოღვრილი, ასიკოს ყურთასმენაში კი...

ხელს აშველებდა სოფრომ მგალობლიშვილი, სანუგეშოს ჩასძახოდა და მუდარით შეჰყურებდა ექიმს, რომელიც სინაწულით აქნევდა თავს.

— ოჰ, ხანუმავე, სადა ხარ?!

ამოდიოდა სული ამ გაუსაძლის ტკივილთან ერთად, ამ მუნათთან თუ... მონატრებასთან... და ბევრიც რომ ევედრა სოფრომ მგალობლიშვილს ზენაარსისათვის, ეგებ ჩამოუსწროსო, წუთები დათვლილი გახლდათ და ბედისწერის წრეც შეკრული, ამოქოლილი თავისი საიდუმლოთიც.

ამოქოლილი ვითომ?!

\*\*\*

ისე მართლა და:

რას უნდა ემსხვერპლა ავქსენტი ცაგარელი, რას უნდა ამოუშხამებინა მისთვის ცხოვრება, რას უნდა მოენელებინა და გადაეყოლებინა ეს სიცოცხლითა და ხალისით სავსე, საყოველთაო სიყვარულითა და თავყანებით გარემოსილი კაცია?!

გივი ალხაზიშვილი

# დანაშაულით მკვდარი

(მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი)

და თქვენც, მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით, რომლებითაც ოდესღაც იარებოდით ამ წუთისოფლის ჩვეულების მიხედვით...

ფეს. 2. 1-2;

...ვიცი შენი საქმენი, რომ გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი ხარ, შენ კი მკვდარი ხარ.

გამოცხადება თავი 3, 1;

შურისძიებით შთაგონებული გაშლევებული ზეიმობს წარმოსახულ გამარჯვებას და უსაზღვრო სიამოვნებით აღივსება. ცეცხლმოდებულ თივასავით ცად ავარდება და მყისიერად ჩაიფშუტება, ჩაიფერფლება, ჩანაცრდება, თვალსა და ხელს შუა გაქრება მისი მოჩვენებითი გზება, ისე რომ ამ უბედურს სინანულის განცდაც არ დაეუფლება. მის თავში არცერთ ფიქრს ღამე არ უთევია და რაც ენაზე მოადგება იმის იმედად არის მუდამ.

—იდეა, იდეა, რამე ახალი იდეა, ჩქარა, მოიფიქრეთ! ისეთი იდეა, ყველაფერს რომ გადაფარავს, ახალ ათვლის წერტილს გამოაჩენს და ჩაითრევს ყველას და ყოველივეს. ი დ ე ა! სახე შეეცვალა, თვალები ჩაებჟუტა და მზერა ფანჯრისკენ გაექცა, სადაც ბელურები განაგრძობდნენ პოპულაციის უწყვეტ ტრადიციას.

წამოდგა, მიიჭრა სარკმელთან, ფარდა სწრაფად გადასწია და დოინჯშემოყრილი ერთხანს იქვე იდგა, მერე მოჰყვა ბოლთისცემას და მექანიკურად იმეორებდა:

—იდეა, იდეა, ახალი იდეა მინდა, ოღონდ ისეთი ყოველივეს რომ აუღმატება და არა ეს ბელურული ბანალობა!

—იდეა!!!

—ჩვენ შევექმნით უმაღლეს სასწავლებელს ჩრდილოეთ კავკასიელებსთვის. ექნებათ საცხოვრებელი ბინა, სტიპენდია და კვება და მიცემთ საფუძვლიან განათლებას. სწავლების პროცესი გაგრძელდება დიდხანს, ერთი ნაკადი მეორეს ჩაენაცვლება. კურსდამთავრებულები დაბრუნდებიან თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში და იქ გააგრძელებენ საქმიანობას. იზრუნებენ თავიანთი ხალხების თავისუფლებაზე, აღზრდიან სხვებს. ასე თანდათან მთელი ჩრდილოეთ კავკასია იქცევა იმ ძალად, რომელიც... აზრი აღარ დაამთავრა. ახლა უკვე სტატისტიკაზე გაამახვილა ყურადღება. ლოთობით გაუბედურებულ მილიონებზე, დემოგრაფიულ კატასტროფაზე რუსეთში და ათას ჭირზე ჩრდილოელ მეზობელს რომ შეყრია და კიდევ დიდგულზეა და სხვის დაპყრობაზე უჭირავს თვალი. რუსეთი დაიშლება. აუცილებლად დაიშლება!

ამას რომ ლაპარაკობდა, უნებლიედ ეთიშებოდა მაგიდასთან მსხდომებს და სხვა სივრცეში გადადიოდა, სადაც მისი იდეები ფრთას ისხამდნენ და წარმოსახულ რეალობად იქცეოდა, რომელსაც თვითონ, როგორც სინამდვილეს ისე აღიქვამდა და მსმენელთანგან იყვინენ გამოწაკლისები, ამ ზეანეულ პათეტიკას რომ ემორჩილებოდნენ უნებლიეთ, გაუაზრებლად და გულანთებულები შესცივინებდნენ პირველწყაროს, როლში რომ შეჭრილიყო და მიინეადა წინ და წინ, სადაც არავითარი წინაღობა არ არსებობს!

იგი დესტრუქციის უბადლო ოსტატი და შეუდარებელი პროვოკატორია. ეს „პროფესია“ არ ითვალისწინებს რაიმენაირ ზნეობას და რადგან გაყალბებული, შეთხზული სიმართლით მანიპულირება მყისიერი შედეგის მომტანია, გამუდმებით სარგებლობს მანიპულაციის დროებითი ნაყოფით. ამიტომაც, შეიძლება ვუწოდოთ სუბიექტს — დესტრუქტორ-მანიპულატორი. უიშვიათესი გეზემპლარია. სიმართლე გითხროთ, მოუთმენლად ველოდები მის სრულ დეკონსტრუქციას ვირტუალურ და რეალურ სივრცეში.

როცა მაგრად გაიჭყებდა, გირჩევთ შეახსენოთ მისთვის ესოდენ „ნაცნობი“ რუსთაველი: „რადგან თავია სიცრუე, ყოვლისა უბედობისა“...

იგი ყველას ცოცხალი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში მკვდარია, რადგან მასში ნებისმიერი ადამიანური ჩაფერფლილია და განადგურებული, არავინ უყვარს საკუთარი უბადრუკობის გარდა და ემინია სიკვდილის, და თან არ იცის რომ უკვე კარგახნის მკვდარია.

შეხედეთ, ის გახლავთ „დანაშაულით მკვდარი“.

საიდუმლო თათბირზე გადწყვიტეს გაეზიარებინათ მსოფლიოს ციხეებში ფარულად კულტივირებული ნამების მეთოდები, თვითონ ამ მეთოდებს ტექნოლოგიები დაარქვეს, რადგან უფრო ცივილიზებულად უღერდა და სასწრაფოდ დანერგეს ქართულ ციხეებში, უცვლელად გადმოიტანეს და დამკვიდრეს საბადრაგო სივრცეში, როგორც ერთ-ერთი მათგანი ამბობდა გაპრანჭულად — ქართული ციხეების საბადრაგო გამოცდილება და კვალიფიკაცია ამაღლდა მნიშვნელოვანწილად. რამდენჯერმე წამოცდა მაღალს, რა გგონიათ, მხოლოდ ჩვენთან არის მსგავსი პრაქტიკა?! გაიკითხეთ, გაარკვიეთ, მსოფლიოს ციხეებში იგივე ხდება. მიხვდა რომ ასეთი თავის მართლება დანაშაულის აღიარების ტოლფარდია და ამ თემაზე აღარ ამოუღია ხმა. იმ დღეს წყევლიდა, როცა მისი საბადრაგო ნოვაციები გამოაშკარავდა და ყველაფერი ხელიდან დაუსხლტა. არადა როგორ ზუსტად ავითვისეთ და ავანყეთ საქმე, როგორ ღამაზად გადმოვიტანეთ, როგორც სასტუმროს პროექტი და აქაც აღმოცენდა ახალი ინსტიტუტი, ცივილიზებული სამყაროს საბადრაგო გამოცდილება. სხვაგვარად ვინ ალაგმავს ამ ბნელ ძალებს?!

10.09.2012

უძიძემსი პოლიტიკური ვითარებაა. წინასაარჩევნო განწყობა კი არა, წინასაომარი მდგომარეობაა, მე აქტიურად არ ვერევი პოლიტიკებატებში, არც ფბ-ში და არც პირად საუბრებში. პოლარიზაცია ზღვარს აღწევს და მტრობაში გადაიზარდა. ასეთ დაპირისპირებას ხელს უწყობს პრეზიდენტის უკონტროლო გამოსვლები, მისი მოურიდეტელი სიძულვილის ენა, დაპირისპირების გამძაფრება და ლანძღვა-გინების კორიანტელი. „ოცნებაში“ თავმოყრილია ძალიან ჭრელი ხალხი, იმდენად ჭრელი რომ მათი პოლიტიკური პოზიციები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია და მათი დროებითი გაერთიანება ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და გააფორმა. არ ვიცი რამდენ ხანს გაძლებს ეს გაერთიანება, რომელსაც გარდა ბიძინას ფინანსისა სააკაშვილის მოშორების საერთო მიზანი ამოძრავებს.

სააკაშვილი რაც დრო გადის უფრო არაადეკვატურია, ჩქარობს არჩევნები სასწრაფოდ მოიგოს და „ოცნება“ მოიშოროს თავიდან. ამ სიჩქარეში უამრავ უკონტროლო და უაზრო ქმედებათა ჯაჭვი მიძიდება და უარესად ბორკავს და აღიზიანებს მის მოწინააღმდეგეებს და ალაგზნებს მომხრეებს. დაპირისპირება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება და არ ვიცი რა მოვლის ქვეყანას და ხალხს.

სააკაშვილის ხელისუფლების ბუნებრივი ცვლა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, რადგან მიშამ მისაკუთრა ხელისუფლება და არჩევნების გასაყალბებლად ემზადება. გადწყვეტილი აქვს პრემიერ მინისტრის პოსტის ხელში ჩაგდება და ქვეყნის სრული პუტჩინიზაცია. ისეთივე პოლიტიკური მომავალი გველოდება, როგორიც რუსეთშია. ალბათ პრემიერ-მინისტრობის ვადას რომ ამონურავს, მერე ხელახლა გადააკეთებს კონსტიტუციას და პრეზიდენტობას მოისურვებს.

სრულ სიგიჟეში გვიწევს ცხოვრება. მიშას ყოველი აფორიაქება მთელ მოსახლეობას გადაედება და საშინელი ფსიქოზი მოიცავს ხოლმე მთელ ქვეყანას. მომხრეებს აგრესიით ალანთებს, მოწინააღმდეგეებს კი უფრო აღიზიანებს მათი მომხრეების ინტენსიური დაპატიმრებით, სულელური ხელისშემშლებით და წერილმანი



თუ მსხვილმანი შეჩვივებით. ქვეყანამ შეწყვიტა ნორმალური ცხოვრება და მთლიანად გადართულია წინასაარჩევნო პათოლოგიაში და არაჩვეულებრივ საარჩევნო საქმიანობაში...

ძნელია რაიმე იწინასწარმეტყველოს ადამიანმა, მაგრამ ამ საშინელ აგრესიას შეიძლება ლოგიკური შედეგი მოჰყვეს ანუ სრული სიგიჟის აპოგეა, გამალებით რომ მიინეცს ფსიქოზური ფინიშისკენ.

მინანერი: გუშინ თელავში გაიმართა "ოცნების" მხარდამჭერთა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგის დასრულების შემდეგ ჯერ სცემეს და მერე დაიჭირეს ბიძინას მომხრე პანკისელი ქისტები. პოლიციამ თავდამსხმელებს თვალი აარიდა და დაზარალებული ქისტები დააკავა. როგორც ჩანს ბიძინასა და ბერეკაშვილისთვის თეთრი ნაბდების ბოძება არ აბატეხს პანკისელ ქისტებს. არც ერთი მოძრაობა თუ ქმედება, რაც სააკაშვილს თვალში არ მოუვა, არ რჩება დაუსჯელი. სააკაშვილის რეჟიმი ნებისმიერი ქმედებისკენ უბიძგებს მარწუხებში მომწყვდეულ პოლიტიკურ ოპოზიციას, რაც შეუდარებლად სახიფათო ხდება ქვეყნისა და ხალხისთვის.

10.09.2012

ამ ორ, ურთიერთგამომრიცხავ ფსიქოტიკს შორის /საკაშვილი — ივანიშვილი/ რადიკალური განსხვავებაა. ერთი მიზანთროპია, ხოლო მეორე ფილანტროპია. გარჩევა არ არის ძნელი.

11.09.2012

ბაგრატიის ტაძარი ლამის ნაცმოდრაობის საკუთრებად გამოცხადდა. რადგან პრეზიდენტის ინიციატივით ტაძრის სრული აღდგენა ე.ი. ნაცპარტიის უპირველესი უფლებაა ტაძრის აღდგენის საზეიმო დღის აღნიშვნა. ეს მოსაზრება, ახალგაზრდა ნაცმა გაახმოვანა, ავტორი ისედაც ცნობილია. ამას წინ უსწრებდა პატრიარქის განცხადება, როცა მან ტაძრის კურთხევაზე მიიწვია პოზიცია, ოპოზიცია, ერი და ბერი, მხედრობა და ა.შ. და მის ტექსტში ხაზგასმით გაისმოდა შერიგებისა და მშვიდობისკენ მოწოდება. ჩიორამ კი, არა ბატონო, ტაძრის აღდგენის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის და ეს ზეიმი ნაცმოდრაობის საკუთრებაა.. ჩემ თავს ვკითხვ, აღდგენილი ტაძრის კურთხევა როგორ ეკუთვნის ჩიორებს, როცა პატრიარქმა უნდა აკურთხოს ტაძარი? ბარემ მიშამ გადასწიოს გვერდზე პატრიარქი და კურთხევის პროცესიც თვითონ შეასრულოს, როგორც უზენაესისგან ხელდასხმულმა. როგორც ვხედავ ფსიქოზი იქცა ხელისუფლების ბუნებრივ ტონალობად, საქციელად, თავხედობად, დაუნდობლობად. ტიპური ბოლშევიზმი სუფევს. კლასობრივი მტრების გაქრობა-განადგურებაზე ალაპარაკდა მერაბიშვილი, ყინჩად განაცხადა ბელადის საამებლად: ოთხმოცდაათიანი წლების შემეიბი და დინოზავრები უნდა გავაქროთ. სიძულვილის ენა — ვინც ჩვენ არ გვემბრობა, მათი მტრად გამოცხადდება, ნორმად იქცა ნაცმოდრაობისთვის.

ქართული ოცნების ლიდერები გამარჯვებაში დარწმუნებულები არიან. მე კი ვფიქრობ, მეტი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო. ოცნებელთა გათვლით სააკაშვილის და ნაცმოდრაობის დღეები დათვლილია.

ნაცებმა საქართველოს რამდენიმე ქალაქში პარტიული შეკრებები გამართეს. სამარშრუტო ავტობუსების მრავალახულიანიმა კოლონამ გამალებით ირბინა, მთელს საქართველოში მოზიარებული ადმინისტრაციული "რესურსი" გადაწყავდათ ქალაქიდან ქალაქში და ცდილობდნენ ხალხმრავლობის შთაბეჭდილება შეექმნათ. მეცხრე არხის ტელე-ინტერვიუებში კარგად ჩანს საბავშვო ბაღების, სკოლების, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, მათი შვილები და მეზობლები, მუნიციპალიტეტის მშენებლობებზე დაქირავებული მუშები, ჯარში განწვეული ჯარისკაცები, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილები, მთელი შსს ფორმაში თუ უფორმოდ მართონში იყო ჩართული. ეს იყო ერთი მხრივ სამარცხვინო და ამავე დროს სიბრაულის აღმძვრელი სანახაობა, განსაკუთ-

რებით იმ ადამიანთა მიმართ, იძულებით, სამსახურიდან გაგდების შიშით, იძულებით რომ შეკრიბეს და შეაკონინეს..

ეს სანახაობა კოლექტიურ აგონიას ჰგავდა, რომლის დამდგმელი და დრამატურგი საყოველთაოდ ცნობილია.

„ქართული ოცნება“ მინც ფრთხილად უნდა იყოს, რადგან გამარჯვების წინასწარული ეიფორია სახიფათო რამეა და მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საკუთარი პროგრამის პროპაგანდას. ის რომ ზნეობრივად და პოლიტიკურად გაკოტრებულია მმართველი პარტია, ის რომ ანიმაციური ფილმის პერსონაჟებად იქცნენ ნაცების ლიდერები, რა თქმა უნდა, დასასრულის სიახლოვეს მოასწავებს, მაგრამ „ოცნებას“ მინც არ ვურჩევ ყურადღების მოდუნებას, რადგან არ არის გამორიცხული სცენარის სხვაგვარად განვითარება, როცა მათი დამარცხება გარდუვალი იქნება, მაგრამ ჭირვეულად გაჯანჯლდება და შეშლილი უარესად შეიშლება.

11.09.2012

ინტერპრენსიუსი: „წუხელ, გვიან ღამით ყვარლის რაიონის სოფელ თხილისწყაროში უცნობი შეიარაღებული პირები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე რამდენიმე ოჯახში შეიჭრნენ და მოსახლეობას ემუქრებოდნენ. შეიარაღებული პირები იმ ოჯახებში იმყოფებოდნენ, 9 სექტემბერს თელავის აქციას რომ ესწრებოდნენ.

ყველა აფორიაქების სათავე მის ფსიქიკაშია. მოუვა თავში ახალი იდეა და სასწრაფოდ გამოსცემს ბრძანებულებას, გამოდგამს მოძრავ ტრიბუნას ტელე-ეკრანზე, კადრში შემოვარდება სწრაფი ნაბიჯებით, დაქოქილივით, მყისიერად გააგრძელებს ქვეყნის ვირტუალურ მართვის, მისთვის ესოდენ ძვირფას რიტუალს. ყველა ოჯახში შერბის, ყველა ცხოვრებაში უხეშად იჭრება, მოუშორებელი ჭირივით მომაბეზრებელია და ავადსახსენებელი. ინყველება, ილანძლება, ბაზრის დედაკაცივით ქაქანებს, საუბრისას სიჩქარეს კრებს და ვერავის და ვერაფერს ამჩნევს, გარდა კოლექტიური მტრისა, რომლის ვირტუალური განადგურება იმდენად ალაგზნებს, რომ წამოცდნენების მთელი კასკადები ირევა ისედაც დანაგვიანებულ ჰაერში და კულმინაციას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა აკვიატებულ მტერს ვირტუალურად განადგურებს. ისიც ხდება ხოლმე, როცა პირის სიმშრალე სტანჯავს და სიჩყვები ნახერხივით უხვევდება ხახაში და საეჭვოდ აჭრილ მზერას ხელოვნური ღიმილით ივსებს იმის დასამალად, რისი დამალვაც შეუძლებელია და განცვიფრებული მასა შეჰყურებს დაბრეცილ, დეფორმირებულ სიფათს რომელიც უნდა გებრალბოდეს და უარყოფდეს როგორც პათოლოგიას. ასე იყო ელიას მთაზე ტაძრის საძირკვლის კურთხევისას, ასე იყო ყვარელში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან, როცა ლოპოტას გამო იტყუებოდა სამარცხვინოდ და თვალს არ ახამხამებდა.

2004 წელს, თუ არ ვცდები, ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ჩანანერები გამოვაქვეყნე, სადაც ასეთი ორსტრიქონელიც დაიბეჭდა: „მასში ყოველი ნეირონი, ნამდვილად არის ნეირონი...“ ეს თვითმარქვია არქიტექტორი, შოუმენი, დამდგმელი რეჟისორების და დირიჟორების იდეებით აღმჭურველი, საქართველოს ჰიმნის ტექსტის შეკონინების აქტიური მონაწილე, ყოველთვის ცდილობს ქვეყნის მხოლოდ პოლიტიკურ სათავეში კი არა, არამედ კულტურული პროცესის ეპიცენტრში იყოს და მისი ბავშვური აკვიატებების ასრულებაში ეხმარება სახელდახელოდ არჩემბულ რეჟისორებს, დირიჟორებს, მანვეულ არქიტექტორებს, მასაჟიორსაც ამერიკიდან ჩამოაბრძანებს და საქვეყნოდ გამოაქვენებს მისი აღმატებულების გაარშიყებას ცნობად ქალბატონთან, კბილებით და ბაგებით რომ ასრულებს სხეულის მასაჟს. ამის შემხედვარე ხალხი, ცხადია, სოციალურ სიდუხჭირეს იხსენებს და ქირქილებს; რა დროს მასაჟია, როცა ქვეყანა შიმშილობს? რა დროს საქვეყნოდ ცნობილი და ძვირადღირებული მომღერლების ჩამობრძანება ბათუმში, რომელთა კონცერტს ახალი მდიდრები ანუ სახელისუფლებო ელიტა თუ დაესწრება და ეს უჩინოკლავი, დაუოკებელი შოუმენი კიდევ ერთხელ გაბრწყინდება საქვეყნოდ. მიეცა ასპარეზი ფრუსტრირებულ შემოქმედს და აქტიურ

შოუ-ბიზნესში ჩაერთი, როგორც მთავარი მენეჯერი და ბანკირი, შოუმენი და იდეის ავტორი. აბა, ერთი ვინმემ დაიწუნოს მისი აკვირების შედეგი?! "წურას უკაცრავად" .. ეს ეშმაკის მოციქულები... ჩარეცხილები... სულ ახლახან მერამდენედ გაისმა პრეზიდენტის საამებლად მერაბიშვილის ბაგეთაგან თქმული: ოთხმოცდაათიანი წლების პოლიტიკოსები საერთოდ უნდა გავაქროთ.. ეს უკვე კლასობრივი ბრძოლა და ნეობოლშევიკები აამკარავებენ ახლადმეფეთულ ლენინურ იდეებს. როცა ევრო-კავშირის სადამკვირებლო მისია თავის დასკვნაში განაცხადებს რომ საარჩევნო პროგრამების წარდგინებისას „ცოტა“ ლენინური რიტორიკა ჭარბობსო. ატეხეს ხმაური, ეს „ქართულ ოცნებაზე“ განაცხადესო, თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ მათი მისამართით იყო ნათქვამი. ასეა, ნებისმიერი ერთპარტიული მმართველობა ან ლენინიზმად ან ფაშიზმად ყალიბდება და აქცევს პარტიის წევრებს დაპროგრამებულ რობოტებად და მათი თვალსაწიერი მხოლოდ პარტიული დიქტატურის ყულფიდან მოჩანს.

12.09.2012

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება **Must carry**-ისა და **Must offer**-ის კანონის მიღებას თუმცა, **Must carry**-ის პრინციპი არჩევნების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს (ინტერპრესინუსი). მოსახლეობის უმრავლესობისათვის განსაკუთრებით პროვინციებში არ არსებობს ალტერნატიული ტელე-მაუწყებლობა, გარდა სამთავრობო სამი არხისა და ხალხი ცრუ ინფორმაციის ტყვეობაშია.

ვირტუალურ მმართველობას არ სურს სტილის შეცვლა და ადამიანებს ისევ იმ ტელე-პერსონაჟებად განიხილავს, რომლებიც ხელისუფლების სიცრუით საზრდოობენ. მე შევხვედრივარ ამ არხების ცრუ პროპაგანდით ზომბირებულ საბრალო ადამიანებს. ახლა, არჩევნებამდე 18 დღით ადრე, პასუხი არ ჩანს სააკაშვილისგან - გაგრძელდება თუ არა ალტერნატიული ტელე-მაუწყებლობა არჩევნების მეორე დღეს თუ ხალხს დატოვებენ ინფორმაციულ ვაკუუმში.

დაიწყოს საუბრები იმის შესახებ, რომ ხავერდოვნად გააციონონ სააკაშვილი ხელისუფლებიდან, რადგან არავინ იცის რას ჩაიდენს ეს შეუღილი. ამ ინფორმაციამ კულუარული საუბრებიდან გამოაღწია და დასავლეთის მაღალჩინოსნებს მიაწერენ. უკვე ყველამ იცის, რომ წასვლას არ აპირებს და გაჯიუტდა ტუტუცი ბავშვივით ამხელა ოყლაყი.. ცდილობენ, როგორმე მშვიდად მოაგვარონ ეს პრობლემა. ბიძინაც არჩევნების მეორე დღის სიმშვიდის აუცილებლობაზე საუბრობს და აღარ იმეორებს დანაპირებს — თუ არჩევნები გააყალბეს ქუჩაში გამოვა „ქართული ოცნება“.. ყველაფერი ბუნდოვანი და გაუგებარია. ეს აგრძელებს ძალადობას, პარლამენტის არჩევნები მაგრად უნდა მოვიგოთ, ღრიალებს. არეულობა ვის უნდა? არავის, მაგრამ გაყალბებაც არავის უნდა, გარდა ნაცებისა...

—მიშა ბათუმშია?!

—არა, გონიოშია!

—ააა, აგონიაშია?!

სამწუხაროდ, მართლაც აგონიაშია.

14.09.12

სექტემბერს ფოთში სასულიერო პირებმა ჟურნალისტი ელისო ჯანაშია სცემეს. როგორც ელისო ჯანაშიამ განაცხადა ჟურნალისტებმა ფოთის საკათედრო ტაძრის ეზოში კედელზე გაკრული პლაკატები გადაიღეს, რომელზეც პრეზიდენტი სააკაშვილი, პატრიარქი და მეუფე გრიგოლი არიან გამოსახული. მეორე დღესვე, როცა გავრცელდა ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო-მასალა, საპატრიარქოს მდივანმა სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და დაუშვებლად ჩათვალა სასულიერო პირებისგან მსგავსი ქმედება.

დღევანდელი სინამდვილე აღსავსეა სავალალო კურიოზებით, რომელთა სრული აღწერა შეუძლებელია. ცამეტ სექტემბერს, მესტიაში, სადაც პრეზიდენტმა მუზეუმი გახსნა და

ძლივს შეკონინებულ ადამიანებს სიტყვით მიმართა, მორიგი საოცრება მოახდინა. სასტუმრო „თეთნულდის“ რესტორანში მიშა მიმოდოდა და მობილური ტელეფონით საუბრობდა. ცხადია, დაცვა დაჰყვებოდა შორიხლოს, ის საუბარში გართული მიირთმევდა ქალაქის ხელსაწმენდს /“სალფეტკს“/, თან ისე მაღიანად, რომ ერთი რომ დაასრულა, რომელიღაც მაგიდიდან რამდენიმე ხელსაწმენდი წამოკრია, პირისკენ გააქანა, ჭამდა და თან საუბრობდა, თან მაღიანად ილუკებოდა ხელსაწმენდის ნაკუნებს. ჰალსტუხის ლეჭვის შემდეგ შეიძლება ეს ამბავი არც არის გასაკვირი და ერთ დასკვნამდე მიყვავართ: უკიდურესი დაძაბულობისას, გახსოვთ, ალბათ, რა ვითარებაში მიირთმევდა საკუთარ ჰალსტუხს, მიშა ინყებს რაც ხელში მოხვდება ყველაფრის ჭამას. ალბათ ყურადღების გადატანის პრიმიტიული იმპულსია ან წარმოსახვული მტრის განადგურების მექანიკური რიტუალი. ასეთ ქმედებას ფსიქოლოგები უფრო ზუსტად დაარქმევენ სახელს.

ქალაქის და ჰალსტუხის ჭამას კიდევ რა უჭირს, ფოთში მომხდარ ამბავთან შედარებით. გაგიგიათ რადემე ტაძრის კედელზე გაკრული პრეზიდენტის ფოტო-სურათი და ასე მახინჯად შეითიხნოდა წინასაარჩევნო გარემო?! ახალი ბელადის შექმნილი გარემო ათასგვარ ანომალურ და ამაზრზენ მოვლენას გვიპირდება და გვისრულებს კიდევ.

პრეზიდენტმა საუბარი რომ დაამთავრა, რომელიღაც მაგიდასთან დაჯდა, იქ სადაც ჩემი ახლობელი იჯდა, ვინც ეს ამბავი მომიყვა, თეფშზე გადმოღებული ნახევრადშექმული ხაჭაპური გადასანსლა, გაქონილი, ნასხვისარი ჩანგალი როგორც თავისი ისე მოიხმარა, მერე გვერდზე გადადო და უჩანგლოდ, ხელით გააგრძელა ჭამა. როცა ხაჭაპური შემოეჭამა, ხელი და ტუჩები სწრაფად გაიწმინდა „სალფეტკით“ და მუჭში ჩაჭმუჭნული ქალაქი დააყოლა ხაჭაპურს. უნდა გამოგიტყდეთ, ამ სცენას რომ აღმინერდა ჩემი მეგობარი, სინანულმა შემიპყრო და ვიგრძენი როგორ შემებრალა მიშა. სიბრაულულის შეგრძნება შიშმა შეცვალა, იმის გაფიქრებაც მზარავდა — რა შეიძლება ჩაედინა ამ სრულიად უკონტროლო ადამიანს, ქვეყნის ერთმმართველ „მონარქს“, რომლის სურათებს, წინასაარჩევნო კამპანიისას, ახლა უკვე ტაძრის კედლებზე აკრავდნენ სასულიერო პირები. როგორ უნდა მივიდნენ იმ მღვდელთან აღსარებისთვის, ასე რომ არის ჩართული ფარისევლობასა და სიცრუეში — გამორჩენის მიზნით. ხელისუფლების მოსყიდული საბჭოთა მღვდლები/ზოგიერთები, ყველა არა/ მიეჩვივნენ ნაჩუქარ ჯიპებს, ბოძებულ მამონას და ეგრევე აისახა დაფინანსება მათ პოლიტიკურ „პოზიციაზე“. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ წინასაარჩევნო კამპანიაში ერთნი პრეზიდენტის მხარეს, ხოლო მეორენი, უმრავლესობა, ბიძინას უჭერს მხარს. ახლა საკითხავი ის გახლავთ ღმერთი ვის გაამართლდნენ?

მსგავსი დევრადირებული საზოგადოება არასოდეს მინახავს. დაეტყო ერსა და ბერს სულიერი დეკადანსი. იქით ემიგრაციაში გადახვეწილი მარჩენალი ქალები, აქეთ მათგან დაფინანსებული შვილები, ქმრები, სანათესაო და თითქმის გამქრალი საქართველო, კარ-ფანჯრებაჭედილი სახლები და მიტოვებული სავარგულები, გაპარტახებული სოფლები, სასტიკი უმუშევრობა და ქალაქი კაზინოებით და საკონცერტო დარბაზებით, წინსვლის ილუზიით შეპყრობილი, ურბანული სიტყვით გაჯერებული, სადაც რუსული და ინგლისური სიტყვები თანაარსებობენ და ზუსტად განსაზღვრავენ საქართველოზე სხვათა გავლენის სივრცეებსა და დოზებს.

პ.ს. ამ რამდენიმე კვირის წინ შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა დასწყევლა ყველა ის ადამიანი, ვინც ნაცმოდრობას არჩევნებზე მხარს არ დაუჭერს. ძალიან მიჭირს იმ სიტყვების წარმოთქმა, რა სიტყვებითაც მეუფე იოსებმა დაიწყევლა. კრიზისმა ყველა გამოაჩინა, მაგრამ სასულიერო პირებისგან არ მოველოდი ასეთ სისასტიკეს და ამჩატებას.

**ავტობუსში მოსმენილი ბავშვების საუბრის ეპიზოდი:**  
ავტობუსში ორი ბიჭი საუბრობდა, ასე, ათი-თერთმეტი წლის იქნებოდნენ. იმდენად ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ მთელ ავტობუსში ისმოდა მათი ხმა.

პირველი: სააკაშვილი მირჩევნია!

მეორე: რატომ?

პირველი: იმიტომ რომ სააკაშვილს რუსები არ ევასება და დასავლეთისკენაა.

მეორე: ამერიკისკენ რომ არის, ამიტომ არის საშიში საქართველოსთვის.. იქ სულ კათოლიკეები ცხოვრობენ და სულ გააფარჩაკებენ მართლმადიდებლობას.. ბიძინა იმიტომ ჯობს, რომ რუსეთს უჭერს მხარს. რუსეთი მაინც ერთმორწმუნეა და ჩვენი მართლმადიდებლობა იქნება უსაფრთხო.

პირველი: ნატოში შესვლა მთავარი. რუსები კი ხელს გვიშლიან.

გადავწყვიტე ჩავერეულიყავ ბავშვების საუბარში, მაგრამ ავტობუსის ხმაურსა და ყაყაბაში ვერ შევძელი. ხმამაღლა ლექციის წაკითხვა კი არ მომინდა და დავმუნჯდი. ერთი კი მკაფიოდ ჩანდა, გარემო, სადაც ეს ბიჭები იზრდებიან და როგორ აზროვნებენ, სავალალოა.

**18.09.2012**

ოპოზიციური ტელევიზიით გავრცელდა დოკუმენტური ვიდეო-მასალა, სადაც აღბეჭდილია პატიმართა წამების, დამცირების, გაუპატიურების, ღირსების აყრის ჯოჯოხეთური კადრები. როგორც იქნა გამოჩნდა, ახლა უკვე მკაფიოდ, რეჟიმის რეალური სახე. საპროტესტო აქციები მოედო მთელ საქართველოს, ხოლო ამ ამაზრზენმა, დამორღვევებმა, პათოლოგიურმა ტელე-კადრებმა მოიარა მთელი საქართველო.

საშიშა ნანახით გამწარებულმა ხალხმა ამბოხი არ წამოიწყო, თორემ ხელისუფლება აუცილებლად არჩევნების ჩასაშლელად გამოიყენებს. პრეზიდენტის განცხადება, გვიან ღამით რომ გამოქვეყნდა ტელევიზორცეში, უცნაური ფრაზით დაიწყო: მე ძალიან გაბრაზებული ვარ... პრეზიდენტს პირველი ფრაზა ბუნებრივად წამოცდა, რადგან იგი მართლაც გაბრაზდა თავის ხელქვეითებზე, რადგან საიდუმლო ვიდეო ჩანაწერებმა ციხის გარეთ გააღწია და ჟურნალისტებს ჩაუყარდათ ხელში. შსს-მ დაასწრო მოვლენებს, როგორც კი შეიტყო საარქივო ტელემასალის გამოქვეყნების ალბათობა და ყველაფერი მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს გადააბრალა. თურმე პატიმარმა თამაზ თამაზაშვილმა მოისყიდა გლდანის საპყრობილეში ოფიცრები, დაადგმევინა წამების სცენები და მამხილებელი ვიდეო-მასალა ასე შეიქმნა. ცხადია, კალმანქანითაც ხელი თამაზაშვილისკენ, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულისკენ გაიშვირა, ეს პოზიცია შსს-ში აღმოცენდა და დადასტურდა ამ სამინისტროს მესვეურთა მდიდარი ფანტაზიის და ბელეტრისტული ნიჭის უსაზღვროება.

ვიდეო-დოკუმენტების ერთი ნაწილი გადაღებულია იმ დროს, როცა არც თამაზაშვილი იყო პატიმარი და არც ქართული ოცნება არსებობდა, ე.ი. გაცილებით ადრე და ეს დასტურდება ჩანაწერშივე, სადაც მტანჯველი პატიმარს კარნახობს სათავისო ჩვენებას და ხმამაღლა წარმოთქვამს ჩვენების დაწერის თარიღს — 9. 3. მესამე 2011წელი.

მთელი ხალხი აღელვებულია და ეს მღელვარება აისახება, უნდა აისახოს არჩევნებზე. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ ისევე ოპოზიციისკენ გაიშვიროს ხელი.

ნორმალურ ქვეყნებში ასეთი ამაზრზენი ფაქტების გამომზეურება პრეზიდენტის სავარძელსაც შეარყევდა, მაგრამ რა იქნება ჩვენში, არავინ იცის. შუბლზე ტყავგადაკრული ლიდერი აქედანაც შეეცდება გამომშობილ და არჩევნების გაყალბებასაც არ გადაიფიქრებს, მაგრამ ვეჭვობ საამისო რესურსი ეყოს, რადგან სიცრუის მარაგიც აღარ გააჩნია და ბუტაფორიად იქცა. ერთადერთი, რაც მაფიქრებს 22 სექტემბრის აქციაზე ზუგდიდში. ათასგვარი ჭორი ვრცელდება, დაარბევენ, პროვოკატორებს შეაგზავნიან და ა.შ. ახალაიების კლანმა შესაძლოა

ჩაიფიქროს ივანიშვილის, როგორც მისი კეთილდღეობის მტრის დასჯა. ისე მიდის პროცესი, რომ ნაცმოძრაობა თვალსა და ხელს შუა დაიშლება და გაქრება. ნუთუ მართლა ასე უმტკივნეულოდ გაქრება ეს რეჟიმის დინოზავრი, რომელმაც უკვე მოახერხა უამრავი ადამიანის დამინება და წამება?!

**3.ს.** ამაზრზენი კადრებით გადაივსო ჩემი მეხსიერება და ვერ ამოვშალე წარმოსახვათა ცვლით, ვერც ფიქრის სხვა თემაზე გადატანით... გვრძნობ რომ დამამცირეს, სულში ჩამაფურთხეს, გამანადგურეს, დამორღუნეს და ბოლოს უნაპირო ზიზღით აღვივსე იმ მაღალჩინოსანი გვამების მიმართ, რომლებიც ამ ჯალათთა გუნდს წვრთნიდა და თან ნაახალისებდა კიდეც, ესროლით, ხელი არ ავიკანკალდეთ! დღეს საქართველოში ერთი უბადრუკი პერიოდი განსრულდა. „საყურებლად შემზარავი გახლდათ, მაგრამ გამოამკარავდა ის, რასაც საგულდაგულოდ მალავდნენ, რაზეც იდგნენ, რასაც ეყრდნობდნენ, რითაც საზრდოობდა მათი სადისტური ზრახვები. უცბად ინერციას ძალა გამოეცალა, როგორც კი დაფარული გამჟღავნდა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. გახსოვთ ალბათ რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ჭინჭრაქა“, დევი რომ ბურტყუნებს სერგო ზაქარაიძის უიმედო ხმით: „ძალა აღარა მაქვს“, „ძალა აღარა მაქვს“, „ძალა აღარა მაქვს“... ფრაზის წარმოთქმის უნარიც დაეკარგა და დაძაბუნდა, მოიჩვენა და თავი გვერდზე გადაავლო. მახსოვს როგორ შემეცოდა დაუძღვრებული დევი. როგორც ვაცყო ახლაც შემებრალე ეს ფარღალა ბუტაფორია, თავის ლაზიკით და შოუმენური ჩალიჩით, არქიტექტორული და ყოველგვარი თავნებობით, ბაგრატი ტაძრის ფსევდოდღგენით და ჰალსტუხის ლეჭვიდან „სალფეთის“ ქალაღღის ლეჭვაზე გადასვლით; მაგრამ რა შესაბრალებელია ეს თვითმარქვია რესტავრატორი და გაბოროტებული, შურისმაძიებელი მკვლელები?!

ვირტუალური დემოკრატიის შუქურა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ საკუთარ მწამებლურ პრაქტიკას შეენიერებოდა?!

**21.09.2012**

სტუდენტების საპროტესტო აქციები გუშინ დაბრუნდა. დიდხანია არ მინახავს ახალგაზრდების ასეთი ერთსულოვნება და შემართება, თუმცა, ნაცმოძრაობისგან მართული თვითმართველობა ცდილობდა შეერთებოდა სტუდენტების ჯანსაღ ძალას და პროვოკაციები მოეწყო. თვითმართველობას რომ არ გამოუვიდა ვითარების არევა, გამოჩნდა მათი დამხმარე ძალა — პოლიცია. წესრიგის დამყარების მიზეზით განლაგდნენ ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე და მუჯღუგუნებით და ხელისკვრით მიერეკებოდნენ ახალგაზრდებს და მოუწოდებდნენ დაშლილიყვნენ. ყველას ეშინოდა პროვოკაცია არ მოეწყოთ და არ დაერბათ მომიტინგეები. საბედნიეროდ მშვიდობიანად დასრულდა სამდღიანი საპროტესტო აქცია და ეს ისევე ახალგაზრდების დამსახურებაა, ისინი უფრო თანადიდებოდნენ კარს მომდგარი არჩევნების ჩატარების ალბათობას, რადგან გაკოტრებული და ნირწამხდარი „ნაცმო“ ეძებდა არჩევნების ჩაშლის და გადავადების საბაბს. სტუდენტური აქცია ვერ გამოიყენეს სათავისოდ და მხოლოდ მედიკიშვილის გამაზირი და კოსტავას ქუჩა გაათავისუფლეს მომიტინგე ახალგაზრდებისგან. როგორც ჩანს პროვოკაცია სახვალაოდ, საზუგდიდოდ გადადეს. მოსალოდნელია ხვალ, ზუგდიდში მილნიონ სანადელს. სოციალურ ქსელში ასეთი მონოღდება გავუგზავნე სტუდენტურ აქციას:

„ახალგაზრდებო, ან კი თქვენ გამომთი თქვენი ჭირიმე“/აკაკი/ ბედნიერი ვარ, ასეთ ჭკვიან, სამართლიან და დიდებულ ახალგაზრდობას რომ მოვესწარი!

პრეზიდენტის დღევანდელი გამოსვლა იუსტიციის შენობის გახსნაზე მოულოდნელი და არაადეკვატური გამოდგა. რატომ უნდა ყოფილიყო დალაგებული და ლოგიკური ამ ტიპის გამოსვლა? იკითხავს ვინმე და ჩაიქირქილებს. მოსაბეზრებელია ეს ყალბი პათოსით გამსჭვალული ტყუილები. ეს ფსიქოტიპი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს რეალობად გარ-

დაქმნის, იჯერებს და მერე ცდილობს ხალხი დააჯეროს, და-  
არწმუნოს განამდვილებული სიცრუის ჭეშმარიტებაში. დიდი  
ხანია ეს თამაში გრძელდება საქართველოში და ჩათრეულია  
მასები. ეს ტიპი ტელეკრანებიდან, ყალბი რიტორიკით და ის-  
ტერიული პათოსით შეიჭრება ხოლმე თითქმის ყველა ოჯახ-  
ში, სადაც კი ჩართულია ტელევიზორი და აფორიაქებს და  
აბოლებს დიდსა და პატარას. ასე გრძელდება რამდენიმე წე-  
ლია. ვინც მიხვდა, ტელევიზორის გამორთვა ისწავლა და დამ-  
შვიდა, მაგრამ უმრავლესობა უკვე ცინიკურად, ირონიულ-  
პაროდიული ინტონაციითა და არასერიოზულად აღიქვამს ამ  
სისულელეს, მაგრამ რეალობის შეცვლას ვერაფერს ახერხებს.  
მოკლედ რომ ვთქვა, **ქვეყანას სააკაშვილი სჭირს** და არჩევ-  
ნებამდე რამდენიმე დღით ადრე, უმრავლესობას ემინია პრე-  
ზიდენტის მორიგი ხუმტურის გამო, არჩევნების თარიღი არ  
გადინიოს ხელოვნურად მოწყობილი დესტაბილიზაციის მო-  
მიზეზებით. ანტიციპაციური უნარი მკარნახობს რომ ზუგ-  
დიდში ეცდებიან პროვოკაციის მოწყობას. ან იქნებ, ეს ჩემი  
აღლო წინმსწრები დასკვნების შედეგია და სხვა არაფერი?!

ნაცმოდრობის რიგებს რიგითი და ჩინოსანი წევრები გამა-  
ლებით ტოვებენ, დემონსტრაციულად იხდიან და ყრიან ნაც-  
მოდრობის წითელ მასურებს, ან სულაც წვავენ უკიდურესი  
პროტესტის ნიშნად. აქ გამახსენდა და ჩავნერ ბარემ, ის საკანი,  
რომელშიც პატიმრებს აწამებდნენ 5 იყო. 5 ნაცმოს საარჩევნო  
ნომერია. ვითომ უბრალო დამთხვევაა??

იუსტიციის სახლში გამოსვლისას პრეზიდენტმა ზუსტად  
გაიმეორა იმავე დღეს, ოღონდ უფრო ადრე პატრიარქის ნათე-  
ქვამი პოსტულატი, რომ მსგავსი სისაძაგლეები მთელ მსოფ-  
ლიოში ხდება, მაგრამ მალავენ, კი არ ახმაურებენ. პატრიარ-  
ქი გულისხმობდა საპყრობილეში მომხდარ წამების და გაუპა-  
ტიურების ფაქტებს. როცა პატრიარქი ამას ამბობდა, გაცე-  
ბული და დაეჭვებული ვუსმენდი, მაგრამ მალევე გადამაინყ-  
და, რადგან ჩავთვალე, რომ აღელვებულ პატრიარქს რაღაც  
წამოცდა და ყური არ ვათხოვე. მაგრამ როცა სალამოს, იუს-  
ტიციის სახლის გახსნისას პრეზიდენტმა პატრიარქის ნათე-  
ქვამი სიტყვები დაიმონმა, საპატიმროში მომხდარი სისასტი-  
კისა და გაუპატიურების ფაქტების მისაჩქმალად და არარად  
ჩასაგებებად; ჩავფიქრდი, ვის ტვინში დაიბადა ეს ვერსია, რომ  
ასეთი ამბები, რაც ჩვენს საპატიმროებში ხდება, მთელ მსოფ-  
ლიოშია გავრცელებული, მაგრამ კი არ ახმაურებენ, არამედ  
მალავენ. ე.ი ჩვენც უნდა დაგვემალა ეს საშინელი კადრები და  
გავგეგრძელებინა მშვიდი ცხოვრება, თან ჩავგელიდინებინა  
კიდევ „ჩუ, ჩუ, არვინ გავვიგოს!“

პატრიარქის ეს სიტყვები იქცა პრეზიდენტის უმთავრეს  
არგუმენტად, მაშველ როგორც, ერთადერთ გამოსავლად, რა-  
თა თავი ემართლებინა და მომხდარი მიეჩქმალა, ვადაეფარა,  
მომხდარ ფაქტებზე გადაეფარებინა, ზერელედ შეეხედა, მაგრამ  
ამ ბუფონადას უკურეაქცია მოჰყვა.

ფეისბუქში გამოვაქვეყნე შემდეგი ტექსტი:  
...ამ ფსიქო-ტიპს ერთხანს ვუყურე, ვუსმინე, ვაკვირდე-  
ბოდი და უნებლიეთ წამომცდა და ჩავინერე:

მასში ყოველი ნეირონი  
ნამდვილად არის ნეირონი.

ეს ორსტრიქონედი, სხვა ჩანაწერებთან ერთად დაიბეჭდა  
ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, თუ არ ვცდები 2005 წელს..  
დღესაც ვნახე ამხანაგის გამოსვლა ტელევიზიით; შემანუხა  
გამოვალე, შეთხზული და დაზეპირებული ამბებით გამოწ-  
ვეულმა ცრუ-ეგზალტაციამ და ყალბმა პათოსმა.

არა, ბატონო, პატიმრების სერიული წამებით, ცემით, არ-  
ნახული სისასტიკით, გაუპატიურებით გამოწვეულ ჩვენს აღ-  
შფოთებას ვერ გადაფარავთ თქვენნივე შეთხზული ფანტასმა-  
გორიით. ეცადეთ ნულარ მოგვანყენთ თავს ერთი მსახიობის  
თეატრით, სადაც მთხველი, მსახიობი, რეჟისორიც და მგო-  
ნი მაყურებელიც, ასევე მომავალი შეთხზილი ფილმის სცე-  
ნარისტი და იდეის ავტორი თქვენ ბრძანდებით...

22.09.2012

ახალი დროის ათვლა ჩემთვის, ჩვენთვის 18 სექტემბერს  
დაიწყო, როცა ტელეკრანით ვნახეთ ამაზრზენი კადრები.  
ნულოვანი ტოლერანტობის ავტორის ხელწერა, სტილი, ენა  
დაცულია დოკუმენტურ კადრებში. ახლაც ყურში ჩამესმის მი-  
სი ისტერიული ყვირილი: ...ხელი არ აგიკანკალდეთ, ესროლეთ,  
მოკალით! ... ეს მოკვლის მასწავლებლის ხმა და მისი პენიტენ-  
ციალური რეფორმის ხმაა, ხოლო რეჟიმის სახე ის ქმედებებია  
— უკანალში შეთხრილი ცოცხები, ხელკეტები და იქიდან გა-  
მოღებული სიგარეტის დაძალებია — მონიე! მონიე!

ამ ყველაფრის იდეოლოგი ვერასოდეს მიხვდება რომ აშა-  
ვებს, ძალადობს, ყოველგვარ საზღვარს გადადის. იგი თვლის  
რომ უფლებამოსილია შექმნას, ან სულაც ახლით შეას ადამი-  
ანი, ზუსტად ისეთი, როგორც მის ავადმყოფ ტვინში ჩაისახა.

აი, აქედან იწყება მტრის ხატის ძიება. თუ ვინმე არ დაეთან-  
ხმება, ან ეჭვს შეიტანს მის მოსაზრებასა თუ უკვე განხორციე-  
ლებულ იდეაში, წარმოსახვაში მტრად აქცევს და კლავს, მარ-  
ხავს, ანადგურებს, ხოლო რეალობაში ისტერიულად გაჰკვივის,  
გარბის, მოკამათეს ამკობს უარყოფითი კითხვებით. წარმო-  
იდგინეთ რა შეუძლია წონასწორობადაკარგულ მიშას, სადმე  
ცალკე ოთახში, თუნდაც საპრეზიდენტო აპარტამენტებში თუ  
ხელში ჩაუვარდა არასასურველი არსება. ნუ წარმოიდგენთ,  
თორემ შესაძლებელია მარმარილოს საფერფლით თავგატეხი-  
ლი, საფეთქლიდან სისხლჩამოყონილი მისი თანამებრძოლიც  
დაგიდგეთ თვალწინ ან გვარიანად ნაცემი ერთ-ერთი პრემიერ-  
ი, ევროპაში რომ გადაანაცვლა სამუშაოდ და ისიც ოქროს  
დუმილის ფასად. ჩუ, ჩუ, არვინ გავვიგოს!

კი, საბრალოა, ვერ არის ჯანმრთელად, მაგრამ ჩვენ რა და-  
ვაშავეთ, ქვეყანამ რა დააშავა?! მეგალიმანით შეპყრობილი  
ფრუსტრირებული ფსიქო-ტიპი ერთობა არქიტექტურით, საქ-  
ვეყნო მომღერლების ბათუმში მოწვევით, მილიონობით ჰონო-  
რარის გაცემით და ბავშვურ ოცნებებს ისრულებს ბიუჯეტის  
ხარჯზე. სად უნდა წავიდეს? როგორ თუ ის არ იქნება პრემიერ-  
ი? ნურას უკაცრავად!! მეტი საქმე არა მაქვს, ჩემი საკუთრე-  
ბა თქვენ დაგიტოვოთ?! ჩემია! ჩემია! გაჰკვივის ისტერიულად ბა-  
ლის ბავშვით, თუმცა ეს „ვით“ რა საჭიროა? მართლაც ჭირ-  
ვეული ბავშვია. ახლა ლაზიკა აქვს აჩემებული და ჭაობის ახ-  
ლორე დარბის. ადრე სულ ბათუმსა და გონიოში დარბოდა.

—საკაშვილი გონიოშია? ისევ გაისმის კითხვა და იქვე პა-  
სუხი: კი აგონიაშია..

ერთი ჩემი კოლეგა მიმტკიცებს, რომ ის არ არის შურაცხადი,  
უბრალოდ ბოროტი, შურისმაძიებელი და ყველაფრის მკადრებე-  
ლი დემონია. ჩამაფიქრა მისი სახელის დემონით ჩანაცვლებამ და  
ჩავთვალე, რომ ჩემი კოლეგა მართალია, მაგრამ ანომალური საქ-  
ციელითაც რომ გამოირჩევა? დრო დაარქმევს სახელს...

იმას მოგახსენებდით რომ 18 სექტემბრიდან დაიწყო სრუ-  
ლიად ახალი ცხოვრება საქართველოში. როგორც კი რეჟიმის  
სახე გამოჩნდა, რეჟიმის ავტორიც კი დადუმდა და არ იცოდა რა  
ეთქვა. მაგრამ 21 სექტემბერს ერთიანად ამოხეთქა გეიზერი-  
ვით სიტყვათა ღვარამა, რომ აქაოდა, მთელ მსოფლიოში ხდება  
ასეთი და კიდევ უარესი ფაქტები, მაგრამ ჩვენსავით კი არ გაჰ-  
ყვირიან საქვეყნოდ, მალავენ, ხმას არ იღებენო. ასე მალავდა  
აბელის მკვლელობას ისიც. მასაც ურჩევნია ყველა მკვლელობა  
მიჩქმალოს, საპატიმროს სასტიკი წამება და გაუპატიურებე-  
ბიც დაიმალოს, გაქრეს. „გლდანის საპყრობილეს ფილიალი ხომ  
არ არის დანარჩენი საქართველო?“ იკითხავს გაღიზიანებუ-  
ლად და ბრძანებს იმის დავიწყებას, სადაც მისი რეჟიმის სახე  
გამოჩნდა. დაივიწყეთ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. სხვაგა-  
ნაც ხდება, მაგრამ მალავენ. ჩვენც დავმალეთ, დავივიწყეთ...

ზოგმა 18 სექტემბერი ისეთივე მნიშვნელობის თარიღად გა-  
მოაცხადა, როგორც 11 სექტემბერია ამერიკელებისთვის. 11  
სექტემბერმა მსოფლიო სრულიად შეცვალა და აბსოლუტურად  
განსხვავებული დრო დადგა. მახსენდება ბოდრიარის ბრწყინ-  
ვალე ესეი განზოგადებულ 11 სექტემბერთან დაკავშირებით.

რეჟიმის მანქანა აღარ მუშაობს, ტყუილების სანვავი წყლით გაუზავებიათ და აღარ იქოქება. კი, ტყუილები არის, რამდენიც გინდა, მაგრამ უნაპერსკლო, უცეცხლო, ვირის ფსელი რომ ჩაასხა მანქანაში ხომ არ ამუშავდება. აი, ასეა ტყუილების მანქანა და მისი მძღოლი, თავის „დოკუმენტური“ კინოგამონაგონებით და იდეებგადასვებულობით. „იდეებ რა ვუყო, დაგენაცვლე?!“ იტყოდა ხოლმე ერთი ქუთაისელი ებრაელი და ჩაიქირქილებდა ერთ პარტიულ მუშაკზე, გაუთავებელი ლაყაფი რომ უყვარდა.

**ერთი სტუდენტის მეგობრებთან გაგზავნილი ფეს-ბარათი: (ლევან დუაძე)**

გრძელდება სტუდენტური აქციები, უკვე დაიწყო შავებში ჩაცმული სტუდენტების შეკრება უნივერსიტეტის წინ(რუსთაველის მხრიდან). ამ წუთიდან გვიერთდება ბევრი სტუდენტი, უნივერსიტეტის კარები არის ჩაკეტილი და არც ლექტორებს უშვებენ და არც სტუდენტებს, მოტყუებით მიჰყავთ სტუდენტები ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გასახსნელად, ნუ დარჩებით სახლში და შემოგვიერთდით!!!

საკავშირი ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად გადაირბინოს გლდანის საპრობილეს უსაშინლეს ვიდეო-კადრებზე, უკან მოიტოვოს, სწრაფად გამოიგლოვოს ხალხმა საშინელება, რომელმაც შეძრა უკლებლივ ყველა და გაიქცეს წინ, არჩევნებისკენ. მისი რიტორიკა თანდათან მძიმდება, ისტერიული მეტყველებისას წამოცდება ხოლმე, რასაც მართლა ფიქრობს. დარბაზს მიმართა: „საპრობილეში ძალიან ცუდი რამეები მოხდა, მაგრამ რა ხელზე დაიხვიეს ეს ფაქტები? ორი მინისტრი ხომ გადაყაყენეთ? ასეთი რამეები საზღვარგარეთ ყოველდღე ხდება, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას? ჩემს ბავშვობაშიც ხდებოდა და არავის უკვირდა, ახლა რატომ იმეორებენ ერთსა და იმავეს; ხომ გავათავისუფლეთ ორი მინისტრი, მეტი რა უნდათ??“

თუ მის ბავშვობაში ასეთი რამეები ხდებოდა, ანუ გლდანის საპრობილეში აღმოჩენილი გაუპატიურებები და ტანჯვა-წამება, უსასტიკესი მოპყრობა და ა.შ. საბრალო მიშას ძალიან ცუდი ბავშვობა ჰქონია და საკუთარი მტანჯველი შთაბეჭდილებები ანუხებენ დღემდე და მძვინვარე შურისძიებით არის შეპყრობილი. ეს ყველაფერი ამ ფსიქო-ტიპის ქმედებებსა და ქცევაში ყოველთვის ვლინდება.

**...ხელი არ ავიკანკალდეთ! პირდაპირ ესროლეთ!... ნულოვანი ტოლერანტობის იდეაც მისი მძლავრი რესენტისმენტის კარნახით არის ფრთაშესხმული, რასაც გირგვლიანის მკვლელობა და ქუჩაში დახოცილი ბიჭები მოჰყვა, პოლიციისაგან შვილებმოკლული დედების რიცხვი გაიზარდა და დაზარა მთელი ქვეყანა.**

ასეთი უაზრობები დიდი ხანი არ მსმენია. დასავლეთში რომ მსგავსი დანაშაულები ხდება, მთელი მსოფლიო იგებს და დამნაშავეებს კი არ ათავისუფლებენ, არამედ სასტიკად სჯიან. მან კი ჯალათი ბადრაგები დააპატიმრა და სასამართლომ ისეთი მუხლი მიუყენა, შვიდიდან ათ წლამდე პატიმრობას რომ ითვალისწინებს. ფრთხილად ეპყრობა განსასჯელებს, თუ ხელი-სუფლებში მობრუნდა ისევე შეინწყნარებს, როგორც გირგვლიანის მკვლელებს. თავნება და ავყაია, ადამიანები სძულს და არავის უსმენს. და ტყუილებიც მის ტვინში მწიფდება; ის არის ერთადერთი სინამდვილე და ცდილობს ყველას თავს მოახვიოს, იძულების წესით დაარწმუნოს ხალხი. ახლა უკვე მომიტინგე სტუდენტები და უფლებადამცველები აითვალწუნა. ეს რიტორიკა ხომ იქით მიდის, რომ შეწყვიტონ აქციები და მოხდარი საშინელების გამოტირება, რადგან წინ არჩევნებია.

დღეს ცუდ ხასიათზე გაელევიძა, მოუხმო თავის დამქაშებს, ისინიც შემოიძურწნენ მის კაბინეტში, შემოეწყვენ მაგიდას. თვალში შესცივინებდნენ. ეს იგივეს იმეორებდა, თან არჩევნების მოჩალოჩებას ჩქარობდა. **რვა დღეში ჩემი ოპონენტები მიიღებენ ტრაურს! მანამდე ვიქნები პოლიტიკაში, სანამ ლაზიკა არ იქცევა შავი ზღვისპირეთში ყველაზე ბრწყინვალე ქალაქად.**

დაიჭირეთ აქტივისტები და კორდინატორები, ისე რომ არჩევნებისას საპატიმროში ეყარონ. არავითარი მონიტორების შიში, სადაც უნდა გაასაჩივრონ. ნურას უკაცრავად. დაიჭირეთ და ჩასვით მათი საარჩევნო კომისის წევრები. სვანეთში ორასკაციანი სამხედრო ნაწილის დაფიქსირებაზე ვინც ხელი შეგვიშალა, ახლავე დაიჭირეთ. ყველას, ვინც ხელს უშლის ჩვენს თავისუფლებას პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა შეუფარდეთ და ჩააყუდეთ. მანამდე კი ჩვენ არჩევნებს მოვიგებთ და მერე ისევე მოვალთ და სხვებსაც ფეხებით დავკიდებთ. დღუი ჩამოსდოდა, თან რაც ხელში მოხვდებოდა სანსლაგდა, ლეჭავდა, ილოლნებოდა და რასაც ჭამდა ეს მისი წარმოსახული მტერი იყო და არა რაიმე საკვები, ასე უფრო იოლად ინელებდა მტერს დროებით სიმშვიდეში გადადიოდა, თან მლიქვნელ თანამოაზრეთა აღფრთოვანებული თანხმობის კრუტუნს და დანანებრებული ბგერები ჩაესმოდა. ერთი შეკვრა ქათქათა ხელსაწმენდი ისე გადასანსლა რომ პატარა ნაგლეჯიც არ დარჩენილა. გადწვდა სინით მორთმეულ ხილს და ყველაფერი ხუთ წუთში დაფქვა. კარალიოკის კურკებს ხელისგულში აგროვებდა თეფშზე ყრიდა გამაღვითი.

ვინმე დაიჯერებდა თუ არა, ეს არ იყო მთავარი. ვინმესთვის უნდა გადაებრალებინათ გლდანის საპრობილეში მომხდარი საშინელებები და საუკეთესო საშუალებად, ერთადერთ გამოსავლად ცილისწამება დასახეს. ახლა სხედან და თავის შეთხზულ ამბავს ტელევიზიებისთვის ამზადებენ. უფროსმა უკვე მოიფიქრა სცენარი, კუდმა და სოდმა ცრუყვერსია, რომელიც ივანიშვილს უნდა დააბრალონ, რომ მან მოისყიდა გლდანის ციხის ჯალათები, ვიდეო კამერით გადააღებინა პატიმართა სერიული წამების, გაუპატიურების, არაადამიანური მოპყრობის სცენები, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცმოძრაობისთვის დაერტყათ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. გაჩნდა ვერსია და რეჟიმი შეუდგა მის შესრულებას. რეჟისორი, მთავარი სცენარისტი და პროდიუსერიც სააკაშვილი და მისი სამოდე ლაქია გახლდათ. ეს ჯგუფი ერთსულოვნად მუშაობს და კოლექტიურ მეს თხზავს, როგორც მისტიკურ რეალობას, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა და ყოველივე. ნაკლებად ალელვებთ დამაჯერებელი იქნება თუ არა მათი „მტკიცებულებანი“, მთავარია ცილი დასწამო, მერე ამ ყოველივეს ჯიბის სასამართლო გააპრავებს. ვშიშობ, კადაფის ხვედრი არ გაიზიაროს. მწყობრიდან გამოჰყავს ხალხი ამდენ სიცრუეს და უსამართლობას. გროვდება პროტესტი, ჯერ სტუდენტური, უფლებადამცველები რომ ამოუდგნენ მხარში, მერე კი მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება.

ამათ არც ეს ანუხებთ, რეჟინის ტყვიებს და მიტინგის დასარბევ ნებისმიერ საშუალებას ეზიდებიან დასავლეთ ევროპიდან, გემებით, სხვა ტრანსპორტითაც, ისევე რომ დაგვაღუმონ, მონამლული ჰაერი გვასუნთქონ, თავები გაგვიტეხონ და ა.შ. ერთმა სპეცნაზელმა ოფიცერმა დატოვა ნაწილი პროტესტის ნიშნად და ქართულ ოცნებას შეუერთდა, განაცხადა თურმე, ჩემს ხალხს ვერ დავარბევო.

როგორც გაირკვა დარბევისთვის ემზადებიან, მაგრამ როდის აპირებენ დარბევას, არჩევნებამდე თუ არჩევნების მეორე დღეს?? ეს საკითხი ახლა წყდება შეფიცულ დამნაშავეთა ავადმყოფ და შეერთებულ ტვინში.

ორი მინისტრის გათავისუფლება საკმარისიაო, თქვა მთავარმა რეჟისორმა, თან გულში გაიფიქრა, ასე რომ გაგრძელდეს, ჩემს გადადგომასაც მოინდომებენ და მომიტინგეებს მთავარი დამნაშავეებისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტა, მაგრამ იმას კი ვერ ხვდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფაჩიკოს გარემონივით დაიშლება ეს ყველაფერი. მართლა, ნეტავ ვინ იყო ფაჩიკო?... ბავშვობიდან მახსოვს. ერთხელ ამისხსნა ბებიჩემმა და გადამავინცდა.

ახლა ვანო მიადგება მიშას ციხადის მოზვერივით. ეს ციხა-ძე ვინლა იყო?? როგორ რჩება მესხიერებაში გახალხურებული მხატვრული სიტყვა-თქმანი. მთელი ისტორიაა ჩანწეხილი ასეთ გამონათქვამებში. ამათხეც შეითხზვება უარყოფითი კონტექსტის კალამბურები.

- მიშა გონიოშია?
- არა, აგონიაშია!

გადამრევს ეს კაცი. გაბრაზებულია იმით რომ გლდანის საპყრობილეში გამოაშკარავდა სამინელი წამების ფაქტები და მოედო მთელ მსოფლიოს. უცბად ახლა მოინდომა თავის პასუხისმგებლობა ბიძინა ივანიშვილს გადააბრალოს. მთავარია ცილი დასწამო და გაიარო, მერე საკუთარი ტელეარხებით სიცრუე ჭეშმარიტებად გაასალო. არა, ეს ტიპი ნამდვილი შულერია და ისეთივე მორწმუნეა, როგორც პირველის გარდასახველი. პირველის გადასახვისას, შუბლის ნაცვლად მხარზე უაზროდ აცაცუნებს ხელს.. რატომ მებრალება დროდადრო ეს ტიპი?! ვფიქრობ და ვერ ვხვდები, ზოგჯერ, რად მიჩნდება მის მიმართ სიბრალულის განცდა?! ერთადერთი, რაც იცის, ვირტუალური სივრცის გამოყენებაა და პიარი — თეთრი და შავი. ..დაბლა შემოჰკარ რბილოსა.. ხოდა ამირანიც შემოჰკრავს რბილოსა და დაამარცხებს მტარვალს. აი, ეს დაბლა შემოკვრა სცოდნია ბიძინას. კიდევ შემოჰკარ რბილოსა... ხალხური სიბრძნე გვიჩვენებს ვიცოდეთ, რომ თუ მტრის დამარცხება გვინდა, მისი სუსტი წერტილები უნდა გავიგოთ და იქ დავკრათ, სადაც „რბილოა“. ეს ხომ ისედაც სუსტი წერტილების ჯამია, ერთი დიდი, სუსტი წერტილია, ხელისუფლებას თუ მოაშორებ და ტელევიზიას ჩამოართმევ, ერთი მომჩივრული ლაჩარი შეგვჩნდება ხელთ. ძალაუფლებით აღჭურვილი, ტელევიზიებზე მომჯდარი და დაფინანსებულიც კი უკვე ბუტაფორიაა, რადგან პაროდიად იქცა მთელი მისი მოქმედებანი და უაზრო ყბედობა. სამინელი მიზანთრობია. ადამიანები სძულს, ეზიზღება. მიტომა გამწარებული რომ შეექცევა „სალოფტს“, სინამდვილეში ეს ხელსაწმენდი მის წარმოსახვაში მტერია, რომელსაც სანსლავს და ანადგურებს. არ არსებობს ყავლგასული სიტყვა, არსებობს ყავლგასული, უზნეო არსება, რომლის ნათქვამს არავითარი ფასი არ აქვს. ასეთია ზნეობრივად გაკოტრებული ტიპის დამსახურებული ხვედრი — სრული დევალვაცია. სამწუხაროდ ასეა და ამიტომაც მებრალება, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ ლაჯებში რომ გამოიმწყვდია მთელი ქვეყანა და გვაჭენებს?! მისი ისტერიები ელვისისწრაფით ვრცელდება მთელს ქვეყანაში და აფორიაქებული, დანევროზებული ხალხი კედლებს აწყობდა, არავინ იცის რა ქნას, გარდა იმ ჩიორებისა, ათას ცილისამებში რომ გაიწაფნენ და „პარტიის სიმტკიცეში“ შეაქეთ თავისი წვლილი. ეს პალიკო სადღა გაქრა? რაც მოსაჩხიბი იყო მოჩხიბა კანონები, გამოიგონა რეგულაციები, დააგო ხაფანგები, კაკანათები, გათხარა ორმოები და ახლა აამუშავებს უსამართლო კანონები და პალიკო განზე გადგა, შორიდან შესტრფის, როგორ მუშაობს მისი მოჩხიბული, არაადამიანური, ერთი ადამიანის დასამარცხებლად გამზადებული საკონსტიტუციო და სხვა კოდექსებში შეტანილი ცვლილებები. პალიკოს და სხვათა შეთხზული კანონების უმრავლესობა მახეებია, რომელშიც უნდა გაეგებს მხოლოდ მონინააღმდეგე. აი, როგორ იყენებენ წინასაარჩევნო დღეებში ამ სამართლებივ ნორმებს?!

უამრავი ადამიანი დაიჭირეს და ერთადერთი მიუხილი მიუხადაგეს, პოლიციისთვის წინააღმდეგობის განევა. ასე ჩამოაცილეს საარჩევნო კომისიას 40 დღით დაპატიმრებული ჟორჟოლიანი და ბევრი სხვა. გეცემა პოლიციელი, დაგიპირებს იარაღის ან ნაკოტიკის ჩადებას, შენ შეენინააღმდეგე, აბა, რას იზამ, მერე იმ მიზეზით, რომ შეენინააღმდეგე, ჩაგაყუდებენ. არვინ შეგეკითხება რას და რატომ შეენინააღმდეგე.

არადამიანური რეჟიმი გააბატონა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ. ცოტაც და მთელი არანაცონალური საქართველო გაქრება, მათი მიზანიც ეს არის. ნუ მიესადაგები ხელისუფალს, ნუ ითანამშრომლებ მასთან. ერთი მწარე ზუმრობა მახსენდება ჩემი სკივრიდან: „აძლია კეისარს კეისრისა და ბოლოს თვითონ გეისრისა.“

სად არის ლალი, ლიმილიანი, კეთილი და მოსიყვარულე საქართველო, სად და როგორ გადაგვიმალეს ამ ბარბაროსებმა? პეტრე მამრადე: „საკაშვილი ურეკავდა მერაბიშვილს და წამების დეტალებს კითხულობდა, თუ როგორ ანამეს, რას ყვიროდა, როგორ კვენსოდა პატიმარი. რაც შეეხება გადაღე-

ბას, პეტრე მამრადე ამბობს, რომ ესეც ახალაიას დავალებით ხდებოდა.“

მამუკა არეშიძის საარჩევნო შტაბის უფროსის მოადგილეს, ნუხელ ლამით დახვდნენ სადარბაზოში და სახეში მუჟავა შეასხეს. საავადმყოფოში გააქანეს და ჯერ უცნობია ჩემთვის ამ ადამიანის ბედი. სახე დამწვარი აქვს და ორივე თვალი დაზიანებული. სატანური ძალა მოქმედებს. არ დაგიდევენ კარსმომდგარ არჩევნებს, მონიტორებს და საელჩოებს, სამართალდამცველებს და მეტადრე უწყებათა შორის კომისიას. თვითონ ჩივიან, ჩვენს წევრებს ავინროებენ, დასცინიან და „ოცნებაში“ გადაბირებას, მოსყიდვას ცდილობენო. ამ ბრალდებით დააპატიმრეს მაჟორიტარობის ზოგიერთი კანდიდატი.

ჯალათები, პროკურორი და ციხის თანამშრომლები ასე მიმართავენ პატიმარს, რომელსაც ცრუ აღიარებით ჩვენებას აიძულებენ: „აღიარე თორემ პრ...დან ამოგართმევთ სულს!“ ეს კი ნიშნავს რეზინის ხელკეტით ან ცოცხით გაუპატიურებას. ამას ადასტურებს ნაპატიმრალი ფოტო-რეპორტიორი გიორგი აბდლაძე, რომელიც აიძულეს ეთქვა, რომ ვითომ რუსულმა სპეც-სამსახურებმა გადაბირეს ცხივალში ყოფნისას და მას შემდეგ მათ დავალებებს ვასრულებო...

ამ ორიოდ დღეში ოცი ადამიანია დაჭერილი, ყველა „ქართული ოცნების“ აქტივისტი, საარჩევნო კომისიის წევრი და ნაცების განზრახვათა ხელისშემშლელი პირია. ფაშისტური ტერორი გრძელდება და ამით არ დასრულდება.

როგორც ამბობენ, არ ვიცით რამდენად მართალია, ბოკერია მოსკოვშია და რუსეთის მაღალჩინოსნებს ხვდება საიდუმლოდ. ეს რუსიმოძულეები იმპერიის კარზე დანაწილებენ? ორსახოვანი იანუხის ანტირუსულ სახეს კარგავს და რუსოფილობას იბრალებს და ერთსახოვნდება. დიდი ხნის წინათ ვნერდი, უკიდურესი გაჭირვებისას, თვითონ ეახლებიან კრემლს და შეგვარუნებენ იმპერიის სტომაქში. გაუჭირდათ და დაიწყეს მოსკოვში სირბილი?! ვნახოთ რას მოიხელთებენ პუტინის კარზე ნაცმოძრაობის იდეოლოგები?!

\*

ჩემი ბიბლიოთეკა გადავაქოთე და ვერსად ვიპოვე მარკესის „პატრიარქის შემოდგომა“; მინდოდა ხელახლა წამეკითხა, მაგრამ დიდხინის ძებნის მიუხედავად, მაინც ვერ ვიპოვე. ძებნას შევეშვი და გავიფიქრე: რალას ვეძებ, როცა პატრიარქიც აქვეა და მისი შემოდგომა, ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქვეყანაში, ბაღებსა და სკვერებში და რაც მთავარია ტელე-ეკრანებზე („ზედ წამწამზე მიზიხარ“) თავის თანმდევი, მაზალო კათედრით, ყველგან და ყოველთვის, ყველგან და არსად; უცბად ამოიზრდება ხოლმე თვალწინ, შემოგვივარდება სახლებში და იწყებს ქაქანს.

ერთხელ გრინგოებმა შემოგვივარდულეს, მივდივართ, გტოვებთ ამ შენს ბინაში ბორდელში, ვნახავთ, უჩვენოდ რისი გამკეთებელი ხარო, და თუ მაშინ არ ვადმობრძანდებით მაგ სავარძლიდან და არც ახლა აპირებთ ამის გაკეთებას, იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ძალიანაც კარგად გინდათ, მაგრამ გემინათ, იცით, ქუჩაში რომ გამოჩნდეთ ჩვეულებრივი მოკვდავივით, ადამიანები ძალღებვივით დაგესევიან, დაგვლეჯენ სანტა მარია დელ ალტარში გამართულ ხოცვა-ჟლეტვისთვის, პატიმრები ცოცხლად რომ ჩაუყარეთ ნიანგებს წყლით საესე ორმოში, იმისათვის, ადამიანებს ცოცხლად რომ გააძვრეთ ტყავი და მერე ამ უბედურთა ოჯახებს გაუგზავნეთ, აქაოდა, ვინც ჭკუით არ იქნება, ყველას ასე მოუყვარო იმისთვის... არაგონესმა დაგუბებულ წყენას გზა მისცა, მოგონებათა უძირო ჭიდან ქაჩა და ქაჩა საზარელი ამბების კრიალოსანი და ისე მარცვლავდა, თითქოს სათითაოდ აღუვლენდა ლოცვას კაცოჭამია რეჟიმის მსხვერპლთ. (მარკესი „პატრიარქის შემოდგომა“)

ბოლო დროის გააფთრებულ რეპრესიებს მთელ საქართველოში, თავის გატეხვებს, ნიღბიანების თავდასხმებს, დაპატიმრებებს ჰყავს ერთი მბრძანებელი და ათასი შემსრულებელი. ყველანაირად ცდილობს სამოქალაქო ომის დაწყებას და



ჯერ ბოლომდე ვერ ბედავს. ვერ გადაფარა გლდანის საპრობლეოდან გამოღწეული უსასტიკესი და სადისტური კადრებით გამონვეული აღშფოთება. მოედო მთელ მსოფლიოს და დემოკრატიის შუქურის ავტორი იქცა მონსტრად.

აი, რას ფიქრობს ბრიტანელი პარლამენტარი დენის მაკჟენი თბილისში საპრობლეოში მომხდარ შემზარავ ფაქტებზე.

„ყოველი ერი ფასდება იმით, თუ როგორ ეპყრობიან იქ მოქალაქეებს და განსაკუთრებით ტუსალებს. ვიდრე არჩვენა, რომ საქართველომ ვერ გაიარა ეს გამოცდა და კარგი იქნებოდა, ყველა პოლიტიკოსი – მიუხედავად პოლიტიკური პლატფორმისა – რომლებიც ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძვიან, შეჩერდებოდა და დაუფიქრებოდა იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული სინამდვილე სრულად შეესაბამებოდეს ადამიანის ევროპულ კონვენციას“.

**შეზღუდვების მხარდამჭერი პარტიები (ცესკო ბრძანებას ასრულებს)**

24 სექტემბერს ცესკოს სხდომამ, გამოგონილი რეგულაციების მომიზეზებით, ფაქტიურად აკრძალა საარჩევნო უბნებში ვიდუო-კამერის შეტანა, ფოტო-გადაღება, იქვე ინტერვიუს ჩანერა, რაიმე კომენტარის გაკეთება. შეზღუდვები დაწესდა თითქმის ყველაფერზე, რაც მანამდე კანონით დაშვებული გახლდათ და ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სიბნელეში აპირებენ არჩევნების ჩატარებას ანუ გაყალბებას. გარყვნილი ბიჭი ძალადობს... ვერ იძალადებდა, რომ არ ეხმარებოდნენ მისი მორჩილი ხარანტივილი, ქდმ და მემარჯვენეები. ცესკოში უმრავლესობა სწორედ ქდმ-სა და მემარჯვენეების მხარდამჭერი გაფორმდა და დაანესეს ის შეზღუდვები, რასაც კანონი არ ითვალისწინებს და ამიტომაც იყენებენ ამ ჯადოსნურ სიტყვას რეგულაცია. ყველამ დაინახა, ვინ არის უმრავლესობის მომხრე სატელიტური პარტიები, უმრავლესობის მდუმარე მხარდამჭერები.

თუ ალლო არ მალატობს, ეგენი, საერთოდ პარლამენტს გარეთ დარჩებიან და უმიშაოდ რა ხმებსაც მოიპოვებენ დავინახავთ. ასეთ უზნეობას რომ ვხედავ ვლიზიანდები, მაგრამ პოლიტიკაში, ზოგიერთ ფსევდო-პოლიტიკოსებისთვის მოსულა ასეთი თვალთმაქცობა. ვითომ ნაციონალურ მოძრაობას აკრიტიკებენ, თითქოს რეალური ოპოზიცია იყოს და არა მოსყიდული სუბიექტები. პარლამენტში თბილა და მიეჩვივნენ იქ ყოფნას, იქ შესაღწევად კი აუცილებელია მიშას მხარდამჭერა და გარიგების პირობების შესრულება.

ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატივილიმა განაცხადა, ფოტო და ვიდუო გადაღებისთვის დასაწყისიდან 10 წუთის განმავლობაში გადაადგილება თავისუფალი იქნება, ხოლო 10 წუთის შემდეგ კამერები განთავსდება მინიმუმ 3 მეტრის გადასაღებ მანძილზე,

მინანერი: ინგა გრიგოლიამ გლდანის მაჟორიტარულ ოლქში არჩევნებიდან მოხსნა თავის კანდიდატურა მას შემდეგ, რაც გაიგო რომ მისმა პარტიამ მხარი დაუჭირა ცესკოს, საარჩევნო უბნებში ფოტო და ვიდუო გადაღების შეზღუდვას. ინგა გრიგოლიას პროტესტი თანაპარტიელების მიმართ სრულიად გასაგები და ზნეობრივია.

**პ.ს.** ინგა, როგორც მისი პარტიელები გვაუწყებენ, ალელდა, ფსიქოლოგიურმა ზენოლამ აანერვიულა და როგორც ჩანს გააგრძელება გლდანში მაჟორიტარი დეპუტატობისთვის პრძოლას.

ან წასვლა რა იყო ან დაბრუნება?! ზავმეურ თამაშს დაემგვანა ეს ყველაფერი.

**24.09.2012 (ნინო მიქიაშვილი)**

იფარის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში შეკრებილ მრევლს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, ანუ 21 სექტემბერს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ილარიონმა (ქიტიაშვილი) ქადაგებით მიმართა მრევლს.

მეუფე ილარიონის თქმით, ქართველი ერის დაჩოქება და განადგურება უნდათ. ეს ხელისუფლება არის ბოროტება და ამიტომ, ბოროტებამ თავისი არსებობა უნდა დაამთავროს.

მეუფე ილარიონი მმართველი პარტიის მხარდამჭერებს კეთროვანებს, წყეულებს, უზნეობებს უწოდებს, ვისაც აქვს მონოპოლია ძალადობასა და უწესობაზე. ქადაგებისას ეპისკოპოსი წყევლის ამ ბოროტ ძალას და მრევლს უსურვებს ბედნიერებას და უკეთეს დღეებს.

წყევლა რომ გავიგონე, შევკრთი, შევშინდი. გამეტებით დაწყევლა. გურიის წინამძღვარი ოპოზიციის მომხრე მრევლს წყევლის აქ, სვანეთში კი პირიქით, ხელისუფლების მომხრე ადამიანებს წყევლიან. განა შეიძლება ამ აბსურდის დავიწყება?! ეს გახლავთ ჩვენი ეკლესიის და ქვეყნის გახლეჩილი, გაორებული და გამრუდებული სახე. ეს იყო უკიდურესად გამწარებული ადამიანის წყევლა, როცა სხვა გზა არ რჩება და გაბატონებულ ბოროტებას წყევლის, თითქოს ყოველ სიტყვას დამიზნებით გზავნის ადრესატისკენ.

საკაა გაეროში სიტყვით უნდა გამოვიდეს. გაფრინდა. დავალება წასვლამდე შეუსრულეს. ხვალაც გააგრძელებენ პოლიცია და ნაცმოძრაობის ნიღბიანები... სტუდენტთა აქციების ერთ-ერთი ლიდერი (ვაგარელი დაპატიმრეს სრულიად უმიზეზოდ. ისევ პოლიციისთვის დაუმორჩილებლობას იმიზეზებენ. დანაშაული არ არსებობს, მაგრამ არის ბრალდება, მერე რა რომ ცრუბრალდებაა, უფროსს ასეთი ხომ აქვს. 400 ლარი დააჯარიმეს. ზრუნავს პრეზიდენტი ბიუჯეტის შევსებაზე. ერთი ვინმე დაითვლიდეს რამდენს შეადგენს ჯარიმებით შემოსულო თანხის ოდენობა.

მერე რა რომ ბრალი არ მიუძღვის?! კანონში ხომ წერია? წერია! მე დავაბრალებ დაუმორჩილებლობას და ვისაც მინდა დავაპატიმრებ და დავაჯარიმებ. ჩავაყუდებ. ჰოდა, ჩააყუდა კიდევ. ერთ რამეს ვერ ითვალისწინებს ეს ოხერი. მისი აღარავის ეშინია. იგი დამთავრდა მთელი ქვეყნის თვალწინ, იქცა კარიკატურად და როგორც ნამდვილს აღარავინ აღიქვამს. მოკლულთა ნაწამებთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და რეჟიმის ავტორი არ აპირებს პასუხი აგოს. უნდა გადაივიწყოს, მიჩქმალოს მკვლელობები, სადისტური წამებები, არც კი სჯერა რომ რამე დაამავა. „ახალ სახელმწიფოს ვაშენებდი და მსხვერპლის გარეშე როგორ ამეშენებინა?! ვილაცა შემოგვაკვდება, ვილაცას ქონებას ჩამოვართმევთ, ზოგს დავიჭერთ, მივებმარებით ადამიანად იქცეს.“ რითი მიეხმარები, პროჭიდან სულს ამოხდი? ისევ დუბინკის იმედად ხარ?! წადი ახლა შენს საკანში და საკუთარი გვამების დათვლას შეუდექი. არ დაითვლი და თვითონ გამოგეცხადებიან ცალცალკე, მორიგეობით, ზოგჯერ ერთად...

იმ დღეების ზეპირსიტყვიერება: „საპრობლეოში აღმოჩნდა მარკიზ დე სადის დესანტი... მიშა, იმასვე მომკი, რასაც ციხეში თესავდი...“

**25.09.2012**

გრძელდება „ქართული ოცნების“ საუბნო კომისიის წევრების დაპატიმრება და სხვა წევრებზე ჯგუფური თავდასხმა და მათი სასტიკი ცემა. ნაწილს აპატიმრებენ, სასტიკად ნაცემები კი საავადმყოფოში გადაჰყავთ. ამ ყველაფრის უკან დგას ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც რახანია ცდილობს სამოქალაქო ომის გაჩაღებას, მაგრამ საბედნიეროდ ჯერ არ გამოსდის, მეორე მხარის თავშეკავების და სიფრთხილის გამო.

უკვე გამოქვეყნდა ეუთო-ს დამკვირვებელთა შუალედური დასკვნა, სადაც ნაცმოძრაობის მხრიდან მკვეთრად უარყოფითი ფაქტებია წარმორჩენილი. ბოლო დღეების შედეგებიც დაიდება ზუსტად და ვნახავთ ეუთოს მორიგ დასკვნას. არჩევნები ალბათ უარესი ცემა-ტყეპისა და ძალადობის ფონზე ჩატარდება. ომი გამოაცხადა გაკოტრებულმა მხარემ და ურცხვად ძალადობს. წინასწარ ვგრძნობ, თუ ამ ტოტალურ დარღვევებს გაყალბებაც დაემატა, არჩევნებს ეუთო და სხვა მონიტორები ლეგიტიმურად არ ჩათვლიან.

ამის მერე იწყება ჩიხი, რომელშიც ჩარჩება სააკაშვილი და მისი მომხრეები, ძალოვნები და უდანაშაულო ხალხი. დასავ-

ლეთი თავის პოზიციას გაახმოვანებს და საქართველოს დამუქრება იზოლაცია და ეკონომიკური სიდუხჭირე. სააკაშვილი ამას მოიმკის და ყველაზე მეტად დაზარალებულნი ჩვენი ხალხი და სახელმწიფო. სააკაშვილმა ეს იცის და ამიტომ იმუქრება — ვისაც უკან, სიბნელეში დაბრუნება გინდათ, გაპყვეით ხაინძრავას, ხოლო ვინც პერსპექტივაზე ფიქრობთ — აირჩიეთ ზღუდად და ყოფილი სახალხო დამცველი.

ამ კონტექსტში იკითხება — თუ მხარს დაუჭერთ ნაციონალურ მოძრაობას, სიბნელეში არ დაბრუნდებით, ხოლო თუ მიემხრობით იმას, ვისაც უჭერთ მხარს, დედა გეტირებათ.

აი, ვინ არის რეალური მგრეველი და აკვიტების მონა. ჩვენი მღვდლების ერთი ნაწილი სულ მაგის წყევლაში არიან.

ეს ნეობოლშევიკური ძალა სიძულვილზე აღმოცენდა და მათ მოჩვენებით ძალასაც სიძულვილი ასაზრდოებს. ძალაუფლების შენარჩუნებას სააკაშვილი ვეღარ შეძლებს, უკვე თიხის ფეხებზე დგას და ცდილობს საკუთარი დანაშაული ბიძინას გადააბრალოს და ასე გააპრავოს თავის ტანჯვა-წამების და დუბინკით გაუპატიურების უმაღლესი სკოლა, რომლის აღმშენებელი პრეზიდენტმა დააჯილდოვა სახელფასო პრემიით, სახელმწიფო სარგოვები და დაცვა დაუტოვა და ბიზნესის ხელშეუხებლობას შეპირდა. როდემდე შეძლებს სააკა ბაჩოს და სხვა დანაშაულთა პატრონობას და სამშვიდობოზე გაცილებას, როცა მის თავზე შეიკრა საშინელი ღრუბელი და ისე იქუხებს, რომ შემინებული პირველ დემხობა ისე, როგორც შუაგულ ქართლში 2008 წელს. ეს ფაფხური დიდხანს ვერ გასტანს, საამისო რესურსი აღარ გააჩნიათ. გემის ჩაძირვის წინ დაინყება ვირთხების გაქცევა და მერე უცბად იხუვლებს ერთიანად, თუ უკვე არ დაინყეს საბანკო ანგარიშები-სა და გასატანი ნივთების მოწესრიგება, ბინის დასავლეთში შეგულება, ვისაც ჯერ არ გააჩნია. ეს პროცესი თავისთვის მიმდინარეობს, მაშინაც კი, როცა ოცნების აქტივისტებს არბევენ, იჭერენ და სცემენ. ასე იხანგრძლივებენ დროს, რათა ყველაფრის გატანა მოასწრონ, თან იღრინებიან ან ბოროტად სდუმან. მხოლოდ ის თუ გამოხტება თანმდევ ტრიბუნასთან ერთად და მორიგ სიტყვიანებს დააბრუნებს, მაგალითად ასეთს: ვინც უფლებათა დარღვევაზე ცრემლებს აღვარღვარებდნენ ნარკობარიგა ტაბატაძის მეგობრები არიან და მათ შესვეს მთელი საქართველო ნებსზე. მსგავსი სიტყვიანი არ გამოიგონია. უფლებათა დარღვევაზე ცრემლების ღვარღვარი კი არა, მიხო, საშინელებათა ვიდუო ფირი ნახა მთელმა საქართველომ და შოკში ჩავარდა. საიდან ასეთი ცინიზმი? ე.ი. ვინც ცრემლებს აღვარღვარებდა ნანახი საშინელების გამო, ყველა დაცინვის ობიექტია ქვეყნის პრეზიდენტისთვის??? თვითონ და მისი ამფსონები ხომ ერთობოდნენ ამ ფირების ყურებით?! ყოველ ნაბიჯზე ჩანს, რომ მას ადამიანურობის დეფიციტი აქვს, საშინელი ეგოისტი და მიზანთროპია და სისასტიკის გარეშე ვერ წარმოუდგენია პენიტენციური სისტემა და საკუთარი არსებობა. მისი იდეები განახორციელდა ბაჩო ახალაიამ, შაშკინიც იქ გაამწესა და გამოწვრთნა, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა პრეზიდენტის ხელდასხმული. საჯალათო სკოლის გაუვლელად წარმატებას ვერ მიაღწევ. მიშა, ერთი საპყრობილეს ააშენე, უფრო თანამედროვე, ვიდრე გლდანის დანესებულებათა. და საერთოდ, უმაღლესი სკოლა ხომ აგვეშენებინა, სადაც ჯალათის პროფესიას აითვისებენ. რექტორად ბაჩო დანიშნეთ. ამ საგანმანათლებლო სკოლაში ასოდე სტუდენტი ისწავლის და საუკეთესოებს, ენასაც თუ დაუფლებიან საფრანგეთში გავაგზავნით ჯალათური ნოვაციების დასანერგად და გასაზიარებლად. სხვა ევროპული ქვეყნებიც მოითხოვენ კვალიფიციურ კადრებს და... ისე რა კარგია, არა, რომ გკითხავენ:

- სად ჩააბარა თქვენმა შვილმა?!
- საჯალათოზე..
- რომელ სპეციალობას ეუფლება?

—უკანალიდან სულის ამორთმევის ტექნოლოგიას. ეს ძალიან რთული პროფესიაა და თეორიული სწავლების შემდეგ ეწყებათ პრაქტიკული მცადინეობა, ჯერ ცოცხის, ხოლო ბოლო კურსზე დუბინკის შეყვანაში დაოსტატდებიან. ახლა უკვე

ვაზელის იყენებენ და ისეთი მტკივნეული აღარ არის, სიამოვნებით უძლებენ...

ასეთი დიალოგი მომესმა იმ მომავლიდან, რომელსაც მე ვერ მოვესწრები და ღმერთმა თქვენც ნუ მოგასწრით მეგობრებო. ისე, რა დამსახურება ჰქონია ბაჩოს, იქიდან სულის ამოხდის საქმეში, ასე რომ დააფასა მისი ალალი შრომა ქვეყნის პრეზიდენტმა?!

ბოლო დღეებში გამძვინვარებული ტერორი სააკაშვილის ხელნერაა, პასუხია გამოაპკარავებული წამების უფლებადამცველების და საზოგადოების უმკაცრეს რეაქციაზე, გამოწვევაა მონიტორების და ეუთოს და საერთოდ ყველასი, ვისაც ევალება ამ ვითარების შესწავლა და დასკვნის გამოქვეყნება. სამ-ოთხ დღეში ასამდე ადამიანი დაკავებული პოლიციისათვის წინააღმდეგობის განვიც გამო. საინტერესოა, რომ ყველა დაპატიმრებული პირი ქართული ოცნების წარმომადგენელია, ყველა მათგანი ან საოლქო, ან საუბნო კომისიის წევრია. ასე ორგანიზებულად გრძელდება ქართული ოცნების წევრების დაპატიმრება მთელ საქართველოში. დამდგმელი რეჟისორი და მთავარი პოლიციამისტიკური სააკაშვილია. გადანყვიტა არჩევნების გაყალბება ქართული ოცნების საარჩევნო კომისიების წევრების მასობრივი დაპატიმრების და ცესკოში ახალი რეგულაციების დამტკიცებით, რაც ითვალისწინებს ვიდუო და ფოტო გადაღების შეზღუდვას, ინტერვიუს აღების აკრძალვას, რაც თავისთავად ნიშნავს სიბნელეს და გაყალბებისთვის ხელისშეწყობას. ძალადობს სააკაშვილის რეჟიმი ყოველნაბიჯზე და არც ერიდება ყალბისმქნელობას. ჩემთვის ვფიქრობ, ვინ ყოფილა ეს სააკაშვილი?! მართალია ჩემი მეგობარი, ბოროტი დემონიაო, რომ თქვა. მე კი დავეთანხმე, ბოროტი დემონია, მაგრამ მაინც სულელია-მეთქი. ყველაზე უკეთ იცის, რომ ნაგებული აქვს არჩევნები, მაგრამ ცდილობს შეუძლებელს შენედეს, შეურაცხყოფილი არ დარჩეს საკუთარ მეგალომანურ სურვილებთან, ამიტომ გაშლევებული მიდის ყოველგვარ დარღვევაზე, რომელსაც აღწევს მონიტორები და წინასაარჩევნო შუალედურ დასკვნას დადებენ, რასაც მოჰყვება მთავარი დასკვნა, არჩევნების ჩატარების მერე და დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი თავს გამარჯვებულად სასწრაფოდ გამოაცხადებს. რალაც ხრიკს მოიგონებს და გამოაცხადებს. მთავარია ეუთოს და სხვა დამკვირვებლების შეფასება. მაქვებს ბლოკოსი დამკვირვებლების ობიექტურობა. მიშამ მოიწვია ბელორუსები.

წინასწარ მკითხაობას რა აზრი აქვს? არაფერი. მე ერთი ვიცი, თუ ეს ხელისუფლება დარჩა, რასაც გამოვიცხადებ, ქვეყნის ბედი უაღრესად დამძიმდება. მერე ნახეთ რეპრესიები და ექსპერიმენტული ნამებები ციხეებში და შემინული პოლიციის შენობებში. რომ დასცალდეს, შუშის ციხესაც ააშენებს და დაიფიცებს რომ გამჭვირვალეა მისი შუშისციხე.

არა, გიჟი არ არის, შლეგია. რამეს რომ აიკვიტებს უეჭველად უნდა შეასრულოს, საორემ კონფუსიები ეწყება, ნადგურდება, იმჩვრება, დუჟი გადმოსდის პირიდან. ასეთი მლეგური სურვილი და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა კარნახობს წარმოსახვაში სწრაფად დაალაგოს მოსახდენი მოვლენები და დადოს მოქმედების გეგმა. იხმობს შემსრულებლებს და დეტალურად გააცნობს სამოქმედო გეგმას. გეგმაში გამსაზღვრელია არა რეალობა, არამედ სურვილის სიძლიერე, რომელიც იზომება არა ლოგიკით, არამედ მიზნით და აქვე ჩასაფრებულა მაკიაველის ფრაზა — მიზანი ამართლებს საშუალებას, რაც ძალიან კარგად აქვს გათავისებული და ძირითადად ამ აფორიზმით საზრდობს, მაგრამ სურვილი იმდენად ძლიერია, რომ ასწრებს საქმის დასრულებას და ამჯერად უკვე ვეჭვობ ეუთომ, ყველაზე სერიოზულმა ორგანიზაციამ, გაყალბება სამართლიანად ჩათვალოს. რასაც მე ვვარაუდობ, მასაც დათვლილი აქვს, მაგრამ ურჩევნია უკიდურეს შემთხვევაში ასე მოხდეს და გადავადდეს არჩევნები, ვიდრე მშვიდობიან და სამართლიან არჩევნებში დამარცხდეს. ამბიციის ტყევა და საკუთარ თავს ვერსად გაექცევა, მაგრამ დამარცხება მაინც მოუწევს.

დასასრული შემდეგ ნომერში

პაულ ცელანი (1920-1970) დამსახურებულად მოიაზრება XX საუკუნის უდიდეს ლირიკოსთა შორის. პაულ ანჩელი, შემდგომ კი ლიტერატურაში ცელანის ფსევდონიმით (ანაგრამა რუმინული Ancel-ისა) ცნობილი პოეტი, დაიბადა ჩერნოვიცში (რუმინეთი). ბუკოვინა რუმინულ, უკრაინულ, ავსტროგერმანულ და, რაც მთავარია, ებრაულ კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარეობდა და ამ გარემოებამ ჩერნოვიცი მთელი რიგი ცნობილი პოეტების სამშობლოდ აქცია, მათ შორის გერმანულენოვანი ებრაელი პოეტებისა, როგორებიც არიან: როზა აუსლენდერი, მოზეს როზენკრანცი, კლარა ბლუმი, ალფრედ გონგი და სხვები.

ცელანი დაიბადა საშუალო შეძლების ებრაულ ოჯახში. მამა - ლეო ანჩელ-ტილიერი, განათლებით მშენებელი, ხე-ტყის გამსაღებელ მაკლერად მუშაობდა, დედა - ფრედერიკა შრაგერი, მახვილგონიერებით გამოჩენილი ქალი იყო, ბევრს კითხულობდა და უყვარდა გერმანული ლიტერატურა. ცელანი დედასთან უფრო მეტ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა და მის ტრაგიკულ აღსასრულს სიცოცხლის ბოლომდე მტკივნეულად განიცდიდა. როგორც ცნობილია, მამა საკონცენტრაციო ბანაკში ტიფით გარდაიცვალა, დედა კი დახვრიტეს. მეორე მსოფლიო ომის კატასტროფა მძაფრად აისახა პოეტის ფაქიზ ფსიქიკაზე და პოლოკოსტი მისი ცხოვრების თანამდევ ამოუწურავ თემად იქცა.

1947 წელს რუმინეთიდან არალეგალურად გადავიდა ავსტრიაში, სადაც ცოტა ხნით ცხოვრობდა და მწერალთა გაერთიანებასთან - „ჯგუფი 47“ თანამშრომლობდა. ამავე ხანს უახლოვდება პოეტ ინგებორგ ბახმანს, ხოლო 1948 წელს საბოლოოდ გადადის პარიზში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე რჩება. ცელანი მთელი ცხოვრების მანძილზე ავადმყოფურად განიცდიდა ანტისემიტიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, რაც ხშირად მისი ღრმა დეპრესიის მიზეზი ხდებოდა და აუცილებელ მკურნალობას საჭიროებდა; პოეტის ფსიქიკა ერთ-ერთ ასეთ დეპრესიულ შემოტევას ვეღარ გაუძლო და 1970 წლის 20 აპრილს, როგორც ფიქრობენ, მირაბოს ხიდიდან გადავარდა მდინარე სენაში... მხოლოდ I მაისს გამოორიყა მდინარემ მისი ცხედარი, პარიზიდან ათიოდე კილომეტრში.

ცელანის ღრმად გულწრფელი შემოქმედება გასული საუკუნის 40-70-იან წლებს მოიცავს. მის ორიგინალურ პოეზიაში შეულამაზებლად აირეკლა XX საუკუნის ტრაგიკული ისტორია. ქრისტიანული მისტიკა, იუდაიზმი, XX საუკუნის ფილოსოფია, ევროპული პოეზიის სიმბოლიზმი და სიურრეალიზმი ერთიან პოეტურ ქარგად შეიკრა და მხოლოდ მისი, ცელანისეული ჟღერადობა შეიძინა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცელანის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, რასაც უაღრესი სერიოზულობით ეკიდებოდა; იგი მრავალ ენას ფლობდა, თარგმნიდა ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, რუსულიდან, ივრითიდან, რუმინულიდან, პორტუგალიურიდან. თარგმნა აპოლინერი, ვალერი, რემბო, ელუარი, ბოდლერი, შექსპირი (სონეტები), დიკინსონი, ფროსტი, უნგარეტი, ლერმონტოვი, ბლოკი, მანდელშტამი, ესენინი და მრავალი სხვა...

ცელანის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ჯონ ფელსტინერი „სიკვდილის ფუგას“ ომისშემდგომი ლიტერატურის გერნიკას უწოდებს, რადგან ლექსი-გოდება კაცთმოძულე ნაციისტთა მიერ ჩადენილ რეალურ ფაქტებს ეფუძნება.



პაულ ცელანი

### სიკვდილის ფუგა

შავი რძე ცისკრის მას ვსვამთ სალამოს  
ვსვამთ შუადღისას და სისხამ დილით ვსვამთ  
ყოველღამე

ვსვამთ და ვსვამთ ისევ

სამარეს ვითხრით ჰაერთა ნიალ სადაც ადგილი ეყოფა ყველას  
კაცი რომელიც იურვებს გველებს სახლში რომ ცხოვრობს და უყვარს წერა  
წერს მაშინ როცა გერმანიას მოიცავს ბინდი ოქროდ ნაფერი თმები შენი  
ჰოი მარგარეტ

შემდეგ პარმალზე გამოდის და ვარსკვლავებს უმზერს სასტვენით იხმობს  
სადაც ვსვამთ ისევ  
სტვენითვე იხმობს თავის ურიებს და ათხრევენებს მიწას — სამარეს  
გვიბრძანებს ახლა საცეკვაო დაუჭკრათ რამე

შავო რძეც ცისკრის გსვამთ ყოველღამე  
გსვამთ და გსვამთ ისევ

კაცი რომელიც იურვებს გველებს წერს მაშინ როცა  
გერმანიას მოიცავს ბინდი ოქროდ ნაფერი თმები შენი ჰოი მარგარეტ  
რუხი ფერფლი შენი თმებისა ჰოი სულამით ჰაერთა ვითხრით სამარეს სადაც  
სივინროვეს იგრძნობს ვერავინ

ის უკიჟინებს რომ მიწის ნიალს უფრო ღრმად ჩასწვდნენ სხვებს აიძულებს  
როკვას სიმღერას  
ის იარაღის ბუდეს სწვდება მყის ხელალებით თვალები მისი არის ცისფერი  
თქვენ ნიჩბით უფრო ღრმად ჩასჭერით სხვებმა კი კვლავაც საცეკვაო  
დაუჭკრან რამე

შავო რძეც ცისკრის გსვამთ ყოველღამე  
გსვამთ შუადღისას და სისხამ დილით გსვამთ სალამოხანს  
გსვამთ და გსვამთ ისევ

კაცი რომელიც ცხოვრობს სახლში და იურვებს გველებს  
ოქროდ ნაფერი თმები შენი ჰოი მარგარეტ რუხი ფერფლი შენი თმებისა  
ჰოი სულამით  
გვიყვირის სიკვდილს უფრო ტკბილად დაკვრა შეშენის სიკვდილი აკი  
ოსტატია გერმანიიდან  
უფრო აკენესეთ ვიოლინო კაემნით სავსე მაშინ კვამლივით ჰაერთა და  
ცას შეერევით  
მაშინ ღრუბლებში ჰპოვებთ სამარეს იქ სივინროვეს იგრძნობს ვერავინ

შავო რძეც ცისკრის გსვამთ ყოველღამე

გსვამთ შუადღისას სიკვდილი აკი ოსტატია გერმანიიდან  
ჩვენ გსვამთ სალამოს გსვამთ სისხამ დილით გსვამთ და გსვამთ ისევ  
სიკვდილი აკი ოსტატია გერმანიიდან მისი თვალები არის ცისფერი  
ის გიმიზნებს და ზუსტად არტყამს მიზანში ტყვიას  
კაცი რომელიც სახლში ცხოვრობს ოქროდ ნაფერი თმები შენი ჰოი მარგარეტ  
აქებებს თავის ნაგაზებს ჩვენზე და საფლავს ზეცის ნიალში გვიძღვინს  
იურვებს გველებს და ოცნებობს აკი სიკვდილი ოსტატია გერმანიიდან

ოქროდ ნაფერი თმები შენი ჰოი მარგარეტ  
რუხი ფერფლი შენი თმებისა ჰოი სულამით

გერმანულიდან თარგმნა  
ლულუ დალიანა

ეგვიპტელი მწერლის ხალიდ ალ-ხამისის რამდენიმე ნოველა კრებულიდან „ტაქსი“. ავტორის მიერ მოსმენილი და ერთ ნიგნად შეკრული ამბები. სხვადასხვა ხასიათის, განათლების, სიხარულისა თუ წუხილის მატარებელი ტაქსისტა მონათხრობი. ადამიანებისა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ უამრავ კლიენტს ხვდებიან ყოველდღე და კარგად იცნობენ საზოგადოებას. ერთმა ფრაგმენტმა, გამოქვეყნებულმა ჩვენი ჟურნალის ამა წლის მე-7 ნომერში მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი დასტურიცაა ელგუჯა თავბერიძის გამოხმაურება „ნილოსისფერი პერანგი ჟასმინის სურნელით“ („ჩვენი მწერლობა“, №9, 2013).

ხალიდ ალ ხამისი

ტაქსი

\*\*\*

იშვიათად შემხვედრია ისეთი მძლოლი, საზღვარგარეთ, ემიგრაციაში არ ყოფილიყოს ნამყოფი, ზოგი — ხანგრძლივადაც, და არაერთ ქვეყანაში.

ამ მძლოლის ემიგრაციის ისტორია, როგორც თვითონ თქვა, 1977 წელს დაიწყო და 2004 წელს დამთავრდა. ეს ხანი, გამუდმებით მიდიოდა ეგვიპტიდან და ბრუნდებოდა, მაგრამ დაბრუნებისთანავე ისევ გამგზავრებაზე იწყებდა ფიქრს. ნამყოფი იყო ერაყში, ქუვეითში, საუდის არაბეთში, ლიბიაში, რა თქმა უნდა, იორდანიაში და სირიაშიც, — ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ეგვიპტის მთავარი შემოსავალი საზღვარგარეთ იძულებით მცხოვრებ ეგვიპტელთა გადმორიცხული თანხებია.

მძლოლი ეგვიპტის მდგომარეობას აკრიტიკებდა. ყელში ჰქონდა ამოსული ყველა ლოზუნგი სამშობლოს სიყვარულზე. „ეგვიპტელი რომ არ ვყოფილიყავი...“<sup>1</sup>

ყოვლად უსარგებლო სიტყვებად მიაჩნდა. მე რომ შევხვდი, ორი წლის დაბრუნებული იყო საკუთარი სურვილის წინააღმდეგ და, როგორც თქვა, იძულებული გახლდათ ამ ქვეყნის სინინძურეში ცხოვრების სირთულე ეტვირთა. ეს ყველაფერი უკვე კლასიკაა და არაფერია ჩემთვის ახალი. მძლოლების უმრავლესობა სწორედ ამას ლაპარაკობს. რაც ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩემი ყურისთვის სიახლე აღმოჩნდა, მისი შეკითხვა იყო:

— იცით, რა განსხვავებაა სადათსა და მუბარაქს შორის? დარწმუნებული ვიყავი, არ ვიცოდი რა განსხვავება იყო მათ შორის და არაფერი ვუპასუხე.

— განსხვავება, ბატონო ჩემო, ის არის, რომ სადათი საზღვარგარეთ მყოფ თავისი ქვეყნის შვილებს ყურადღებას აქცევდა, გვიცავდა. მუბარაქი უგულო კაცია... ქვეყნიდან გასულები უყურადღებოდ მიატოვა, არც აინტერესებს, როგორ არიან და რას აკეთებენ... ერთ ამბავს მოგიყვები, რომ ეს მოძრაობა გაიგო (სიტყვა „მოძრაობა“ აქ ამკარად უადგილოა, მაგრამ მძლოლმა ასე თქვა): სამოცდაათიან წლებში საბერძნეთმა ეგვიპტელთა უვიზო შეშვება დაიწყო. მოგვიანებით ალ-მოაჩინეს, რომ უამრავი ეგვიპტელი ჩადიოდა და არაღებულურად მუშაობდა. იცით, რა გააკეთეს?

— რა?

— ეგვიპტელები მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ერთდროულად რამდენიმე კინოთეატრში, ეგვიპტური ფილმი აჩვენეს. თუ არ ვცდები, „მამაჩემი ხეზე“<sup>2</sup> ჰალიმის მონანლიეობით. ეგვიპტელები, რა თქმა უნდა, ფილმის სანახავად წავიდნენ, პოლიციამ კი ერთიმეორის მოყოლებით ჩასხა მანქანაში და ქვეყნიდან გასაძევებლად წაიყვანა! ყველანი გემზე აიყვანეს, რომ ალექსანდრიაში გაემგზავრებინათ. უმრავლესობა ალექსანდრიელი იყო. იცით, ვინ გაიგო ეს ამბავი? სადათმა. გაგიჟდა კაცი! ელჩს ელაპარაკა და დაავალა, როგორც კი გემი პორტიდან გავიდოდა, მაშინვე ეცნობებინა. შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრს დაურეკა და მოსთხოვა სასწრაფოდ დაეჭი-

რა ასი ბერძენი, რომ თვითმფრინავით გაეგზავნა საბერძნეთში...

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ეს რომ გაიგო, სადათს დაუკავშირდა, მაგრამ სადათმა უთხრა: რასაც ჩემს შვილებს გაუკეთებ, მეც იმავეს გაუკეთებ მენს შვილებსო... რაღა დარჩენოდა პრემიერ-მინისტრს? დააბრუნა ეგვიპტელები დატვირთული გემი საბერძნეთში. მეტსაც გეტყვით, ყველა თავის საცხოვრებელ ადგილას დააბრუნა. წარმოგიდგენიათ? იქ, სადაც ცხოვრობდნენ! ძალიან ცნობილი ამბავია...

როგორ მოხდა, რომ არ იცოდით? ასეთი იყო სადათი... საზღვარგარეთ წასულ ყველა ეგვიპტელს აქცევდა ყურადღებას...

დავუდასტურე, რომ ეს ამბავი ნამდვილად პირველად გავიგე. მითხრა:

— კარგი, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვები. ბევრი ამბავია სადათთან დაკავშირებული, უბრალოდ, ეს ყველაზე კარგია... ეგვიპტეს და არაბულ ქვეყნებს შორის კემპ დევიდის ამბების შემდეგ დაპირისპირება მოხდა. მე ამ დროს ერაყში ვიყავი. სადამი გაბრაზებული იყო ეგვიპტეზე. ქუჩებში ეგვიპტელთა შეურაცხყოფა დაიწყო. იმ დროს ირანი და ერაყი წინასაომარ მდგომარეობაში იყვნენ. ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული. სადათმა სადამს დაურეკა და უთხრა, მართალია, პოლიტიკაში, განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ჩემს მოქალაქეებზე ეს არ უნდა აისახოს, ბაღდადში, „მურაბაას“ უბანში, ეგვიპტელები ცხოვრობენ და ჯავრი მათზე არ უნდა იყარო.

სადამი მიხვდა, ნებისმიერი უთანხმოების მიუხედავად, ეგვიპტელები პოლიტიკურ ამბებში არ უნდა გაერია, იმიტომ, რომ მათ ჰყავთ პრეზიდენტი, რომელიც ზურგს უმაგრებთ.

იმ დროიდან მოყოლებული კი, რაც მუბარაქი გახდა პრეზიდენტი, ვფიცავ ჩემს დღიურ სარჩოს (სენდვიჩი დამანახა), ბევრ შეურაცხყოფას გვაყენებენ.

მანქანა რომ გააჩერა, დასკვნა გამოიტანა...

უმჯობესია შეურაცხყოფას სხვაგან გვაყენებდნენ და არა აქ, ჩვენს ქვეყანაში.

\*\*\*

— რომ მოგიყვე ამ ცოტა ხნის წინათ რა შემემთხვა, არ დამიჯერებ. ოც წელზე მეტია, ტაქსის მძლოლი ვარ, უამრავი უცნაური რამ მინახავს, მაგრამ რაც ცოტა ხნის წინათ გადამხდა, ყველაზე უცნაურია.

— კარგი, მომიყვი.

— ერთი ჩადრიაანი გოგო ჩამიჯდა, შუბრასა და მუჰანდისინში წაყვანა მთხოვა. უკან ჩაჯდა. თან ჩანთა ჰქონდა. როგორც კი ექვსი ოქტომბრის ხიდზე გადავედი, ჯერ მარჯვნივ გაიხედა, შემდეგ მარცხნივ და ჩადრის მოხდა დაიწყო. სარკეში ჩავიხედე, მინდოდა დამენახა, რას აკეთებდა. აი, შეხედეთ, დიდი სარკის ქვევით პატარაც მაქვს, რომ ვხედავდე, უკან რა ხდება. ისეთი დროა, ფრთხილად უნდა იყო. მხოლოდ სიფრთხილისთვის მაქვს, არასწორად არ გამოიგო... თავსაბურავი რომ მოიხადე, გავოცდი... თემზე ბიგუდები ჰქონდა დახვეული. ბიგუდები მოიხსნა, ჩანთაში ჩადო, თმა გაიშალა, სავარცხელი ამოიღო და თმის ვარცხნა დაიწყო... ჩემ წინ, სარკეში ვუყურებდი.

<sup>1</sup> „ეგვიპტელი რომ არ ვყოფილიყავი, ვისურვებდი ეგვიპტელი ვყოფილიყავი“ — როვინული მოღვაწის, მუსტაფა ქამილის (1874-1908) სიტყვები.

<sup>2</sup> ჰუსეინ ქამალის ფილმი, ეკრანზე გამოვიდა 1969 წელს.

— ნინ იყურე! — მიყვირა გოგომ.  
 — რას აკეთებ? — ვკითხე მე.  
 — შენი საქმე არ არის! საქვს მიხედე და ჩუმად იყავი! — მიყვირა ისევ.

ჩვენს შორის დარჩეს და, ვიფიქრე, მანქანას გავაჩერებ და ჩამოვსვამ-მეთქი. მერე ვიფიქრე, მართლა რა ჩემი საქმეა, დავაცდი, როდემდე გაიხდის-მეთქი.

ცოტა ხანში კაბის გახდა დაინყო... მშვენიერია-მეთქი, ვიფიქრე. მეგონა, უფასო სტრიპტიზის მოწმე ვხდებოდი, მაგრამ კაბის ქვეშ თურმე მოკლე კაბა და სქელი შავი წინდები ეცვა, ბევრი არაფერი ჩანდა... გრძელი კაბა ჩანთაში ჩადო... ზედა ჩასაცმელის გახდა დაინყო...

ჩემი მზერა სარკეს მიეჯახვა, კინალამ ნინ მიმავალ მანქანას დავეჯახე.

— გაჭალარავებულხარ და ჭკუა ვერ გისწავლია! ნინ იყურე! — მიყვირა გიჟით.

ტანზე მომდგარი მშვენიერი ბლუზი ეცვა.

არაფერი ვუპასუხე.

ჩანთიდან მაკიაჟი ამოიღო, ტუჩები წითლად შეიღება, თვალეზე ფანქარი წაისვა, წამწამები აიპრისხა... იმ მოკლე დროში, რაც ექვსი ოქტომბრიდან დოკიმიდე მისვლას მოვანდომე, სულ სხვა ადამიანი გახდა. თითქოს გზაში გამოცვალეს, ვერც იფიქრებდი თუ ის ჩადრიანი გოგო იყო, შუბრაში რომ ჩამიჯდა.

იმით დაამთავრა, რომ უქუსლო ფეხსაცმელი მაღალქუსლიანით შეცვალა.

— მისინე, — ვუთხარი მე, — ვიცი, ყველას აქვს პირადი ცხოვრება, მაგრამ იქნებ შენი ამბავი მომიყვებ.

— მუჰი-დ-დინ აბუ-ლ-იზის ქუჩაზე ჩავდივარ, — თქვა.

გავჩუმდი და შეკითხვა აღარ გამიმეორებია.

ცოტა ხნის შემდეგ ლაპარაკი თვითონ წამოიწყო:

— ბატონო, რესტორანში ვმუშაობ მიმტანად, წესიერი სამუშაოა და მეც წესიერი ქალი ვარ. პატივს მცემენ. ჩემი სამუშაო მოითხოვს, კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ შინიდან ასე ჩაცმული ვერ გამოვალ.

ჩემი სახლიდან და ქუჩიდან უჩადროდ გამოსვლა არ შეიძლება... ერთმა მეგობარმა ყალბი კონტრაქტი მომიტანა საავადმყოფოდან. ოჯახს ჰგონია, იქ ვმუშაობ... მაგრამ ჩემთვის ნამდვილად აქ მუშაობა სჯობს, ზოგჯერ დღეში მაძლევენ იმდენს, რამდენსაც საავადმყოფოში ერთ თვეში უხდიან ძალიან ჭუჭყიანი სამუშაოსთვის.

მეგობარს, რომელიც საავადმყოფოში მუშაობს, თვეში 100 გინეას ვაძლევ, რომ არ გამოქვას. გამომრჩენი! საკუთარი თავის გარდა არაფერი ანალვლებს. ყოველდღე მასთან მივდივარ და იქ ვიცვლი, მაგრამ დღეს მაგვიანდებოდა. ამიტომაც იძულებული ვაგხდი მანქანაშივე გამომეცვალა. გაქვთ კიდევ კითხვები, ბატონო გამომძიებელო?

— რა გამომძიებელი, ჩემო ქალბატონო! გამომძიებელი რომ დავიწახო, შიშისგან გულიც გამისკდება... ჩემს მანქანაში იცვლიდი და მიზეზი უნდა მცოდნოდა. — საექვო არაფერი დამრჩა და მადლობა გადავუხადე.

— უცნაური ამბავი არ არის, ბატონო ჩემო?

\*\*\*

ძალიან იშვიათია ტაქსის ასეთი მძღოლის პოვნა — 50 წლის მამაკაცი, ელევანტური, წვერგაპარსული, სასიამოვნო სურნელით, ბუდისტის მღვდლის, მეუღაბნოე წმინდანის ან ბერის ღრმა, მშვიდი ხმის ტემბრით...

მისი სუფთა მანქანით კაიროს უნივერსიტეტში მივდიოდით და იმ უშნო შენობებზე ვსაუბრობდით, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინ რომ ააშენეს.

— დედამინის ზურგზე ყველაფერს თავისებური სილამაზე აქვს, შენ მხოლოდ გული უნდა გაულო, რომ დაინახო... მაგრამ თუ სხვებივით გული დახურული გაქვს, შენს გარშემო სინათლეს როგორ დაინახავ?

დალოცვილი ქვეყანა ეგვიპტე — ლამაზია, ბრწყინვალე ისტორია აქვს, სხვა რომ არაფერი ყოფილიყო, ნილოსიც იკმარებდა, რომელიც არა მხოლოდ წყალს გვაძლევს სასმელად და თევზს — საკვებად, არამედ მისი ცქერა სულიერად გვასპეტაკებს.

ბოლო ოცდაათი წელია, ჩემი ცხოვრება სამ ცვლად მაქვს დაყოფილი: პირველი ცვლა — ტაქსია, მეორე — ცოლ-შვილი, მესამე — ჩემი საყვარელი ნილოსი. თევზაობის დროს სული, ხორცი და თვალეები მენმინდება. ნილოსზე, როგორც გადაშლილ წიგნზე, ღვთის სიტყვას ვკითხულობ. აქ გატარებული ოთხი საათის შემდეგ თავს განწმენდილად ვგრძნობ. ვგრძნობ, ღმერთს უჭირავს ჩემი ხელი, რომ არაფრისა მეშინოდეს, მის გარდა. ჩვენს ქვეყანაში ნილოსისთვის ყველას ასე რომ შეეხება, მათი ცხოვრებაც შეიცვლებოდა, კორუფცია და ქრთამი აღარ იარსებებდა, რადგან სუფთა, განწმენდილი ადამიანი ბოროტებას ვერ ჩაიდენს.

ტაქსის ცვლას ყოველდღე შიშით აღსავსე ვამთავრებ. მონადინებული ვარ დავიცვა ჩემი შვილები, მაგრამ მომავლის შიში, ცხოვრების შიში მოსვენებას მიკარგავს; როცა თევზაობის ცვლას ვამთავრებ, სავსე ვარ ხვალინდელი დღის იმედითა და რწმენით, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ღმერთი არ დამივიწყებს. ეგვიპტე ნახსენებაც კი არის ყურანში (თუმცა მძლოლი კოპტი იყო), მაგრამ ღმერთმა ამ ქვეყნის ჯარისკაცობა გვარგუნა, როგორ დავვივინყებ? შეუძლებელია!

მძლოლი საუბრობდა ღრმა, სასიამოვნო ხმით, რომელიც ისე ჟღერდა, როგორც აბდუ-ლ-რასულის ტომის მეთაურის ხმა ფილმიდან "მუმი". იმდენად აღსავსე იყო რწმენით და იმდენად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა რეალურ ფაქტებზე, ხმა თითქოს მას კი არ ამოსდიოდა, არამედ პირდაპირ ღმერთი ღაღადებდა.

ეს მძლოლი ყოველთვის გამახსენდება, როცა ნილოსს შევხედავ და მისი სახელიც, რომელიც ჩასვლისას ვკითხე, არასოდეს დამავიწყდება — შერიფ შნუდა.

\*\*\*

განათლების და კერძო გაკვეთილების საკითხი ერთ-ერთი უმთავრესია იმათგან, რაც ეგვიპტელებს აწუხებთ. აქტუალობით მხოლოდ სარჩოს მოპოვებაზე ზრუნვას ჩამოუვარდება. ეს ორი საკითხი ადამიანთა დიდი მასის აზროვნებაში დომინირებს, რადგან ეგვიპტე ძირითადად ოჯახზე ორიენტირებული ქვეყანაა და ბავშვები ეგვიპტურ ოჯახს ხმაურით, სიყვარულით, იმედით და, რასაკვირველია, განათლებასთან და კერძო გაკვეთილებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ნერვიულობით ავსებენ.

ყოველი ეგვიპტელი ფულის შოვნას იმისთვის ცდილობს, რომ კერძო მასწავლებლებს გადაუხადოს. კერძო გაკვეთილები ბრენდივითაა. შეგიძლიათ ნებისმიერი ფასის მასწავლებელი იპოვოთ, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა კლასს და სეგმენტს მოემსახურება. მათემატიკის გაკვეთილი შეიძლება 10 ეგვიპტური გირვანქა ღირდეს, რაც თვეში 100 გირვანქას შეადგენს. თუ თქვენი შემოსავალი ამ თანხის გადახდის საშუალებას არ გაძლევთ, არსებობს გამეორების გაკვეთილები, ჯგუფური გაკვეთილები, სასწავლო ცენტრები, მოკლედ, ნებისმიერ ფინანსურ მდგომარეობაზე გათვლილი ბიზნესი.

თუ მძლოლთან, რომელსაც სასკოლო ასაკის შვილები ჰყავს, განათლების სისტემას შეეხებ, რაკეტასავით გავარდება და ველარავინ შეაჩერებს, „ნასას“ ინჟინერიც კი.

2005 წლის სექტემბრის იმ დღეს ჩემს სამ შვილს სწავლის საფასური გადავუხადე. ტაქსისი რომ ჩავჯექე, სკოლაში გადახდილი ფული ჯერ კიდევ არ იყო გაციებული სეიფში. მე წამოვიწყე და მძლოლმა განაგრძო:

— ჩემი შვილები ნამდვილად ტვინში სისხლს ჩამიქცევენ. ჩემი ერთადერთი ვაჟი დაწყებითის მეექვსე კლასშია და, გეფიცებით, საკუთარი სახელის წერაც კი არ იცის. მიუხედავად ამისა, ყოველი წლის დასასრულს გადანერაში ეხმარებიან და კლასიდან კლასში გადაჰყავთ. სხვა შემთხვევაში სკოლას პრობლემა შეექმნება. მოსწავლე კლასში თუ ჩარჩა, სამინისტ-

ტრო სკოლას მონიტორინგის სამსახურს უგზავნის. ვაჟის გარდა ორი გოგოც მყავს, ერთი მესამე კლასშია, მეორე — საშუალო საფეხურის მეორე კლასში.

მადლობა ღმერთს, გოგოები ჭკვიანები არიან, მაგრამ მათი კერძო გაკვეთილები ძალიან ძვირი მიჯდება. თვეში თითოეულს 120 გირვანქას ვუხდი. წარმოიდგინეთ, სამ-სამ საგანში ემზადებიან და ერთი საგანი 40 გირვანქა ღირს. საკმარისი თანხა იმისთვის, რომ სწრაფად გაგვაკოტროს... რაც შეეხება ბიჭს, ალბერტს, როცა გაიზრდება, რამდენი დამჭირდება ასეთი სულელისთვის კერძო გაკვეთილებში გადასახდელად?

იცით ახლა რას ვაკეთებთ? ჩემი უფროსი ქალიშვილი, ეველინი უტარებს გაკვეთილებს და ჩემგან თავისი გაკვეთილებისთვის გადასახდელ ფულს იღებს. უნდა ვასწავლო, საკუთარი შრომით როგორ იშოვოს ფული.

მძლოლმა გაიცინა.

— თუმცა, აშკარაა, რომ მისგან ხეირი არ არის, წარმოდგენა არ აქვს, როგორ ასწავლოს. მხოლოდ ფული მიაქვს.

— კარგი და სკოლა როგორია? — ვკითხე მე.

— რას გულისხმობთ? ხომ გითხარი, თავის სახელს ვერ წერს. თქვენ ამას სკოლას ეძახით? ეს უფასო განათლების შედეგია. დღეს, თუ არაფერს იხდი, ვერაფერს მიიღებ. პრობლემა კი ისაა, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ვიხდით. დანყებით სკოლაში ნიგნებისთვის 40 ფუნტს ვიხდით, საბაზო სკოლაში — 80 ფუნტს, საშუალოში 100-ს. თუ არ გადაიხდი, ნიგნი არ გექნება. სისტემა ამბობს — ან გადაიხადე, ან უნიგნოდ დარჩი.

საყოველთაო განათლება, ბატონო, ლამაზი ოცნება იყო და სხვა მრავალ ოცნებასავით გაიფანტა, მხოლოდ ილუზია დატოვა. ქალაქებში განათლება წყალივით და ჰაერივით არის — ყველასთვის აუცილებელი, მაგრამ სინამდვილეში მდიდრები იღებენ განათლებას, შოულობენ სამსახურსა და ფულს, მაშინ, როცა ღარიბები განათლების გარეშე რჩებიან, უმუშევრები და უფულოები. დროს უქმად ყოფნაში ატარებენ. მე შემიძლია უამრავი ასეთი ადამიანი გაჩვენო. ვერანაირ სამუშაოს ვერ შოულობენ, რა თქმა უნდა, გენიოსების გარდა. ჩემი შვილი, ალბერტი, კი გენიოსი ნამდვილად არ არის.

მე რაც შემიძლია, ვაკეთებ. ვიხდი ფულს კერძო გაკვეთილებისთვის. სხვა რა შემიძლია? იქნებ ღმერთმა მოწყალება მოიღოს მასზე და აჰმად ზავილისნაირი აღმოჩნდეს, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო ქიმიამში.

\*\*\*

როცა მოკლე მანძილზე მივდივარ, როგორც წესი, მძლოლთან საუბარს არ ვინწყებ. ამჯერად დაახლოებით 3 წუთი უნდა მემგზავრა.

მძლოლი რადიოში უმ ქულსუმს უსმენდა. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, ჩუმი ვყოფილიყავი და მომესმინა. მძლოლები კარგ მუსიკას იშვიათად უსმენენ.

ჩემი მედიტაცია დიდხანს არ გაგრძელდა.

— ფაშა, იცით რა არის ყველაზე უარესი? (ფაშა უმაღლესი პატივისცემის აღმნიშვნელი ოფიციალური ტიტული იყო ოსმალეთის იმპერიაში. ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება ევროპტეში პატივისცემის გამოხატად).

ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი, მაგრამ როცა მისი სერიოზული გამომეტყველება დავინახე, ცოტა დაფიქრდი და ისე ვუპასუხე:

- გუშინ ეგვიპტეს აფრიკის თასი რომ წაეგო?
- არა, ფაშა, უფრო უარესიც არსებობს.
- მაგალითად?
- მაგალითად, მეძავის შეყვარება.
- და რა იცი, ვინმეს იცნობ, ვისაც მეძავი უყვარს?
- კი, ფაშა! მე შემიყვარდა, ბოდიში უბეში სიტყვისთვის, ბოზი.

უკვე კაფე “ბასკოის” წინ ვიყავი, სადაც ჩემი და და ბიძაშვილი მელოდნენ, მაგრამ მძლოლმა ცნობისმოყვარეობა გამოიღვიძა. თანაც, როგორც ჩანს, ძალიან სჭირდებოდა ვინმესთან ლაპარაკი.

— ეს როგორ მოხდა?

— თავსაბურავიანმა, ძალიან ღირსეული შესახედაობის ქალმა გამაჩერა ღამის 11 საათზე და მთხოვა, მუჰანდისინში მიმეყვანა. აგვისტო იყო, დაახლოებით 5 თვის წინათ. რომ ჩავიდა, მთხოვა, ზუსტად 2 საათში მივსულიყავი, რადგან შემდეგ ავადმყოფი ნათესავის მონახულებას აპირებდა.

ზემო ეგვიპტეში ვარ, ის ქალი გახლდათ და არ მესიამოვნებოდა, ღამით რამე შარში გახვეულიყო. ამიტომაც 2 საათში მივედი. მანშიტ ნასირში წაყვანა მთხოვა. ვუთხარი, 25 ფუნტი გადამიხადე-მეთქი, მან კი მიპასუხა, 50-ს გადავიხდი, ჩემი კლიენტი ძალიან ხელგამაძლირი აღმოჩნდაო.

სიტყვა „კლიენტმა“ ტყვიასავით გამიარა ყურსა და ტვინში. გაბრაზებულის ნიღაბი მოვირგე. ქალმა მითხრა, რას ელოდი ჩემგან? აბა, რატომ უნდა დადიოდეს ქალი სახლიდან სახლში შუალამის პირველ საათზეო?

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, სიმპათიით განვენეყე მის მიმართ და დავპირდი, რომ მეორე დღესაც წავიყვანდი 11 საათზე იმავე მისამართზე.

დიდხანს რომ არ გავაგრძელო, ერთი კვირა დამყავდა, შემდეგ თავისი ტელეფონის ნომერი მომცა და მითხრა, დამერეკა თუ „რამე“ დამჭირდებოდა.

არ ვიცი, რა მომივიდა. იქიდან მოყოლებული განუწყვეტლად ამ მეძავზე ვფიქრობ. ვუყურებ საკუთარ თავს სარკეში და ვეკითხები, მეძავი? მეძავი?!

რაც ყველაზე უარესია, ყოველდღე, როცა საჭესთან ვზივარ, გამვლელებში ვხედავ. დავამუხრუჭებ, შევხედავ და ის არ არის; უცხო ადამიანია, მისი სიმაღლისა და აღნაგობის.

თავი ვერ შევიკავე, არ დამერეკა და შეხვედრა არ მეთხოვა და, როგორც კი დავინახე, მაშინვე სიყვარულის ახსნა დავუწყე.

მან გაიცინა და მითხრა: რომელ პოზაში გინდა?

შენზე დაქორწინება მინდა-მეთქი, ვუპასუხე. ალბათ, ბრიყვი ხარო, მითხრა და წავიდა.

არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ფაშა! გჯერა, რომ სუჰაჯელ ზემოეგვიპტელს მეძავი უყვარს მთელი გულით? ვერ ვინწყებ, სულ მასზე ვფიქრობ, დანეყვლილი ვარ თუ რა?

ტაქსიდან გადავედი და ფანჯრიდან ვუთხარი:

— მასთან ურთიერთობა არ გქონია, არც ცოლად მიგიყვანია. ღმერთი შეგენია.

\*\*\*

მძლოლი გაბრაზებული იყო, ძალიან გაბრაზებული. შეიძლება ითქვას, — განრისხებული. ისე მიყვიროდა, თითქოს მე ვიყავი ყველა მისი პრობლემის მიზეზი.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ახალგაზრდა გახლდათ, დაახლოებით 30 წლისა. ეტყობოდა, უნივერსიტეტში ესწავლა. ვცადე მისი დამშვიდება, მაგრამ — უშედეგოდ, და ბოლოს მითხრა, რატომ იყო გაბრაზებული.

— გუშინ პოლიციელმა მართვის მოწმობა ჩამომართვა, მობილურზე ლაპარაკობდიო. არადა, უბრალოდ ხელში მეჭირა. ნაცნობის საშუალებით ვცადე მოწმობის დაბრუნება, მაგრამ ვერ დავუკავშირდი. დღეს ნიკოლას საგზაო დეპარტამენტში შევიარე, სადაც, ქალაქის დასალიერში. ჩვენ, მძღოლები ხომ ადამიანებად არ მივიჩნევართ, და დეპარტამენტი, რომელიც ჩვენზე მუშაობს, ისეთ ადგილასაა, მამალიც რომ აღარ ყოფილ. კანცელარიაში გავაკრევი, რომ ჩემი მართვის მოწმობა დეპარტამენტში ჯერ არ მიუტანიათ. გუშინ ორი საათი დამაკარგინეს, დღესაც ორი საათი და მართვის მოწმობა მინც არ მაქვს. ჯერ კიდევ არ ვიცი, რამდენს გადაამხდებიან და რამდენად მომიწევს თავის დამცირება, რომ დავიბრუნო. ამ ყველაფერს ჭკუიდან გადავყავარ. საგზაო დეპარტამენტში ყველაფერს ჩანყობა სჭირდება, ყველა ნაბიჯზე ქრთამი უნდა გადაიხადო. ამაზრზენია!

ვერ ვხვდები, რა უნდათ ჩვენგან. სამუშაო არ არის და გვეუბნებიან, ნებისმიერ სამუშაოს მოკიდეთ ხელი, რაც გამოჩნდებაო, მაგრამ ნებისმიერ საქმეში ჩასაფრებულები არიან. გვძარცვავენ, ქრთამს გვთხოვენ. არ ვიცი, ყველაფერ ამას საით მივყავართ. როგორც ბენზინისთვის მაქვს თანხა გამოყოფილი, ასევე საგზაო დეპარტამენტის ქრთამისთვის, რა ვიცი, როდის დამჭირდება.

საბოლოოდ ყველა ფარ-ხმალს ვყრი და ქვეყნიდან გაქცევას ვცდილობ. ნათელია, მთავრობას დაგეგმილი აქვს, ყველა საზღვარგარეთ გაგვაციოს. აი, იმას კი ვერ ვხვდები, ჩვენ თუ წავალთ, ვისლა გაატყავენ. გასაძარცვი ალარავინ დარჩება.

ვერ ვხვდები, რას ფიქრობს შინაგან საქმეთა მინისტრი, რას გვიკეთებს, ვიღრე დასაძინებლად დაწვებოდა. ხვდება, რომ ჩვენ განათლებული, კარგად აღზრდილი ადამიანები ვართ? ხვდება, რამდენი ინვალეს ჩვენმა მშობლებმა, ჩვენთვის განათლება რომ მოეცათ? აცნობიერებს, რამდენ შეურაცხყოფას გვაყენებენ პოლიციელები? როცა თავი ბალიშზე უდევს, ხვდება, რომ ჩვენ მიტოვებულები ვართ, არ შეგვიძლია ასე გავრძელება და აფეთქების პირას ვართ? ეს უკვე მართლა მეტისმეტია ჩვენგან. თავს ვიკლავთ მუშაობით, რომ თავი ვირჩინოთ, და შინაგან საქმეთა სამინისტრო კრიმინალებივით და მატყუარებივით გვექცევა. ყველანი მატყუარები ვართ, რადგან პოლიციელი ასეა დარწმუნებული. ამკარაა, პოლიციის აკადემიაში ასწავლიან, რომ ყველა ადამიანი ცრუა, სიცრუეში ცხოვრობს, სიცრუით სუნთქავს და სიცრუეში კვდება. როცა მათ გუშინ ვუთხარი, რომ მობილურით არ ვლაპარაკობდი, პოლიციელმა მითხრა:

— ხედავ, ხელში მობილური გიჭირავს, ესეიგი, ლაპარაკობდი. ერთი წამითაც არ უფიქრია, იქნებ სიმართლეს ვამბობდი. სიმართლე! როგორ ვიტყვი სიმართლეს, ჩვენ ხომ ყველანი მატყუარები და ნაძირალები ვართ, ძველი ფეხსაცმელებივით უნდა გავითელოთ. მე მართლა ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ძველი ფეხსაცმელები ვართ და არა ადამიანები.

— როგორ ფიქრობთ, ბატონო, ადამიანი ვარ თუ ძველი ფეხსაცმელი? შემომხედა. პასუხს ელოდა. სიცილისგან თავი ვერ შევიკავე, ისე იყო გამძვინვარებული. ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი:

— რა თქმა უნდა, ადამიანი.  
მძღოლმა ბოდიში მოიხადა, რომ თავისი ბრაზი ნებაზე მიუშვა ჩემს წინაშე, და ამიხსნა, რომ მე ვიყავი პირველი მგზავრი, ვინც საგზაო დეპარტამენტიდან გამოსვლის შემდეგ აიყვანა.

— ცოტა რომ დამშვიდდა, თქვა:  
— იცი, პრობლემის მიზეზი რა არის?

რა-მეთქი, ვკითხე. სიცილით მიპასუხა:  
— საქმე ის არის, რომ ტექსტური შეტყობინება მივიღე. ნავიკითხე, ანეკდოტი იყო და ხმამაღლა გამეცინა, როცა საკონტროლო პუნქტს ვუახლოვდებოდი. მათ იფიქრეს, მობილურით ვლაპარაკობდი. მთელი ეს გაუგებრობა ანეკდოტმა გამოიწვია.

— რა ანეკდოტი? — ვკითხე მე.  
— „ყველას მადლობას ვუხდით, ვინც რეფერენდუმში ხმა მოგვცა. განსაკუთრებული მადლობა უმ ნაიმას, რადგან მან ორჯერ მოგვცა ხმა“. ორივეს სიცილი აგვიტყდა.

არაბულიდან თარგმანა  
ირმა მახარაძე

## არაფერზე ცოტა მეტი

გამოვიდა ლიკა ოხანაშვილის პირველი პოეტური კრებული „ჩემი ლექსები არაფერზე ცოტა მეტია“.

ლიკა დაიბადა 1991 წლის 27 სექტემბერს, თბილისში. სწავლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის ფაკულტეტზე. ბავშვობიდან წერს და უყვარს პოეზია. მისი ნაწარმოებები შესულია მწერალთა კავშირის მიერ გამოცემულ ახალგაზრდა პოეტთა კრებულებში: „მერანი 2009“, „მერანი 2010“, „მერანი 2011“, ახალგაზრდა პროზაიკოსთა კრებულში „ალავერდი“, ლიტერატურული საიტის მიერ გამოცემულ კრებულში „ურაკპარაკი 2008“; „ლექსების გამოფენა 3“.

ლიკა ასევე არის ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბის „ლემადეს“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

ამ კრებულში შესულია სხვადასხვა თემატიკის ლექსები: სიყვარულზე, დედაზე, ქართველ მებრძოლებზე, სამშობლოზე... ამ ლექსებში ჩანს ახალგაზრდა გოგონას მგრძობიარე სული. პოეტი შეყვარებულია ხევსურეთზე. „მე ხევსურეთის მოტრფივალე ვარ“ — ასე ჰქვია მის ერთ-ერთ ლექსს.

როგორც კრებულის წინასიტყვაობაში მარიამ ნიკლაური წერს, პირველი წიგნი და ისიც ასეთ ახალგაზრდულ ასაკში, საკმაოდ სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს. რალაცით კიდევ ჰგავს უმწიფარი ყმაწვილის შესვლას დიდ ომში, რომელშიც ბევრი იბრძვის, მაგრამ გმირი თითოთოროლა ხდება. რადგან ამ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი თავისი მოქალაქეობრივი დატვირთვით სწორედ ავღანეთში მყოფ ქართველ მებრძოლებს ეძღვნება, უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორს ამ „ომის“ ამბებიც ეცოდინება და ადვილად არ დააბნევს ვირტუალური (თუნდაც ლიტპორტალების, „ომების“ არც წარმატება და არც მარცხი).

ამ ლექსებში ჩანს ახალგაზრდა ადამიანის მგრძობიარე სული, რომლისთვისაც სულერთი არ არის რა ხდება მის ირგვლივ. როგორი შეფასებები ეძლევა მოვლენებს, ადამიანურ ქმედებებსა და არჩევანს, რა ღირებულებათა მატარებელია ცხოვრება, რომელსაც ეს-ესაა უშუალოდ და დამოუკიდებლად ეხება. რა განცდებს ბადებს მასში პირველი იმედები, სიყვარული, მოქალაქეობრიობის შეგრძნება, პასუხისმგებლობა, ვალდებულება-მოვალეობის მთელი სისტემა, პირველი იმედგაცრუებანი თუ პირველი ყმაწვილური ჩაფიქრება ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის, რწმენა-ურწმუნეობის მარადიულ კითხვებზე. პოეტური სიტყვა ამ შემთხვევაში სწორედ ახალგაზრდა ადამიანის თვითგამოხატვის საშუალებაა.

ავტორი ყოველთვის ერთგული დარჩება იმ ზნეობრივი ღირებულებებისა, რასაც საკუთარი სარწმუნოება და ეროვნული ცნობიერება აწვდის. ხოლო ის ერთადერთი და განსხვავებული „რელიგია“, პოეზიის სიტყვის ცეცხლის სულისბერვა რომ აბარია, ისეთ მსახურებას ითხოვს „მორწმუნეთაგან“, ჯერ ძნელი სათქმელია, რა ელის წინ ავტორს... სიმალეები და სიღრმეები, რასაც დღევანდელმა პოეტურმა აზროვნებამ მიაღწია, ხშირად დადლის და დაქანცავს, ხშირადაც გამარჯვებისა და წინსვლის შინით აღაცხვებს ნებისმიერ შემოქმედს. არაფერზე ცოტა მეტი, რა იქნება ხვალ და ზეგ, თუმცა რაც დღეს ხდება, ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ავტორისათვის. გამოდის პირველი კრებული და ის ელის შეფასებებს, მონონების გაზიარების სიხარულს.

პოეზიის უდიდესი სიმალეები და სიღრმეები ალბათ თვალისმომჭრელ ჰორიზონტებს გაუშლის თვალწინ და ყოველთვის აღუძრავს სურვილს ქართული ლექსის ღირსეული მცოდნე და დამფასებელი იყოს და, ვინ იცის, ეგებ მსახურიც...



ფილმისანი

როგორც მოგეხსენებათ, „მანია“ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს — ვნებას, სიგიჟეს. საყოველთაოდ ცნობილია ამ სიტყვაზე დაფუძნებული ტერმინებიც, რომლებიც ეწოდება ადამიანთა არცთუ მისასალმებელ ჩვეულებასა თუ ფსიქიკურ გადახრას, დროებით გატაცებასა თუ ხანგრძლივ სნეულებას, ცხოვრების წესად რომ გადაქცეულა: ნარკომანია, კლემენტინა, ნიმფომანია, განდიდების მანია, დევნის მანია და სხვ. მაგრამ ათასში ერთ კაცს თუ ეცოდინება ზემოთ ჩამოთვლილთა თავისებური ანალოგი „ფილმიმანია“, რომელიც წარმოიქმნა დიდ ბრიტანეთში XX საუკუნის შუა წლებში და კარგა ხანს მძვინვარებდა როგორც ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში, ასევე ინგლისელ ჟენტლმენთა ტვინებში.

მოკლე და ლაკონურად: კიმ ფილბი იყო ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ანუ „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ თვალსაჩინო თანამშრომელი და, იმავდროულად, საბჭოთა დაზვერვის საიდუმლო აგენტი. შესაბამისად — დაჯილდოებულია ბრიტანეთის იმპერიის ორდენით და საბჭოური წითელი დროშის ორდენით.

კარლო გოლდონის ცნობილი პიესიდან მომდინარე გამოთქმისაგან ასეთ პერსონებს უწოდებენ „ორი ბატონის მსახურს“.

ამერიკელ მკვლევართა ნორმან პოლმარისა და ტომას ალენის წიგნში „შპონაჟის ენციკლოპედია“ კიმ ფილბის ეთმობა მთელი ოთხი გვერდი, მაშინ როდესაც ამერიკული დაზვერვის ბიარახტარს ალენ დალესს — მხოლოდ ორი გვერდი.

კურიოზული დეტალი ფილბის სამსახურებრივ კარიერაში: იგი ერთხანს ხელმძღვანელობდა „ინტელიჯენს სერვისის“ მე-9 განყოფილებას, რომელსაც ევალებოდა ბრძოლა საბჭოთა შპონაჟისა და ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ. საკუთარ თავთან უნდა ებრძოლა!

ბრიტანული ისტებლიშმენტის ღვიძლი შვილი, აღზრდილი არისტოკრატიულ ოჯახში, კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გასული საუკუნის 30-იან წლებში რევოლუციურმა მოძრაობამ გაიტაცა, რამაც საბოლოოდ საბჭოთა დაზვერვის რიგებამდე მიიყვანა.

როგორც აღნიშნავენ, XX საუკუნის მეორე ნახევრის ბრიტანეთში ყველაზე მეტად ორი თვისტომი ინვევდა ახალგაზრდა ინგლისელთა ალტაცებას: მწერალი გრემ გრინი და მზვერავი კიმ ფილბი (სამშობლოს მოლაღატე!).

ინგლისელთა ინტერესი „ამ საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მზვერავის“ მიმართ, როგორც ახასიათებდა ფილბის მისი ამერიკელი კოლეგა მაიკლ კოულენდი, დროთა განმავლობაში კი არ სუსტდებოდა, არამედ გამომდებებით იზრდებოდა. იბეჭდებოდა სულ ახალი და ახალი წიგნები, იღებდნენ ახალ-ახალ ფილმებს, ახორციელებდნენ სატელევიზიო დადგემებს, სადაც მკითხველსა თუ მაყურებელს ისევ და ისევ სთავაზობდნენ დაბრუნებას წარსულის იმ მოვლენებთან, რომელთა მთავარი გმირი გახლდათ 1963 წელს მოსკოვში გახიზნული კიმ ფილბი.

ჟურნალისტები თავს აბეზრებდნენ მორჩილი თხოვნებით შეხვედრასა და ინტერვიუზე. ბი-ბი-სის ტელეკომპანია არაერთხელ ჰპირდებოდა ფილბის უზარმაზარ გასამრჯელოს მისი ცხოვრების ამსახველ ფილმში მონაწილეობისათვის. მაგრამ ფილბი გადაჭრით უარობდა. ერთადერთი გამონაკლისი გამოდგა ფილმ ნაიტლი, რომელიც ოცი წლის მანძილზე იკვლევდა ფილბის ბიოგრაფიას და მასთან საქმიანი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული.

1988 წლის იანვარში ნაიტლი მოსკოვს ეწვია და რამდენჯერმე შეხვდა თავის გმირს. ინგლისში დაბრუნებისთანავე, იმავე წლის მარტში, გამოაქვეყნა სტატიების სერია გაზეთ „სანდი ტაიმის“ ფურცლებზე, სხვა გაზეთებზეც რომ გადაბეჭდეს. წიგნი კი გამოცემულ იქნა უკვე ფილბის სიკვდილის შემდეგ.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რა არის მიზეზი ასეთი დაუმრეტელი ინტერესისა ფილბის პიროვნებისადმი დასავლეთში, რაც მით უფრო გასაოცარია, რომ საბჭოთა აგენტი თითქოსდა არ უნდა იყოს მათი „რომანის გმირი“.

მწერალთა, ჟურნალისტთა და მკვლევართა დიდი ჯგუფი მიიჩნევს, რომ დასავლურ სამყაროში ფილბის უზომო პოპულარობის მიზეზი არის მისი უჩვეულო ბედი, არაორდინარული ცხოვრების პერიპეტეები, აგრეთვე — შპონაჟის რომანტიკა, რაც აიხსნება არა მარტო იმით, რომ ინგლისმა მსოფლიოს მისცა ყველაზე მეტი ავტორი ამ თემატიკის მსახურებაში, არამედ ინგლისელთა ჰიპერტროფირებული ინტერესი დაზვერვის ასპარეზზე მოღვაწე ადამიანებისადმი.

ალტაცებას ინვევდა ისიც, რომ ფილბი, რომელიც „ორმაგი ცხოვრებით“ ცხოვრობდა, ორივე როლს ისე ბრწყინვალედ ასრულებდა, უბრალო მოკვდავის წარმოსახვას რომ ანცვიფრებს. იგი სრული უფლებით შედის დაზვერვის ისტორიაში, როგორც უნიკალური წარმომადგენელი თავისი უმოთხრობაში.

ავტორთა მეორე ჯგუფი, რომელიც ურთავისედა მზვერავთაგან შედგება, ფილბის პიროვნების დიდ მიმზიდველობას ხსნის მისი სწორუპოვარი პროფესიონალიზმით, რისი წყალობითაც იგი ურთულეს პირობებში ასრულებდა მოსკოვის დავალებებს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მალავდა თავის „საიდუმლო ომს“.

საუცხოო და მრავალმხრივი განათლება, ენციკლოპედიური ცოდნა პოლიტიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ხუთი უცხო ენის ფლობა, პირადი მომზიდვაობა, საზოგადოებაში ქცევის დახვეწილი ჩვევები — აი, პორტრეტი იმ ადამიანისა, რომელიც თავის გარშემო ქმნიდა მაგნეტიზმის მძლავრ ველს, ძნელად რომ გაუწევდი წინააღმდეგობას.

ჯეიმზ ენგლტონი (მომავალი შეფი „ინტელიჯენს სერვისის“ კონტრაზვერვისა) ჯერ კიდევ 1952 წელს ამბობდა: „მე ასე მგონია, რომ ფილბი გახდება ინტელიჯენს სერვისის თავკაცი“.

ჰიუ ტრევორ-როუპერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა დაზვერვაში, წერდა: „ბიორჯეს-მაკლინის სკანდალი რომ არა, ფილბი გახდებოდა ინტელიჯენს სერვისის შეფი“.

და იმავეს აცხადებდა ალენ დალესი: „ამჟამად აღარავის აეჭვებს ის ფაქტი, რომ კიმ ფილბი, ბიორჯესისა და მაკლინის გაქცევამდე, ითვლებოდა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ფრიად პერსპექტიულ თანამშრომლად და ნორმალურ პირობებში სავსებით იოლად შეეძლო გამხდარიყო მისი შეფი“ (ექვმიტანილ საბჭოთა მსტოვართა დონალდ მაკლინისა და გაი ბიორჯესის გაქცევა საბჭოთა კავშირში განხორციელდა კიმ ფილბის გარჯითა და ხელშეწყობით).

მოსკოვში გადახვეწილი ფილბი, როდესაც საბჭოთა სისტემის თვალში საცემ ხინჯებს გმობდა, მისი იქაური კოლეგები ანუ „კაგებეს“ ოფიცრები პასუხობდნენ: აბა, მე რა შუაში ვარო? ეს ინვევდა ფილბის აღფრთობას: როგორ თუ შუაში არა ხარ, ყოველი საბჭოთა მოქალაქე დიხაბც შუაშია, თქვენ ყველანი შუაში ხართო!

მაგრამ საბჭოთა სისტემის პირუთვნელი კრიტიკა ხელს არ უშლიდა, რომ მტკიცედ შეენარჩუნებინა თავისი მსოფლმხედველობა, თავისი მორალური პრინციპები და ადამიანური კეთილშობილება.

1988 წელს ფილმ ნაიტლი ეკითხება: როდესაც თქვენს წარსულს გადახედავთ, არავითარი სინანული არ გიჩნდებათო?

— არავითარი იმ აზრით, რომ არავითარი ქმედება არაა სავსებით სწორი ანდა სავსებით მცდარი. მე ასე ვიტყვი, რომ სწორი უფრო მეტი გამოკეთებია, ვიდრე არასწორი. ვერ დავეთანხმები ტრევორ-როუპერის თვალსაზრისს, რომელიც გამოთქვა ჩემზე დაწერილ წიგნში, თითქოსდა მე გავიყინე ოცდაათიანი წლების დონეზე, თითქოსდა გადავიქციე პოლიტიკურ ნამარხად. მაგრამ განა კენტურების არქივისკოპოსი უნდა მივიჩნიოთ ნამარხად მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება ანგლიკანურ რჯულზე?!

ფილბი ნაიტლისათვის მიცემულ ინტერვიუში კიმ ფილბი თავისებურ ანდერძს ტოვებდა: „მიუხედავად იმისა, რომ აქაურ ცხოვრებას თავისი სირთულეები მოეპოვება, მე შევეჩვიე ამ ქვეყანას და სხვაგან არსად ვისურვებდი ცხოვრებას. ეს ჩემი ქვეყანაა, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ვემსახურები და მინდა, რომ აქვე ვპოვო ჩემი განსასვენებელი“.



გულმართალი კაცის აღსარება

რუნდა სტალინის ფენომენს. მეგონა, მოვიშორე და ხელს აღარ მოვიკიდებდიო, მაგრამ...

ამ გულმართალ კაცს ერქვა მილოვან ჯილასი — გამოჩენილი იუგოსლავიელი კომუნისტი, შემდგომში გამოჩენილ დი-სიდენტად რომ გადაიქცა.

ჯილასი 1937 წლიდან იყო იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1940 წლიდან — ეკეს აღმასკომის წევრი. მეორე მსოფლიო ომის წლებში აქტიურად მონაწილეობდა იუგოსლავიის ხალხთა ბრძოლაში ჰიტლერულ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

1953 წლის დამდეგს ჯილასს ირჩევენ იუგოსლავიის ვიცე-პრეზიდენტად, ცოტა ხნის შემდეგ — პარლამენტის თავმჯდომარედ.

იმავე 1953 წლის დამდეგიდან იწყება ჯილასის კონფლიქტი პარტიასა და ხელისუფლებასთან. მან კატეგორიულად დადგო ის გარემოება, რომ ქვეყნის მმართველ კლასად გადაქცეული კომპარტია მორალურად იხრნებოდა. კომპარტიისავე მთავარი ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „ბორობას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში ჯილასი აკრიტიკებდა ტიტოს რეჟიმს მმართველობის სტალინურ მეთოდებზე გადასვლის გამო, მოითხოვდა ალტერნატიული სოციალისტური პარტიის შექმნას, არ იხონებდა პარტიის ჩარევას მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობაში.

1954 წლის იანვარში ჯილასი გადააყენეს ყველა პარტიული და სამთავრობო პოსტიებიდან, ვინაიდან მისი „ანტიმარქსისტული, ანტი-ლენინური და რევოლუციონისტული შეხედულებანი, ფაქტიურად, მიმართული იყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ლიკვიდაციისაკენ“.

იმავე წლის მაისში ჯილასი გარიცხეს პარტიიდან.

1956 წლის ოქტომბერში ჯილასმა საჯაროდ დაუჭირა მხარი უნგრელი ხალხის აჯანყებას (მოსკოვში „კონტრრევოლუცია“ რომ უწოდებდნენ). იგი აკრიტიკებდა ტიტოს რეჟიმსაც და საერთოდ — კომუნისტებსაც. მოუსაჯეს პატიმრობა 3 წლით. 1957 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ახალი კლასი“. ხელახლა გაასამართლეს და შეიძინა პატიმრობა მოუსაჯეს.

1961 წლის იანვარში ვადამდე გაათავისუფლეს, მაგრამ სამი თვის შემდეგ ისევ დაატყუალეს, რადგანც გამოსცა წიგნი „საუბრები სტალინთან“. ჯილასს ბრალად დასდეს „სახელმწიფო საიდუმლოებათა გამხსნელა“.

1966 წლის დეკემბერში ჯილასი გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ მისთვის სამოქალაქო უფლებანი არ აღუდგენიათ. მართალია, ერთხელ ნება დართეს გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ საჯარო ლექციების წასაკითხად, მაგრამ 1970 წლიდან ჯილასს ეს პრივილეგიაც ჩამორთმეული ჰქონდა.

მილოვან ჯილასი, პოლიტიკოსი და მწერალი, თვალნათლივ მოგვაგონებს ოდინდელ რაინდებს, თავგანწირვით რომ იბრძოდნენ თავიანთი ღირსების დასაცავად, თავიანთი იდეალების გასამარჯვებლად, თავიანთი მეობის დასამტკიცებლად. დოსტოევსკის ნათქვამისა არ იყოს, ჯილასიც ტყვემართლებას აყენებდა ყველაფერზე მაღლა, პარტიისაზე მაღლა, სამშობლოზე მაღლა. არ ეუბებოდა არც ომსტრუქციას და არც ციხეს. მან ისიც იცოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა, მაგრამ ახსენდებოდა ტროცკის ბედი და დროდადრო ასე შეაგონებდა საკუთარ თავს: „ტროცკის ბედი უკეთესია, ვიდრე სტალინისა; სჯობს დაემარცხდე და მომსპონ, ვიდრე ჩემს სინდისსა და იდეალებს ვუღალატო“.

და არც არასოდეს უღალატა. ოთხმოცდაოთხი წლისა აღესრულა 1995 წელს.

ჯილასმა თავის წიგნში „საუბრები სტალინთან“ თითქოსდა ამოწურა სათქმელი და წერტილი დაუსვა აღძრულ თემას, მაგრამ გამოხდა ხანი და ახალ წიგნში „სახე ტოტალიტარიზმისა“ ისევ მიუბ-

და აი, რას წერს ნაკომუნისტარი დისიდენტი: „მაგრამ სტალინი — აჩრდილია, რომელიც დაძრის და კიდევ დიდხანს იბოგინებს ამქვეყნად. თითქოსდა ყველამ ხელი აიღო მის მემკვიდრეობაზე, თუმცა ცოტანი როდი დარჩენილან, ვინც იქიდან იკრებს ძალ-ღონეს. მრავალნი, თავისდა უნებურადაც კი, ჰბაძავენ სტალინს. ხრუშჩოვი, როდესაც გობდა მას, იმავდროულად აღფრთოვანებას გამოხატავდა. დღევანდელი საბჭოთა ბელადები აღფრთოვანებულნი არ არიან, მაგრამ სტალინის მზის სხივებქვეშ ნებიერობენ. ტიტოსაც, სტალინთან განხეთქილებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, აღუდგა პატივსაღები დამოკიდებულება მისი სახელმწიფოებრივი სიბრძნის მიმართ. და განა მე თვითონ არ ვიტანჯები, როდესაც ვცდილობ მივხვდე, თუ რა არის ეს — ჩემი „ჩაფიქრება“ სტალინზე? ისიც იმით ხომ არაა გამოწვეული, რომ სტალინი ცოცხლობს ჩემში?“

ჯილასი ამაოდ ლამობს წარმოდგინოს, თუ რომელი ისტორიული პიროვნება, გარდა სტალინისა, შეიძლება ესოდენ არ მიმსგავსებოდა მასზე შექმნილ მითს.

გაცნობის შემდეგ ჯილასის წინაშე წარმოჩენილა საყოველთაოდ მოქმედი სტალინი — ნერვიული, გონიერი, თავისი სიდიადე გაცნობიერებული რომ ჰქონდა, მაგრამ ცხოვრებაში თავმდაბალი ადამიანი იყო.

ჯილასის სიტყვით, უშუალო კონტაქტისას სადღაც ქრებოდა ფიქრები სტალინის გულჩახვეულობასა და ვერაგობაზე, თუმცა თვითონ ამ თვისებებს, სავალდებულოდ რომ მიიჩნევდა ნამდვილი პოლიტიკოსისათვის, მაინცდამაინც არ მალავდა და თავსაც კი იწონებდა ამით, ზოგჯერ ამკარა გროტესკამდე მიდიოდა. ასე მაგალითად, ომის მინურულში იუგოსლავიელი კომუნისტებს ურჩევს შეთანხმების მიღწევას მეფე პეტრე III-თან და დასძენს: „მერე კი, როცა ძალებს მოიკრებთ, დანა ჩაეცით ზურგში!“

ამგვარი რჩევა-დარიგების მოსმენისას უცხოელი კომუნისტები აღტაცებას უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე ძრახვასო.

ჯილასი აღნიშნავს, რომ სტალინის სწორპოლიტიკური მესხიერება ჰქონდა და შეუცდომლად ერკვეოდა ლიტერატურულ პერსონაჟთა თუ რეალურ პირთა ხასიათებში, ისტორიისა თუ კლასიკური ლიტერატურის საკითხებში და, რა თქმა უნდა, მიმდინარე მოვლენებში.

ჯილასის სიტყვით, სტალინი სხამალა არ აღიარებდა, მაგრამ შეეძლო ეგრძობ თავისი შეცდომები. ასე მაგალითად, მისგან მოისმენდით, მავანმა და მავანმა „ჩვენ გაგვაბითურესო“. ფაშისზე გამარჯვების ზეიმზე მან ახსენა ის შეცდომებიც კი, ომის დროს რომ დაუშვეს, ხოლო 1948 წლის დამდეგს ჩაილაპარაკა: ჩინელმა კომუნისტებმა თავიანთი შესაძლებლობანი ჩვენზე უკეთესად შეაფასესო.

ჯილასი წერს: „სტალინთან საუბრისას წინასწარი წარმოდგენა მასზე, როგორც ბრძენსა და უშიშარ პიროვნებაზე, არათუ მკრთალდებოდა, არამედ ღრმავდებოდა კიდევ. ეფექტს აძლიერებდა მისი მუდმივი, დამაფრთხობელი დაძაბულობა. აბურძნული ნერვების გორგალივით იყო და საუბრისას არავის აპატიებდა თუნდაც პანანკინტელა, სარისკო ნართაულს. ნებისმიერი დამსწრის თვალების გამომეტყველების შეცვლაც კი არ გამოეპარებოდა“.

ჯილასი ბევრითად ეძებს სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხებს, ვინაიდან მათ ენიჭებათ ძალზე ფართო მნიშვნელობა, დრო-ჟამის ჩარჩოებში რომ ვერ ეტყევაო.

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“

რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად პათი მოთხრობის კონკურსის აცხადებს

კონკურსზე ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის პირს. კონკურსზე არ დაიშვება გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები — მოცულობით არაუმეტეს 5 (ხუთი) პირობითი ნაბეჭდი გვერდისა. საპრემიო ფონდი შეადგენს: **პირველი პრემია — 500 ლარი; მეორე პრემია — 300 ლარი; მესამე პრემია — 200 ლარი;**

განსახილველად დაიშვება მხატვრული ჟანრის (ნოველა, მოთხრობა), რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

საკონკურსო ნაწარმოები (მხოლოდ ერთი მოთხრობა) 2013 წლის 20 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქციის ელექტრონულ ფოსტაზე: **aneuli@mail.ru** (შესაძლოა იყოს გამოქვეყნებულიც, ოღონდ არა უახლოესი ორი წლის განმავლობაში).

საკონკურსოდ უნდა გადმოგიზავნოს ორი ფაილი. ერთი ფაილი — ნაწარმოების დევიზი და ნაწარმოები, მეორე ფაილით კი — დევიზი, ავტორის ვინაობა, ბიოგრაფია, ფოტოსურათი, მისამართი და ტელეფონი.

ფსევდონიმით გამოგზავნილი ნაწარმოები არ განიხილება. ნაწარმოები არ უნდა იყოს პრემირებული.

გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულში“. **რევაზ ინანიშვილის** სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსში გამარჯვებულს **პრემია გადაეცემა მათ ყოველწლიურად, 20 დეკემბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს.**

კონკურსის მხარდაჭერია თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი.

საკონტაქტო ტელეფონი: 551 005058